

ელგუჯა ხინთიბიძე

ბასილი კავაძეობის  
„სამოღვაწეო წიგნის“  
ქართული რედაქციები

(ნაკვეთი ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული  
ურთიერთობიდან)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
- თბილისი  
1968

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება სამი სქელტანიანი კრებული, რომლებსაც თავზე აწერია: ბასილი კესარიელის „ასკეტიკონი“, ანუ ძველი ქართული თარგმანით—„სამოღვაწეო წიგნი“. ამ ხელნაწერთაგან ორი ერთმანეთის ნუსხას წარმოადგენს და მათში, როგორც წიგნის „ანდერძი“ მიგვითითებს, ეფრემ მცირის მიერ XI საუკუნის II ნახევარში ბერძნული ენიდან თარგმნილი ტექსტია დაცული. მესამე კრებული განსხვავებულ რედაქციას იძლევა. მასში, მეცნიერებაში დღემდე მიღებული მოსაზრების თანახმად, პროკოპი მღვდლის მიერ XI საუკუნის II ნახევარში შესრულებული თარგმანია წარმოდგენილი.

რას წარმოადგენს ბასილი კაპადოკიელის (ანუ ბასილი კესარიელის, ბასილ დიდის) „სამოღვაწეო წიგნი“? ერთი ნაწარმოებია იგი, თუ ცალკეული სტატიების კრებული? რა თხზულებებია მასში შესული? ბასილი კესარიელის ხელიდანაა იგი ამგვარი სახით გამოსული, თუ სხვის მიერაა შედგენილი? არის თუ არა ბერძნულ მწერლობაში ასეთი კრებული, თუ იგი ქართველი მთარგმნელის მიერაა შეკრებილი? როგორია ქართული თარგმანი ბერძნულ დედანთან შედარებით? ხომ არ არსებობს ამ წიგნის კიდევ სხვა რედაქციები ქართულ მწერლობაში? რა ადგილი უკავია ქართულ ვერსიებს ბერძნული ხელნაწერების რიგში? როდის და ვის მიერაა შესრულებული ამ ძეგლის ქართული თარგმანები და რა მიმართებაშია ისინი ერთმანეთთან?—აი ის საკითხები, რომლებიც გარკვეულია წინამდებარე ნაშრომში.

„Книга упражнений“, т. е. „Аскетикон“, Василия Каппадокийского—сборник, весьма распространенный в средние века. До настоящего времени дошло свыше 150 списков этой книги. Для восстановления ее первоначального вида в византиноведении использованы все греческие редакции и почти все переводы. В этом отношении древнегрузинские переводы могут сыграть важную роль.

Настоящая работа посвящена изучению грузинских редакций аскетических сочинений Василия Каппадокийского.

„L'Ascéticon“ de Basile le Cappadocien est un livre fort répandu au Moyen Age. Plus de 150 manuscrits de ce recueil sont parvenus jusqu'à nos jours. Afin de reconstituer l'aspect primitif de l'ouvrage de Basile, la byzantinologie utilise l'ensemble des versions grecques et quasi toutes les traductions de ce recueil, à l'exception des versions géorgiennes, dont une partie seulement a été prise en considération.

Le présent ouvrage est consacré à l'étude des versions géorgiennes des écrits ascétiques de Basile.

ქართველ ხალხს თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყოველთვის მკიდრო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ერებთან. ჩვენი წინაპრების კულტურულმა ურთიერთობამ სხვა ქვეყნის ხალხებთან ნათელი გამოხატულება პოვა ძველ ქართულ მწერლობაში. ამჯერად ჩვენ გვინტერესებს ქართველების მრავალფეროვანი ლიტერატურული ურთიერთობა ბერძნებთან. საუკუნეების მანძილზე ქართველი ხალხი კრიტიკულად ითვისებდა მდიდარ ბიზანტიურ ლიტერატურას და, ატარებდა რა მას ქართულ ეროვნულ ბრძმედში, შეჰქონდა მასში საკუთარი წვლილი. თითქმის ამომწურავად ითარგმნა ქართულ ენაზე ბიზანტიური ლიტერატურის ძირითადი ნაწილი. დროდადრო იწმინდებოდა, ზუსტდებოდა, ან ხელახლა, ახალი სტილით, ახალი მეთოდით ითარგმნებოდა ერთხელ უკვე თარგმნილი ლიტერატურა. ქართველმა ხალხმა შეითვისა, შეიყვარა ეს ლიტერატურა და საუკუნეების მანძილზე მას ეროვნულ სიწმინდედ მიიჩნევდა.

ბერძნულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას ჰქონდა თავისი მეორე მხარეც. ქართულმა მწერლობამ ბევრი საყურადღებო რამ მისცა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიას და ამით წარუშლელი წვლილი შეიტანა მასში<sup>1</sup>. ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა ბიზანტიური მწერლობის შესასწავლად იმდენად დიდია, რომ ამჟამად ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში ბევრი სპეციალური საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი ხდება ქართული მასალების გათვალისწინება.

დღეისათვის ქართულ ენაზე თარგმნილი ბიზანტიური ლიტერატურის ძეგლების შესწავლას ორმხრივი მნიშვნელობა აქვს.

<sup>1</sup> ქართული ლიტერატურის წვლილის შესახებ ბიზანტიურ მწერლობაში იხ.: კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 62—63; მისივე, ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში, ეკლუდები, ტ. III, 1955, გვ. 1—11; მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, 1954.

1. ეს ძეგლები წარმოადგენს ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს. მათზე საუკუნეებას მანძილზე იზრდებოდა ქართული საზოგადოებრიობა. მათ თარგმანში ვლინდებოდა ქართული მხატვრული აზროვნება. ამ ძეგლებს თარგმნიდა მწერლობით დაინტერესებული ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი.

2. ბიზანტიური ლიტერატურის ყოველი ძეგლის კვლევა-ძიებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ძეგლთა უძველესი თარგმანების შესწავლას. ამ მხრივ ძველ ქართულ თარგმანებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ ძველ ქართულ თარგმანებში ხშირად დაცულია ბიზანტიური ლიტერატურის ისეთი ძეგლები, რომლებიც ბერძნულ ენაზე დაკარგულია, ბიზანტიური ლიტერატურის თითოეული თხზულების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თხზულების ქართული ვერსიის გათვალისწინებას, რადგანაც ქართული ვერსია ხშირად უფრო ძველია, ვიდრე ამ თხზულების დღემდე შემონახული ბერძნული ხელნაწერები. ესეც რომ არ იყოს, ქართული თარგმანი თითქმის ყოველთვის ინარჩუნებს დამოუკიდებელ რედაქციულ სახეს და ამდენად მისი გაუთვალისწინებლობა ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე ღონეზე ყოველად მიუტყევებელია.

## თ ა შ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ბასილი კაპადოკიელი ბიზანტიური ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მისი დამსახურება ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში და ამდენად ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთ დარგში განუზომელია. თავისი მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწეობით და დაუცხრომელი პრაქტიკული საქმიანობით ბასილი კესარიელმა ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიაში ბასილ დიდის სახელი დაიმკვიდრა. ბასილის უდიდესი დამსახურებით აღფრთოვანებული საეკლესიო ლიტერატურის ერთი გამოჩენილი მკვლევარი გადაჭრით აცხადებს, რომ მისი დროის არც ერთ ბერძენს არ შეუძლია დადგეს მასზე წინ<sup>1</sup>. ბასილის გარდაცვალებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ ბიზანტიელებს შორის დიდი კამათი ატყდა იმის შესახებ, თუ ვინ ელიარებინათ უპირველეს მოღვაწედ—ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი (ღვთისმეტყველი). თუ იოანე ოქროპირი: და დიდი ხნის დავის შემდეგ შეთანხმდნენ.

<sup>1</sup> „Kein Grieche seiner Zeit wird ihm den Vorrang streitig machen können“—O. Bardenheuer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, 1912, 152.

რომ ისინი სამივენი უპირველესი მოღვაწენი არიან და ერთნაირი დამსახურება მიუძღვით ქრისტიანული ეკლესიისა და ლიტერატურის წინაშე.

ბასილი კესარიელი დაიბადა 330 (ან 329) წელს კაპადოკიის ქალაქ კესარიისაში<sup>1</sup>. წარმოშობით იგი პონტოელი იყო<sup>2</sup>. ამ ფაქტს ერთხმად ადასტურებს ბასილი კესარიელის ცხოვრების პირველ-წყაროები. იგი, გრიგოლ ნაზიანზელის ცნობით, ეკუთვნოდა პონტოს ძველისძველ მკვიდრ და დიდგვაროვან ოჯახს; იმ გვარს, რომელსაც პონტოელები ძველთაგანვე მრავალ კეთილ და დიდებულ საქმეს მიაწერდნენ. გრიგოლ ნაზიანზელის თანახმად, ბასილის შორეული წინაპრები „არავისსა უდარეს იყვნეს ახოვანებითა, და სიმდიდრითა, ერისთვობითა, და პატიოსნებითა წინაშე მეფეთასა, და სიმალლითა საყდართაჲთა, და პატივითა ერთა მიერ, და ბრწყინვალეებითა სიტყუთაჲთა“<sup>3</sup>. ბასილის ძმის გრიგოლ ნოსელის გადმოცემით, მათი წინაპრები პონტოში ცხოვრობდნენ. მთელი თავიანთი სიცოცხლე პონტოში, მამაპაპეულ მამულში გაატარეს ბასილის დედამ, დამ და ძმამ. ბასილის მამამ თანამედროვეების დიდი სიყვარული და მეგობრობა დაიმსახურა, მაგრამ მისი სახელი, როგორც იგონებდა სიკვდილის წინ ბასილის და მაკრინა, მაინც ვერ გასცდა პონტოს (გრიგოლ ნოსელი, მაკრინას ცხოვრება). ბასილი კესარიელი

<sup>1</sup> პირველწყაროები ბასილი კესარიელის ცხოვრების შესახებ:

გრიგოლ ნაზიანზელი, სიტყვა 43 (Migne, PG., t. 36. 493—606).  
გრიგოლ ნოსელი, სახოტბო სიტყვა ბასილ დიდზე და მაკრინას ცხოვრება (Migne, PG., t. 46, 787—818; 958—999).

ბასილი კესარიელი, წერილები (Migne, PG., t. 32, 219—1110).

ეფრემი (ან ფსევდო-ეფრემი) სირიელი, სახოტბო სიტყვა ბასილ დიდზე იხ. ძვ. ქართული თარგ. Q—662, ფრ. 242—244).

ფსევდო-ამფილოქსე იკონიელი, ცხოვრება წმ. ბასილისა (იხ. ძველი ქართული თარგმანი A—1103, ფრ. 119—131).

სამეცნიერო ლიტერატურა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ:

O. Bardenhewer. Geschichte der altkirchlichen Literatur, III, 130—162; Altaner, Ver., Patrologie, 1958, 258—266; Ф. В. Фаррар, Жизнь и труды святых отцов и учителей церкви, II, 1903, 1—63; P. Allard, St.—Basile, Paris, 1899; Православная богословская энциклопедия, III, 179—197; და სხვ. ენციკლოპედიები.

<sup>2</sup> ზოგიერთის ვარაუდით ბასილი პონტოში უნდა იყოს დაბადებული. „Некоторые полагают его рождение в темном „Геленпонте“, другие—в Неокесарии.—,понтійском городе“—Ф. Фаррар, Жизнь и труды святых отцов и учителей церкви, II, გვ. 549.

<sup>3</sup> A—1, გვ. 264; A—16, ფრ. 81.

თავის სამშობლოდ კესარიას თვლიდა. რადგანაც ამ ქალაქის ეპისკოპოსი იყო. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ იგი პატივს არ სცემდა თავის გვარს და მამაპაპეულ ქვეყანას. „ღმერთო, გამოსაცდელადაც კი არ მომცე რაიმე ისეთი, რომელიც მიძულებდა ჩემი ნათესაობის დავიწყებას“—სწერდა ბასილი ერთ-ერთ წერილში თავის ბიძას<sup>1</sup>. ბასილი კესარიელის მთელი ცხოვრება ამტკიცებს, რომ მას მშობლიური გრძნობით უყვარდა თავისი მხარე. როგორც თვითონ მიუთითებს, იგი იყო ხშირი სტუმარი პონტოსი, რათა დაძაბული მუშაობის შემდეგ ცოტა ხნით შეესვენა მშობლიურ კუთხეში<sup>2</sup>. თვითონ ბასილი გვამცნობს, რომ მისი აღმზრდელი დიდება (მამის დედა) მაკრინა პონტოელი იყო<sup>3</sup>. და ბოლოს, ბასილი კესარიელი ერთ-ერთ წერილში ნეოკესარიელები-სადმი აშკარად მიუთითებს, რომ იგი მათი (პონტოელების) ნათესავია სისწლითა და ხორციით<sup>4</sup>.

ბავშვობის წლები ბასილმა გაატარა პონტოში, მამაპაპისეულ მამულში. ეს მამული მდებარეობდა პონტოს აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ირისის ნაპირას, ნეოკესარიის მახლობლად. ამის შესახებ ცნობები დაცულია ბასილის ძმის გრიგოლ ნოსელის თხზულებაში „მაკრინას ცხოვრება“. გრიგოლ ნოსელი, გვესაუბრება რა თავის და ბასილის ძმაზე—ნავკრატოსზე, რომელიც მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა მათი მამულის რომელიღაც კუთხეში, საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ მამულის ადგილმდებარეობის შესახებ: „ესე უკუე ნავკრატოს მიიწია მალნართა მათ პონტოხსათა; და დაემკჳდრა ადგილსა უდაბნოსა ირი(ს) მდინარისა მახლობელად, რომელი-იგი შთამოვალს სომხითით, და განპვლის შორის პონტოხსა და ადგილნი. რაჲ ჩუენნი წარვლნეს, ევქსინოხსა ზღუასა შეერთვის, რომელ არს პონტოჲ“<sup>5</sup>. ამ ცნობის თანახმად ბასილის მამის მამული („ადგილნი ჩუენნი“) გამიჯნულია სომხეთისაგან და მდებარეობს პონტოში, მდინარე ირისის ნაპირას. ცნობა ბასილის მამის მამულის ადგილმდებარეობის შესახებ ასევე იკითხება ბერძნულ დედანშიც<sup>6</sup>.

ამგვარად, ბასილი წარმოშობით პონტოელი იყო. მისი ცხოვრების პირველწყაროების უფრო დაკვირვებით შესწავლა კი გვაფიქრებინებს, რომ ეროვნებით იგი იმდროინდელ პონტოს ტერიტო-

<sup>1</sup> Migne, PG., t. 32, 413.

<sup>2</sup> იქვე, 769.

<sup>3</sup> იქვე, 752.

<sup>4</sup> იქვე, 745.

<sup>5</sup> A—55,23 r: A—142, 33-121

<sup>6</sup> Migne, PG., t. 46, 968.

რიაზე მცხოვრები ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო <sup>1</sup>.

სწავლა ბასილმა პონტოს დედაქალაქ ნეოკესარიაში დაიწყო საკუთარი მამის, უფროსი ბასილის ხელმძღვანელობით, რომელიც პონტოში დიდად განათლებულ ადამიანად და საუკეთესო პედაგოგად ითვლებოდა. შემდეგ ბასილი კაპადოკიის დედაქალაქ კესარიას ეწვია. კესარიაში სწავლისას მან პირადად გაიცნო გრიგოლ ნაზიანზელი და ევსტათი, შემდგომში სებასტიის ეპისკოპოსი. კესარიის შემდეგ ბასილი სწავლას კონსტანტინოპოლში აგრძელებს. აქ უნდა დაახლოებოდა იგი სოფისტ ლიბანიოსს (თუ ის წერილები ლიბანიოსისადმი, რომლებიც ბასილის ეპისტოლეებშია შესული. კეშმარიტად ბასილის ხელით არის დაწერილი). სწავლა-განათლების დასასრულებლად ბასილი ათენს ეწვია. აქ იგი საბოლოოდ დაუმეგობრდა გრიგოლ ნაზიანზელს. ბასილმა და გრიგოლმა ათენში მიიღეს საუკეთესო განათლება წარმართულ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, გრამატიკასა და რიტორიკაში. როგორც გრიგოლ ნაზიანზელის ნაწერებიდან ჩანს, მათ აქვე უნდა აღძვროდათ სიყვარული „წმინდა წერილისადმი“ და აქვე უნდა შეესწავლათ იგი. დაახლოებით 358 წლის მახლობლად ბასილმა დატოვა ათენი და კესარიაში დაბრუნდა. ერთხანს იგი რიტორობას მისდევდა, მაგრამ მალე საბოლოოდ გადაწყვიტა ქრისტიანობის მიღება და მოინათლა. ამ პერიოდში ბასილმა სამონასტრო საქმის შესასწავლად იმოგზაურა ეგვიპტეში, პალესტინასა და მესოპოტამიაში. პონტოში დაბრუნებისას მან დააარსა საკუთარი მონასტერი და ასკეტური ცხოვრება დაიწყო. შერყეული მართლმადიდებლური ქრისტიანობის დასაცავად ბასილი მალე კესარიაში დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ვერ ეწყობოდა კესარიის ნახევრადარიან ეპისკოპოსებს, მაინც კჰონდა მათთან გარკვეული ურთიერთობა და დაახლოებით 362 წლიდან იგი არაოფიციალური მმართველია კესარიის საეკლესიო საქმეებისა. მაგრამ დროდადრო, ეპისკოპოსებთან უთანხმოების გამო, იგი ტოვებდა კესარიას და პონტოში მიდიოდა. 370 წელს ბასილი გახდა კესარიის ეპისკოპოსი, თუმცა ამის წინააღმდეგი იყო მეზობელი ეპისკოპოსების დიდი ნაწილი. კესარიის ეპისკოპოსობის ტიტულთან ერთად მან მიიღო კაპადოკიის პროვინციის მიტროპოლიტობა და პონტოს ეგზარქოსობა.

<sup>1</sup> დაწერილებით ამ საკითხის შესახებ იხილეთ: ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ბასილ დიდის სადატურობისათვის, საქ. სსრ მეც. აკად. საზ. მეც. გან. მოაზრებ., 1962, № 3, გვ. 125—141; გ. გოზალიშვილი, ორი ეტიუდი პონტოსა და კაპადოკიის წარსულიდან, 1905, გვ. 29—105.



ბასილი კესარიელის მთელი ცხოვრება მართლმადიდებლური ქრისტიანობის დაცვისათვის ბრძოლას წარმოადგენდა. ბასილი იბრძოდა თეორიულადაც და პრაქტიკულადაც.

ბასილის დოგმატური ხასიათის ნაწერებში აისახა ბრძოლა არიანობის წინააღმდეგ „სული წმიდის“ საკითხზე. ამ ბრძოლას იმ პერიოდისათვის გაძლიერებული არიანული სექტის წინააღმდეგ წლების მანძილზე მეთაურობდა ბასილი კესარიელი. ეკლესიის ისტორიკოსების გადმოცემის თანახმად ბასილთან ერთად ერთიანი თვალსაზრისით არიანობას ებრძოდნენ გრიგოლ ნაზიანზელი, ათანასე დიდი და აპოლინარი ლაოდიკიანელი (Sozom., H. E. VI, 22). არიანობის წინააღმდეგ ბრძოლას ბასილის პიროვნება არა ერთხელ დაუყენებია საშიშროების წინაშე. ბასილს შეუსრულდა სახარების სიტყვები: „წინაშე მთავართა და მეფეთა წარსდგეთ ჩემთვის საწამებლად მათა“ (მრ. 13,9)<sup>1</sup>. 337—378 წლებში არიანობა პრაქტიკულად აღმოსავლეთის სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა. ბასილი კესარიელი კი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმთავრესი რელიგიური ცენტრის კაპადოკიის კესარიის არქიეპისკოპოსის ტიტულით სასტიკად ებრძოდა ირგვლივ გაბატონებულ არიანობას. რწმენით არიანი იმპერატორი ვალენტი არა ერთგზის შეეცადა ბასილის არიანობაზე გადაბირებას, ანდა უკიდურეს შემთხვევაში არიანობასა და ბასილს შორის საერთო ენის გამონახვას. რა ღონეს არ მიმართა იმპერატორმა—საჩუქრებიც კი გაუგზავნა ბასილს, გაძევებთაც კი დაემუქრა, საკუთარი ფეხითაც კი ეახლა, მაგრამ არქიეპისკოპოსის რწმენა ურყევი იყო. ამ ფაქტს დიდის აღტაცებით, ერთხმად გადმოსცემენ ეკლესიის ისტორიკოსები (Socrat., H. E. IV, 26; Sozom., H. E. VI, 16; Theodor., H. E. IV, 19). ბასილის მთელი პრაქტიკული მოღვაწეობა მიმართული იყო იმ მხრით, რომ შეერიგებინა აღმოსავლეთის ეპისკოპოსები დასავლეთის ეკლესიასთან და დაერაზმა ისინი არიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბასილი კესარიელი გარდაიცვალა 379 წელს.

ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში ბასილი კესარიელის სახელს ატარებს დიდძალი და პირველხარისხოვანი ლიტერატურა. მისი შემოქმედება ძირითად და ზოგად ხაზებში შეგვიძლია ასე გავითვალისწინოთ:

1. დოგმატური ნაწერები:

ა) ევნომიუსის წინააღმდეგ (Migne, PG., t. 29, 497—670).

ბ) სული წმიდა (PG., t. 32, 67—218).

<sup>1</sup> ციტატები სახარებოდან მოგვყავს ა. შანიძის გამოცემით, „ქართული თბილისის ორი ძველი რედაქცია“, 1945.

2. მორალურ-ასკეტური ნაწერები (PG., t. 31, 619—1428).
3. ლიტურგიული ნაწერები (PG., t. 31, 1629—1656).
4. ჰომილიები და სწავლანი:
  - ა) ექუსთა დღეთათჳს (PG., t. 29, 3—208).
  - ბ) ფსალმუნთა განმარტებანი (PG., t. 29, 209—494; t. 30, 71—118).

გ) საუბრები სხვადასხვა თემაზე.

5. ტრაქტატი ახალგაზრდობისადმი, თუ როგორ გამოიყენონ წარმართული ლიტერატურა (PG., t. 31, 563—590).

6. ეპისტოლენი (PG., t. 32, 219—1110).

ბასილის ნაწერები სრული საბით ბერძნულ ენაზე მრავალჯერ არის გამოცემული. მათ შორის ერთ-ერთია ჩვენს მიერ მითითებული გამოცემა: Migne, P. G., t. t. 29—32. ბასილის შრომების ბეჭდვა XVI საუკუნიდან იწყება. პირველ გამოცემებად ასახელებენ: ჰააგის, 1528 წ.; ბაზელის, 1532 წ.; ვენეციის, 1535 წ. და ისევ ბაზელის, 1551 წ. გამოცემებს. შედარებით უფრო სრულ გამოცემად მიიჩნევენ პარიზის 1618 წ. გამოცემას, რომელიც 1638 წ. განმეორდა. ხოლო საუკეთესო გამოცემად მიჩნეულია გარნიესა (Mauriner Julien Garnier) და მარანის (Prudent Maran) გამოცემა. პირველმა 1725 წ. გამოსცა პირველი ორი ტომი, ხოლო მეორემ 1762 წ. მესამე ტომი.

ბასილი კესარიელის შემოქმედებაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია ასკეტური ხასიათის ნაწერებს. ბასილის ასკეტური მოძღვრების საკითხი ბიზანტიურ ფილოლოგიაში ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემად ითვლება.

## თ ა ვ ი მ ე ო რ ა

ქრისტიანულ მწერლობაში ასკეტიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ასკეტიკა მისტიკასთან ერთად თეოლოგიის ერთი შტოა. მიუთითებენ, რომ სწორედ აქედან არის გზა დოგმატიკისა და ეგზეგეტიკისაკენ<sup>1</sup>.

მისტიკა, ასკეტიკისაგან განსხვავებით, განიხილავს რელიგიური სულიერი ცხოვრების შინაგან მხარეს, მის უშუალო მიმართებას ღმერთთან. ასკეტიკა კი გამოხატავს ქრისტიანთა ცხოვრების გარეგნულ სახეს და ქველმოქმედებისა და მანკიერების სხვადასხვა

<sup>1</sup> K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, 1897, გვ. 139.

ფორმის სწავლაში კლინდება<sup>1</sup>. ბიზანტიელთა მორალური ხასიათის ნაწერების უმეტესობა ასკეტური შინაარსისაა. ასკეტური თხზულებების ძირითად ნაწილს უფრო ხშირად მონაზვნების ცხოვრების წესი შეადგენს, ამიტომაც ამ ნაწერების ავტორები თითქმის ყოველთვის ბერები არიან. გამომდინარე აქედან, ასკეტური მწერლობა უფრო ინტენსიურად იქ განვითარდა, სადაც ასკეტიზმი იყო გავრცელებული. პირველ საუკუნეებში სამონასტრო საქმემ უფრო მეტად მცირე აზიაში პოვა გავრცელება. საკუთრივ საბერძნეთში, ათონის მთაზე კი მონასტრები მხოლოდ XI საუკუნიდან გვხვდება<sup>2</sup>. ამის შედეგად ასკეტური მწერლობის წარმომადგენლები უფრო მეტად მცირეაზიელი მოღვაწეები იყვნენ<sup>3</sup>. ეგვიპტეში, პალესტინასა და მცირე აზიაში ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე ჩამოყალიბდა ქრისტიანული ასკეტიზმის სხვადასხვა სისტემა.

სიტყვა ასკეტიზმი ბერძულია (ἀσκησις—ἀσκησις-დან) და ქართულად ნიშნავს მოღვაწეობას (სიტყვასიტყვით ἀσκησις არის ვარჯიში; წერთნა). ბერძნებისათვის ეს სიტყვა თავდაპირველად აღნიშნავდა ფიზიკურ ვარჯიშს, ტანვარჯიშს. ფილოსოფოსების ენაში კი მან მიიღო სულიერი წრთობის, ზნეობრივ დისციპლინაში ვარჯიშის მნიშვნელობა. ბერძენი საეკლესიო მწერლების საშუალებით ეს სიტყვა ქრისტიანობაში გადავიდა<sup>4</sup>.

ასკეტი ქრისტიანულ მწერლობაში იმ მორწმუნეს შეერქვა, რომელიც განდევილურ ცხოვრებას ეწეოდა. ამდენად ქრისტიანული ცხოვრების იმ სახეობას, რომელიც ამქვეყნიური ინტერესების უარსაყოფად სოფლისაგან განდგომაში გამოიხატება და რომელიც იმქვეყნიური სასუფეველის მოსაპოვებლად ამქვეყნიურ მოთმინებას მიმართავს, ასკეტიზმი ეწოდება.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ასკეტიზმი რეაქციულ როლს ასრულებდა, ქადაგებდა რა მორჩილებას, ქვეყნისაგან განდგომას და ამქვეყნიური საქმეებისადმი გულგრილობას<sup>5</sup>.

მორწმუნის თვალსაზრისით ასკეტიზმი არის ბრძოლა ამქვეყნიური ვნებების წინააღმდეგ. ასეთი ბრძოლა დამახასიათებელია არა მხოლოდ ქრისტიანობისათვის, არამედ საერთოდ რელიგიისათვის. ამ-

<sup>1</sup> K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, 33-141.

<sup>2</sup> იქვე, 33-139-140.

<sup>3</sup> იქვე, 33-141.

<sup>4</sup> П. Пономарев, Аскетизм, Православная богословская энциклопедия. т. II, 33-53.

<sup>5</sup> см. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 8, стр. 144.

გვარად, ქვეყნისაგან განდგომაც სხვადასხვა სახით დამახასიათებელია ყველა რელიგიისათვის და ზოგიერთი ფილოსოფიური კონცეფციისათვის. ამიტომ ქრისტიანულ ასკეტიზმს ჰყავს თავისი წინამორბედები. ერთ-ერთ ასეთ წინამორბედად ასახელებენ ბუდისტურ ასკეტიზმს<sup>1</sup>.

მიუთითებენ, რომ ჩანს განსაცვიფრებელი მსგავსება მთელ ბუდისტურ და ქრისტიანულ ზნეობრივ მოძღვრებას შორის<sup>2</sup>. თუმცა ეს მსგავსება არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტიანულ ასკეტიზმს ინდურ რელიგიასთან უშუალო კავშირი ჰქონდეს<sup>3</sup>.

ასკეტიზმი მთელი სიმწვევით გამოვლინდა ბუდიზმზე უფრო აღრინდელ ინდოელთა რელიგიაშიც, ბრაჰმანიზმში. აქ იგი არის ამ რელიგიის ძირითადი მომენტის—ადამიანის „მსოფლიო სულთან“, ბრაჰმასთან სრული დაბრუნების საშუალება. ბრაჰმანიზმის თანახმად სრული დაბრუნება ბრაჰმასთან უნდა განხორციელებულიყო ადამიანის მიერ გარეგან, გრძნობიერ სამყაროსთან ურთიერთობის მთლიანი შეწყვეტით, გრძნობიერებისაგან ასკეტური განთავისუფლებითა და თვითმოკვდინების გზით.

ასკეტიზმი ბუდას მთელი რელიგიის უმთავრესი მომენტია. ბუდას მოძღვრების ასკეტიზმის წყარო არის ბუდისტური შეხედულება მთელ ქვეყნიერებაზე, როგორც არაარობაზე და ბოროტებაზე. ბუდიზმისათვის გამოხატულება სრული სიმშვიდისა, რისთვისაც უნდა იღვწოდეს ყოველი ბუდისტი, არის მისტიკური მდგომარეობა უმაღლესი განცხრომისა, რასაც ბუდისტები უწოდებდნენ შეერთებას ნირვანასთან (ჩაძირვას ნირვანაში). ეს იყო ფანატიკური გაგება ისეთი მდგომარეობისა, როგორიცაა განთავისუფლება ყოველგვარი ცხოვრებისეული ზრუნვისაგან. ამის მისაღწევი გზა სურვილის ყოველგვარი გამოხატულების მოსპობა იყო. ეს კი უკვე ნიშნავდა ასკეტიზმს. ამგვარად, როგორც ბრაჰმანიზმისათვის, ისევე ბუდიზმისათვის ასკეტიზმი წარმოადგენდა იმ გზას, რომლის საშუალებითაც ადამიანს უნდა მოეკლა მასში არსებული ყოველგვარი ნასახი ცხოვრებისა.

ქრისტიანული ასკეტიზმის წინამორბედად ასახელებენ ბერძნულ წარმართულ ასკეტიზმსაც, რომელიც გამოვლინდა ანტიკური ეპოქის

<sup>1</sup> ასკეტიზმის შესახებ ინდოელთა რელიგიაში იხ. А. Гусев. Нравственный идеал буддизма в его отношении к христианству, 1674.

<sup>2</sup> Die Religion des Buddha und ihre Entstehung. Erst. B. S. 448—449; იხ. А. Гусев, Нравственный идеал буддизма..., გვ. 5.

<sup>3</sup> Johannes Leopoldt, Griechische Philosophie und frühchristliche Askese, 1961, გვ. 66.

ბერძენი ფილოსოფოსების მსოფლმხედველობაში. ამტკიცებენ, რომ ქრისტიანული ასკეტიზმისათვის დამახასიათებელი ყველა მომენტი ჩანასახის სახით მოცემულია სწორედ ბერძენ ფილოსოფოსებთან; და ამდენად, ქრისტიანული ასკეტიზმის წყარო უშუალოდ ბერძენული ფილოსოფია უნდა იყოს<sup>1</sup>. ბერძენი ფილოსოფოსების რელიგია მათი საკუთარი ფილოსოფია იყო. ფილოსოფოსების ასკეტიზმი მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანს უნდა ეცხოვრა საკუთარი გონების მიერ გამოუმუშავებული გეგმით. ასკეტურ პრინციპებს აწესებდა გონება ყოველგვარი მკაცრი ზებუნებრივი ავტორიტეტის გარეშე. მასში ასკეტიზმი წარმოადგენდა ზნეობრივი თანასწორობის, სულსა და სხეულს შორის ჰარმონიის დამყარების და ვნებებისაგან განთავისუფლების საშუალებას<sup>2</sup>.

ასკეტიზმი არ იყო უცხო არც წარმართული რელიგიებისათვის. ძველ ეგვიპტეში და სპარსეთში ქურუმები მისდევდნენ ასკეტურ ცხოვრებას; ხოლო ძველი ბერძენული ხალხური რელიგიის თანახმად, ქალწულებრივი ცხოვრება უნდა გაეწიათ წარმართული ტაძრების მსახურთ.

ასკეტიზმმა პოვა თავისი ასახვა ებრაელთა ძველ რელიგიაში და ამდენად, ძველი აღთქმის წიგნებშიც. მიუთითებენ, რომ აქ ასკეტიზმი გამოვლინდა ნაზარეველობაში, კარავში (ტალავარი) მსახურების ჩვეულებაში, აღთქმის მიხედვით ცხოვრებაში, სიღარიბეში და ბოლოს, მეუღაბნობასა (განდეგილობასა) და ქალწულობაშიც (ილია წინასწარმეტყველი და იოანე ნათლისმცემელი). ებრაელთა შორის ჩამოყალიბდა თერაპეველთა და ესეიანელთა სექტები, რომელთა ყველა წევრი ქალწულებრივ ცხოვრებას ეწეოდა.

ქრისტიანული ასკეტიზმის თეორიულ საფუძვლებს ახალი აღთქმის წიგნებში ხედავენ. ქრისტიანი მწერლების თვალსაზრისით იოანე ნათლისმცემლის განდეგილობა, ღვთისმშობლის ქალწულობა, ქრისტესა და მოციქულების მთელი ცხოვრება წარმოადგენს ასკეტიზმის ევანგელურ საფუძველს (გრიგოლ ნოსელი, სიტყვა ქალწულობის შესახებ). ახალი აღთქმა მოითხოვდა, უპირველეს ყოვლისა, უანგარობასა და ამქვეყნიური ინტერესების დავიწყებას: „ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცა-და რაჲ არს სოფლისაჲ ამის. უკუეთუ ვისმე უყუარდეს სოფელი ესე, არა არს სიყუარული მამისაჲ მის

<sup>1</sup> იხ. Johannes Leipoldt, Griechische Philosophie....

<sup>2</sup> П. Пономарев, Аскетизм, Православная богословская энциклопедия, т. II, 53—75; Johannes Leipoldt, Griechische Philosophie..., გვ. 6—16.

თანა. რამეთუ ყოველივე სოფელსა შინა ესე არს გულის თქმნაჲ ჳორცთაჲ და გულის თქმნაჲ თუალთაჲ და სილალე ამის ცხოვრებისაჲ. და ესე არა არს მაძისაგან, არამედ სოფლისაგანი არს“ (1 იოვანე 2,15.16). ქრისტიანობა ურჩევდა მორწმუნეებს ქალწულობასაც. კარგია, რომ კაცი არ შეეხოს ქალს—ამბობდა მოციქული (1 კორინთ. 7,1). ქრისტიანობამ მოუწოდა ადამიანებს მარბვისაკენ. ახალი აღთქმა სამაგალითოდ სახავდა ანა წინასწარმეტყველს, რომელიც „იყო ქურივ ვითარ ოთხმეოც და ოთხის წლის, რომელი არა განეშორებოდა ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე და ღღე“ (ლკ. 2,37). და ბოლოს, სახარება ურჩევდა მორწმუნეებს საკუთრებაზე ხელის აღებას და ღვთის სადიდებლად სოფლისაგან განდგომას: „წარვედ და, რაოდენი გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მრკ. 10,21); „უვარ-ყავნ თავი თუხი და აღიღენ ჯუარი თუხი და შემომიდეგინ მე“ (მთ. 16,24). ქრისტიანული ასკეტიზმი დაეყრდნო ახალი აღთქმის ამ პრინციპებს და იგი სავალდებულოდ გამოაცხადა. თუმცა ყველა ქრისტიანი მორწმუნისათვის საკუთრებაზე ხელის აღება, ამქვეყნიური საქმეების დავიწყება, განდგილობა, განუწყვეტელი მარხვა და ქალწულობა სრულიადაც არ არის აუცილებელი, მაგრამ ყველაფერი ეს მეტ-ნაკლები ოდენობით სავალდებულოა ქრისტიანი ასკეტისათვის.

ქრისტიანული თვალსაზრისით მატერიალური ბუნება ადამიანისა არა თავისთავად, არამედ მხოლოდ თავის ცუდ დამოკიდებულებაში სულთან, არის ის, რასაც ბიბლიური ტერმინოლოგიით ეწოდება „ჳორცი“<sup>1</sup>. ამიტომაც განასხვავებენ გაგებას „ჳორცი“ და „გვამი“ (სხეული). ქრისტიანული ასკეტიზმისათვის, წინააღმდეგ ბუდისტური ასკეტიზმისა, სხეული არის საყდარი სულისა (1 კორინთ. 6,19) და იგი უნდა იყოს „სულიერი“ და „ზეციური“. თუ ბუდისტი ასკეტი მისწრაფვის, რომ მოკლას საკუთარი სხეულის სიცოცხლისუნარიანობა, როგორც სულის უხეში და უწმინდური გარსისა, ქრისტიანი ასკეტი ცდილობს სხეულის გამაგრებას ფიზიკური შრომით. ფიზიკური შრომა ქრისტიანულ მონასტრებში ითვლებოდა ასკეტის ერთ-ერთ აუცილებელ საქმიანობად.

ქრისტიანული შეხედულება ასკეტიზმზე არ იყო ერთიანი. ნეოპლატონიზმი ასკეტიზმს ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგანაც მას მიიჩნევდა სულიერი, შემეცნებითი ცხოვრების საუ-

<sup>1</sup> В. Соловьев, Аскетическое начало в нравственности, Вопросы философии и психологии, кн. 26, 1895, январь, гл. 75.

კეთესო სახეობად. ნეოპლატონიზმის მიხედვით ადამიანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სულიერი, არამატერიალური არსებაა, ასკეტური ცხოვრების საშუალებით უნდა შეერთებულიყო ღმერთთან (ჩადიოქლიყო ღმერთში). სხვა ფილოსოფიური სკოლის—გნოსტიციზმის თანახმად სული არის კეთილი. ხოლო სხეული და მასთან ერთად ყველაფერი მატერიალური—ბოროტება. ერთადერთი ამოცანა ადამიანისა არის სულის განთავისუფლება სხეულისა და ქვეყნიერებისაგან, და ამის საშუალება კი არის ასკეტიზმი. დასავლეთის კათოლიკური ეკლესიის შეხედულების თანახმად ასკეტიზმი გაგებული იქნა, როგორც ადამიანის დამსახურება, როგორც ადამიანის მიერ ღმერთის დაკმაყოფილება. ლუთერიანობა კი ასკეტის უსტკების. როგორც განუჩეველ მოღვაწეობას, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საბოლოო განკითხვისათვის.

პირველი ორი საუკუნის მანძილზე ახალი აღთქმის წიგნების თანახმად ასკეტიზმი გამოხატული იყო მარხვის, უანგარობისა და ქალწულობის სახით. ხოლო განდევილობა მესამე საუკუნიდან იწყებს გავრცელებას.

მონაზვნობა, როგორც ქვეყნისაგან განშორება ღვთისადმი მთლიანი და განუყოფელი სამსახურისათვის, ისტორიულად პირველად ეგვიპტეში დამკვიდრდა. აქვე, ეგვიპტეში ჩაისახა არა მარტო კაცთა, არამედ ქალთა მონაზვნობაც და აქვე დამკვიდრდა მონაზვნობის ორივე სახე—საერთო საცხოვრებელში ცხოვრება და განდევილობა<sup>1</sup>.

განდევილურ-მონაზვნური ცხოვრების დამაარსებლად ითვლება ანტონ დიდი, რომელიც დაიბადა ეგვიპტეში 251 წელს; თუმცა განდევილები ეგვიპტეში მანამდეც არსებობდნენ, რადგანაც, როგორც ანტონის ბიოგრაფიიდან ჩანს, იგი ასალგაზრდობაში მრავალ განდევილს სტუმრებია და ერთ-ერთი მათგანის ხელმძღვანელობითაც კი მუშაობდა<sup>2</sup>. მართლაც, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველ ქრისტიან განდევილად მიჩნეულია ნარკის იერუსალიმელი, რომელიც მოღვაწეობდა 211—217 წლების მანობობლად<sup>3</sup>.

ანტონის მოწაფემ ილარიონმა, სოზომენეს მოწმობით, ეგვიპტელების მიბაძვით გაავრცელა მონაზვნობა პალესტინაში (Sozom., H. E. IV, 14).

<sup>1</sup> K. Кекелидзс. Эпизод из начальной истории египетского монашества, ეტიუდები, VII, 1961, გვ. 76.

<sup>2</sup> ეგვიპტური მონაზვნობის შესახებ იხ. П. Казанский, История православного монашества на востоке ч. I, Монашество в Египте, 1854.

<sup>3</sup> Johannes Leopoldt, Griechische Philosophie..., გვ. 47.

ანტონის მიერ ჩამოყალიბებული მონაზვნური ცხოვრება არ ითვალისწინებდა ბერების საერთო საცხოვრებლების—საერთო მონასტრების შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სხვების აღზრდა. ანტონი თავის მიმდევრებს ქვეშარიტი ასკეტური ცხოვრების პირად მაგალითს უჩვენებდა. მისი მოღვაწეობა წარმოადგენდა მკაცრი განდეგილობის ნიმუშს.

ანტონის პრინციპებისაგან განსხვავებით პახომი დიდმა შემოიღო ბერების ერთად ცხოვრების წესი და ბერთა საერთო საცხოვრებლების წესდება შექმნა. პახომი დაიბადა 292 წლის მახლობლად, პირველი მონასტერი დააარსა დაახლოებით 320 წელს, ხოლო გარდაიცვალა დაახლოებით 346 წელს<sup>1</sup>. პახომის მოღვაწეობის შემდეგ მონაზვნობა უნდა გავრცელებულიყო სირიაში. სოზომენეს აზრით, ამბობენ, რომ სირიაში ისევე, როგორც ანტონმა ეგვიპტეში, მკაცრ სიბრძნისმოყვარეობას საფუძველი სხვებზე ადრე აონემ (*Ἄωνης*) ჩაუყარა (*Sozom., H. E. VI, 33*)<sup>2</sup>. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლებელია ამ *Ἄωνης* გაიგივება სირიულ წყაროებში ცნობილ *Awḡin'*-ეგვიპტისთან<sup>3</sup>. ეს *Awḡin'* კი, როგორც მისი ცხოვრებიდან ჩანს, წარმოშობით არის ეგვიპტური გვარიდან და პირველად მოღვაწეობდა პახომი დიდის მონასტერში<sup>4</sup>.

ეგვიპტის მონაზონთა საერთო საცხოვრებლებს ახასიათებდა რამდენიმე მონასტრის ერთი მმართველობის ქვეშ გაერთიანება. თვითონ პახომი დიდის დაარსებული ტავენის ბერთა საზოგადოება ჯერ კიდევ პახომის სიცოცხლეში შედგებოდა 9 მონასტრისაგან<sup>5</sup>. მონასტრები კი გამოირჩეოდა ბერების სიმრავლით. განსაკუთრებით სავსე იყო მონაზვნებით ქალთა მონასტრები. ალექსანდრიის მახლობლად მოღვაწეობდა ბევრი ქალწული, რომელთაგან ზოგი ცალკე სენაკში ცხოვრობდა განმარტოებით, ზოგი კი საერთო საცხოვრებლებში: ამ საცხოვრებლების თითოეულ სავანეში მონაზონთა რაოდენობა სამოცდაათს აღწევდა<sup>6</sup>. ბევრი მონასტერი იყო თიბაიდაში.

<sup>1</sup> П. Казанский..., გვ. 123; Johannes Leiboldt, Griechische Philosophie..., გვ. 47.

<sup>2</sup> -Φασι δὲ τοῦτον Ἄωνην, τῆς ἐκτὸς πάντων ἀσκητῶν καὶ ἀρετῶν φιλοσοφίας ἀρχαίτη παρὰ Σύροις, ὡς περὶ Ἀρῶνιον παρ' Αἰγυπτίους—Migne, PG, t. 67, 1393.

<sup>3</sup> Апатоліиі, О начале и происхождении сирийского монашества, Труды Киевской духовной академии, 1910, март. гв. 394.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 397: (იხ. აგრეთვე К. Кекелидзе, Эпизод из начальной истории египетского монашества..., გვ. 76).

<sup>5</sup> П. Казанский..., гв. 129.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 246.



ქალაქ ოქსირინქოში იყო 20000 მონაზონი ქალი. ქალაქ ანტიროში იყო ქალთა 12 სავანე. თიბაიდის მონასტრებიდან თითოეულ სავანეში ქალთა რაოდენობა ზოგჯერ 100-მდეც კი აღწევდა<sup>1</sup>.

პახომი დიდის მიერ შექმნილი წესდების თანახმად აგებულ მონასტრებს თავ-თავიანთი ხელმძღვანელი ჰყავდათ, რომელსაც წინამძღვარი და ილუმენი ერქვა; ზოგჯერ მას ეკონომს, ანუ მნეს უწოდებდნენ. მას ჰყავდა თანაშემწე. თითოეული მონასტერი იყოფოდა ცალკეულ თემებად, რომლებიც 3—4 სახლისაგან შედგებოდა. ყოველ სახლს ჰყავდა თავისი ზედამხედველი, რომელიც ანგარიშს აბარებდა წინამძღვარს. პახომი დიდ უურადლებას უთმობდა იმას, რომ წინამძღვარი ყოფილიყო მაგალითი სიმტკიცის, სიფრთხილის, ზომიერების, თავშეკავების და სიზუსტის: იგი არ უნდა ყოფილიყო მკაცრი და ამაყი, არ უნდა გადაეჭარბებინა თავისი უფლებებისათვის, არ ელაპარაკა ქედმაღლურად და არ მოხიბლულიყო ტკბილსიტყვაობით და საჩუქრებით. წინამძღვარს არ უნდა დაერღვია მონასტერში დაკანონებული წესრიგი სხვათა თხოვნით, ან დაშინებით. იგი უნდა ყოფილიყო მზრუნველი ძმათა მიმართ და მაგალითის მიმცემი ყველა ძნელ საქმეში<sup>2</sup>.

პახომის ბერებისათვის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენდა „წმინდა წიგნების“ კითხვა და ფიზიკური შრომა. ბერები მისდევდნენ ყველა სახის ხელობას. ერთნი ამუშავებდნენ მიწას, მეორენი ღურგლობდნენ, ზოგი მუშაობდა ბალში, ზოგი სამკვდლოში და ზოგიც წისქვილში. მონასტერში იყო საავადმყოფო. ავადმყოფ ბერებს განსაკუთრებული მზრუნველობით ექცეოდნენ, აძლევდნენ ყველაფერს, რასაც ისინი მოისურვებდნენ. მაგალითად: მონასტერში არ ჰამდნენ ხორცს, არც ავადმყოფებისათვის ჰქონდათ მისი მიცემა. გათვალისწინებული; მაგრამ, როდესაც ავადმყოფი მას ისურვებდა— აძლევდნენ<sup>3</sup>.

პახომის მონასტრები პირველი იყო, სადაც ზრუნავდნენ ახალგაზრდობის ქრისტიანული სულისკვეთებით აღზრდისათვის. ამ მიზნით პახომი თავის საერთო საცხოვრებლებში ბავშვებსაც ღებულობდა<sup>4</sup>. ქრისტიანულმა ასკეტიზმმა, მართალია, უარყო ადამიანებს შორის ნათესაური კავშირი, მაგრამ პახომი ბერების ნათესავებს მაინც აძლევდა უფლებას. რომ მონასტერში სტუმრად მო-

<sup>1</sup> П. Казанский..., გვ. 267; (იხ. აგრეთვე К. Кекелидзе, Эпизод из начальной истории египетского монашества..., გვ. 77).

<sup>2</sup> П. Казанский..., გვ. 132—133.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 163—164.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 164.

სულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ გარდაცვლილის დაკრძალვაში<sup>1</sup>.

ანტონ დიდისა და პახომი დიდის დაწვებული და განმტკიცებული სამონასტრო ცხოვრება ეგვიპტე—პალესტინა—სირიიდან მალე შავი ზღვისპირა რაიონებში და კერძოდ პონტოშიც გავრცელდა.

### თ ა ვ ი მ ა ს ა მ ე

V საუკუნის ცნობილი ისტორიკოსი ერემია სოზომენე თავისი საეკლესიო ისტორიის III წიგნის მე-14 თავში წერს: „*Ἀρμενίαις δὲ καὶ παφλαγοσί, καὶ τοῖς πρὸς τὸν Πόντον οἰκοῦσι, λέγεται: Ἐβσ-τάθιος ἰ δ τὴν ἐν Σεβαστείᾳ τῆς Ἀρμενίας ἐκκλησίαν ἐπιτροπεύσας, μοναχικῆς πολιτείας ἄρχαι· καὶ τῆς ἐν ταύτῃ σπουδαίας ἀγῶγῆς, ἐδδσεμάτων τε ἂν χρή μετέχειν καὶ ἀπέχεσθαι, καὶ ἐσθῆτος ἣ δει κερηθῆναι, καὶ ἡψῶν, καὶ πολιτείας ἀκριβοῦς ἐισηγητὴν γενόμενον. Ὡς καὶ τὴν ἐπιγεγραμμένην Βασιλείου τοῦ Καππαδόκου Ἀσκητικὴν βίβλον, ἰσχυρίζεσθαι: τινὰς αὐτοῦ γραφὴν εἶνα:“<sup>2</sup>. ე. ი. სოზომენე მიუთითებს, რომ სომხების, პაფლაგონიელების და პონტოს ნაპირას მცხოვრებთა სამონასტრო ცხოვრებას, როგორც ამბობენ, საფუძველი ჩაუყარა არმენიის სებასტიის ეკლესიის წინამძღვარმა ევსტათიმ. მან შემოიღო წესები, რომლებიც მოკრძალებული ქცევის (ასკეტური ცხოვრების—ე. ს.) ყველა მხარეს ეხებოდა, ანუ რა საკმელო შეიძლება ჭამონ და რისგან უნდა შეიკაონ თავი, როგორი ტანსაცმელი ატარონ და როგორი ჩვეულება დაიცვან. მან მოხაზა მკაცრი ცხოვრების სრული სახე; იანე, რომ ასკეტურ წიგნს, რომელსაც ბასილი კესარიელის სახელი აწერია, ზოგიერთი ევსტათის მიაწერს. სოზომენეს ამ მონათხრობში ორ მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება:*

1. როგორც ამბობენ, მცირე აზიის გარკვეულ ნაწილში (არმენია, პაფლაგონია, პონტო) სამონასტრო ცხოვრებისათვის საფუძველი ჩაუყარა ევსტათი სებასტიელს.

2. ზოგიერთების აზრით, ბასილი კესარიელის სახელით ცნობილი ასკეტური წიგნი ევსტათი სებასტიელს ეკუთვნის.

ევსტათი იყო არმენიის სებასტიის ეპისკოპოსი. ეკლესიის ისტორიკოსთა გადმოცემით, იგი იყო უაღრესად მკაცრი ზნეობრივი ნორმების შემომღები ადამიანი. მისი მომხრეები იბრძოდნენ ქორწინების წინააღმდეგ, ჩვეულებრივი სამონაზვნო ტანსაცმლის წინააღ-

<sup>1</sup> Johannes Leiboldt. Griechische Philosophie..., გვ. 63.

<sup>2</sup> Migne, PG, t. 67, 1077—1080.

მდეგ. ხორცეული საკმელების წინააღმდეგ: აკანონებდნენ თავიანთ შეხედულებებს ბარბაროსული წესებით. კესარიის საეკლესიო კრებამ არ შეიწყნარა მისი მოღვაწეობა და სასულიერო წოდება ჩამოართვა. ეესტათი მაინც აგრძელებდა თავისი იდეების ქადაგებას და დამკვიდრებას: ამიტომაც საეკლესიო კრებაზე პაფლაგონიის განგრაში (ἐν Γαγγραῖς τῆς Παφλαγονίας) იგი გასამართლებულ იქნა. ხოლო მისი მოძღვრება—ანათემაქმნილი (Socrat., H. E. II, 43; Sozom., H. E. III, 14). ბასილი კესარიელი აფასებდა ეესტათის პიროვნებას. იგი ცდილობდა მათ შორის არსებული პირვანდელი კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას და ეესტათის ნაკლოვანებების გამოსწორებას. ამიტომაც ბასილი არა ერთგზის შეეცადა ეესტათის შერიგებას თავის მომხრეებთან. მაგრამ ეესტათის მიდრეკილებებმა არიანობისადმი და ბასილი კესარიელისადმი მრავალგზის ღალატმა ისინი საბოლოოდ დააშორა.

რამდენად სწორია სოზომენეს მონათხრობი ეესტათის დამსახურების შესახებ? ვინ არის დასახელებულ ქვეყნებში მონაზვნობის დამამკვიდრებელი და სოზომენეს მიერ მითითებული ასკეტური წიგნის კენჭმარტი ავტორი? ამ კითხვების გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკულად უნდა განვიხილოთ თვითონ სოზომენეს მონათხრობი. როგორც მოყვანილი ამონაწერიდან ჩანს, ამ საკითხებზე სოზომენე საკუთარ აზრს არ გვთავაზობს. იგი წერს: ამბობენ (λέγουσιν), რომ ამ ქვეყნებში ეესტათიმ დაამკვიდრა მონაზვნობაო. ამ მომენტს სოზომენე სხვა ადგილასაც უსვამს ხაზს: აი ეს კაცი,—წერს სოზომენე ეესტათის დახასიათების დამთავრებისას—გადმოცემების თანახმად, იყო ამ ქვეყნებში დამაარსებელი მკაცრი მონაზვნური ცხოვრებისა („Τὸν δὲ τοιοῦτον, τῆς κατὰ τὸν εὐαγγέλιον ἀποστολικῆς ἀρχῆς ὑπομιμνήσκω“)<sup>1</sup>.

სოზომენეს მიერ მოყვანილი მეორე დებულება კიდევ უფრო შორსაა თავისი (სოზომენეს) საკუთარი აზრიდან. სოზომენე მიუთითებს, რომ ამ ასკეტურ წიგნს, ზოგიერთი მიაწერს ეესტათის (Ἰσχυρὸς εἶσθαι τινὰς ἀπὸ τῶν ἱεροφάντων ἐστίν).

რადგანაც სოზომენე ამ შემთხვევაში საკუთარ მოსაზრებებს არ გვთავაზობს და, გარდა ამისა, უკრიტიკოდ მოაქვს სხვების აზრი, თანახმად საეკლესიო ლიტერატურის ერთი გამოჩენილი მკვლევარისა, შესაძლოა ზოგიერთ საკითხში იგი არ იჩენდეს სიზუსტეს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Migne, PG, t. 67, 1081.

<sup>2</sup> „Freilich hat die Notiz bei Sozomenus Verwirrung angerichtet“ O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, გვ. 141.

თვითონ სოზომენემ კარგად იცის, რომ მცირე აზიის გარკვეულ ნაწილში, კერძოდ პონტოში, სამონაზვნო ცხოვრების გავრცელებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბასილი კესარიელს. სოზომენე თავისი საეკლესიო ისტორიის VI წიგნის XVII თავში მიუთითებს, რომ ბასილი დადიოდა რა პონტოს ქალაქებში, აარსებდა იქ სამონასტრო საცხოვრებლებს და ასწავლიდა რა ხალხს, არწმუნებდა მათ ეაზროვნათ ისე, როგორც თვითონ ფიქრობდა („Καὶ Βασίλειος μὲν, τὰς πρὸς τὸν Πόντον περιῶν πόλεις, συνοικίας τε μοναχῶν πολλὰς ἔκεισε κατεστήσατο, καὶ τὰ πλῆθη διδάσων, ἑμοίως αὐτῷ φρονεῖν ἔπειθε“<sup>1</sup>).

რაც შეეხება ასკეტურ წიგნს, რომელსაც, სოზომენეს გადმოცემით, ზოგიერთები ეესტათის ნაწარმოებად მიიჩნევენ, იგი სოზომენეს დროსაც, კანონიკური შეხედულების თანახმად, ბასილი კესარიელის დაწერილად ყოფილა მიჩნეული; რადგანაც თავზე თურმე ბასილი კაპადოკიელის სახელი ეწერა (...τὴν ἐπιγεγραμμένην Βασίλειου τοῦ Καππαδόκου Ἀσκητικὴν βιβλίον...).

ბასილი კესარიელის როლს პონტოში მონაზვნური ცხოვრების დამკვიდრებაში და იმას, რომ აშკარად ბასილია ავტორი დასახელებული ასკეტური კრებულისა, ერთხმად აღიარებს მთელი რიგი პირველწყაროები.

პირველ რიგში აღსანიშნავია ის პირადი მიმოწერა ბასილი კესარიელსა და გრიგოლ ნაზიანზელს შორის, რომელიც აშკარად მიუთითებს ბასილის მიერ პონტოში სამონაზვნო ცხოვრების დამკვიდრებაზე. ამასვე მიუთითებს პირველწყაროები, რომლებიც ბასილი კესარიელის ბიოგრაფიას გადმოსცემენ. ნათლად აისახა ეს მომენტი საეკლესიო ისტორიებშიც. გარდა სოზომენესა, ამაზე მეტყველებს სოკრატე სქოლასტიკოსიც, როდესაც მიუთითებს, რომ ბასილმა პონტოში მოაწყო მრავალი სავანე (...ἐκεῖ τε ἀσκητήρια συστήσασθενος... Socrat., H. E. IV, 26). ბასილისა და გრიგოლის აქტიურობას სამონასტრო ცხოვრების მშენებლობის დარგში მიუთითებს რუფინუსის საეკლესიო ისტორიაც.

სოზომენეს დასახელებულ ასკეტურ წიგნს ბასილის საკუთრებად აღიარებს ამ წიგნის დღემდე შემონახული ასობით ბერძნული ხელნაწერი, VI საუკუნის სირიული და ლათინური ხელნაწერები. უძველესი ქართული, არაბული და სომხური რედაქციები და V—VI საუკუნეების უცნობი ბერძენი სქოლიასტი, რომელმაც ბასილის ასკეტური წიგნის ახალი რედაქცია შექმნა. ხელნაწერთა ტრადიცია

<sup>1</sup> Migne, PG. t. 67, 1396.

ბასილის ასკეტური წიგნის ავტორობის საკითხში არ უშვებს გამო-  
ნაკლისს. ასევე ყოფილა ეს V საუკუნეშიც. ერემია სოზომენეს  
დროსაც—ასკეტურ კრებულს, თურმე, მაშინაც ბასილი კაპადო-  
კიელის სახელი ეწერა. რომ ეს ასკეტური ნაწერები ბასილის კუთ-  
ვნილებაა, ამას ერთხმად აღიარებს არა ერთი საეკლესიო მწერალი  
და ისტორიკოსი.

IV საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე იერონიმი თავის ცნობილ  
წიგნში „სახელოვან ადამიანებზე“ გარკვევით მიუთითებს, რომ ბა-  
სილი ეპისკოპოსმა შექმნა „ჰექსემერონი“ და „ასკეტიკონი“ (De viris  
illustribus, 116).

რუფინუსი იძლევა ცნობას იმის შესახებ, რომ ბასილისა და  
გრიგოლის მიერ შექმნილია მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლი, რო-  
მელთა ერთი ნაწილი მე ლათინურად ვთარგმნეო. ამ თარგმანებში  
რუფინუსი ასახელებს ბასილის სამონასტრო დადგენილებებს<sup>1</sup>. რუ-  
ფინუსის თარგმნილი ლათინური ვერსია ბასილის ასკეტური ნაწე-  
რებისა დღესაც დაცულია მრავალ ხელნაწერში.

IV—V საუკუნეების ავტორი იოანე კასიანე ასახელებს ბასილის  
შეკითხვებს (Inst., შესავალი). შეკითხვები კი წარმოადგენს ბასილის  
ძირითად ასკეტურ ნაწარმოებს.

პალესტინის ქალაქ მაიუმის ეპისკოპოსი, პეტრე იბერიელი, რო-  
გორც მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, დიდი მოკრძალებითა და სიყვა-  
რულით ყოფილა გამსჭვალული ბასილ დიდის პიროვნებისა და კერ-  
ძოდ, მისი ასკეტური ნაწერებისადმი. როგორც მისი მოწაფისა და  
ბიოგრაფის იოანე რუფუსის დაწერილი „ცხოვრებიდან“ ირკვევა,  
რომელიც მხოლოდ სირიული ვერსიითაა შენახული, პეტრე იბე-  
რიელს სასიკვდილო სარეცელზე საკუთარი მოწაფეებისათვის უაწ-  
დერძებია ერთგული დაცვა და სიყვარული ბასილის ასკეტური დოქ-  
ტრინისა და ეს წიგნი თავისი მნიშვნელობით სახარებისათვის შეუ-  
დარებია<sup>2</sup>.

დასახელებული ასკეტური ნაწერები უყოყმანოდაა ბასილისეუ-  
ლად მიჩნეული უფრო გვიანდელი საეკლესიო მწერლების მიერაც.  
IX საუკუნის ბიზანტიელი ავტორი ფოტი პატრიარქი დაწერილე-  
ბით იხილავს ბასილის რამდენიმე ასკეტურ ნაწარმოებს (Phot.,  
Bibliotheca, cod. 191), რომლებიც სწორედ სოზომენეს მიერ დასა-  
ხელებული ასკეტური წიგნის შემადგენლობაში შედიან.

<sup>1</sup> Histoire Ecclésiastique, XI, 9. ed. Mommsen, Rufinus, p. 1017.  
(იხ. J. Gribomont, Histoire du texte des Ascétiques de S. Basile,  
Louvain, 1953, გვ. 107).

<sup>2</sup> R. Raabe, Petrus der Iberer, Leipzig, 1895, გვ. 135.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბასილის მეგობრისა და ბიოგრაფის გრიგოლ ნაზიანზელის მითითება იმის შესახებ, რომ ბასილს მიუცია დაწერილი და დაუწერელი წესები მონაზონთათვის (...*νομιθεσία μνηστων, ἔγγραφοί τε καὶ ἀγγραφοί...*)<sup>1</sup>. გრ. ნაზიანზელის ამ გამონათქვამზე დაყრდნობით ბარდენჰევერი (O. Bardenhewer) ვარაუდობს, რომ ბასილი თავის ასკეტურ წესებს, სანამ წერილობითი სახით ჩამოაყალიბებდა, ზეპირად აწვდიდა ბერებსო<sup>2</sup>. ხოლო გრიბომონის (J. Gribomont) აზრით, აქ სიტყვა „დაწერილი“ შესაძლებელია გავიგოთ არა მისი პირდაპირი (საერო) მნიშვნელობით, არამედ მისი სასულიერო აზრით და ამდენად იგი, შესაძლებელია, ნიშნავდეს „ღვთაებრივი აზრით დაწერილს“<sup>3</sup>. ასეა თუ ისე, გრ. ნაზიანზელი აშკარად ლაპარაკობს ბასილის მიერ მონაზვნებისადმი მიცემული წესების შესახებ. ამ წესებში კი სწორედ ის წიგნი იგულისხმება, რომელზედაც სოზომენე ლაპარაკობდა.

ამგვარად, უდაოდაა მიჩნეული, რომ დასახელებული ასკეტური კრებული ბასილი კესარიელს ეკუთვნის. რაც შეეხება მცირე აზიაში სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრებაში პრიორიტეტის საკითხს, აქ მეცნიერთა აზრი სხვადასხვაგვარაა.

ბარდენჰევერის აზრით, მცირე აზიაში ბერობა შემოიღეს ეესტათი სებასტიელმა და ბასილი კესარიელმა<sup>4</sup>. სხვა ადგილას ეს თანამშრომლობა ბარდენჰევერს ასე წარმოუდგება: ბასილის მითითებებით ეესტათი უშუალოდ ავრცელებდა ბერობას. სანამ ბასილი წერილობითი სახით ჩამოაყალიბებდა თავის წესებს, იგი მათ ზეპირად გადასცემდა მონასტრებში. აქ კი მათ ეესტათი აკანონებდა. ასე რომ, ბასილი, როგორც საყრდენი ბერობისა, შემდგომში განმარტებულია ეესტათისაგან და ამდენად დასაშვებია, რომ ბასილის წესები დავალებული იყოს ეესტათის პირადი აზრებისაგან<sup>5</sup>.

ალტანერის (Altaner) აზრითაც, ეესტათი სებასტიელს, როგორც ბასილის მეგობარს, დიდი დამსახურება მიუძღვის ბერობის გავრცელებაში<sup>6</sup>.

<sup>1</sup> Migne, PG., t. 36, 541.

<sup>2</sup> O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, 141.

<sup>3</sup> J. Gribomont, Histoire du texte des Ascétiques de S. Basile, 33-257.

<sup>4</sup> O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur III, 33-21.

<sup>5</sup> იქვე 33-142.

<sup>6</sup> Altaner Ber., Patrologie, 33-261.

ალაის (P. Allard) აზრით. მცირე აზიაში მონაზვნობა გაავრცელა ევსტათი სებასტიელმა; მაგრამ მისი არიანობით შებღალული სახელი შემდგომში დავიწყებულ იქნა და მონაზვნობის გავრცელება მხოლოდ და მხოლოდ ბასილი კესარიელს მიეწერა<sup>1</sup>.

ფ. ფარარის აზრით „Василий, в действительности, был первым основателем монашеских учреждений в Понте и Каппадокии. Известный своими колебаниями Евстафий севастикийский, дружбу с которым Василий, повидимому, завязал в это время и к аскетической строгости которого он относился с уважением, имел многих последователей, но они, повидимому, не были ни отшельниками, ни киновитами, ни мигадами (то—есть, монахами—странниками, переходившими с одного места на другое), но жили вместе в городах и деревнях маленькими общинами, по двое и по трое“<sup>2</sup>.

ასე რომ მეცნიერთა აზრი მცირე აზიაში მონაზვნობის გამავრცელებელზე ერთიანი არ არის. პირველწყაროებზე დაყრდნობით მხოლოდ ის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბასილი კესარიელი ავრცელებდა მონაზვნობას პონტოში და საკუთარ კანონებს აწესებდა მის მიერ დაარსებულ მონასტრებში. პონტოში შემოღებული სამონასტრო სისტემა პირადად ბასილის მიერ არის შექმნილი ეგვიპტური და პალესტინური მონაზვნობის ადგილზე შესწავლისა და იქ არსებული სისტემების საფუძვლიანი გადამუშავების ნიადაგზე.

### თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

სამონაზვნო ცხოვრების შესასწავლად ბასილი კესარიელმა მოგზაურობა გადაწყვიტა. „ხოლო ვიქმენ რაჲ მამაკაც მიმოსლვაცა ვიჭუმიე მრავალ გზის და საქმეთა მივემთხვე, ვითარცა შეჰგუანდა მრავალთა“<sup>3</sup>—მიუთითებს თვითონ ბასილი. მან ფეხით მოიარა სამონასტრო ცხოვრების ცნობილი კერები—ეგვიპტე, პალესტინა და მესოპოტამია; მოინახულა ანტონი დიდის პრინციპების მიხედვით განდევნილი მრავალი ასკეტი, იყო სტუმარი პახომის მიერ შექმნილ ბერთა საერთო საცხოვრებლებისა. სამშობლოში დაბრუნებისას ბასილის უახლოესი მიზანი იყო საკუთარი მონასტრის დაარსება. ერთხანს იგი სერიოზულად ფიქრობდა, მისი მეგობრის—გრიგოლ ნაზიანზელის რჩევის კვალბაზე მასთან ერთად ტიბერიის მხარეში,

<sup>1</sup> „Св. Василий Великий“, გვ. 29.

<sup>2</sup> Ф. Фаррар. Жизнь и труды святых отцов и учителей церкви, II, გვ. 13.

<sup>3</sup> А—132, 1 г.

არიანზეში დარჩენილიყო. მაგრამ მშობლიური კუთხისადმი სიყვარული უფრო ძლიერი აღმოჩნდა. მან იპოვა საკუთარი მონასტრისათვის შესანიშნავი ადგილი პონტოში, მდ. ირისის მარჯვენა ნაპირას, ანისის მახლობლად<sup>1</sup>, მამამისის საგვარეულო მამულში. დედის—ემელიასა და დის მაკრიონას საცხოვრებლის ახლოს. სადაც წინათ მოღვაწეობდა მისი ძმა ნაეკრატოსი. აი როგორ აღუწერს გრიგოლ ნაზიანზელს ბასილი თავის სამოღვაწეო ადგილს: ეს არის მაღალი მთა, დაფარული ხშირი ტყით. ჩრდილოეთის მხრიდან უხვად მოედინება ცივი და გამჭვირვალე წყაროები. მთის ძირში გადაქიმულია შერეული ტყით შემოზღუდული ველი. იგი ყველაფრით კუნძულს ჰგავს, რადგანაც ყველა მხრიდან სიმაგრე აკრავს—ორი მხრით დიდი ხრამია, ხოლო გვერდით—მდინარე, რომელიც მიუვალ კედელს წარმოადგენს. ირგვლივ არსებული მთა და ტყე არის შესანიშნავი საფარი. ამასთან შედარებით არაფერს არ წარმოადგენს კალიპსის კუნძული. რომლის სილამაზით მოხიბლული იყო ჰომეროსი. ჩანჩქერივით მჩქეფარე მდინარიდან გათუწყვეტილივ ჭრის ნიავი. ნაცულად ქალაქის მშფოთვარებისა, აქ შეგიძლიათ იხილოთ მინდვრის ყვავილები, მოკიკიკე ჩიტები, ირმების ჯოგი, გარეული თხები და კურდღლები (Ep. 14).

გრიგოლ ნაზიანზელი ესტუმრა ბასილის მონასტერს. გრიგოლისა და ბასილის ერთიანი მოღვაწეობით აქ შეიქმნა ბიზანტიური ლიტერატურის ბევრი ღირსშესანიშნავი ძეგლი. როგორც აღნიშნავენ, აქვე, ბასილისა და გრიგოლის ერთიანი თანამშრომლობით უნდა ჩასახულიყო ძირითადი პროექტი სამონასტრო ცხოვრებისა<sup>2</sup>, რომელიც ბასილის შემდგომი გადამუშავებით ჩამოყალიბდა მის ძირითად ასკეტურ ნაწარმოებად (წესები მონაზონთათვის: „ერცული წესები“ და „მოკლე წესები“).

ეკვიპტური და პალესტინური სამონაზვნო სისტემები ბასილმა კრიტიკულად გადაამუშავა. მას არ აკმაყოფილებდა ანტონის მიერ შემოღებული ბერების განმარტოებელი ცხოვრების პრინციპი. განმარტოებელი ცხოვრება საშიშროებას წარმოადგენდა სუსტი ნებისყოფის განდევნებისათვის. მათ ერთ ნაწილს სულიერი სიამაყე იპყრობდა, ხოლო სხვები კარგავდნენ გონებას. მათ ესაჭიროებოდათ გამოცდილი ხელმძღვანელი. ამას გარდა, ბასილის აზრით,

<sup>1</sup> ანისი მდებარეობდა ქ. ნეოკესარიის მახლობლად, მაგრამ მაშინ შედიოდა ქ. იბორას ეპარქიაში—P. Allard, St. Bas., p. 32 (იხ. „Св. Василий Великий“, გვ. 29)

<sup>2</sup> J. Gribomont, Histoire... გვ. 256; Altauer Ber., Patrologie, გვ. 259; Ф. Фаррар, Жизнь и труды..., გვ. 13 და 53.



მოღვაწეობის ასეთ პირობებში დავიწყებული იყო სახარების პრინციპი— „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თქსი“ (მთ. 19, 19): ოადგანაც მოღვაწე ასეთ პირობებში მარტო თავის თავს აქცევდა ძირითად უფრადლებას. თავის მხრივ კი ეგვიპტის მრავალრიცხოვან საერთო საცხოვრებლებში ძალზე გაზვიადებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკონომიურ ინტერესს. მეორე მხრივ ამ ორივე სისტემას ჰქონდა თავისი დადებითი მხარეებიც. ამ სისტემების სარგებლიანობაზე ასე მიუთითებდა გრიგოლ ნაზიანზელი: მე დავდიოდი ბილიკით განდევილებსა და ერთად მცხოვრებლებს შორის, ვაკვირდებოდი რა ერთი კლასის მკვრეტელობას და მეორის სარგებლიანობას<sup>1</sup>. ბასილი კესარიელის ასკეტური დოქტრინა ცდილობს შეაერთოს ამ ორი სისტემის უკეთესი მხარეები. თვითონ გრიგოლ ნაზიანზელის მოწმობით, ბასილს სურდა მოეწახა რაღაც საშუალო მრავალრიცხოვან მონაზვნურ დასახლებასა და ცალკე სენაკებში განდევნილ მეუღლებს შორის; ისე კი, რომ შეერთებული ყოფილიყო პირველთა შრომისმოყვარეობრივი და სარგებლიანი ცხოვრება და მეორეთა შემეცნებითი მოღვაწეობა (Greg. Naz. Orat. 43)<sup>2</sup>. თავის ასკეტურ წესებში ბასილმა გაილაშქრა, უპირველესად ყოვლისა. განდევნილური ცხოვრების წინააღმდეგ და ბერებს ერთად მოღვაწეობისაკენ მოუწოდა: „მრავლით კერძო უსაგმარეს ყოფად ვისწავებ მასვე მრავალთა ძმათა თანა ყოფასა“ (ვრცელი წესი 7)<sup>3</sup>. ბასილი ასაბუთებდა ერთად ცხოვრების უპირატესობას განდევნილური ცხოვრების წინაშე. მისი აზრით, ცალკე მცხოვრები ადამიანი საარსებო ხორციელ მოთხოვნილებებსაც კი ვერ იკმაყოფილებს და აუცილებელი ხდება სხვების დახმარება: „პირველ ამით, რამეთუ არცა ჯორციელთა-ლა საგმართა მიმართ კმა-ეყოფვის თითოეული მარტოჲ თავსა თქსსა“ (ვრც. წს. 7)<sup>4</sup>. გარდა ამისა, არც ქრისტიანული მოძღვრება მოგვიწოდებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ვაქცევდეთ უფრადლებას: „ხოლო თვნიერ ამის ყოვლისა, არცალა თუთ იგი ქრისტის სიყუარულისა სიტყუაჲ გზბრძანებს, რაჲთა თითოეული თქსსა ვეძიებდეთ; რამეთუ იტყუჱ, ვითარმედ: სიყუარული არა ეძიებნ თავისსა (1 კორ. 13,5). ხოლო მარტოებითსა ცხოვრებასა ერთი პირი აქუს: რაჲთა თითოეული თქსისა

<sup>1</sup> - *μέτρη τιν' ἡλίθιον δὲ; ἄρα καὶ μὴ ἄλλω τῶν μὴ τὸ σπουδαιῶν δε τὸ γρηγορῶν φέρεται*—Orat. XIX, 16 (იხ. Ф. Ф арра р, Жизнь и труды..., გვ. 551).

<sup>2</sup> Migne, PG., t. 36, 577.

<sup>3</sup> A—639, 17 V.

<sup>4</sup> აქვს.

საგმრისა მზრუნველ იყოს. რომელი-ესე ცხად არს, ვითარმედ მბრძოლ არს სიყუარულისა შჯულთა, რომელნი-იგი მოციქულმან აღასრულნა: რამეთუ არა ეძიებდა თჯსა უმჯობესსა, არაჲდ მრავალთასა რადთა ცბონდენ (1 კორ. 10, 33)<sup>1</sup> (ვრც. წს. 7)<sup>1</sup>. ბასილის აზრით, მორწმუნემ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ მარტობაში ძნელია საკუთარი ნაკლოვანების დაძლევა, რადგანაც მამხილებელი და განმმარტებელი არავინ არის: „ამისა შემდგომად, მარტობასა შინა არცაღა თჯსა ნაკლულევანებასა რასმე ვინმე ადვილად სცნობს. ვინაჲთგან არა აქუს მამხილებელი მისი და სიმშუდით და მოწყალებით განმმარტებელი“ (ვრც. წს. 7)<sup>2</sup>. ცალკე ცხოვრებას სხვა ნაკლოვანებანიც აქვს, რომელთაგანაც განსაკუთრებით საშიშია თავმოთნეობითი და თვითმამებელი ცხოვრება, რომელსაც შეიძლება ეწეოდეს განდევილი: „ხოლო მარტოებითა ცხოვრებასა დაჭირვებაჲ შეუთქს აწ თქუმულთაჲ ამათ პირველად და უდიდესად ესე თავმოთნებისაჲ“ (ვრც. წს. 7)<sup>3</sup>. მაგრამ, ბასილის აზრით, ერთად მოღვაწეობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ბერი სხვასთან ერთად ცხოვრობდეს. სხვებთან ცხოვრება მონაზონს არაბუნებრივ მდგომარეობაში აყენებს. მას აღარ შეუძლია, რომ ღმერთისადმი საკუთარი სულიერი მისწრაფებანი სხვების თანდასწრების და მეთვალყურეობის გარეშე დაიკმაყოფილოს. ამიტომ, ბასილი მოითხოვს განმარტობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ყურადღება უნდა პიუაკციოთ იმ ფაქტს, რომ ბასილი უაღრესად დიდ მოთხოვნილებებს უყენებს წინამძღვარს ბერებთან დამოკიდებულებაში. იგი სპეციალურ ვრცელ წესებს უძღვნის იმ საკითხებს, თუ „ვითარმედ საშინელ არს სასჯელი წინამძღვრისაჲ, უკუეთუ არა ამხილებდეს შეცოდებულთა“ (ვრც. წს. 25)<sup>4</sup>; „ვითარმედ ჯერარს ყოველთავე დაფარულთა გულისათა აღსარებად წინამძღვრისა მიმართ“ (ვრც. წს. 26)<sup>5</sup>; „ვითარითა მზრუნველობითა უქმს წინამძღუართა მოღუაწებაჲ ძმათაჲ“ (ვრც. წს. 30)<sup>6</sup>; „უკუეთუ ჯერარსა თავს-დებაჲ წინამძღვრისა მიერ სამსახურებასა“ (ვრც. წს. 31)<sup>7</sup>. ასეთი სიახლოვე წინამძღვრისა მონაზვნებთან შეუძლებელი იქნებოდა ბერთა იმ ტიპის მრავალრიცხოვან საერთო საცხოვრებ-

<sup>1</sup> A - 689, 17 v—18r (ხელნაწერებიდან მოყვანილ ტექსტებში საღვთო წიგნებიდან არსებული ციტატების მითითება ყველა შემთხვევაში ჩვენ გვეკუთვნის).

<sup>2</sup> იქვე, 18 r.

<sup>3</sup> იქვე, 19 r.

<sup>4</sup> იქვე, 32 r.

<sup>5</sup> იქვე, 33 r.

<sup>6</sup> იქვე, 34 v.

<sup>7</sup> იქვე, 35 r.

ლებში, რომლებიც აღმოსავლეთში იყო გავრცელებული. ბასილის შეხედულებებიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ მას სურდა ბერთა ისეთი მონასტრების შექმნა, რომლებშიაც თითოეული ბერი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განმარტოებული იქნებოდა, ხოლო თვითონ მონასტერი ბერებით გადატვირთული არ იქნებოდა. ამდენად, ბასილს სურდა გამოეყენებინა სამონაზვნო ცხოვრების ორივე სისტემის სასარგებლო მხარეები; თუმცა თავის მონასტრებს იგი ძირითადად მაინც საერთო საცხოვრებლის პრინციპზე აგებდა.

ბასილის ასკეტური შეხედულებები ძირითადად ჩამოყალიბდა მის ორ ნაწარმოებში: „ვრცელი წესები“ და „მოკლე წესები“. როგორც მიუთითებენ<sup>1</sup>, საფუძველი ამ ასკეტური შეხედულებებისა ძალზე მოკლედ ჩამოყალიბებულია ბასილის ერთ-ერთ წერილში გრიგოლ ნაზიანზელისადმი (Ep. 2), ამიტომაც იგი შესულია ბასილის ასკეტური კრებულის ზოგიერთ რედაქციაში. ამ წერილში ბასილი იმაზე მსჯელობს, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ შესრულდეს სახარების სიტყვები: „რომელსა უნდეს ჩემდა შემოდგომად და მოსლვად, უვარყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიღეგინ მე“ (მთ. 16, 24). ბასილის აზრით, ამისათვის, პირველ რიგში, საჭიროა, რომ გონება იყოს მყუდროებაში. თუ ადამიანის გონება დაკავებულია ამქვეყნიური საზრუნავით, ნათლად ვერ განსჭვრეტს კუთვნილებას. გაუთხოვარ ქალს და უცოლო მამაკაცს აწვალებთ სიყვარულის გრძნობა. გათხოვებისა და ცოლის შერთვის შემდეგ მათ ახალი საზრუნავი უჩნდებათ: სურვილი შვილების შექმნისა, ხოლო როცა შვილები შეეძინებათ, ზრუნვა მათი აღზრდისა. მრავალი საზრუნავი აქვს ადამიანს: მეუღლის დაცვა, ოჯახის ერთგულება, მსახურებისადმი მეთვალყურეობა, მეზობლებთან კამათი, შრომა მიწის დასამუშავებლად, საშიშროება ვაჭრობაში. ერთადერთი გზა იმისა, რომ ადამიანი გაექცეს ყველა ამ საზრუნავს, არის განშორება მთელი ქვეყნიერებისაგან. ქვეყნისაგან განშორება ნიშნავს არა იმას, რომ სხეულით არ ვიყოთ ამ ქვეყნად, არამედ იმას, რომ სულით მოვწყდეთ სხეულებრივ ცხოვრებას, მოვწყდეთ სხეულისადმი მიკერძობას. ეს კი ნიშნავს, რომ არ გვქონდეს არც მშობლიური ქალაქი, არც სახლი, არც საკუთრება, არც მეგობრობა, გავურბოდეთ ყოველგვარ ურთიერთობას ხალხთან, ჩაიბეჭდოთ გულში მხოლოდ ღვთიური მოძღვრება. სული არ შეიძლება ვარწმუნოთ ღვთიურ ღოგმატებში, თუ წინასწარ მასში არ გავანადგურებთ ყო-

<sup>1</sup> „Св. Василий Великий“, 33.

ველდლიური ჩვევებით განმტკიცებულ შეხედულებებს. ამისთვის კი, რა თქმა უნდა, განმარტობას დიდი სარგებლობა მოაქვს, რადგანაც იგი აძინებს ჩვენში ყოველგვარ ვნებებს. უნდა იქნეს არჩეული ადგილი, რომელიც მოკლებული იქნება ადამიანებთან ურთიერთობას, რომ არავეთარმა გარეშე ძალამ არ შეწყვიტოს განუწყვეტელი პროცესი მოღვაწეობისა. მღუმარება ემსახურება სულის განწმენდას. როდესაც არც ენა ამბობს რაიმეს ადამიანურს, არც თვალები ზომავენ სხეულის ჰარმონიას და ამქვეყნიურ ფერებს და არც ამქვეყნიური სიმღერების სმენით სუსტდება სულიერი დაძაბულობა; როდესაც გონება არ არის დაკავებული გარეშე საგნებით და არ ერთობა გრძნობიერი ქვეყნით, მაშინ იგი ღრმავდება საკუთარ თავში და აქედან ღმერთზე ფიქრით მალღდება. სული მთელ თავის მონღლომებას მიმართავს იმისკენ. რომ იზრდებოდეს მასში უმანკოება და მამაცობა. სამართლიანობა და კეთილგონიერება. ღმერთზე განუწყვეტელი ფიქრის საკუთარ თავში დანერგვა არის ჩვენში ღმერთის დამკვიდრება. მხოლოდ ამგვარად გავზღვებით ჩვენ ღმერთის საყდარი.

ღვთისმოშიშებითი მოღვაწეობა სულს ღვთიური აზრებით კვებავს; ამის განსახორციელებლად ყველაზე ნეტარი ცხოვრება მიწაზე არის მიბაძვა ანგელოსთა დასისადმი; დილაადრიან უნდა ვილოცოთ. შემდეგ უნდა მოვიდოთ ბელი საქმეს. თუმცა ყველგან მზად უნდა გვქონდეს ლოცვა, რომ წარვმართოთ ჩვენი შრომა საგალობლებით. მთავარი მიზანი მოღვაწისა არის საღვთო წერილისა და ბიბლიური წიგნების შესწავლა, რადგანაც მათში არის სახეები კეთილი საქმის მისაბაძად. უნდა ვსწავლობდეთ წმინდანთა ცხოვრებასაც. საკუთარ ქცევას საფუძვლად უნდა დავუდვათ კანონები: უპირველეს ყოვლისა. არ უნდა ვიყოთ მრავალმესიტყვე. არ უნდა ვკითხოთ არავის საჭიროების გარეშე, ყველას ვუპასუხოთ თავმდაბლურად, მოვუსმინოთ სხვების საუბარს; საზღვარი დავუდვათ სათქმელსაც და მოსასმენსაც; სწავლა არ უნდა გვრცხვენოდეს, ზოლო სხვას ვასწავლიდეთ დაუნანებლად; სხვასთან შეხვედრის დროს უნდა ვიყოთ თავაზიანი, საუბრის დროს—თავმდაბალი; თუ ვინმესთვის განაჩენი გამოგვაქვს. სიმკაცრეს უნდა გავუბროდეთ. უნდა ვეცადოთ, რომ დამნაშავემ თვითონ გამოუტანოს საკუთარ თავს სასჯელი. ჩვენი ტანსაცმელი უნდა იყოს უბრალო კვართი, წელზე ქამრით შემოკრული. ტანსაცმლის დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ როგორც ზამთარში. ისე ზაფხულში, სხეულისათვის საკმარის საფარველს წარმოადგენდეს. ჭამის წინ უნდა ვლოცულობდეთ. საკმელად საკმარისი უნდა იყოს პური, სასმელად—სუფთა წყალი. ჭამის დროს არ უნდა ვამქლავებდეთ

კაუმადრობას. ისე უნდა ვცხოვრობდეთ, რომ დღე-ღამის 24 საათიდან მხოლოდ ერთი საათი იყოს გამოყენებული სხეულისათვის, დანარჩენი კი სულისათვის. ჩვენი ძილი უნდა იყოს მსუბუქი. სწორედ შუალამისას უნდა იყოს მოღვაწის გონება ღმერთზე ფიქრით დაკავებული, რადგანაც მხოლოდ ამ დროს არის ყველაზე მეტი სიმყუდროვე და მარტობა.

აი ის ასკეტური პრინციპები, რომლებიც გაშლილი, შევსებული, დაზუსტებული და დაწვრილმანებულია ბასილის „ასკეტურ წესებში“. ბასილის „ასკეტური წესები“ ცდილობს არ დატოვოს მოღვაწის ცხოვრებაში გაურკვეველი არც ერთი მომენტი. იგი მრავალგზის განმარტავს, როგორც ასკეტურ ცხოვრებაში გამოსაყენებელ საღვთო დოგმატებს, ასევე ბერების ცხოვრებაში დასაშვებ უწვრილმანეს ეთიკურ ნორმებს. ბასილი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ მომენტს, რომ მოღვაწის ძირითადი მოვალეობა არის საკუთარი თავის შემეცნება. მაგრამ, თანაბმად საღვთო მოძღვრებისა, საკუთარი თავის შემეცნებას უნდა შეუერთდეს მოყვასისათვის შრომა. ამიტომაც, ბასილის აზრით, მოღვაწის მთელი დღე უნდა განაწილდეს ლოცვასა და ძმებისათვის სასარგებლო შრომას შორის. პირველი მომენტი გონების ღმერთისაკენ შემეცნებითი ამალღების გზაზე, ბასილის შეხედულებით, არის აზრის მოკრება, წეერთება, ყურადღების ერთ საგანზე შეჩერება და გონების გაფანტვის წინააღმდეგ ბრძოლა. ბასილი სპეციალურ ვრცელ წესს წერს იმ საკითხზე, თუ „ვითარ იქნების წარუტყუენველობაჲ გონებისაჲ“ (ვრც. წს. 5)<sup>1</sup>. სწორედ ამისთვის იყო საჭირო გონების განთავისუფლება ყოველგვარი გარეშე საზრუნავი საგნისაგან. სწორედ ამიტომ იყო, რომ ადამიანს, ბასილის აზრით, მთლიანად უნდა აედო ხელი საკუთარებაზე, ნათესავეებზე, მეგობრებზე და ყოველგვარ ამქვეყნიურ ადამიანურ გრძნობაზე. ბასილ დიდი კარგად გრძნობს, რომ თვითშემეცნების ასეთ გზას ადვილად შეუძლია მონაზონი ეგოიზმამდე მიიყვანოს. ამიტომაც ეგოიზმის ყოველგვარი გამოვლინების ჩასაკლავად მან გამოძებნა სხვა გზა—მორჩილება. ბასილ დიდმა აუკრძალა მოღვაწეს თავისი სურვილით ყოველგვარი ინიციატივის გამოჩენა (მოკლე წს. 137, 138). „ყოველივე თვისითა ნებითა ბჭობაჲ ცთომა არს“ (მოკლ. წს. 137)<sup>2</sup>. ბასილმა გადაწყვიტა, რომ ეგვიპტის საერთო საცხოვრებლებისაგან განსწვავებით, თავის მონასტერში შრომას უპირველესი მნიშვნელობა არ მინიჭებოდა. ბასილი წინააღმდეგი იყო ერთ მონასტერში მრავალი სახის ხელსაქმის გამოდევნებისა;

<sup>1</sup> A—639, 15 r.

<sup>2</sup> იქვე, 61 r.

ხოლო თვითონ ხელსაქმე კი ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ზევრი ზრუნვა არ დასჭირვებოდა (ვრც. წს. 38). ბასილის აზრით, თვითონ ბერის შესახედაობა უნდა გამოხატავდეს იმას, რომ ძირითადია სულიერი ცხოვრება და არა გარეგნობა. ამიტომაც იგი მოითხოვს, რომ მონაზონი ყურადღებას არ აქცევდეს თავის გარეგნობას—დაე იყოს მისი თმები დაუვარცხნელი, ტანსაცმელი გაურეცხელი—მხოლოდ შესახედაობა ჰქონდეს ნაღვლიანი და თავმდაბლური, ხოლო თვალები დახრილი (წერილი 2). ბასილი თავის მონასტრებში ახალი წევრის მიღებისას დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა (ვრც. წს. 10). განსაკუთრებული პირობები იყო საჭირო დაქორწინებული ადამიანის მონასტერში შესასვლელად; ამ შემთხვევაში განწორებაზე, მოწმების თანდასწრებით, მეუღლის თანხმობასაც მოითხოვდნენ (ვრც. წს. 12). ბასილს სურდა, რომ მისი მონასტერი გარკვეულად სააღმზრდლო დაწესებულებაც ყოფილიყო. ამ მიზნით იგი მონასტერში ბავშვებსაც ღებულობდა. ბავშვების მონასტერში შესვლაზე თანხმობა აუცილებლად მშობლებს უნდა მიეცათ. მონასტერში აღსაზრდელთა დღის განრიგი განსხვავდებოდა ბერების დღის განრიგისაგან, ბავშვთა აღზრდის დისციპლინაზე ბასილი სპეციალურ ვრცელ წესს წერს (ვრც. წს. 15).

ბასილის მთელ ასკეტიკაში სწორედ ეს „წესები“ არის ძირითადი ასკეტური ნაწარმოები. დანარჩენი ასკეტური ნაწერები, რომლებიც ბასილს მიეწერება, ამ წესების გარკვეული მომენტის გავრცელებას და გამოყოფას, ან მთელი ასკეტური შეხედულების მოკლედ გადმოცემას წარმოადგენს.

ბასილის ასკეტური დოქტრინა უაღრესად მკაცრ ასკეტურ პრინციპებს აწესებს. ეს სიმკაცრე ზოგჯერ თვით ქრისტიანული მოძღვრებით ნებადართულ საზღვრებსაც სცილდება. ბასილი ზოგ შემთხვევაში არ კმაყოფილდება ქრისტიანულ მოძღვრებაში დასაშვები ასკეტური ნორმებით, რომლებიც თავისთავად ადამიანს, როგორც ცოცხალ არსებას, არაბუნებრივ მდგომარეობაში აყენებენ; იგი უფრო შორსაც მიდის. ბასილის ასკეტურ მოძღვრებაში არის ისეთი გამონათქვამები, რომლებიც არათუ მხოლოდ ჯანსაღი თვალსაზრისიდან გამომდინარე აგდებენ ადამიანის პიროვნებას საფრთხეში, არამედ თვითონ ქრისტიანული მართლმადიდებლური პრინციპების თანახმადაც სულიერ საშიშროებას წარმოადგენენ<sup>1</sup>. ბასილის თანახმად მონაზონს უნდა ჩაეკლა თავის თავში ყოველგვარი ნათესაური გრძნობა, გაეწყვიტა კავშირი მეზობლებთან და მახლობლებ-

<sup>1</sup> „Св. Василий Великий“, гл. 173.

თან. თვით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ნათესავი მასთან ერთად იყო მონასტერში, ბერს არ შეეძლო მისდამი უფრო მეტი სიახლოვის გამოძევა. ვიდრე სხვა დანარჩენებისადმი (მოკლე წს. 190). ბასილმა პახომის პრინციპების გავლენით, თავის მონასტერში ბერებს მართალია, დართო ნება, რომ ნათესავეები მათთან მონასტერში სტუმრად მისულიყვნენ და მიეღოთ მონაწილეობა ბერის დაკრძალვაში, მაგრამ სხვა შემთხვევაში ბასილი სასტიკად კრძალავდა ყოველგვარ ახლო და განსაკუთრებულ მეგობრულ ურთიერთობას მონასტერში მყოფ რამდენიმე ბერს შორის<sup>1</sup>. ბასილ დიდის აზრით მარხვა მოღვაწისათვის არის საშუალება არა მხოლოდ ცოდვითა მონანიებისა და ვნებათაგან განშორებისა, როგორც ამას საერთოდ ქრისტიანული მოძღვრება ფიქრობს, არამედ საშუალება თვით სხეულის „მოკვდინებისა“: „არს უკუე მარხვაჲ ცოდვითა მომსპოლველი, ვნებათა უცხო-მქნელი, ჯორცთა მომაკუდნელი, ვიდრე და თვთ ბუნებითთაჲა მათ ვნებათადმდე და გულის თქუმათა“<sup>2</sup>. ბასილის ზოგიერთი გამოწათქვამი სულისა და სხეულის დამოკიდებულების შესახებ არ ემთხვევა კანონიკურ ქრისტიანულ თვალსაზრისს. ბასილი თავის სიტყვაში ახალგაზრდებისადმი, იმის შესახებ, თუ როგორ მიიღონ სარგებელი წარმართული თხზულებებიდან, გარკვევით მიუთითებს, რომ ყოველგვარი სხეულებრივი უნდა იქნას შეზიზღებული. ბასილ დიდი მტრულადაა განწყობილი სხეულისადმი. მაგრამ თუ მის მონასტრებში ბერები ფიზიკური შრომით მინც ამტკიცებდნენ თავიანთი სხეულის სიცოცხლისუნარიანობას, ამას ბასილი იმით ხსნიდა, რომ ფიზიკური შრომა საჭიროა, მაგრამ არა საკუთარი თავისათვის, არამედ ქრისტეს მოძღვრების განსახორციელებლად, მოყვასისადმი სიყვარულისა და მზრუნველობის გამოსაჩენად.

რასაკვირველია, ასეთი გადახვევები კანონიკური მართლმადიდებლური დოქტრინიდან ბასილთან, რომელიც თვითონ იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი და დამცველი ორთოდოქსალური ქრისტიანული პრინციპებისა, არ არის ხშირი. პირიქით, ბასილის სქელტანიან თხზულებებში ძალზე ხშირად ნახავთ ისეთ მომენტებს, რომლებიც ორთოდოქსალური ქრისტიანული დოგმატიკის საფუძვლად არიან მიჩნეული. ამიტომაც ზოგიერთი ქრისტიანი ავტორი მიუთითებს, რომ ბასილის თხზულებათა მთელი შინაგანი ბუნება აბათილებს იმ უკიდურესობებს, რომლებსაც მის ნაწერებში ზოგჯერ ვხვდებით<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Johannes Leipoldt, Griechische Philosophie..., გვ. 63.

<sup>2</sup> A—63; 50 r.

<sup>3</sup> „Св. Василий Великий“, გვ. 176—180.

მაგრამ. რასაკვირველია, არ შეიძლება არავითარი ლაპარაკი გაათილებახე და შემთხვევითობებზე ბასილის მოძღვრებაში. ბასილის ასკეტურ დოქტრინას, ისევე როგორც მთელ მის მოძღვრებას, თავისი ინდივიდუალური ხასიათი გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ბასილი. ისევე როგორც მთლიანად კაპადოკიელთა სკოლა (ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი), ქრისტიანულ-კანონიკური აზროვნების საფუძვლად არის მიჩნეული, მის მოძღვრებას მაინც თავისებური სახე აქვს. ბასილის შეხედულებებში გადახრა ორთოდოქსალური ქრისტიანული მოძღვრებიდან ძირითადად სხეულის და სულის ურთიერთობის საკითხში გამოვლინდა. ბასილის აზრით, ქრისტიანული ცხოვრების არსი მდგომარეობს ღმერთისაკენ სულიერ ამალღებაში. ამიტომაც ბასილი აღამიანს ძირითადად ითვალისწინებს, როგორც მხოლოდ და მხოლოდ სულს. სხეული მხოლოდ შემთხვევით არის გაერთიანებული სულთან. ბასილის აზრით. აღამიანის პერსონა არის ღმერთის ანარეკლი და იგი შეუღებლად და ავტომატურად არის მიმაგრებული ცხოვრებასთან. და რომ სულიერი ბუნება გამოძვლავნდეს. იგი უნდა განთავისუფლდეს სხეულისაგან. ბასილის ასკეტისკის მიზანი სწორედ ის არის. რომ გაათავისუფლოს სული სხეულისაგან. ბასილის აზრით ასკეტიკა არის გზა იმისკენ, რომ სული მოწყდეს მიწიერ სამყაროს<sup>1</sup>. ამ შეხედულებებში კი უდაოდ არის ანარეკლი ნეოპლატონური მოძღვრებისა. ბასილის ნაწერებში გარკვეულ მომენტებში ჩანს თვითონ პლატონის გავლენაც. მაგალითად, ქველმოქმედების სახეებს ბასილი ალაგებს იმავე რიგით, როგორც ისინი დაალაგა პლატონმა: უმანკობა და მამაცობა, სამართლიანობა და კეთილგონიერება<sup>2</sup>. სპეციალურ. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია. რომ ბასილი თავის შეხედულებებში, განსაკუთრებით კი სულისა და სხეულის ურთიერთდამოკიდებულებაში, გამომდინარეობს ნეოპლატონიზმიდან, კერძოდ კი პორფირის ფილოსოფიიდან<sup>3</sup>. ორთოდოქსალური ქრისტიანული ეკლესია, რომელმაც ბასილი წმინდანად გამოაცხადა და მისი აზრები ავტორიტეტულად და კანონიკურად მიიჩნია, ცდილობდა ბასილი ისე განემარტა, რომ მასში არაფერი დარჩენილიყო სექტანტური. მაგრამ ფილოსოფიური აზროვნება მაინც ხედავდა, რომ ბასილი გარკვეულ მომენტში ნეოპლატონიზმიდან ამოდირდა. ჩვენ ამ აზრის დამადასტურებლად მიგვაჩნია ის ფაქტი. რომ თავის ნაწერებში

<sup>1</sup> Altaner Ber., Patrologie, გვ. 265.

<sup>2</sup> იხ. „Св. Василии Великий“, გვ. 171.

<sup>3</sup> Altaner Ber., Patrologie, გვ. 265.



ბასილ დიდს იყენებდა იოანე პეტრიწი. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, თავისი განზრახვის შესასრულებლად: რომ ნეოპლატონიზმის საფუძველზე მოეცა პლატონიზმისა და არისტოტელიზმის სიმფონია, იოანე პეტრიწი გვერდს უვლიდა ნემესიოს ემესელს, ფსევდოდოდიონისე არეოპაგელს, მაქსიმე აღმსარებელს და შემდეგი დროის სხვა საეკლესიო ავტორიტეტებსაც; მაგრამ რამდენადმე იყენებდა „დიდ კაბადოკიელთა“ შრომებს<sup>1</sup>. ამის ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ ბასილ დიდის მოძღვრებაში გარკვეულ მომენტებში ჩანს ანარეკლი ნეოპლატონური იდეებისა.



---

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 305; მ. გოგობერიძე, ფილოსოფიის ისტორია, I, 1941, გვ. 259—260.

ის გარემოება, რომ ბასილ დიდის ნაზრევში ჩანს პლატონის შეხედულებების კვალიც, შენიშნული აქვს თვითონ იოანე პეტრიწს; იხ. მ. გოგობერიძე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, 1961, გვ. 152.

დღეისათვის ფილოლოგიური მეცნიერება დაინტერესებულია ბასილი კესარიელის ასკეტური ნაწერების პირვანდელი სახის ძიებით. უკანასკნელი ოციოდე წლის მანძილზე ბიზანტიტიკაში ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის საკითხი, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან ის ასკეტური კრებულები, რომლებიც ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ სახელწოდებით სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა საუკუნის ხელნაწერებშია დაცული; ვის მიერ და როდისაა შედგენილი ეს კრებულები და რა ეკუთვნის მათში ქვეშარიტად ბასილი კაპადოკიელს?—აი ის საკითხები, რომლებზედაც ბიზანტიტიკაში დღესაც წარმოებს მუშაობა.

## თავი პირველი

ბასილ დიდი „ვრცელი წესების“ შესავალში მიუთითებს, რომ სადღაც მასთან ერთად ბერები არიან შეკრებილნი: „ვინაჲთგან უკუე მადლითა ღმრთისაჲთა... ერთად შემოკეკებით, რომელთა—ესე ერთი და იგივე სახე კეთილად მსახურებით ცხოვრებისაჲ წინა დაგვც...“<sup>1</sup> უფრო ქვევით იგი განაგრძობს, რომ დრო მათთვის ხელსაყრელია, ხოლო ადგილი წყნარი და ყოველგვარ გარეშე ხმაურისაგან მოწყვეტილი: „და ჟამიცა აწინდელი მარჯუე არს ჩუენდა და ადგილიცა ესე მომცემელ მყუდროებისა და მოცალებისა ყოველთაგან შფოთთა გარეშეთა“<sup>2</sup>. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბასილი ამ წესებს გადასცემს მასთან შეკრებილ ბერებს, ან წერს მათთვის სადღაც მყუდრო ადგილას. თუ ამ მომენტს დავეყრდნობით, უნდა ვიფიქროთ, რომ ბასილს აღნიშნული „წესები“ შეუქმნია პონტოში ასკეტური ცხოვრების პერიოდში. მართლაც, მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ბასილის მთავარ ასკეტურ ნაწარმოებს „წესები ბერთათვის“ საფუძველი უნდა ჩაყროდა პონტოში, მდ. ირისის პირას, ბასილის მონასტერში ცხოვრები-

<sup>1</sup> A—689, 15 v.

<sup>2</sup> იქვე.

სას<sup>1</sup>. ო. ბარდენჰევერის აზრით პირველი რედაქცია ამ „წესებისა“ შექმნილი უნდა იყოს 358—59 წლებში (ე. ი. სწორედ ბასილის მიერ პონტოში მონასტრის დაარსებისას), მაგრამ იგი გამოქვეყნებულია (გავრცელებულია) 370 წლის შემდეგ, რადგანაც ამ „წესებს“ ეტყობა მათი შემქმნელის ეპისკოპოსური მანერა<sup>2</sup>. ო. ბარდენჰევერის სიტყვით, „ვრცელი წესები“ პირველად შექმნილი, ხოლო „მოკლე წესები“ შემდეგ, რადგანაც ეს უკანასკნელი დამოკიდებულია პირველზე<sup>3</sup>. პ. ალარის აზრით „ვრცელი წესები“ ბასილს პონტოში. მონასტერში ყოფნისას უნდა შეექმნა; აქვე უნდა მოეხაზა „მოკლე წესებიც“, თუმცა ეს უკანასკნელი საბოლოო სახით უფრო მოგვიანებით, კესარიასში უნდა ჩამოყალიბებულიყო<sup>4</sup>. ხოლო გრიბომონის თანახმად, 360 წელი (ბასილის პონტოს მონასტერში ყოფნის ერთ-ერთი წელი) მართლაც უნდა იყოს ან „ასკეტიკონის“ შედგენის, ან რომელიმე ასკეტური სტატიის დაწერის თარიღი<sup>5</sup>.

ბასილის ძირითადი ასკეტური ნაწარმოები, რომელშიაც სრულყოფილად არის წარმოდგენილი მისი ასკეტური დოქტრინა, არის სწორედ ეს „ასკეტური წესები“. ეს თხზულება კითხვა-მიგების ფორმით არის დაწერილი და ორი ნაწილისაგან შედგება. მათ ორივეს დამოუკიდებელი ნაწარმოების სახე აქვს. პირველს ეწოდება: კითხვა-მიგების ფორმით დაწერილი ვრცელი წესები (უფრო ზუსტად: „Ὁροι κατὰ πλᾶτος, κατ' ἐρώτησιν καὶ ἀπάντησιν“) (PG, 31, 905—1052); ხოლო მეორის სათაურია: კითხვა-მიგების ფორმით დაწერილი მოკლე წესები („Ὁροι κατ' ἐπιτομῆν, κατ' ἐρώτησιν καὶ ἀπάντησιν“) (PG, 31, 1080—1305). უფრო მოკლედ მათ უწოდებენ: „ვრცელი წესები“ და „მოკლე წესები“, ანდა „ვრცელი კითხვები“ და „მოკლე კითხვები“. ხოლო ორივეს საერთო სათაური კი ხელნაწერების მიხედვით არის: „კითხვა-მიგება“, „კითხვები“, „წესები“, „კანონი“ და სხვ. წესების, ანუ კითხვა-მიგებათა რაოდენობა თითოეულ თხზულებაში სხვადასხვა რედაქციის მიხედვით სხვადასხვაა. უფრო გავრცელებული რედაქციით „ვრცელ წესებში“ არის 55, ხოლო „მოკლე წესებში“ 313 კითხვა-მიგება. ამგვარი შედგენილობით იცნობდა ამ წესებს IX საუკუნეში ფოტი პატრიარქიც (Bibliotheca, cod. CXCI). ზოგჯერ

<sup>1</sup> Altaner Ber., Patrologie, გვ. 259.

<sup>2</sup> O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, გვ. 142.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> „Св. Василий Великий“, გვ. 33.

<sup>5</sup> J. Gribomont, Histoire..., გვ. 256.

ხელნაწერებში ეს ორი თხზულება ერთ ნაწარმოებადაა წარმოდგენილი და მასში ვრცელი და მოკლე კითხვა-მიგებანი ერთმანეთშია არეული, ანდა მხოლოდ მოკლე კითხვა-მიგებაანია წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევებში კითხვების რაოდენობა სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვაა. როგორც ვრცელ, ისე მოკლე „წესებს“ წინ უძღვით შესავალი. როგორც ერთი, ისე მეორე შესავალი ხელნაწერებში ხშირად „წესებისაგან“ მოწყვეტილია წარმოდგენილი, ამიტომაც ისინი დამოუკიდებელი ნაწარმოების სახეს იღებენ. „მოკლე წესების“ შესავალს, სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული ნუმერაციის თანახმად<sup>1</sup>, ეწოდება პროლოგი 3 (PG, 31, 1080), ხოლო „ვრცელი წესების“ შესავალს პროლოგი 4 (PG, 31, 889—901).

ბასილის მიერ შექმნილ ასკეტურ ნაწარმოებად მიიჩნევენ აგრეთვე „მორალურ წესებს“ (*Moralia*) (PG, 31, 692—869). მასში ძირითადად თავმოყრილია საღვთო წიგნებიდან ამოღებული ასკეტური და მორალური ხასიათის ციტატები, რომელთაც თან ახლავს ბასილისეული მცირე განმარტებანიც. ო. ბარდენჰევერის ვარაუდით *Moralia* 361 წლისათვის უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული, მაგრამ უნდა გამოქვეყნებულიყო (ბასილის ხელიდან საბოლოოდ გამოსულიყო) დაახლოებით 370 წელს<sup>2</sup>.

გარდა აღნიშნული თხზულებებისა, ბერძნულ ხელნაწერებში და გამოცემებში ბასილის კუთვნილებად მიჩნეულია შემდეგი ასკეტური ნაწარმოებები:

სამონასტრო კონსტიტუციები—(*Constitutiones monasticae*) (PG, 31, 1316—1428).

*De Baptismo*—„ნათლისღების შესახებ“. ასკეტური შინაარსის სიტყვა (PG., 31, 1513—1628).

პროლოგი 1—მცირე „ასკეტიკონის“, ანუ ბასილის „წესების“ ლათინური და სირიული თარგმანის შესავალი (PL., 103, 483).

პროლოგი 34—პროლოგი 3-ის შერწყმა პროლოგ 4-თან (PG-ში შეერთებული სახით არ არის გამოქვეყნებული).

პროლოგი 5—სამოღვაწეო შინაარსის სიტყვა, რომელიც ხელნაწერების მიხედვით მიჩნეულია „ასკეტიკონის“ შესავლად (PG. 31, 881—888).

პროლოგი 6—ასკეტიკონის პირველადი ნაწილის ე. წ. ჰიპოტიპოსის (ἡπότυπος) შესავალი (PG, 31, 1509—1513).

<sup>1</sup> J. Gribomont, *Histoire...*, გვ. XVII—XIX; გვ. 7.

<sup>2</sup> O. Bardenhewer, *Geschichte der altkirchlichen Literatur*, III, 33. 142—143.

პროლოგი 7—„მორალური წესების“ პირველი პროლოგი, რომლის სათაურია *iudicio* („ღვთის მსაჯულებისათვის“) („*πρὸς κρίματις θεῶν*“) (PG, 31, 653—676).

პროლოგი 8—„მორალური წესების“ II პროლოგი, რომლის სათაურია *De fide*. „სარწმუნოებისათვის“ („*πρὸς πίστιν*“) (PG, 31, 676—692).

პროლოგი 9—ზოგიერთი ბერძნული რედაქციის მიხედვით, „მოკლე წესების“ შესავლის მოვალეობას ასრულებს (PG, 34, 668—673).

სიტყვა 10—(PG, 31, 620—625).

სიტყვა 11—(PG, 31, 625—648).

სიტყვა 12—(PG, 31, 648—652).

სიტყვა 13—(PG, 31, 869—881).

სიტყვა 14—(PG-ში არ არის გამოქვეყნებული).

სიტყვა 15—(PG-ში არ არის გამოქვეყნებული).

სიტყვა 16—(PG-ში არ არის გამოქვეყნებული).

წერილი 2—ბასილი კესარიელის წერილი გრიგოლ ნაზიანზელი-სადმი, ბასილის ეპისტოლეების კოლექციაში წერილი 2 (PG, 32, 224—233).

წერილები 22, 23, 42, 43, 44, 45, 150, 173,—იხ. ბასილის ეპისტოლეების შესაბამისი ნომრები (PG, t. 32).

წერილი 17322—შეერთება ბასილის 173-ე წერილის 22-ე წერილთან.

ეპიტომები 24—დამნაშავე ბერთა დასჯის წესები (PG, 31, 1305—1308 ეპიტომები № 1—11).

ეპიტომები 25—(PG, 31, 1313—1316).

ეპიტომები 26—(PG, 31, 1308—1313 ეპიტომები № 12—60).

ძნელია გადაჭრით იმის თქმა, თუ დასახელებული ნაწარმოებებიდან, გარდა წერილებისა, რომელი არის აშკარად ბასილი კესარიელის ხელიდან გამოსული. IX საუკუნეში მათ არ იცნობდა ფოტი პატრიარქი (*bibliotheca, cod. CXCI*), მაგრამ უფრო ადრინდელი ტრადიციების მქონე ბერძნული ხელნაწერების სქოლიოები ზოგიერთ მათგანზე იძლევა მინიშნებას. ო. ბარდენჰევერის აზრით, „სამონასტრო კონსტიტუციები“, შესაძლებელია, რომ ბასილს ეკუთვნოდეს<sup>1</sup>. ბოლო *De Baptismo* კი, თანახმად გარნიესა (*Garnier, Praef. in Opp. S. Bas. t. 2, § 12*), არ უნდა იყოს ბასილის კუთვნი-

<sup>1</sup> O. Bardenhewer, *Geschichte der altkirchlichen Literatur*, III, 83, 140.

ლება<sup>1</sup>. სხვა მეცნიერთა აზრით „სამონასტრო კონსტიტუციების“ ბასილისადმი მიკუთვნება საეკვოა. ამ დებულების დასადასტურებლად ეყრდნობიან იმ მომენტს, რომ ამ თხზულებაში გადმოცემულია წესები, როგორც მონასტერში, ასევე ცალკე, განდევნილად მცხოვრები ბერებისათვის; ხოლო ბასილი ბერების განდევნილად, განმარტობულად ცხოვრების მომხრე არ იყო<sup>2</sup>. გარდა ამისა, თხზულება თავისუფალია იმ უკიდურესობებისაგან, რომლებიც ახასიათებს ბასილის „კითხვა-მიგების“ ზოგიერთ ადგილს<sup>3</sup>. გარნიეს აზრით, „სამონასტრო კონსტიტუციები“ უნდა იყოს ის წიგნი, რომელსაც სოზომენეს გადმოცემის თანახმად, ზოგიერთი ევსტათის მიაწერდა<sup>4</sup>. ამას ფიქრობდა არქიეპისკოპოსი ფილარეტიც<sup>5</sup>. მარანის (Maran) გამოკვლევის თანახმად ასეთი მტკიცება უსაფუძვლოა<sup>6</sup>. ალტანერის აზრით, ბასილისადმი მიკუთვნებული ასკეტური ნაწერებიდან სინამდვილეში ჭეშმარიტად ბასილის ნაწარმოები უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ „მორალური წესები“ (Moralia) და „კითხვა-მიგებანი“ („ვრცელი წესები“ და „მოკლე წესები“)<sup>7</sup>.

ბასილისადმი მიკუთვნებული ყველა ეს ასკეტური ნაწარმოები, გარდა ეპისტოლეებისა და ზოგიერთი სიტყვისა, ბასილი კესარიელის თხზულებათა გამოქვეყნებულ სრულ კრებულებში ერთმანეთისაგან მოწყვეტით, ერთ განყოფილებაში არის წარმოდგენილი, რომლის სათაურია ასკეტოკა. სახელწოდება ასკეტოკონი ბასილის გამოქვეყნებულ ასკეტურ ნაწერებში (PG, t. 31) არ ჩანს.

იერონიმი გარკვევით მიუთითებს, რომ ბასილმა შექმნა ასკეტოკონი (De viris illustribus, 116). იერონიმის ცნობას აშკარად უტყერს მხარს სოზომენე, როდესაც მიუთითებს, რომ არსებობდა ასკეტური წიგნი, რომელსაც თავზე ბასილი კესარიელის სახელი ეწერა (Sozom., H. E. III, 14). მეცნიერები დააფიქრა ამ ცნობამ. რა უნდა იყოს ბასილის „ასკეტოკონი“; იგი რომელიმე ასკეტური ნაწარმოების სახელია, თუ რამდენიმე ასკეტურ ნა-

<sup>1</sup> O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, 33-144.

<sup>2</sup> „Св. Василий Великий“, гл. 180.

<sup>3</sup> იქვე, 33-180—182.

<sup>4</sup> об. O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, 33-142.

<sup>5</sup> Филарет Черниговский, Об отцах церкви, т. II, гл. 113.

<sup>6</sup> об. O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III 33-142.

<sup>7</sup> Altaner Ver., Patrologie, 33-260.

წარმოებს გულისხმობს? ო. ბარდენჰევერი მიუთითებდა, რომ, როდესაც იერონიმი ეგრეთ წოდებულ ბასილის ასკეტიკონზე და სოზომენე ბასილის ასკეტურ წიგნზე ლაპარაკობენ. მათ ამ სათაურის ქვეშ შეუძლიათ წარმოიდგინონ ფოტი პატრიარქის მიერ განხილული ბასილის ასკეტიკა, ე. ი. „მორალური წესები“ გადაბმით ორივე ასკეტურ „წესთან“<sup>1</sup>. ბარდენჰევერის აზრი არ არის მთლად ზუსტი (მას აფიქრებს სათაური „ასკეტიკონი“). იერონიმის და სოზომენეს ცნობებიდან მხოლოდ ის დასკვნა კი არ უნდა გამოვიტანოთ, რომ, როდესაც ისინი ბასილის „ასკეტიკონზე“ და „ასკეტურ წიგნზე“ ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ ერთმანეთთან შეერთებული „კითხვა-მიგებანი“ და „მორალური წესები“. არამედ ამ გადმოცემებზე დაყრდნობით უპირველეს ყოვლისა ის უნდა ვივარაუდოთ, რომ იერონიმის და სოზომენეს დროს ცალკე წიგნად არსებობდა ბასილის ასკეტური კრებული, რომელსაც ერქვა „ასკეტიკონი“ და რომელშიაც, ალბათ, შეკრებილი იყო ბასილის ასკეტური ნაწერები. ამ ცნობას ადასტურებს ბერძნულ ხელნაწერებში დაცული ბასილის ასკეტური კრებული, რომელსაც ხელნაწერების მიხედვით „ასკეტიკონი“ ეწოდება. ამ კრებულში ბასილისეული ასკეტური ნაწარმოებებია გაერთიანებული.

ბასილის ასკეტური ნაწერების ხელნაწერთა კვლევა-ძიებით მის შესწავლაში ახალი ეტაპი დაიწყო. ხელნაწერების მეცნიერულ შესწავლას ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ე. გარნიემ მოჰკიდა ხელი. მან გამოიკვლია XII საუკუნის 4 ბერძნული ხელნაწერი, მაგრამ მის მიერ შესწავლილი ტექსტი დაემთხვა ვენეციის 1535 წლის გამოცემას<sup>2</sup>. ბასილის „ასკეტიკონის“ ხელნაწერთა კვლევა-ძიება XX საუკუნეში გაგრძელდა. 1938 წლიდან დავით ამანდი (D. Amand) იწყებს ბასილის „ასკეტიკონის“ ხელნაწერთა შესწავლას და მათი კოლექციის შედგენას. საკუთარი მუშაობის შედეგებს იგი აქვეყნებს 1940—46 წლებში ჟურნალში „Revue Benedictine“ და ცალკე წიგნის სახით D. Amand, L'ascèse monastique de saint Basile..

<sup>1</sup> O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III, 33. 141: „Wenn aber Hieronymus von einem *Ἄσκητικόν* des Basilius, Sozomenus von einer *ἀσκητικὴ βιβλος* des Basilius spricht, so können unter diesen Titeln nur die von Photius näher gekennzeichneten *Ἀσκητικά*, d. h. die „Moralia“ in Verbindung mit den beiden „Regulae“, verstanden sein“. შეადარე ივ. ჯაკვახიშვილი, Материалы для истории грузинской патристической литературы; ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, 1956.

<sup>2</sup> J. Gribomont, Histoire..., 33. 1.

Essai historique. Maredsous, 1948. ძირითადი პრობლემა დ. ანან-დის ნაწერებში არის ტრადიციით ბასილიესულად გამოცხადებული ასკეტური ნაწერების ავტორობის საკითხი; იგი ეძებს კემარიტად ბასილის დაწერილ ასკეტურ თხზულებებს. შემდგომში „ასკეტიკონის“ უშუალოდ ხელნაწერებში შესწავლას აგრძელებს ფრანსუა მედერიკ გეტე (Fr. M. Guetet). გეტე დიდ ყურადღებას აქცევს აღმოსავლურ ხელნაწერებს. იგი ბასილის „წესებში“ გამოყოფს 350 კითხვა-მიგებას. გეტემ თავისი მუშაობის შედეგები დაქტილოგრაფიულად გამოაქვეყნა 1946 წელს. 1953 წელს ბელგიაში გამოქვეყნდა გრიბომონის კაპიტალური ნაშრომი: J. Gribomont, Histoire du texte des Ascétiques de S. Basile. გრიბომონმა მემკვიდრეობით მიიღო მისი წინაპრების როგორც ხელნაწერთა კოლექციები. ისევე მდიდარი გამოცდილებები და თავის ფუნდამენტალურ ნაშრომს 150-მდე ხელნაწერის განხილვა დაუდვა საფუძვლად. 1953 წელს გამოქვეყნდა Rindberg-ის ნაშრომი: „ეტიუდები წმ. ბასილის ხელნაწერთა ტრადიციებზე“ (V. Rudberg, Études sur la tradition manuscrite de saint Basile, Uppsala, 1953). ამ ნაშრომის შესახებ ჟურნალ „Le Muséon“-ში რეცენზია გამოაქვეყნა გრიბომონმა: J. Gribomont, Études suédoises et reclassement de la tradition manuscrite de saint Basile; Le Muséon, LXVII, 1—2. Louvain, 1954, 51—69. გრიბომონმა ამ „ეტიუდებში“ დაინახა ბასილის ასკეტურ ნაწერებზე თავისი საკუთარი შეხედულებების დადასტურება. 1954 წელს ბელგიაში დაქტილოგრაფიულად გამოქვეყნდა Guchteneere-ის ნაშრომი: P. De Guchteneere, Les „Constitutions ascétiques“ attribuées à S. Basile. გრიბომონის ფუნდამენტალურ ნაშრომში იყო შეჯამება და განზოგადება ბასილის ასკეტური ნაწერების საკითხზე მანამდე ჩატარებული მთელი მუშაობისა. ამიტომაც შემდეგდროინდელი კვლევა-ძიება ძირითადად გრიბომონის გამოკვლევის შეჯამება-დაზუსტების გზით წარიმართა. ამ მიმართულების წერილები კვეთდება ჟურნალ „Le Muséon“-ის ფურცლებზე. ასეთია Driessen-ის წერილი „წმ. ბასილის სომხურ ხელნაწერთა კრებულები“ (I. W. Driessen, Les Recueils manuscrits arméniens de S. Basile, Le Mus., LXVI, 1—2, 1953, 65—95). წერილში მოცემულია ბასილის „ასკეტიკონის“ იმ სომხურ ხელნაწერთა აღწერილობა, რომლებიც გრიბომონს პირადად არ შეუსწავლია. L. Th. Lefort-ის წერილი „Les constitutions ascétiques de [S. Basile]“ („Le Mus.“. LXIX, 1956, 5—10) ცდილობს შეაფასოს გრიბომონის ხარვეზები ბასილის „ასკეტიკონის“



კობტური ხელნაწერების შესწავლაში. გრიბომონის აზრით, კობტე-  
ბი არ ყოფილან დაინტერესებული ბასილის თხზულებებით; Lefort-  
კი იუწყება, რომ მან იპოვა კობტურ ენაზე დაწერილი ნაწყვეტი,  
რომელსაც თავზე ეწერა: „წიგნი ასკეტიკონი წმ. ბასილისა კაპადო-  
კიის კესარის ეპისკოპოსისა“<sup>1</sup>.

ბეცნიერებაში ბასილის „ასკეტიკონის“ შესასწავლად, გარდა  
ბერძნული ხელნაწერებისა, გამოყენებულია ამ თხზულების ძველი  
თარგმანები. განსაკუთრებით მრავლადაა შემონახული ლათინური  
ხელნაწერები. ლათინური თარგმანი 1500 წელს გამოიცა კიდეც.  
ეს არის ბასილის თხზულებათა პირველი გამოცემა. გრიბომონი  
იცნობს ბასილის „ასკეტიკონის“ 60 ლათინურ ხელნაწერს. დიდი  
მნიშვნელობისაა ამ თხზულების სირიული თარგმანები. გრიბომონი  
იყენებს 5 სირიულ ხელნაწერს. უძველესი თარგმანები შენახულია  
ქართულ, სომხურ, არაბულ და კობტურ ენებზე. განსაკუთრებული  
მნიშვნელობა რედაქციული მრავალფეროვნების გამო ბერძნულ ხელ-  
ნაწერებს ენიჭებათ. გრიბომონის მიერ განხილული ხელნაწერების  
რაოდენობა 149-ს შეადგენს. ამ ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა  
XV საუკუნეზე ადრინდელია. ხელნაწერთა ძირითადი ნაწილი კი  
XI—XIII საუკუნეებისაა. შემონახულია VI საუკუნის ერთი ლათინური  
და ორი სირიული ხელნაწერი, VII საუკუნის ერთი ლათინური, ხოლო  
VIII საუკუნის სამი ლათინური და ორი სირიული ხელნაწერი. უძველესი  
ბერძნული ხელნაწერები IX საუკუნით თარიღდება. ხელნაწერთა  
ასეთი მდიდარი კოლექციის გაცნობამ ბასილი კაპადოკიელის „ასკე-  
ტიკონის“ ფილოლოგიურ შესწავლას დიდად შეუწყო ხელი.

## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ბასილი კესარიელის ასკეტური თხზულებები ბერძნულ ხელნა-  
წერებში ზოგჯერ ცალ-ცალკეა წარმოდგენილი; მაგრამ, როდესაც  
ბასილის ასკეტიკონზე ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ არა  
ის ხელნაწერები. რომლებშიც ბასილის რომელიმე ასკეტური თხზუ-  
ლებაა განცალკევებით წარმოდგენილი, არამედ ბასილის ძირითადი  
ასკეტური ნაწარმოების შემცველი მანუსკრიპტები. ბასილის ძირი-  
თად ასკეტურ ნაწარმოებს კი ხელნაწერებში თითქმის ყოველთვის  
აწლავს რომელიმე ასკეტური პროლოგი თუ ასკეტური სიტყვა,  
ხშირად კი—ბასილის ასკეტური ნაწარმოებების მთელი კომპ-  
ლექსი. სპეციალურ ლიტერატურაში ბასილის მთავარ ასკეტურ

<sup>1</sup> „Le livre de l'Asceticon de S. Basile évêque de Césarée de Cappadoce“—„Le Muséon. LXIX, გვ. 5.

ნაწარმოებს პირობითად „ასკეტიკონს“ უწოდებენ. გრიბომონი განმარტავს, რომ ბასილის ასკეტური ნაწერების კოლექციის მთავარ თხზულებას დღეს უწოდებენ „წესებს“, მაგრამ ეს სახელწოდება არ ჩანს პირვანდელი. ამიტომაც ამ „წესებს“ ჩვენ ჩვეულებრივ „ასკეტიკონს“ ან „კითხვებს“ ვუწოდებთ<sup>1</sup>. როდესაც იმ 150-მდე ხელნაწერზე ლაპარაკობენ. რომლებსაც ემყარება ფილოლოგიური მეცნიერება ბასილის ასკეტური მემკვიდრეობის შესწავლისას, სწორედ ბასილის „ასკეტიკონის“ შემცველ ხელნაწერებს გულისხმობენ. ეს 150 ხელნაწერი მათში წარმოდგენილი ტექსტის, ასკეტური კითხვების შედგენილობის და ამ კითხვებთან გაერთიანებული სხვა ასკეტური ნაწარმოებების მიხედვით რამდენიმე ძირითად რედაქციად დაყოფილი, რომლებსაც გრიბომონი რეცენზიებს (Pesension) უწოდებს: V—ვეულგატა (Vulgate), S'—სტუდიტე (Studite), N—ნილი (Nil), O—ორიენტალისტური (Orient), M—მისოგინური (Misogyne—ქალთმოდულე), B—ბარბერინის (Barberini), H'—სომხური, G—ქართული, K—არაბული, RI—მოკლე ლათინური, Rs—მოკლე სირიული, A'—საშუალო საუკუნეების ლათინური<sup>2</sup>. გარდა ამისა, გრიბომონი მიუთითებს სლავურ თარგმანებზეც, ხოლო L. Lefort-ის წერილის თანახმად, არსებობს კოპტური ვერსიაც.

ყველაზე მეტად გავრცელებული რედაქცია ბასილი კესარიელის „ასკეტიკონისა“ არის V (ვეულგატას რეცენზია). V-ს ტექსტია წარმოდგენილი ბასილის ასკეტური ნაწერების ყველა ბერძნულ გამოცემაში. V რეცენზიის „ასკეტიკონი“ დატულია 24 ბერძნულ ხელნაწერში, რომელთაგან ორი IX საუკუნისაა, ხოლო ძირითადი ნაწილი XI—XIV საუკუნეებისა. V რეცენზიისაა სლავური ვერსიაც. V რეცენზიაში „კითხვები“ წარმოდგენილია 55 ვრცელი და 313 მოკლე წესით. V რეცენზიის „ასკეტიკონი“ იწყება პროლოგი 6-ით. მას მოსდევს პროლოგები 7, 8, „მორალური წესები“, პროლოგები 5, 4. „ვრცელი წესები“, პროლოგები 9, 3, „მოკლე წესები“, წერილი 17322, ეპიტომიები 24, 25, De Baptismo და „სამონასტრო კონსტიტუციები“. V რეცენზიაში შემავალი ხელნაწერები ერთმანეთთან შედარებით ამჟღავნებს მთელ რიგ რედაქციულ თავისებუ-

<sup>1</sup> „A la pièce principale de la collection, on donne aujourd'hui le nom de Règles. Ce titre ne semble pas primitif, et nous dirons plutôt, habituellement, l'Ascétique ou les Questions“. — J. Grihomont, Histoire..., გვ. 3.

<sup>2</sup> სტუდიტეს, სომხურ და საშუალო საუკუნეების ლათინურ რეცენზიებს სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ S, H, A ასოებით, ჩვენს ნაშრომში კი ისინი აღნიშნულია S', H', A' ნიშნებით.

ოებებს, როგორც მათში შემავალი ხელნაწერების რიგითა და რაოდენობით. ასევე წარმოდგენილი ტექსტის ძიხედვით. ამ თავისებულებებით ისინი გრიბომონის მიერ დაყოფილია 11 სხვადასხვა ტიპად: V 1, V 2, V 3... და ა. შ.

„ასკეტიკონის“ 26 ბერძნული ხელნაწერი გაერთიანებულია ერთ სერიად და წარმოდგენს S' (სტუდიტეს) რეცენზიას. მიუთითებენ, რომ ამ ხელნაწერების ანსამბლს საფუძვლად ერთი დედანი უნდა ჰქონოდა, რომელიც იყო ხმარებაში სტუდიტეს მონასტერში IX ს. დასაწყისიდან. მაგრამ წარმოშობით ეს რეცენზია ბევრად უფრო ძველი უნდა იყოს. ამ ხელნაწერებიდან ერთი არის IX საუკუნის, დიდი უმრავლესობა კი X—XIV საუკუნეებისაა. რეცენზიაში კითხვები წარმოდგენილია ერთი სერიით და მათი რაოდენობა 350-ს შეადგენს. S' „ასკეტიკონი“ იწყება წერილი 22-ით. მას მოსდევს პროლოგები 6, 7, 8, „მორალურა წესები“, პროლოგები 5, 4, კითხვები 1—350, ეპიტომიები 24 (ზოგჯერ 25, 26), სიტყვები 13, 11, წერილი 2 და „სამონასტრო კონსტიტუციები“. S' რეცენზიის ხელნაწერები დაყოფილია 12 ტიპად: S'1, S'2, S'3... და ა. შ.

(9 ხელნაწერი ქმნის დამოუკიდებელ N (ნილი) რეცენზიას (ნილი არის ერთ-ერთი იტალიელი მღვდლის სახელი). რეცენზია ჩამოყალიბებული უნდა იყოს სამხრეთ იტალიაში. ამ რეცენზიის ერთი ხელნაწერი IX საუკუნისაა, ხოლო დანარჩენი X—XII საუკუნეების. ამ კოლექციის კითხვები შედგება 20 ვრცელი და 317 მოკლე წესისაგან. კრებული იწყება პროლოგი 6-ით. მას მოსდევს პროლოგები 7, 8, „სამონასტრო კონსტიტუციები“, პროლოგები 5, 34, „ვრცელი წესები“. „მოკლე წესები“, ეპიტომიები 24, (ზოგჯერ 25, 26), წერილები 17322, 23, 150, De Baptismo, სიტყვები 12, 11. ამ რეცენზიის ყველა ხელნაწერი ცალკე დამოუკიდებელ ტიპს წარმოდგენს: N1, N2 და ა. შ. ცალკეა გამოყოფილი შემოკლებული ნილის რედაქცია Na (Nil abréégé), რომელიც XII საუკუნის 3 ხელნაწერთაა ცნობილი. ამ რედაქციანე დიდი გავლენა მოუხდენია V რეცენზიას და მასში „ვრცელი წესები“ დაყოფილია 55 კითხვა-მიგებად.

6 ბერძნული ხელნაწერი ქმნის O (ორიენტალისტურ) რეცენზიას; ამათგან ერთი ხელნაწერია X საუკუნის, დანარჩენი XI—XII საუკუნეების. ხელნაწერში წარმოდგენილია 20 ვრცელი წესი და 314 (312) მოკლე წესი (ისინი დაუნომრავია). ამ რეცენზიის ხელნაწერებში გვხვდება შემდეგი თხზულებები: პროლოგები 7, 8, 5, 34, წერილები 23, 17322, სიტყვები 11, 12, ეპიტომიები 24, 25, De Baptismo, „სამონასტრო კონსტიტუციების“ ცალკეული თავები,

„ვრცელი და მოკლე წესები“. როგორც თითოეული ხელნაწერის შედგენილობა, ასევე რიგი მასში წარმოდგენილი თხზულებებისა სხვადასხვაგვარია. გამოყოფილია 0 რეცენზიის 4 ტიპი: O1, O2, ... და ა. შ.

ოთხი ბერძნული ხელნაწერი. რომელთაგან ორი XI საუკუნისაა, ხოლო დანარჩენი ორი—XII და XIII საუკუნეების, ამჟღავნებს ერთმანეთთან მსგავსებას იმ საკითხებში. რომლებიც ქალ მონაზვნებს ეხება. ასე მაგალითად: ამ ხელნაწერში არ არის 33-ე ვრცელი წესი, რომელშიაც ქალებთან ურთიერთობის საკითხია დასმული. არ არის აგრეთვე 220-ე მოკლე წესი, რომელიც იმავე საკითხს ეხება, ხოლო მოკლე წესები 82, 108—111, 153, 154, 281, რომლებშიც ქალი მონაზვნების შესახებაა ლაპარაკი, ამ რეცენზიაში მამაკაცებისადმი მიმართული. ამიტომაც რეცენზიას „ქალთმოძულე“ შეერქვა. M რეცენზიაში კითხვები დაუნომრავია და ერთი სერიითაა წარმოდგენილი. მასში შესაძლებელია 326 კითხვის გამოყოფა. M „ასკეტიკონი“ იწყება წერილი 22-ით. მას მოსდევს პროლ. 6. 7. 8. „მორალური წესები“, სიტყვები 13, 14, პროლ. 5. 34, „კითხვები“, წერილი 2 და „სამონასტრო კონსტიტუციები“.

წვტიკანში დაცული ერთი ხელნაწერი (Le Barberini, grec. 476) დამოუკიდებელ რეცენზიას იძლევა, რომელსაც B (ბარბერინის) ეწოდება. ხელნაწერი XII საუკუნისაა. იგი იწყება მე-15 სიტყვით. მას მოსდევს პროლოგი 34, წერილი 17322, პროლოგი 5, De Baptismo. რამდენიმე თავი „სამონასტრო კონსტიტუციებისა“, ვრცელი წესები 8—55 და „მოკლე წესები“.

სომხურ ენაზე ფრაგმენტები ბასილის „ასკეტიკონისა“ საკმაოდ ბევრია. გრიბომონი იცნობს 10 სომხურ ხელნაწერს, რომელთაგან ერთს აკუთვნებს IX საუკუნეს. H' რეცენზიის ხელნაწერები დიდ მსგავსებას ამჟღავნებს S' რეცენზიასთან. სადაც სომხური განსხვავდება S'-დან, იქ იგი უახლოვდება O და N-ს. გრიბომონი სომხურ ხელნაწერებში ერთ ტიპს გამოჰყოფს H' 1, H' 1-ში წარმოდგენილია პროლოგი 5, წერილი 22, პროლოგები 7, 8, წერილი 2, პროლოგი 4 და „კითხვები“. გრიბომონის ვარაუდით, კითხვების რაოდენობა H' რეცენზიაში 358 უნდა ყოფილიყო.

K-არაბულ ვერსიაში დაცული უნდა იყოს O-ს ძველი ფორმა. ბერძნული მოდელი ამ ვერსიისა ასეთი შედგენილობის უნდა ყოფილიყო: პროლოგები 6, 7 „სამონასტრო კონსტიტუციები“, De Baptismo. პროლოგი 5 და „კითხვები“.

ლათინური შუა საუკუნეების ვერსია თარგმნილია Ange Clare-

110-ს მიერ. A' დამოკიდებულია O-ს ერთ ხელნაწერზე და იგი შევსებულია N-ის ერთი ხელნაწერით.

ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონის“ უძველესი ტექსტის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუფინუსის თარგმნილ ლათინურსა (R1) და ძველ სირიულ ვერსიებს (Rs). ამ ვერსიებში დაცულ „კითხვებს“ გრიბომონი უწოდებს „მოკლე ასკეტიკონს“. ლათინურში და სირიულში კითხვები ერთი სერიითაა და მათი რაოდენობა არის ლათინურში 203, ხოლო სირიულში 183.

დღეისათვის არსებულ ხელნაწერებს ეტყობათ, რომ რეცენზიები ერთმანეთზე ახდენდა გავლენას. ასე მაგალითად: S' რეცენზიის ორი ტიპის ხელნაწერი (S' 7, S' 10) V-სთანაა შერწყმული. სხვა რეცენზიებთან შერწყმას ამჟღავნებს აგრეთვე S' 11 და S' 12 ტიპის ხელნაწერები. N რეცენზია მოკლე კითხვების რიგით ძალიან ახლოს დგას S'-თან; ხოლო Na-ს აშკარად ეტყობა V-ს გავლენა. O რეცენზია გარკვეულ მომენტებში N-ზე არის დამოკიდებული. M რეცენზიაზე გრიბომონი მიუთითებს, რომ იგი არის იგივე B გადაჯაჭვული O-სთან. B რეცენზიას განუცდია გავლენა Na და V-ს გვიანდელი ხელნაწერებისა. V რეცენზიაშიც გამოიყოფა ერთი ჯგუფი ხელნაწერებისა, რომელიც S'-თან შერეულ ტექსტს იცავს. ამ ჯგუფში შედის V 8, V 9 და V 11 ტიპის ხელნაწერები, მათ გრიბომონი უწოდებს შერეულ (შერყვნილ) ვულგატას (La vulgate contaminée). როგორც მიუთითეთ, სხვა ენებზე თარგმნილი ვერსიები კი, გარდა R1 და Bs-ისა, სხვადასხვა რეცენზიაზეა დამოკიდებული. ამგვარად, დღეისათვის შემონახულ ხელნაწერებში გამოყოფილი რეცენზიები არ წარმოადგენს იმ უძველეს რედაქციებს, რომლებიც ბასილი კაპადოკიელის ხელიდან გამოვიდნენ ან დაახლოებით მისი დროისათვის ჩამოყალიბდნენ; მაგრამ ამ რეცენზიების ერთმანეთთან შეპირისპირება და იმ სქოლიოების გათვალისწინება, რომლებიც ზოგიერთ ხელნაწერშია დაცული, უფრო ძველი ტრადიციების გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

V რეცენზიის სხვადასხვა ხელნაწერში შემონახულია სქოლიოები, რომლებიც მიუთითებენ ვულგატას პირვანდელი სახის ჩამოყალიბებაზე. არის 7 ძირითადი სქოლიო. VII სქოლიო ხელნაწერებში კიდევ ორ ნაირსახეობას იძლევა, რომლებსაც გრიბომონი უწოდებს VIII და IX სქოლიოებს. გრიბომონის გამოკვლევის თანახმად<sup>1</sup>, სქოლიოების ავტორი—სქოლიასტი ერთია. იგი საკუთრივ ბიზანტიაში მომუშავე უნდა იყოს, რადგანაც აღმოსავლეთზე, პონტოზე და კე-

<sup>1</sup> J. Gribomont, Histoire..., გვ. 158—160.

სარიაზე ისე ლაპარაკობს, როგორც უცხო მხარეებზე. მას მოუვლია ეს ქვეყნები, შეუკრებია ბასილის „ასკეტიკონის“ რედაქციები. შეუდარებია ისინი ერთმანეთისთვის და თავისი დამოუკიდებელი რედაქცია ჩამოუყალიბებია, რომელსაც დღეს V (ვულგატას) რეცენზიას ვუწოდებთ. სქოლიასტის მუშაობის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო „კითხვების“ ის რედაქცია, რომელიც 55 ვრცელ წესს და 313 მოკლე წესს ითვლის. VI საუკუნის ერთ-ერთი სირიული ხელნაწერის მინაწერში არის ლაპარაკი „ასკეტიკონის“ ტექსტზე, რომელიც 368 კითხვას ითვლის. ეს კი აშკარად სქოლიასტის მიერ ჩამოყალიბებულ რედაქციას შეესაბამება (55+313), აქედან გამომდინარე სქოლიასტის მუშაობა V—VI საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს; ყოველ შემთხვევაში სქოლიასტი VI საუკუნეზე გვიანდელი მოღვაწე არ არის.

სქოლიო 1 მოთავსებულია პროლოგი 6-ის დასაწყისში<sup>1</sup>. ჩასში სქოლიასტი მიუთითებს, რომ ასკეტური წიგნი აქ იწყება, მაგრამო, — განაგრძობს იგი, — ზოგიერთები ამის წინ აყენებენ პროლოგს, რომელიც ასე იწყება: „Πολλῶν θυτῶν τῶν τῆς Θεοπνεύστου ἡραφῆς ὀηλουμένων“. გრიბომონის მითითებით ეს არის დასაწყისი 22-ე წერილისა. ეს წერილი მართლაც ამგვარად იწყება: „Πολλῶν θυτῶν τῶν ὑπὸ τῆς Θεοπνεύστου ἡραφῆς ὀηλουμένων“<sup>2</sup>. მართლაც V რეცენზია იწყება პრ. 6-ით, ასევე იწყება N 6 რეცენზია; ხოლო S' და M რეცენზიები იწყება 22-ე წერილით.

სქოლიო 2 მოთავსებულია პრ. 6-ის ბოლოს. იგი მიუთითებს ბასილის მიერ ასკეტიკონის ჩამოყალიბებაზე: ბასილს მონაზვნური ცხოვრების პერიოდში, ეპისკოპოსობამდე, ასკეტებმა შეკითხვები დაუსვეს. მან თავისი პასუხები წერილობითი სახით ჩამოაყალიბა და მოგვცა მ ც ი რ ე ა ს კ ე ტ ი კ ო ნ ი (τὸ μακρὸν ἀσκητικόν). ხოლო ეპისკოპოსობის დროს მან გადახედა თავის ნაშრომს. განაახლა და გადასცა მამებს, რომლებიც აგრეთვე ეკითხებოდნენ მას. ასეთ პირობებში კი საჭირო იყო მას პროლოგის სახით დაერთო გარკვეული გადმოცემა და ციტატები საღვთო წერილიდან. გრიბომონის აზრით, ამ სქოლიოში აღნიშნული მ ც ი რ ე ა ს კ ე ტ ი კ ო ნ ი უნდა იყოს ბერძნული მოდელი ძველი ლათინური და სირიული ვერსიებისა (Rl და Rs); გადმოცემა — პროლ. 8 და საღვთო ციტატების კოლექცია — კრებული „მორალური წესებისა“. ამრიგად, სქოლიასტის აზრით, „კითხვები“, „მორალური წესები“ და პროლ. 8 უშუალოდ ბასილის ნაწარმოებებია; მ ც ი რ ე „ასკეტიკონი“ ბასილმა პონტოში

<sup>1</sup> სქოლიოების ბერძნული ტექსტი გამოქვეყნებული აქვს გრიბომონს *ob. Histoire...*, გვ. 152—156.

<sup>2</sup> *Migne, PG., t. 32, 288.*

შეგნება. ხოლო „ასკეტკონის“ მეორე რედაქცია მან ეპისკოპოსობისას ჩამოაყალიბა.

სქოლიო 3 პროლ. 8-ს დასაწყისშია. მასში ნათქვამია: პონტოდან მოტანილ 3 ძველ ეგზეგეზარს, რომელთა მიხედვით ეს წიგნი იყო გადაწერილი. ჰქონდა მხოლოდ ერთი სათაური: ასკეტობის ჰიპოტიპოსი—*ἡ παλαιὰ ἀσκητικὴ* (სამოღვაწეო ნიმუში). ხოლო ის ქვესათაურები. რომლებსაც აქ ვურთავ თითოეულ თავს, კესარიის ხელნაწერში ვნახე; თანაც ისინი ყველგან ამგვარი სახით არ იყო ფორმირებული. როგორც ჩანს, ეს სათაურები დართულია მოგვიანებით. რომ უფრო სასიამოვნო და მარტივი გამხდარიყო კითხვა. ამგვარად. სქოლიასტის აზრით. „ასკეტკონის“ თავდაპირველ რედაქციას ერთი სათაური უნდა ჰქონოდა—ჰიპოტიპოსი; ხოლო ქვესათაურები შემდეგდროინდელია. ეს სათაური (ჰიპოტიპოსი) დღევანდელ რედაქციებშიც არის შემორჩენილი. პროლ. 6-ის სათაური ასეთია: *ἡ ἀρχαία ἐκ τῆς παλαιᾶς ἀσκητικῆς*<sup>1</sup>.

სქოლიო 4 „ვრცელ წესებს“ შეეხება და დართულია „ვრცელი წესების“ ინდექსის ხან თავში, ხან ბოლოში. სქოლიასტი მიუთითებს: 55 ქვეთავიდან უძველეს ხელნაწერებში იყო მხოლოდ 18, რომლებიც სწორედ ბასილის კითხვებს წარმოადგენენ. დანარჩენი სივების მიერაა დართული. კესარიის ხელნაწერში არის 32, ხოლო აღმოსავლეთიდან მომდინარეში 20, სხვებში კიდევ სხვა რაოდენობით. მე სრულად დაწვერე 18 კითხვა, ხოლო დანარჩენები მინდობზე დაუერთე. ამგვარად სქოლიასტი იტყობინება, რომ ვრცელი კითხვების რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვი—55 მის მიერაა შექმნილი. მართლაც ამ რაოდენობის ვრცელი კითხვები მხოლოდ V რეცენზიაშია წარმოდგენილი. გრიბომონის აზრით, გასარკვევია რიცხვების 18, 20 და 32-ის საკითხი (თუმცა N და O რეცენზიებში ვრცელი კითხვების რაოდენობა დღესაც 20-ია).

სქოლიო 5 არის მე-16 ვრცელი წესის პირდაპირ. სქოლიასტი მიუთითებს, რომ ამ ადგილას პონტოდან და კესარიიდან მომდინარე ხელნაწერებში ტექსტი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ასეთი რამ სხვა შემთხვევებშიც გვხვდება და ალბათ იმითაა გამოწვეული. რომ თვითონ ბასილი ასწორებდა თავის ნაწერებს და სხვადასხვა შემკითხველს სხვადასხვა სახით აძლევდაო. ამგვარად, V—VI საუკუნეებშიც არსებული ხელნაწერებს შორის ტექსტუალური განსხვავებანია. რომელსაც სქოლიასტი ბასილის ხელიდან გამოსული რედაქციული განსხვავებებით ხსნის.

<sup>1</sup> Migne, PG, t. 31, 1509.

სქოლიო 6 არის „ვრცელი წესების“ ბოლოში და „მოკლე წესების“ ინდექსის დასაწყისში. იგი მიუთითებს, რომ კესარიიდან მომდინარე ხელნაწერებში ვრცელი და მოკლე „კითხვები“ ერთი სერიითაა წარმოდგენილი; ხოლო პონტოდან მომდინარეში იგი უკეთესადაა. აქ წესები, რომლებსაც თვითონ ბასილი უწოდებდა ვრცელს, ცალკეა წარმოდგენილი. მე პონტოს რედაქციას მივბაძე და ეს წესები იქედან გადავწერე სრულად, ხოლო, რაც კესარიიდან მომდინარე ხელნაწერში უფრო მეტი იყო, იგი ბოლოში დავერთეთ. ამგვარად, სქოლიასტი ადასტურებს, რომ ზოგიერთ რედაქციაში (კერძოდ კესარიიდან მომდინარეში) მოკლე და ვრცელი წესები ერთი სერიით იყო წარმოდგენილი. ამგვარი ვითარება ახლა დაცულია S' და M რეცენზიებში. სქოლიასტის აზრით წესების ვრცლად და მოკლედ დაყოფა თვითონ ბასილისეული უნდა იყოს.

სქოლიო 7 არის 286-ე მოკლე კითხვის ბოლოში და 287-ე მოკლე კითხვის დასაწყისში. სქოლიო მიუთითებს: ეს ხელნაწერი ასახავს ძალიან ძველ ეგზემპლარს, რომელიც პონტოდან მომდინარეობს, იმ ადგილიდან, სადაც გაატარა ასკეტური და განმარტოებულის ცხოვრება დიდმა ბასილმა. ეს ეგზემპლარი შედარებულია კესარიიდან მომდინარე ხელნაწერებთან. ამის შემდგომი 27 თავი და ეპიტომიები დართული იქნა სწორედ კესარიის ხელნაწერის მიხედვით. ამგვარად, სქოლიასტი მიუთითებს, რომ მან გადაწერა პონტოს ხელნაწერის 286 მოკლე კითხვა და მას დაურთო 27 კითხვა და ეპიტომიები კესარიის ხელნაწერის მიხედვით.

სქოლიო 7 სხვა ხელნაწერებში სხვაგვარი სახითაა. სქოლიო 7-ის პირველი ნაირსახეობაა სქოლიო 8: აქამდე პონტოდან მოტანილი ხელნაწერი გრძელდებოდა, ხოლო შემდგომი 27 თავი და ეპიტომიები კესარიის ხელნაწერის მიხედვით არის დართული. სქოლიო 7-ის მეორე ნაირსახეობაა სქოლიო 9: ესენიც აგრეთვე დართულია კესარიის ხელნაწერის მიხედვით. სქოლიო 8 და სქოლიო 9, ისევე როგორც სქოლიო 7, 286-ე მოკლე წესის შემდეგაა დართული.

გაითვალისწინა რა სქოლიასტის მსჯელობა საკუთრივ ბასილის მიერ დაწერილი თხზულებების შესახებ და სქოლიასტის გადმოცემა ჰიპოტიპოსზე, დღეისათვის შემონახული რეცენზიების საფუძველზე, გრიბომონმა ბასილისადმი მიკუთვნებული ასკეტური ნაწერები ორ ნაწილად დაყო. ასკეტური კორპუსის არქაულ ფორმას მან, ტრადიციის მიხედვით, ჰიპოტიპოსი უწოდა. ჰიპოტიპოსის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: „კითხვები“, მორალური წესები, პროლოგები 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, წერილი 17322, ეპიტომიები 24, 25. XI საუკუნიდან ჰიპოტიპოსი შედის უფრო გაფართოებულ კორპუს-



სებში, რომლებშიაც, გარდა ჰიპოტიპოსის თხზულებებისა, გვხვდება კიდევ სხვა ნაწარმოებები, მათ გრიბომონი უწოდებს Séquence (შემდგომი, მომდევნო). ესენია: „სამონასტრო კონსტიტუციები“, De Baptismo, სიტყვები 10, 11, 12, 13, 14, ეპიტიმები 26; მათ ერთვის, აგრეთვე: ასკეტური შინაარსის წერილები.

ამ ტიპის თხზულებებიდან თავისი რედაქციული მრავალფეროვნებით გამოირჩევა „სამონასტრო კონსტიტუციები“. ეს თხზულება დაახლოებით 30 თავისაგან შედგება. როგორც თავების რაოდენობა, ასევე მათი მიმდევრობა და თითოეული თავის შედგენილობა სხვადასხვა რედაქციაში სხვადასხვაგვარია. გრიბომონი გამოჰყოფს V, S', N, M და O რეცენზიების „სამონასტრო კონსტიტუციებს“. მაგრამ, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში რეცენზიები ერთმანეთზე ახდენდა გავლენას, თითოეული რეცენზიის ჰიპოტიპოსთან ყოველთვის ამავე რეცენზიის „სამონასტრო კონსტიტუციები“ არ არის წარმოდგენილი. V რეცენზიის ჰიპოტიპოსთან წარმოდგენილია ზოგჯერ V და ზოგჯერ N „სამონასტრო კონსტიტუციები“. S' რეცენზიის ჰიპოტიპოსთან ზოგჯერ S' და ზოგჯერ N „სამონასტრო კონსტიტუციები“. N რეცენზიის ჰიპოტიპოსთან მხოლოდ N რეცენზიის „სამონასტრო კონსტიტუციები“; ხოლო ჰიპოტიპოს N-სთან V „კონსტიტუციები“. ჰიპოტიპოს O-სთან წარმოდგენილია „კონსტიტუციები“ O და ჰიპოტიპოს M-თან კონსტიტუციები M-გვხვდება V და N-ის ნარევი ხელნაწერები, რომლებსაც „კონსტიტუციებიც“ ნარევი სახის გააჩნიათ. ამ ტიპის „სამონასტრო კონსტიტუციებს“ გრიბომონმა უწოდა კონსტიტუციები W.

ვულგატას სქოლიოებმა შესაძლებლობა მოგვცა დაახლოებით მაინც გავითვალისწინოთ „ასკეტიკონის“ VI საუკუნის უწინარეს არსებული რედაქციები<sup>1</sup>. ხელნაწერი, რომელიც მთლიანად შევიდა ვულგატაში არის პონტოს მანუსკრიპტი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰიპოტიპოსის უპირველესი რედაქცია აქ, პონტოში ჩამოყალიბდა დაახლოებით V ს. დასაწყისში. პონტოური რედაქციის ჰიპოტიპოსში ალბათ შედიოდა პროლ. 7, 8, „მორალური წესები“ და „კითხვები“. სქოლიო 1-ში წერილ 22-ზე მოცემული ცნობების მიხედვით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ კრებულს ასრულებდა წერილი 13722. ექსარიის მანუსკრიპტში პონტოურისაგან განსხვავებით ცალკეულ თხზულებებს თავ-თავიანთი სათაურები ჰქონდათ. „ვრცელი წესები“ აქ 32-ად იყო დაყოფილი, ხოლო „მოკლე წესები“ პონტოურ რედაქციასთან შედარებით 27-ით

<sup>1</sup> იხ. Gribomont, Histoire..., გვ. 160—164.

მეტი იყო. აგრეთვე, ამ ხელნაწერიდან შევიდა ვულგატაში ეპიტომები, საგულისხმებელია, რომ ეპიტომები 24, რადგანაც იგი ვულგატას ყველა ხელნაწერში შედის. კესარიის მანუსკრიპტი წერილი 22-ით იწყებოდა და მასში მოკლე და ვრცელი „კითხვები“ ერთი სერიით იყო. ამ ნიშნების მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი S' რეცენზია უნდა მოდიოდეს უშუალოდ კესარიის მანუსკრიპტისაგან. სქოლიასტს შეუსწავლია აღმოსავლური მანუსკრიპტი. მასში წესები ერთი სერიითაა და, თანახმად მე-6 სქოლიოსი, სულ 252-ია; ხოლო „ვრცელი წესები“ 20-ად არის დაყოფილი. ამას არ შეესაბამება დღეისათვის ცნობილი არც ერთი ხელნაწერის აღწერილობა. ახლანდელი აღმოსავლური ხელნაწერები უფრო სრულია. უნდა ვიფიქროთ, რომ მათზე შემდგომ პერიოდში V-ს მოუხდენია დიდი გავლენა. აღსანიშნავია, რომ „ვრცელი წესების“ 20-ად დაყოფა ახასიათებს დღეს O და N რეცენზიებს. აღმოსავლეთიდან მომდინარე დღევანდელ ხელნაწერებში არის რამდენიმე კითხვა, რომლებიც სქოლიასტს ვულგატაში არ შეუტანია.

დგება საკითხი თვითონ „კითხვების“, ბასილის ძირითადი და უძველესი ნაწარმოების პირვანდელი რედაქციების შესახებ. დღევანდელ რეცენზიებში კითხვები არა მარტო სხვადასხვა რაოდენობით, არამედ სხვადასხვა მიმდევრობითაცაა წარმოდგენილი. ბასილის „კითხვა-მიგებების“ დღეისათვის ცნობილი რეცენზიების ურთიერთ შედარებამ და შეჯერებამ მეცნიერება მიიყვანა სამ უძველეს რედაქციამდე, რომლებსაც გრიბომონი პირობით უწოდებს V, Y და X. V-ს პირვანდელი მიმდევრობა უნდა იყოს ცდა ძველი სისტემატიზაციისა, ეს უნდა იყოს ის თანმიმდევრობა, რომლითაც პონტოს ასკეტები აჯგუფებდნენ ამ კითხვებს. რედაქცია Y აღდგენილია 7 რეცენზიის მონაცემების საფუძველზე, ესენია: S', H', N, O, M, A', K. ხოლო დანარჩენი რეცენზიების შეჯერება იძლევა რედაქციას X. ამ სამი აღრინდელი გადამუშავებიდან უძველესია X, მეორე Y და მესამე V. გრიბომონი გარკვევით მიუთითებს, რომ X-ის თანამიმდევრობა უფრო ძველია და უფრო ახლობელი პირვანდელთან<sup>1</sup>.

ფილოლოგია ბასილის ასკეტური ნაწერების შესასწავლად არც ერთ დეტალს არ ტოვებს ყურადღების გარეშე. საკითხის ასეთი დეტალური შესწავლის გამო განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ყოველ ახალ ხელნაწერზე, ყოველ ახალ ფრაგმენტზე მითითებას და მეცნიერთათვის ცნობილი, მაგრამ არახელმისაწვდომი ხელნაწერების

<sup>1</sup> J. G ribomont, Histoire..., გვ. 205, 208, 254.

შესწავლას. მიუხედავად საკითხის დამუშავების ასეთი მაღალი დონისა, მეცნიერებაში დღემდე არ არის სრულყოფილად შესწავლილი და გათვალისწინებული ბასილის ასკეტური ნაწერების ქართული რედაქციები. გრიბომონი პირდაპირ წერს: „თბილისის ხელნაწერი ჩემთვის საბოლოოდ მიუწვდომელი დარჩა“<sup>1</sup>. ეს ფაქტი მით უფრო არასახარბიელოა, რომ ბასილის „სამოღვაწეო წიგნის“ ერთ-ერთი ქართული რედაქცია შედგენილია XI საუკუნის დიდი ქართველი მთარგმნელისა და მეცნიერის ეფრემ მცირის მიერ, რომელსაც მეცნიერულად შეუსწავლია ბასილის ასკეტური ნაწერების საკითხი და საკუთარი თარგმანისათვის საინტერესო შენიშვნები დაურთავს.

---

<sup>1</sup> „Un manuscrit de Tiflis m'est enfin resté inaccessible“—J. Gri-  
bomont, Histoire..., 33. 5.

## თ ა შ ი პ ი რ შ ე ლ ი

ბასილი კესარიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები დღემდე არც ქართველოლოგიაში ყოფილა სპეციალური გამოკვლევის საგანი. ბასილის ასკეტური თხზულებების ქართულ თარგმანებს სპეციალურ ლიტერატურაში, უმეტეს შემთხვევაში, ცალ-ცალკე ეხებიან. ამიტომაც ჩატარებული მუშაობა ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა. ამგვარი მუშაობა ბასილის „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანების შესასწავლად თედო ჟორდანიამ დაიწყო. მან აღწერა ხელნაწერები A:689, 132, 63, მიუთითა მათში ბასილის „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანების არსებობაზე, გამოაქვეყნა A—689 ხელნაწერის ანდერძი და ზოგიერთი სქოლიო, რომლებსაც საკუთარი განმარტებები დაურთო<sup>1</sup>. თ. ჟორდანიამ პირველმა მიუთითა, რომ A—689 ხელნაწერში წარმოდგენილი ბასილის „ასკეტიკონი“ არის ეფრემ მცირის თარგმანი.

თ. ჟორდანიამ გამოთქვა ვარაუდი, რომ ხელნაწერი A—689 შესაძლებელია ეფრემ მცირის ავტოგრაფს წარმოადგენდესო. თავისი „ქრონიკების“ წიგნში იგი წერს: „ხელნაწერი ქუთაისის ტაძარში, სობორში, ძველს ქალაღზე, XII საუკ. ხელით, in folio. შეიცავს ბასილ დიდის ასკეტიკონს, გადაწერილს, რამდენადაც ვიცნობთ, თვთ ეფრემ მცირის კელით“<sup>2</sup>. ჩვენი აზრით ეს ვარაუდი არ არის

<sup>1</sup> იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 39—43; Ф. Жордания, Описание рукописей Тифлисского церковного музея, кн. I, 1903, გვ. 56, 140; მისივე, Описание..., кн. II, 1902, გვ. 164—166.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 39.

ბასილის „ასკეტიკონის“ ხელნაწერს, რომელსაც თ. ჟორდანიას ეფრემ მცირის ხელით გადაწერილად მიიჩნევდა, ეფრემ მცირის ავტოგრაფის დადგენაზე მუშაობისას ეძებდა ე. მეტრეველი. იგი წერს: „ეფრემის ავტოგრაფს ასახელებს თ. ჟორდანიაც თავისი „ქრონიკების“ II წიგნში: „ხელნაწერი ქუთაისის ტაძარში“... ამ ხელნაწერის კვალს ვერ მივაკვლიეთ... (ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 116). ის ხელნაწერი, რომელსაც თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ იხილავს და ეფრემის გადაწერილად მიიჩნევს, არის ნამდვილად ხელნაწერი A—689. ამას ადასტურებს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ „ქრონიკების“ II წიგნის 39—43 გვერდებზე აღწერილ წიგნს ზუსტად შეესაბამება A—689

სწორი. ეს ხელნაწერი არ უნდა იყოს ეფრემ მცირის ხელით გადაწერილი. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ A—689 ხელნაწერი არ არის იმ ხელით გადაწერილი, რომელიც დღეს მეცნიერებაში ეფრემ მცირის ავტოგრაფადაა მიჩნეული<sup>1</sup>.

თელო ჟორდანიას ნათლად არა აქვს წარმოდგენილი ბასილის „ასკეტიკონის“ შედგენილობა. ეს იქიდან ჩანს, რომ A—132 ხელნაწერში იგი სამ სხვადასხვა ნაწარმოებს ხედავს: „ა) „Аскетикон“ св. Вазилия Великого, стр. 1—368. б) Его же богословский трактат „об удалении от мира для усовершенствования себя подвижническою жизнью“ стр. 369. г) Его же „о тех, которые избрали для себя подвижническую жизнь“ стр. 386—469“<sup>2</sup>. აქედან კი ის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თ. ჟორდანიას „ასკეტიკონიდან“ გამოყოფს უკანასკნელ ორ თხზულებას. რომ ეს ორი თხზულებაც კრებულ „ასკეტიკონის“ შემადგენელი ნაწილებია, ამას ადასტურებს არა მხოლოდ ის, რომ ეს თხზულებები ბერძნულ ხელნაწერებში „ასკეტიკონის“ შემადგენლობაში შედის, არამედ ისიც, რომ თვითონ ამ ხელნაწერის თანახმად ისინი „ასკეტიკონის“ შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული; ეს იქიდან ჩანს, რომ ეფრემ მცირის ანდერძი, რომელშიაც საუბარია იმაზე, თუ როგორ თარგმნა ეფრემმა „ასკეტიკონი“, მოთავსებულია ამ თხზულებების შემდეგ (227v). ამ თხზულებების შემდეგაა მითითებაც: „აქა სრულ იქმნა ასკეტიკაჲ დიდისა ბასილისი“ (227v). სხვა ადგილას თ. ჟორდანიას თვითონაც ხედავს. რომ ხელნაწერების მიხედვით ეს თხზულებებიც კრებულ „ასკეტიკონში“ შედის. A—689 ხელნაწერის აღწერისას თ. ჟორდანიას მიუთითებს, რომ „В „аскетиконе“ между прочим помещены статьи“...<sup>3</sup> და ასახელებს რამდენიმე თხზულებას. მათ შორის „Об удалении из мира“. A—63 ხელნაწერის აღწერისას კი თ. ჟორდანიას მიუთითებს, რომ ამ ხელნაწერში მოთავსებულია ერთი თხზულება—ბასილის „ასკეტიკონი“<sup>4</sup>; მაშინ, როდესაც ამ ხელნაწერშიცაა მოთავსებული ის სტატია, რომელიც A—132 ხელნაწერის აღწერისას თ. ჟორდანიამ გამოჰყო „ასკეტიკონიდან“.

---

ხელნაწერი, არამედ თვითონ ჟორდანიას პირდაპირი ხასიათის მითითებაც: ხელნაწერ A—689-ს აღწერისას თ. ჟორდანიას წერს: „И тут же все те записи, какне из этой самой рукописи взяты и отпечатаны в моей книге „Хроникн“ II (стр. 39—43)“—Ф. Жордания, Описание..., кн. II, гл. 166.

<sup>1</sup> ის. ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი.

<sup>2</sup> Ф. Жордания, Описание..., кн. I, гл. 140.

<sup>3</sup> „Описание...“, кн. II, гл. 165.

<sup>4</sup> „Описание...“, кн. I, гл. 56.

არასწორი და არასრულია A—132 და A—689 ხელნაწერების ჟორდანიასეული აღწერილობა. თ. ჟორდანიას აზრით A—132 ხელნაწერი შედგება 3 ნაწილისაგან: ა) „Аскетикон“, ბ) „Об удалении от мира...“ ვ) „О тех, которые набрали для себя подвижническую жизнь“; ხოლო A—689 ხელნაწერის ასკეტური კრებული 4 ნაწილისაგან შედგება: 1) „Аскетикон“, 2) „Эпитимии“, 3) „Определения против грешных из текста священного писания—евангелия и апостола“, 4) „Об удалении из мира“. ამგვარად, A—132 ხელნაწერში ჟორდანია ასახელებს ერთ ისეთ თხზულებას („О тех, которые избрали для себя подвижническую жизнь“), რომელიც არ შედის A—689 ხელნაწერში; ხოლო A—689 ხელნაწერის ასკეტური კრებილიდან ასახელებს ორ ისეთ თხზულებას („Эпитимии“ და „Определения против грешных из текста священного писания“...), რომლებიც არ შედიან A—132 ხელნაწერის ასკეტურ ნაწერებში. სინამდვილეში კი A—132 და A—689 ხელნაწერები ერთმანეთის ნუსხებს წარმოადგენს და მათში ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონია“ წარმოდგენილი. ის ერთი თხზულება, რომელსაც ჟორდანია მხოლოდ A—132 ხელნაწერში ასახელებს, შედის A—689 ხელნაწერშიც და ის ორი თხზულება, რომლებსაც ჟორდანია მხოლოდ A—689 ხელნაწერში ასახელებს, შედის A—132 ხელნაწერშიც. გარდა ამისა, როგორც A—132, ასევე A—689 ხელნაწერში შედის კიდევ ერთი თხზულება, რომელსაც ჟორდანია საერთოდ ვერ ამჩნევს. ამრიგად, გარდა იმ ნაწილისა, რომელსაც ჟორდანია „ასკეტიკონად“ მიიჩნევს, ამ ხელნაწერებში გაერთიანებულია 5 ასკეტური თხზულება, რომლებსაც თ. ჟორდანია გარკვევით ერთმანეთისაგან ვერ გამოიჯნავს და ვერ გამოყოფს.

ამ ხელნაწერების პირველ ნაწილად თ. ჟორდანია ასახელებს „ასკეტიკონს“. ასკეტიკონი შესაძლებელია ვუწოდოთ ან მთლიანად ამ ასკეტურ კრებულებს, ან მხოლოდ ამ კრებულების 2 ძირითად თხზულებას—„კითხვა-მიგება ვრცლად“ და „კითხვა-მიგება მოკლედ“. თ. ჟორდანია კი ასკეტური კრებილიდან გამოყოფს ერთ ნაწილს, რომელშიაც შედის, როგორც „კითხვა-მიგებანი“, ასევე რამდენიმე პროლოგი და მას უწოდებს ასკეტიკონს. ასკეტური კრებულის ასეთ დანაწევრებას არც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით და იგი არც ხელნაწერთა ტრადიციითაა გამართლებული. თ. ჟორდანია არ იძლევა A—63 ხელნაწერის ასკეტური კრებულის შედგენილობას. იგი მხოლოდ და მხოლოდ მიუთითებს, რომ ამ ხელნაწერში ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონია“ წარმოდგენილი.

თ. ჟორდანიამ სხვა ხელნაწერშიც მიუთითა ბასილის „ასკეტიკონის“ არსებობაზე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ A—752 ხელნაწე-

რის 1—14 ფურცლებზე წარმოდგენილია ნაწყვეტი ბასილ დიდის „ასკეტიკონიდან“<sup>1</sup>. მაგრამ, როგორც A—752 ხელნაწერის შესწავლამ დაგვანახა, ეს მითითება არ არის სწორი, რადგანაც A—752 ხელნაწერის 1—14 ფურცლებზე წარმოდგენილ ტექსტს არავითარი კავშირი არა აქვს ბასილ დიდის „ასკეტიკონთან“.

თ. ჟორდანიამ A—689 ხელნაწერის ასკეტური კრებულის პირველ ნაწილში, რომელსაც მან საკუთრივ „ასკეტიკონი“ უწოდა, ორი ნაწილი გამოყო და მიუთითა თითოეულის შედგენილობაზე: „**Всех глав считается по сохранившемуся указателю статей (листы 6,8 и 52—59), в первой части 57 (л. 1—52) а во 2-й части—313 (л. 59—116)**“<sup>2</sup>. არასწორია თ. ჟორდანიას მითითება იმის შესახებ, რომ „ასკეტიკონის“ პირველ ნაწილში 57 თავია. ის საძიებელი, რომელზედაც თ. ჟორდანია ლაპარაკობს, არის „ვრცელი წესების“ ინდექსი. მასში გამოყოფილია არა 57, არამედ 55 კითხვა-მიგება. უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც თ. ჟორდანია 57 თავზე ლაპარაკობს, იგი ამ „კითხვა-მიგების“ ქვეთავებს უმატებს ამ ნაწარმოების წინ არსებულ პროლოგებს. ჯერ ერთი, ასეთი გაერთიანება ორი განცალკევებული ნაწარმოებისა მესამე ნაწარმოების ქვეთავებთან არ არის სწორი. მეორეც, „ვრცელ წესებამდე“ ეფრემის თარგმნილ „ასკეტიკონში“ არის არა ორი, არამედ 5 ნაწარმოები; მაგრამ ალბათ A—689 ხელნაწერი მაშინაც, როდესაც მასზე თ. ჟორდანია მუშაობდა, ისევე, როგორც ახლა, თავნაკლული იყო<sup>3</sup>.

თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა A—689 ხელნაწერში დაცული ერთ-ერთი სქოლიო. ეფრემ მცირის თარგმნილ „ასკეტიკონში“ 286-ე მოკლე წესის შემდეგ იკითხება: „ვიდრე აქამომდინი ოდენ წერილ იყო პონტოჲთ მოღებულსა წიგნსა, ხოლო ამიერითგანნი ოცდაშვიდნი თავნი და კანონნი კესარიადთ მოღებულისა წიგნისაგან შეეძინნეს“<sup>4</sup>. ეს სიტყვები თ. ჟორდანიას მიაჩნდა ქართველი მთარგმნელის მინაწერად და მის აზრს ასე გადმოსცემდა: „**т. е. в (греческом) оригинале, доставленном (для перевода на груз. яз.) из**

<sup>1</sup> „Описание..“. кн. II, гл. 210.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 164—65.

<sup>3</sup> A—689 ხელნაწერის პირველი 11 ფურცელი არასწორადაა აკინძული. ამ აკინძვით „ვრცელი წესების ინდექსიდან“ საკუთრივ „ვრცელ წესებამდე“ ორი სათაური იკითხება. შეიძლება, ამ ხელნაწერს ამგვარად აკინძულს იცნობდა თ. ჟორდანიაც და ინდექსის შემდეგ მოთავსებულ ორ პროლოგს უმატებდა „ვრცელი წესების“ 55 თავს და ამის საფუძველზე ამბობდა, რომ ამ კრებულის პირველ ნაწილში 57 თავიაო.

<sup>4</sup> A—689, 106 r.

პოტა (კუდა?—მა აფონ იმი ვ გრუზიუ?) ნე ბულო პოსლედნიხ 27  
 გლავ ი კანონოვ, კოტორე ვიკთი (იერევედენი) იზ რუკოპისი პრი-  
 სლავნიი იზ კესარიი“<sup>1</sup>. თავისი მოსაზრების დასაბუთება თ. ჟორ-  
 დანიამ დაინახა იმაში, რომ „Из сличения настоящей рукописи  
 с другими также подтверждается, что настоящий „Аскетикон“  
 заключает больше статей“<sup>2</sup>. ეკვგარეშეა, რომ ხელნაწერი, რომლი-  
 სათვისაც თ. ჟორდანიას A—689 ხელნაწერის „ასკეტიკონის“ „მოკ-  
 ლე წესების“ რაოდენობა შეუდარებია, არის A—63. მართლაც A—63  
 ხელნაწერის „ასკეტიკონში“ წარმოდგენილია 237 მოკლე წესი. მაგ-  
 რამ, რომ ამ ფაქტის ახსნა შესაძლებელი იყოს ზემოთ მოყვანილი-  
 მინაწერით, მაშინ ხელნაწერ A—63-შიც 286 მოკლე წესი უნდა იყოს  
 და მხოლოდ უკანასკნელი 27 უნდა აკლდეს, რადგანაც მხოლოდ ამ  
 27-ის შევსებაზე ლაპარაკობს მოყვანილი სქოლიო. თ ჟორდანიას  
 აზრი არ არის სწორი. ამ მინაწერში საუბარია არა ბერძნულიდან  
 ქართულად თარგმნის დროს გამოყენებული ორიგინალების შესახებ,  
 არამედ თვით ბერძნული რედაქციის ჩამოყალიბებაზე. ამის დამა-  
 დასტურებლად ისიც კმარა, რომ ამ მინაწერს იცნობს ბერძნული  
 ხელნაწერები. მაგალითად იგი სწორედ 286-ე მოკლე წესის შემდეგ  
 იკითხება ბერძნულ ხელნაწერში Venise Marcienne 63. ზემოთ მო-  
 ყვანილი მინაწერი არის V—VI საუკუნეების ბიზანტიელი სქოლიას-  
 ტის სქოლიო 7-ის სახესხვაობა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერა-  
 ტურაში ეწოდება სქოლიო 8. ეფრემ მცირის თარგმნილ „ასკეტი-  
 კონში“ 286-ე მოკლე წესის შემდეგ არსებული მინაწერი სქოლიო  
 8-ს სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს და ამდენად მასში ლა-  
 პარაკია არა ქართული თარგმანის შექმნაზე, როგორც ამას თ. ჟორ-  
 დანია ფიქრობდა, არამედ ბასილის „ასკეტიკონის“ ვულგატას რე-  
 დაქციის პირვანდელი სახის ჩამოყალიბებაზე.

ბასილის ასკეტურ თხზულებაში—„მორალური წესები“ ერთ-  
 ადგილას დამოწმებულია სიტყვები (მთ. 25.1): „მაშინ ემსგავსოს სა-  
 სუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარნი  
 მათნი და განვიდეს მიგებებად სიძისა და სძლისა“<sup>3</sup>. ამ ადგილს  
 ეფრემ მცირე ურთავს შენიშვნას: „შეისწავე, რამეთუ ძუელთა სა-  
 ხარებათა ბერძულთაცა ყოფილა სიძისა და სძლისა. ხოლო აწ არცა-  
 ლა მათთა არს და არცა ჩუენსა ახალსა, რამეთუ უსრულესისა მი-

<sup>1</sup> „Описание“..., тт. II, гл. 165.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> A—689, 113 г.



მაო წარებატა ეკლესიაჲ ღმრთისაჲ მადლითავე მისითა.“<sup>1</sup> თ. ჟორდანიანი ეფრემის ამ სქოლიოს ასეთი განმარტება დაურთო: „Из вышеозначенной приписки и текста видно, что тексты слященного писания приведены по древнему и, следовательно, первоначальный перевод аскетикона относится ко времени до афонских переводчиков“<sup>2</sup>. თ. ჟორდანიას დასკვნა არასწორია. მოყვანილი ტექსტიდან და ეფრემის სქოლიოდან მხოლოდ ის ჩანს, რომ ტექსტში, რომელსაც ეფრემი თარგმნიდა, ეწერა „სიძისა და სძლისა“ და ეფრემი გვაუწყებს, რომ ახალ ბერძნულ და ქართულ სახარებებში ეს ასე არ არისო. „ასკეტიკონის“ პირვანდელი ქართული თარგმანის შესახებ ამ ამბიდან არავითარი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. ეფრემის ამ მინაწერზე დაყრდნობით „ქრონიკების“ II წიგნში თ. ჟორდანიას კიდევ სხვა დებულებაც აქვს წამოყენებული: „აქილამ ცხადია, რომ XI საუკუნის მწერალი ეფრემი ახალ სახარებაზე უწოდს წმინდა ეფთიმის და გიორგის თარგმნილს, ხოლო ძველს სახარებად—უწინდელს IV—V საუკუნეში თარგმნილთა“<sup>3</sup>. რომ ეფრემი ახალ სახარებას ათონელთა თარგმანს უწოდებს, ეს ცხადია. მართლაც, გ. მთაწმიდისეულ სახარებაში იკითხება მხოლოდ „სიძისა“. ხოლო ძველ სახარებას ეფრემი უწოდებს XI საუკუნემდე არსებულ თარგმანებს, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდისაა ისინი თარგმნილი. ეს თარგმანები დღესაცაა დაცული X საუკუნის ხელნაწერებში. მართლაც, აღიშის, ჯრუჟის და პარხლის ოთხთავებში იკითხება ისე, როგორც, ეფრემის აზრით, ძველ სახარებაში იყო: „სიძისა და სძლისა“.

მიუხედავად ასეთი შეცდომებისა თ. ჟორდანიას მიერ ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანების შესასწავლად ჩატარებულ მუშაობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თ. ჟორდანიამ პირველმა აღწერა ბასილის „ასკეტიკონის“ შემცველი რამდენიმე ხელნაწერი და პირველმა მიუთითა „ასკეტიკონის“ ქართული რედაქციების არსებობაზე; პირველმა დაამტკიცა, რომ ბასილი კესარიელის „სამოღვაწეო წიგნი“ ქართულად ეფრემ მცირის თარგმნილი იყო.

### თ ა შ ი მ ე ო რ ა ი

1. ჟორდანიას მიერ ჩატარებული მუშაობა გააგრძელა და ახალ საფეხურზე აიყვანა აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ<sup>4</sup>. მან ერთმანეთს

<sup>1</sup> A—689, 113 r.

<sup>2</sup> „Описание“..., кн. II, гл. 165.

<sup>3</sup> „ქრონიკები“, II, გვ. 40.

<sup>4</sup> იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 259—260; კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები იველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, გვ. 20.

შეუღარა „ასკეტიკონის“ ხელნაწერები A:689, 132, 63 და მიუთითა, რომ პირველი ორი წარმოადგენს ეფრემის თარგმანს, ხოლო A—63 ხელნაწერის „ასკეტიკონი“ სხვისი თარგმანია. კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ ამ „ასკეტიკონების“ უკანასკნელი თხზულების ცალკეული თავები ქართულ ხელნაწერებში ცალ-ცალკე მოიპოვება. კერძოდ მან დაასახელა ხელნაწერი A--60<sup>1</sup>.

კ. კეკელიძე შეეცადა დაეძებნა ბასილის „ასკეტიკონის“ სხვა ქართული რედაქციებიც. ამ მიზნით მან ყურადღება მიაქცია ზ. ჭიჭინაძის ერთ ცნობას. ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს ვინმე იოსებ კანდელაკის შესახებ. იგი წერს: „იოსებ კანდელაკი სცხოვრობდა 1680 წლებში. ეს აღიზარდა გაენათის (გელათის—ე. ზ.) მონასტერში, ამის შემდეგ ივერიის მონასტერში წავიდა, იქ დარჩა კარგა ხანს, შეისწავლა სასულიერო სხვადასხვა საგნები და ბოლოს დაბრუნდა საქართველოში. საქართველოში ყოფნის დროს მას გადმოუთარგმნია ბერძნულიდან წიგნი „ასკეტიკოს“. ეს წიგნი ვასილისაგან არის ქმნილიო. ამ წიგნმა ჩვენამდის ვერ მოაღწია“<sup>2</sup>. კ. კეკელიძემ შეამოწმა ზ. ჭიჭინაძის გადმოცემა იოსებ კანდელაკისა და მის მიერ ბასილის „ასკეტიკონის“ თარგმნის შესახებ, მაგრამ რადგანაც ამ ცნობის დამამტკიცებელი არავითარი კვალი არ აღმოჩნდა, იგი, ზ. ჭიჭინაძის სხვა საექვო მოსაზრებებთან ერთად, გაუგებრობად ჩათვალა<sup>3</sup>.

კ. კეკელიძემ ზოგადად შეისწავლა „ასკეტიკონის“ ორივე ქართული რედაქციის შედგენილობა. იგი მიუთითებს, რომ ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონი“ შედგება: 1) წინასიტყვაობისა და შესავალი სტატიებისაგან. 2) თავნი განვრცელებითა საზღვართანი, 3) თავნი შემოკლებითა განსაზღვრებათანი, 4) კანონნი ბრალეულთანი და მეკანონისა მიმართ, 5) თავადთავი განსაზღვრებაჲ წამებითა წმიდათა წერილთაჲთა, 6) სიტყუაჲ მოლუაწებითი განშორებისათჳს სოფლით და სრულყოფისათჳს, 7) სიტყუანი მათდა მიმართ,

<sup>1</sup> თუმცა ხელნაწერ A—60-ის ნაცვლად კ. კეკელიძე ასახელებს ხელნაწერ A—66-ს (უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, გვ. 20). მაგრამ ამ ხელნაწერში არ არის კ. კეკელიძის მითითებული სტატია და იგი არის ხელნაწერ A—60-ში (კ. კეკელიძის მითითებულ გვერდებზე). აქ, რასაკვირველია, არის მექანიკური შეცდომა. ამაზე დაყრდნობით შეცდომა მოუვიდა ფრანგ ავტორ გრიბომონს, რომელიც მიუთითებს, რომ ბასილის ერთ-ერთი ასკეტური სტატია არის თბილისის სიძველეთა მუზეუმის 66-ე ხელნაწერში (J. Gribomont. Histoire... გვ. 80).

<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მეჩვიდმეტე და მეთერთმეტე საუკუნეებში, 1888, გვ. 12.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 259.

რომელნი მონაზონებისა ცხორებისა მოლუაწე იყვნენ; ეს უკანასკნელი სტატია შედგება 30 თავისაგან<sup>1</sup>. ეფრემის მიერ თარგმნილი „ასკეტიკონის“ დასაწყისში არის ოთხი ასკეტური სტატია, რომლებიც წარმოშობით სხვადასხვა ასკეტური ნაწარმოების პროლოგებს წარმოადგენს. ამ ოთხი სტატიიდან არც ერთი არ არის წინასიტყვაობა და „ასკეტიკონის“ ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში ისინი კრებულის დასაწყისშიც კი არაა მოქცეული. ამიტომაც მითითება, რომ ეს თხზულებები წარმოადგენს „წინასიტყვაობასა და შესავალ სტატიებს“ არ არის ზუსტი. ამ პროლოგების შემდეგ „ასკეტიკონში“ არის სამი სათაური: „თავნი განვრცელებითთა საზღვართანი“, „ასკეტიკონი“ და „კითხვაჲ მოლუაწეთაჲ“. „თავნი განვრცელებითთა საზღვართანი“ არ არის თავისთავადი მნიშვნელობის მქონე თხზულება, მასში წარმოდგენილია ინდექსი იმ თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „კითხვაჲ მოლუაწეთაჲ“. „კითხვაჲ მოლუაწეთაჲ“ არის ბასილის ასკეტური თხზულება „ვრცელი წესები“. მის წინ მოთავსებული სტატია, რომლის სათაურია „ასკეტიკონი“ არის „ვრცელი წესების“ პროლოგი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ეწოდება პროლოგი 4. ამ სამი თხზულების გაერთიანება სათაურში—„თავნი განვრცელებითთა საზღვართანი“ არ არის სწორი; რადგანაც ეს სათაური გულისხმობს მხოლოდ ინდექსს და არა თხზულებას. თუ გვინდა, რომ ეს სამი თავი ერთი სათაურის ქვეშ წარმოვიდგინოთ, მას უნდა ვუწოდოთ: „ვრცელი წესები“ პროლოგითა და კითხვების ინდექსით, ანდა, ქართულ ხელნაწერებში დაცული სათაურის მიხედვით, „კითხვაჲ მოლუაწეთაჲ“ პროლოგითა და კითხვების ინდექსით. შემდეგ ხელნაწერში იკითხება სათაურები: „თავნი შემოკლებითთა განსაზღვრებათანი“ და „განწესებაჲ შემოკლებითთა განსაზღვრებათაჲ“. ამ შემთხვევაშიც, პირველ თავში არის თვითონ თხზულების („მოკლე წესების“) ინდექსი და გაუმართლებელია მისი თხზულებად მიჩნევა. ნაწარმოებს თავისი ინდექსითურთ შეიძლება ვუწოდოთ „მოკლე წესები“, „მოკლე კითხვა-მიგება“, ან როგორც ხელნაწერები მიუთითებს, „განწესებაჲ შემოკლებითთა განსაზღვრებათაჲ“. შემდეგ მოდის ორი, ერთმანეთისაგან სავსებით დამოუკიდებელი თხზულება „კანონნი ბრალეულთანი“ და „მეკანონისა მიმართ“. არ არის მართებული ამ ორი თხზულების გაერთიანება. არც ის მითითებაა ზუსტი, რომ „ასკეტიკონის“ უკანასკნელი თხზულება—„სიტყუანი მათდა მიმართ, რომელნი მონაზონებისა ცხორე-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე. უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, გვ. 20.

ბისა მოლუაწე იყვნენ—შედგება 30 თავისაგან. მართალია, ხელნაწერში წარმოდგენილი დანომვრით ამ თხზულებაში თავების რაოდენობა ოცდაათია, მაგრამ ამ ნაწარმოებს წინ უძღვის მოზრდილი შესავალი, რომელიც არსებითად დამოუკიდებელი თავის შთაბეჭდილებას ქმნის. უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ამ ნაწარმოებში, შესავლის გარდა, არის 30 თავი.

კ. კეკელიძემ მიუთითა, რომ „ასკეტიკონის“ ეფრემის რედაქცია შედგება 14 ნაწილისაგან<sup>1</sup>. მართლაც, ეფრემის თარგმანის შემცველ ხელნაწერებში 14 თავია გამოყოფილი, მაგრამ ამათგან ორი თავი მხოლოდ ინდექსებს წარმოადგენს. ამგვარად, ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონი“ 12 დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება.

კ. კეკელიძის მითითების თანახმად A—63 ხელნაწერის „ასკეტიკონი“ წინასიტყვაობითურთ 9 ნაწილისაგან შედგება<sup>2</sup>, ანუ წინასიტყვაობის გარდა 8 თავისაგან<sup>3</sup>. წინასიტყვაობა არც ამ კრებულს გააჩნია. ის თხზულება, რომელიც ხელნაწერში თავნაკლულადაა წარმოდგენილი, არის ერთ-ერთი რიგითი შემადგენელი სტატია ბასილი კესარიელის ასკეტური კრებულისა. ხელნაწერი A—63 სათაურებით დაყოფილია 40 თავად. ამათგან უკანასკნელი 33 თავი შეადგენს ერთ თხზულებას „სამონასტრო კონსტიტუციებს“, მაგრამ ხელნაწერში მითითებული არ არის, რომ ეს 33 თავი ერთი თხზულების ნაწილებია. დანარჩენი შვიდი თავიდან ერთი წარმოადგენს „ვრცელი წესების“ ინდექსს, რომელიც ცალკე თხზულებად არ შეიძლება გამოიყოს. ამრიგად, ნაწარმოები სულ შვიდი ნაწილისაგან შედგება.

კ. კეკელიძის აზრით, A—63 ხელნაწერის „ასკეტიკონის“ უკანასკნელი ნაწილი შედგება 28 თავისაგან<sup>4</sup>. სინამდვილეში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ნაწილი 33 თავისაგან შედგება.

კ. კეკელიძემ საკვებით სწორად მიუთითა, რომ ეფრემის „ასკეტიკონში“, A—63 ხელნაწერის „ასკეტიკონთან“ შედარებით, ზედმეტია 4 ნაწილი: „კანონი ბრალეულთანი“, „მეკანონისა მიმართ“, „განსაზღვრებაჲ წამებითა წმიდათა წერილთაჲთა“ და „სიტყუაჲ მოლუაწებითი განშორებისათჳს სოფლით და სრულყოფისათჳს“<sup>5</sup>. გარდა ამ ნაწილებისა A—63 ხელნაწერში არ არის „გამოსახება წი-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I. გვ. 260.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 247.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 260.

<sup>5</sup> იქვე.

ენისაჲ“ (პროლ. 6), რომელიც სრული სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ეფრემის თარგმანში.

კ. კეკელიძის აზრით, ეფრემის რედაქციის „სამონასტრო კონსტიტუციები“ იმით განსხვავდება A—63 ხელნაწერის „ასკეტიკონის“ „სამონასტრო კონსტიტუციებისაგან“, რომ ამ უკანასკნელში არ არის ეფრემის რედაქციის 27-ე და 28-ე თავები და თვით თავების მიმდევრობა ამ რედაქციებში სხვადასხვაა<sup>1</sup>. ამ დახასიათებას უნდა დავუმატოთ ის, რომ A—63 ხელნაწერის რედაქციის „სამონასტრო კონსტიტუციების“ I თავი არ არის ეფრემის რედაქციაში. გარდა ამისა, ეფრემის რედაქციის XV თავი A—63 ხელნაწერში გაყოფილია XIII და XIV თავებად, ხოლო ეფრემის რედაქციის VIII თავი—XVI, XVII და XVIII თავებად.

კ. კეკელიძის აზრით, ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ ბერძნული ტექსტი არის დაბეჭდილი Migne, PG, 31, 619—653, 870—1428 გვერდებზე<sup>2</sup>. სხვა ადგილას იგი მიუთითებს, რომ ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონის“ ქართული ტექსტი შეესაბამება Migne, PG, t. 31, col. 889—1306<sup>3</sup>, ეს მითითებები არ არის ზუსტი. ბასილის „ასკეტიკონის“ ქართულ თარგმანებში წარმოდგენილია თხზულებები, რომლებიც კ. კეკელიძის მიერ მითითებულ ადგილას არ გვხვდება. ასე მაგალითად: „ვრცლად დაწყებაჲ სიტყუსაჲ“ (PG, 31, 650—676) „გამოსახვაჲ წიგნისაჲ“ (PG, 31, 1509—1513), „სიტყუაჲ სარწმუნოებისათჳს“ (PG, 31, 676—669), „განსაზღვრებაჲ წამებითა წმიდათა წერილთაჲთა“ (PG, 31, 700—869), „მეკანონისა მიმართ“ (PG, 32, 288—293, 648—649) და სხვ. .

კ. კეკელიძე ბასილის „ასკეტიკონის“ ერთ-ერთ ქართულ რედაქციაზე მსჯელობის დასაწყისში მიუთითებს, რომ ეფრემ მცირემ ქართულად თარგმნა „ასკეტიკონი ბასილი დიდისა, ითიკის გამოკლებით, რომელიც ექვთიმე ათონელს უთარგმნია“<sup>4</sup>. ე. ი. კ. კეკელიძის აზრით „ითიკა“, რომელიც ექვთიმე ათონელმა თარგმნა, არის ბასილის „ასკეტიკონის“ ერთი ნაწილი<sup>5</sup>, ხოლო ეფრემმა თარგმნა ეს „ასკეტიკონი“, სწორედ „ითიკის“ გამოკლებით. ეს შეხედულება აო არის სწორი. კ. კეკელიძე შეცდომაში შეიყვანა იმან,

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 260.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები V, გვ. 20.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, I, 259.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იხილე აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, Материалы для истории груз. лит. литературы; ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 122

რომ ქართული ხელნაწერების თანახმად ექვთიმე ათონელმა თარგმანა ბასილი კესარიელის „ითიკა“, ხოლო ბასილის ასკეტურ თხზულებებს შორის ბერძნულ გამოცემაში ჩართულია ერთი მოზრდილი ნაწარმოები, რომელსაც ინდექსის შემდეგ თავზე აწერია: „Αρχη τῶν ἡμῶν“ (PG, 31, 692—869). ამიტომ, რომ, როდესაც ექვთიმეს თარგმნილ ბასილის „ითიკას“ იხილავს, კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ „ითიკის“ ბერძნული ტექსტი წარმოდგენილია Migne, PG, 31, 653—870 გვერდებზე<sup>1</sup>; ხოლო, როცა ეფრემის თარგმნილ „ასკეტიკონის“ ბერძნულ დედანს მიუთითებს, კ. კეკელიძე სწორედ ამ გვერდებს ტოვებს (იგი უთითებს PG, 31, 619—653, 870—1428). Migne-ს გამოცემაში (t. 31) 653—869 გვერდებზე ძირითადი ნაწარმოები არის 80 ქვეთავიანი თხზულება 'Hμῶν, რომელსაც წინ უძღვის ორი შედარებით პატარა სტატია. აქედან კ. კეკელიძემ გამოიტანა დასკვნა, რომ PG, t. 31, 653—869 გვერდებზე არის მოთავსებული ექვთიმე ათონელის თარგმნილი ბასილ დიდის თხზულება „ითიკა“ და იგი ჩართულია „ასკეტიკონში“; ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ნაწარმოები „ითიკა“ გარდა ამ ადგილისა ბასილ დიდის ნაწერებში არ არის, ხოლო ქართულად კი ნამდვილად მოიპოვებოდა ექვთიმე ათონელის თარგმნილი ბასილის „ითიკა“. ეს შეხედულება სინამდვილეს არ შეეფერება. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოებანი: 1. ის ბერძნული ტექსტი (PG, 31, გვ. 653—869), რომელიც კ. კეკელიძის შეხედულების თანახმად არის ექვთიმე ათონელის თარგმნილი ბასილის „ითიკა“ და რომელიც ეფრემს ბასილის „ასკეტიკონში“ არ უთარგმნია, სინამდვილეში შესულია „ასკეტიკონის“ ეფრემისეულ ქართულ რედაქციაში. ეფრემის თარგმნილ „ასკეტიკონში“, ისევე, როგორც „ასკეტიკონის“ ბერძნულ ხელნაწერებში, ეს არის სამი თხზულება: „ერცლად დაწყებაჲ სიტყვსაჲ“ — პროლ. 7 (PG, 31, 653—676), „სიტყუაჲ სარწმუნოებისათჳს“ — პროლ. 8 (PG, 31, 676—692) და „თავად თავადი განსაზღვრებაჲ წამებითა წმიდათა წერილთაჲთა“ — „მორალური წესები“ (PG, 31, 700—869). 2. ის 'Hμῶν, რომელიც ჩართულია ბასილის ასკეტურ ნაწერებში, არის ბასილ დიდის ერთ-ერთი ძირითადი ასკეტური ნაწარმოები „მორალური წესები“ (Moralia). 3. ექვთიმეს თარგმნილ ბასილ დიდის „ითიკაში“ კ. კეკელიძე ვერ ასახელებს ვერც ერთ ნაწარმოებს, რომლის შესატყვისი ბერძნული ტექსტი იყოს წარმოდ-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, გვ. 17. შეადარე: O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, III; გვ. 140; O. Bardenhewer, Patrologie, 1910, გვ. 244.

გენილი PG, 31-ე ტომის 653—869 გვერდებზე<sup>1</sup>. ექვთიმეს თარგმნილი ბასილ დიდის „ითიკა“ ჰომილიების კრებულს წარმოადგენს, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ბასილ დიდის „მორალურ წესებთან“ (Ἠθικά).

მიუხედავად ზოგიერთი არაზუსტი შეხედულებისა, კ. კეკელიძის მიერ ჩატარებული მუშაობა ახალ საფეხურს წარმოადგენს ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანების შესწავლის საქმეში. კ. კეკელიძე შეეცადა ერთმანეთისათვის შეედარებინა „ასკეტიკონის“ ქართული რედაქციების შედგენილობა. კ. კეკელიძემ პირველმა მიუთითა ამ თხზულებაში მოთავსებული ტექსტის ბერძნულ ორიგინალზე. კ. კეკელიძემ პირველმა გამოყო ორი რედაქცია ბასილი კესარიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართულ ხელნაწერებში და პირველმა მიუთითა ბასილის ასკეტური ხასიათის თხზულებების სხვა ხელნაწერებში არსებობაზე. კ. კეკელიძე „ასკეტიკონის“ ეფრემისეულ თარგმანზე დართული ანდერძის საფუძველზე შეეცადა გაეთვალისწინებინა პროკოპი მღვდლის მთარგმნელობითი მოღვაწეობა (დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ).

#### თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

აკად. კ. კეკელიძის მიერ ჩატარებული მუშაობა ბასილი კესარიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციების შესასწავლად დღეისათვის ქართული ლიტერატურის ისტორიაში უკანასკნელ სიტყვად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი მეცნიერების მუშაობა ამ საკითხზე ძირითადად ხელნაწერთა მოპოვებითა და მათი ზოგადი აღწერილობით შემოიფარგლა, მას მაინც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველი მეცნიერების მიერ დღემდე ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე აღმოჩენილია ბასილი კესარიელის სამოღვაწეო წიგნის ორი ქართული რედაქცია, რომლებიც სხვადასხვა თარგმანს წარმოადგენენ. ქართველი მეცნიერების მიერ გამოკვლეულია, რომ ერთი ქართული თარგმანი ბასილის „ასკეტიკონისა“ ეფრემ მცირეს ეკუთვნის. მითითებულია, რომ ეს თარგმანი დღეისათვის შემონახულია ორი ხელნაწერით. ქართველი მეცნიერების მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ასკეტიკონის“ მეორე ქართული ვერსიის მთარგმნელი პროკოპი მღვდელი უნდა იყოს. ქართული ლიტერატურის ისტორიაში დღეისათვის ცნობილია, რომ ამ ორი რედაქციიდან I (ეფრემის რედაქცია) თავისი შედგენილობით უფრო მრავალფეროვანია. მითითებულია, რომ ბა-

<sup>1</sup> იხ. კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, V, გვ. 17—19.

სილი კესარიელის ასკეტური ნაწერები ქართულ ხელნაწერებში ცალ-ცალკეცაა წარმოდგენილი და ამის მაგალითად დასახელებულია ერთი ხელნაწერი. დღეისათვის ქართველი მეცნიერების მიერ ბასილი კესარიელის ასკეტური ნაწერების შემცველად დასახელებულია ხელნაწერები A:689, 132, 63, 60.

რადგანაც ბასილ დიდის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები დღემდე სპეციალური გამოკვლევის საგანი არ გამხდარა, ქართველი მეცნიერების მიერ ბასილის ასკეტური ნაწერების შესასწავლად ჩატარებული მუშაობა საჭიროებს შემდგომ შევსებასა და გაღრმავებას.

1. ბასილი კესარიელის ასკეტური ნაწერების ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერთა აღწერილობები და მათზე გამოთქმული ცალკეული შენიშვნები, როგორც ზემოთ უკვე განვმარტეთ, არ არის ყოველთვის ზუსტი და მისაღები.

2. შესასწავლია ამ ხელნაწერების შედგენილობა.

3. დაწერილებითაა ერთმანეთთან შესადარებელი ქართული რედაქციები.

4. არ არის გამოვლენილი ყველა ქართული ხელნაწერი, რომლებშიც ბასილის ასკეტური ნაწერების ქართული თარგმანები გვხვდება.

5. გასათვალისწინებელია ბიზანტიოლოგიაში ბასილის ასკეტური ნაწერების კვლევა-ძიების მდგომარეობა.

6. ქართული ვერსიები შესადარებელია ბერძნულ დედანთან.

7. გასარკვევია ქართული თარგმანების ადგილი ბერძნული ხელნაწერების რიგში და ამდენად დასადგენია ქართული თარგმანების რაობა: თუ რომელი ტიპის „ასკეტიკონებიდან“ მომდინარეობენ ისინი და რომელ რეცენზიებს განეკუთვნებიან.

პირველ რიგში ჩვენ მაინც ქართულ ხელნაწერთა აღწერილობებზე და კატალოგებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

აკად. კ. კეკელიძე ბასილი კესარიელის თხზულებების ქართულ თარგმანებში მიუთითებს ერთი ასეთი თხზულების არსებობაზე: „თქმული მონაზონთა მიმართ და კანონი, სინ. 80, გვ. 265—273“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში. ეტიუდები, V, გვ. 22.

ეს ხელნაწერი სინას 80 ნომრით შესულია მხოლოდ ა. ცაგარლის აღწერილობაში. მაგრამ კ. კეკელიძე, როგორც ჩანს, აღ. ცაგარლის აღწერილობით არ იცნობს მას: რადგანაც აღ. ცაგარელს ვერ შეუნიშნავს სინას 80 ხელნაწერში ბასილის ამ ნაწარმოების არსებობა (იხ. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, т. I, 1889, გვ. 90—91). კ. კეკელიძე ივ. ჯავახიშვი-



კ. კეკელიძე ვერ ამჩნევს ამ ნაწარმოების რაიმე კავშირს ბასილის ასკეტურ თხზულებებთან და არც მის შესატყვის ბერძნულ ტექსტზე მიუთითებს. მაგრამ ნაწარმოების სათაური: „თქუმული მონაზონთა მიმართ“ გვაფიქრებინებს, რომ აქ ბასილის რომელიმე ასკეტური ხასიათის სიტყვა უნდა იყოს წარმოდგენილი. ხოლო ამ ასკეტურ სიტყვასთან გაერთიანებული „კანონი“, შესაძლებელია, ბასილის „ასკეტური წესები“ იყოს. ალ. ცაგარლის აღწერილობის სინას 80 ხელნაწერი ივ. ჯავახიშვილის სინას ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში 35-ე ნომრით შევიდა. აქ ამ თხზულებაზე უფრო ზუსტი ცნობებია დაცული. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ სინას 35 ხელნაწერში ფურცლებზე 215b—217a არის წარმოდგენილი თხზულება „თქლი წსა ბსილისი მზთა მრთ“, ხოლო ფურცლებზე 217a—273a კი „კანონი გწესებელი მზნთვს, რნი ქსთვს ერთად შეკრებულ არიან წდისა და ნეტარისა ბასილი კესარია კაბადკია-ღსა ებსკპისაჲ, სწავლაჲ (в вопросах и ответах)“<sup>1</sup>. ამ აღწერილობით კი უკვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ხელნაწერში წარმოდგენილი „კანონი“ არის ბასილის „კითხვები“, ბასილის ასკეტური კრებულის ძირითადი შემადგენელი ნაწილი და, ამდენად, სინას—35 ქართულ ხელნაწერში ბასილის „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანია მოთავსებული.

ამ დასკვნას ადასტურებს ტექსტის უშუალოდ შესწავლა (ამ ხელნაწერის როტოპირი სინას 35 ნომრით ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში). ეს ხელნაწერი მესამედ გარიტმა (G. Garitte) აღწერა. მან კი უკვე გარკვევით მიუთითა, რომ „თქუმული მონაზონთა მიმართ“ არის ბასილის ასკეტური სტატია, სიტყვა 15 („Discours 15“), ხოლო ბასილის „კანონი“ არის ბასილის „მოკლე წესების“ კოლექცია („Collection de Petites Règles“)<sup>2</sup>. გარიტის მითითებით, „ასკეტიკონის“ ამ ქართულ რედაქციას მიაგნო გრი-

ლის აღწერილობიდან უნდა იცნობდეს ამ თხზულებას, მაგრამ იგი მიუთითებს ა. ცაგარლის ნუმერაციით (კ. კეკელიძის ამ ნაშრომში სინას ხელნაწერები საერთოდ ცაგარლის ნუმერაციითაა). ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ კ. კეკელიძე თავისი ნაშრომის („უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“) პირველ გამოცემაში ბასილის ამ თხზულებაზე არაფერს არ წერს (იხ. კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VIII, 1928, გვ. 99—203).

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, სინის შთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947, გვ. 72.

<sup>2</sup> G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai, Louvain, 1956, გვ. 117.

ბომონმა<sup>1</sup>. მან შესწავლა იგი და გაითვალისწინა მისი მონაცემები ბასილის ასკეტური ნაწერების უძველესი სახის ძიებისას. სინას 35-ე ხელნაწერში მოთავსებული ბასილის „ასკეტიკონის“ ქართული ვერსია სპეციფიკური თავისებურებების გამო ცალკე რეცენზიას წარმოადგენს სხვა ბერძნული რეცენზიების რიგში და იგი გრიბომონის მიერ მონათლულია G (ქართულის) სახელით. გრიბომონის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ბასილის „ასკეტიკონის“ ამ ქართული თარგმანის შესწავლა. თუმცა გრიბომონი ამ რედაქციას არ ამუშავებს ქართული ლიტერატურის ისტორიკოსის თვალსაზრისით და ამიტომაც ამ თარგმანში მას აინტერესებს მხოლოდ ის, რაც უშუალოდ მისაღებია ბიზანტიოლოგიაში, ხოლო ქართული რეცენზიის სხვა სახის თავისებურებებზე იგი არაფერს ამბობს.

დღემდე გრიბომონის ნაშრომი ქართველი მეცნიერებისათვის ცნობილი არ იყო და ამდენად, როგორც გრიბომონის მთელმა გამოკვლევამ, ასევე სინას—35 ქართულ ხელნაწერში არსებულმა ბასილის „ასკეტიკონმა“ ქართული ლიტერატურის ისტორიაში ვერ პოვა ასახვა.

გრიბომონმა ექვთიმე ათონელის თარგმნილ ბასილის „ითიკაში“ მიუთითა აგრეთვე ბასილის ასკეტურ პროლოგ 34-ის არსებობაზე. გრიბომონი კ. კეკელიძის შრომაში „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ გაეცნო ექვთიმე ათონელის თარგმნილ ბასილის „ითიკას“. მან მიუთითა, რომ ამ კრებულის ერთ-ერთი თხზულების დასაწყისი არის პრ. 3-ის დასაწყისი, ხოლო თავისი სიდიდით იგი გრიბომონს პრ. 34-ს აგონებდა. ამიტომაც, გრიბომონმა დაასკვნა, რომ ხელნაწერებში იერუსალიმის—14, სიძველეთა მუზეუმის (იგულისხმება დღევანდელი A ფონდი) 100, 181 და 394, ე. ი. იმ ხელნაწერებში, რომლებშიც ბასილის „ითიკა“ დაცული, შესაძლებელია ერთ-ერთი თხზულება იყოს პროლოგი 34<sup>2</sup>. ექვთიმე ათონელის თარგმნილი „ითიკის“ შესწავლამ დაგვანახა, რომ ამ კრებულის VI თხზულება, რომელსაც თავზე აწერია „სწავლანი“ და რომლის დასაწყისია: „კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი-იგი ასწავებს კაცთა“, არის ბასილის ასკეტური პროლოგების 3 და 4-ის

---

<sup>1</sup> გრიბომონი თვითონ მიუთითებს, რომ მან ამ ხელნაწერს შიგნით გარტიტის პირადი მითითებით. იხ. J. Gribomont, Histoire..., გვ. 78. გარტიტი თავის მხრივ, აღწერს რა სინას 35-ე ხელნაწერს, ასახელებს გრიბომონის ნაშრომს. იხ. G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai, გვ. 117.

<sup>2</sup> J. Gribomont, Histoire..., გვ. 80.

შეერთება, ე. ი. პროლოგი 34. გარდა გრიბომონის მიერ დასახელებული ხელნაწერებისა (იერ.—14, A:100, 181, 394) ეს თხზულება, ისევე როგორც მთელი კრებული ბასილის „ითიკისა“, მოთავსებულია ხელნაწერებში: S 376 და ათონის 44.

### თ ა ვ ი მ ი ო თ ხ ა

ბასილი კესარიელის ასკეტური ნაწერების შემცველი ქართული ხელნაწერები კიდევ უფრო მრავალრიცხოვანია. ჩვენ დავასახელებთ რამდენიმე თხზულებას, რომლებსაც დღემდე ბასილი კესარიელის ასკეტური ნაწერების ქართულ ვერსიებზე მსჯელობისას ყურადღებას არ აქცევდნენ.

პირველ რიგში უნდა შევჩერდეთ ექვთიმე ათონელის თარგმნილ ერთ კრებულზე, რომელსაც „ასკეტიკონი“ ჰქვია (A—1101). ამ კრებულში სხვა ავტორების ასკეტურ ნაწერებთან ერთად შეტანილია ბასილის რამდენიმე სტატია. ამ კრებულს მთარგმნელი ურთავს ასეთი შინაარსის ანდერძს: „ესე განწესებაჲ მოლუაწეთაჲ და უდაბნოს ყოფისა სარგებელისა გამოჩინებაჲ წმიდისა და დიდისა ბასილის მიერ. მე. გლახაკმან ეფთვმე ვთარგმნი“<sup>1</sup>. ექვთიმე ამ ანდერძში ბასილის სტატიებს გამოყოფს კრებულის სხვა თხზულებებიდან. თუ სხვა თხზულებები არის „მოლუაწეთა განწესება“, კრებულში შესულ ბასილის ნაწერებს იგი უწოდებს „უდაბნოს ყოფისა სარგებელისა გამოჩინებას“. ძართლაც, კრებულში შესულია ბასილის არა წმინდა ასკეტური ნაწერები, არამედ მისი მორალური ხასიათის ჰომილიები, ამოკრებილი ექვთიმეს მიერ თარგმნილ ბასილის „ითიკიდან“. ამ კრებულში შესული ბასილის სტატიების მიმართება „ითიკასთან“ ასეთია:

[თავი მბ (83r—88r)—„ითიკა“ თავი 6<sup>2</sup>.

თავი მგ (88r—108r)—„ითიკა“ თავი 13.

თავი მგ<sup>3</sup> (108v—110v)—„ითიკა“ თავი 7.

თავი მდ (110v—119v)—„ითიკა“ თავი 8.

თავი მე<sup>4</sup> (119v—130r)—„ითიკა“ თავი 9.

<sup>1</sup> A—1101, 248r.

<sup>2</sup> ემყარები „ითიკის“ თავების კ. კეკელიძისეულ დანომვრას (კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში).

<sup>3</sup> ხელნაწერის დანომვრაში შეცდომით ნომერი მგ განმეორებულია.

<sup>4</sup> ამ ხელნაწერის აღწერილობაში (იხ. საქართველოს საბელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A ფონდი), IV, 1954, გვ. 72) შეცდომაა. აღმწერლებს თავი მე გამოუტოვებიათ. აღწერილობის მიხედვით თავი მდ წარმოდგენილია 110v-დან 130r-მდე და მას მოსდევს თავი მე. სინამდვილეში, ხელნაწერის მიხედვით, აქ არის თავი მე (119v—130r).

1 თავი ძვ (130r—132v)—„ითიკა“ თავი 10.

თავი მზ (132v—134r)—„ითიკა“ თავი 11.

თავი მთ (137v—140r)—ეს თავი არ არის „ითიკაში“.

ამ სტატებიდან წმინდა ასკეტური წინაარსისაა თავი მბ (83r—88r) „სწავლანი წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ბასილისნი, მთავარ ეპისკოპოსისა კესარია კაბადლუკისა“; ეს არის პროლოგ 3-ის შეერთება პროლ. 4-თან, ანუ პროლოგი 34.

„სჯულის კანონის“ ზოგიერთ ქართულ ხელნაწერში შესულია ბასილის ერთი თხზულება, რომელშიაც სამონასტრო კანონმდებლობაზეა საუბარი. A—124 ხელნაწერის 563—566 გვერდებზე მოთავსებულია სტატია, რომლის სათაურია: „წმიდისა ბასილის კანონთაგან. მონასტერსა შინა ყოველნივემცა წესიერად არიან“. პროფ. ვ. ბენეშევიჩის ეს სტატია „სჯულის კანონის“ შემდეგდროინდელ დანართად მიიჩნია<sup>1</sup>. სხვა ქართულ ხელნაწერებში ეს სტატია გაერთიანებულია ბასილის თხზულებასთან „კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი“. ხელნაწერთა ერთ ნაწილში პირველი თხზულება მეორის შემადგენლობაში შედის ისე, რომ ცალკე ქვეთავადაც კი არ გამოიყოფა; ხელნაწერთა მეორე ნაწილში მისი სათაური ცალკეა გამოყოფილი. „კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი“ წარმოადგენს ასკეტური წინაარსის თხზულებას. მასში ლაპარაკია მონაზვნების დანაშაულებებზე და მათ შესატყვის სასჯელებზე. ამგვარად ეს თხზულება წარმოადგენს ბასილის ეპიტომიებს; მაგრამ იგი გასხვავდება ბასილის ეპიტომიების გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტისაგან. თხზულება „კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი“, გარდა A—124 ხელნაწერისა, რომელშიაც მისი მხოლოდ ერთი ნაწილი იკითხება, მრავალ ხელნაწერშია წარმოდგენილი: A:171, 344, 404, 437, 478, 600, 737, 1046, 1096, 1107, 1392, 1739; H:378, 405, 662, 1190, 1323, 1670; Q: 53, 54, 316, 406, 842; S—55; ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის: 57, 68, 168, 306, 307, და სხვ.

ბასილის ეპისტოლარული შემკვიდრეობიდან რამდენიმე ეპისტოლე თავისი ასკეტური წინაარსის გამო ხშირად არის გაერთიანებული ასკეტურ კრებულებში. ბასილის ასკეტური წინაარსის ეპისტოლენი ქართულ ხელნაწერებში უმეტეს შემთხვევაში ასკეტური კრებულისაგან მოწყვეტით გვხვდება. მრავალ ქართულ ხელნაწერშია შესული ბასილის ეპისტოლე გრიგოლის მიმართ (წერილი 2). ასეთებია: A:404, 820, 1101; H:622, 2853; S—54, ქუთაისის 431, ათონ. 58 (ცაგ.) და სხვ. ბასილის ეს ეპისტოლე ექვთიმე მთაწმი-

<sup>1</sup> В. Бенешевич, Грузинский Великий Номоканон по спискам Типографского церковного музея, „Христианский Восток“, т. V, гл. 113.

დელს თავის თარგმნის „ითიკაშიც“ შეუტანია (თავი 12). ამდენად იგი მოიპოვება „ითიკის“ შემცველ ხელნაწერებშიც: A:100, 181, 394, S 376. იერ. 14. ათონი 44. გაიოზ რექტორის მიერ რუსული ენიდან თარგმნის ეპისტოლეებში შენახულია წერილი 173 (S—381 გვ. 28—30. ხელნაწერის დანომვრით ეპისტოლე რო). ხელნაწერ A—292-ში ევრემ მცირის თარგმნის ბასილის ეპისტოლეებს შორის მოთავსებულია ბასილის ეპისტოლე „ამფილონეს ირაკლიდოას მიერ“ (352წ—354წ). იგი წარმოადგენს ბასილის 150-ე წერილს. რომელიც ბერძნულ ხელნაწერებში ხშირად ასკეტურ კრებულებთან არის გაერთიანებული.

ბასილი კაპადოკიელის „ასკეტიკონის“ ერთი ქართული რედაქცია მოთავსებულია ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 61-ე ხელნაწერში. ბასილი კესარიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართულ რედაქციებში დღემდე ეს ხელნაწერი დასახელებული არ ყოფილა.

### თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ი

ბასილი კაპადოკიელის ასკეტური თხზულებების შემცველი ქართული ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია მივუთითოთ, რომ, გარდა ასკეტური შინაარსის ეპისტოლეებისა, ქართულ ხელნაწერებში ასკეტური კრებულისაგან მოწყვეტით წარმოდგენილია ბასილ დიდის სამი ასკეტური სტატია:

1. A—60 ხელნაწერში (გვ. 138—139) სათაურით: „თუ რაოდენითა სახითა შემოვლენ სულსა შინა ბოროტნი გულის სიტყუანი“— მოთავსებული ბასილის ასკეტური სტატია არის „სამონასტრო კონსტიტუციების“ XVII თავი (V—ვულგატას რეცენზიით) (PG, 31, 1377—1381). იგი შეესატყვისება ქართული „ასკეტიკონების“ (ევრემისა და A—63 ხელნაწერის) „სამონასტრო კონსტიტუციების“ II თავს<sup>1</sup>; მაგრამ წარმოდგენილია „ასკეტიკონისაგან“ განსხვავებული ვერსიით, ე. ი. წარმოდგენს ამ ორი რედაქციისაგან დამოუკიდებელ ქართულ თარგმანს.

2. ბასილის ასკეტური სტატია „სწავლა“, რომლის დასაწყისია: „კაცთმოყუარე ღმერთი ჩუენი, რომელი-იგი ასწავებს კაცთა“ არის პროლოგი 34. ეს სტატია იწყება ისევე, როგორც პროლოგი 3 (PG, 31, 1080) და ზუსტად მისდევს გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტს. პროლოგი 3 ამ სტატიაში დასრულებული არ არის, უკანასკნელი სიტყვები რედაქციულ სხვაობასაც იძლევა:

<sup>1</sup> ევრემის რედაქციაში ეს თავი II ნომრადაა წარმოდგენილი, ხოლო A—63 ხელნაწერის „ასკეტიკონში“ იგი შესავლის შემდეგ არის II, თუმცა აქ შესავლამდე კიდევაა ამ თხზულების ერთი თავი; ამდენად, A—63 ხელნაწერის „ასკეტიკონის“ „სამონასტრო კონსტიტუციების“ ცალკეულ თავებში იგი რიგით IV თავია.

...ὅμως δὲ μὲδὲν ἀκαρπὸν παρῆναι,  
μὲδὲν ἀργὸν βαυτοῖς. ἀλλὰ πρὸς οὓς  
ἐν τῷ κοινῷ μανθάνετε, καὶ ἰδίᾳ πε-  
ρὶ τῶν συμφερόντων ἐπερωτᾶτε καὶ  
πᾶσαν οὐλοῦν τὸν βίον πρὸς τὸ  
χρησίμου διατίθεσθαι<sup>1</sup>.

„გიორგ უკუე თქუენცა, რათა არცა  
ერთსა ეამსა გარდაჰქლიდეთ აჰაოდ და  
უნაყოფოდ, არამედ თითოეული ისწრა-  
ფოდინ გჰმოძიებად და კითხვად უმჯო-  
ბესისათვის, და ყოველივე საქმშ თქუენისა  
ცხოვრებისაჲ კეთილისა მიმართ იუაენ“<sup>2</sup>.

ამ სიტყვების შემდეგ იწყება პროლოგი 4 (PG, 31, 889—901) და იგი ბოლომდე გრძელდება. ასეთი შედგენილობითაა ეს სტატია წარმოდგენილი ქართულ ხელნაწერებში: A:100 (გვ. 46—52), 181 (გვ. 35—40), 394(163v—167r). 1101 (83r—88r), S—376 (გვ. 42—49), იერუს. 14 (299v—307v) და ათონის 44.

3. ქართული ხელნაწერების მიხედვით თხზულება „კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი“ ბასილ დიდს მიეწერება. ამ თხზულების ერთი რედაქცია აშკარად ექვთიმე ათონელის თარგმნილია. ამაზე ნათლად მეტყველებს „სჯულის კანონის“ ერთი მინაწერი. A—1392 ხელნაწერში ამ თხზულების შემდეგ 155v-ზე იკითხება მთარგმნელის ანდერძი: „რომელნიცა ამას სჯულის კანონსა იკითხვიდეთ, ლოცვასა მომიტსენეთ გლახაკი ევთიმი, რომელმან ესთარგმნე ესე ბერძელისაგან ქართულად“. ეს სტატია, კ. კეკელიძის მითითებით, არის „Conf. Migne. t. 31, 1305—1316“<sup>3</sup>. მართლაც, ქართულ ხელნაწერებში ამ სათაურის ქვეშ წარმოდგენილი თხზულება არის აშკარად ეპიტომიები, ანუ მონაზონთა დასჯის წესები. ბასილის ეპიტომიები ბერძნულ ასკეტურ კრებულებში სამი სახითაა წარმოდგენილი: ეპიტომიები 24 (PG, 31, 1305—1308 № 1—11), 25 (PG, 31, 1313—1316), 26 (PG, 31, 1308—1313 № 12—60). ქართული თხზულება კი ეპიტომიების ამ ბერძნულ ტექსტებს არ მისდევს. ეს თხზულება წარმოდგენილია ძალზე ბევრ ხელნაწერში: A:124 (გვ. 563—566), 171 (გვ. 516—520), 344 (57r—59r), 404 (გვ. 204—213), 437 (137r—141v), 478 (გვ. 244—252), 600 (35v—38r), 737 (გვ. 204—215), 1046 (98r—100r), 1096 (34v—38v), 1107 (88r—91r), 1392 (149r—155v), 1739 (112r—116r); H:378 (გვ. 205—289), 405 (48r—50v), 662 (გვ. 242—253), 1190 (12r—17v), 1323 (26r—29v), 1670 (294v—296r); Q:53 (522r—527r), 54 (46r—47v), 316 (81r—84v), 406 (28r—33v), 842 (70r—72v); S—55 (გვ. 78—89); ქუთ. 57 (153r—184v), 58 (100r—104v), 168 (57r—59v), 306

<sup>1</sup> PG, 31, 1080.

<sup>2</sup> A—100, გვ. 47—48.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, №, გვ. 20.

(109v—113r). 307 (107v—113r) და სხვ. თხზულება ყველა ხელნაწერში არ არის ერთნაირი შედგენილობის, არც მისი სათაურია ყველა ხელნაწერში ზუსტად ერთნაირი. ერთი ტიპის ხელნაწერებში ეს თხზულება გაყოფილია 24 მუხლად (მაგალითად A—437), სხვა ხელნაწერებში წარმოდგენილია ამ დაყოფის მხოლოდ პირველი 11 მუხლი (მაგალითად A—600), ზოგიერთი ხელნაწერის ტექსტი ემთხვევა 12—24 მუხლებს (მაგალითად A—124). ხელნაწერთა ერთ ნაწილში წარმოდგენილი ტექსტი არ მისდევს A—437 ტიპის ხელნაწერების ტექსტს (მაგალითად A—737 და Q—53, 54); ამ ხელნაწერებში დაცულია უფრო ფართო რედაქცია, რომლის ბოლო ნაწილში სხვა მუხლებიც გვხვდება. ხელნაწერთა უმრავლესობაში ამ თხზულების მუხლებად დაყოფა არეულია.

---

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შემდეგ ქართულ ხელნაწერთა საცავებში მიგნებულია ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ შემცველი ხუთი ხელნაწერი. ესენია: A:63, 132, 689; სინას—35, ქუთაისის—61. ეს ხელნაწერები ბასილ დიდის „სამოღვაწეო წიგნის“ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ოთხ რედაქციას იძლევა:

1. ეფრემ მცირის რედაქცია (შემოკლებით აღვნიშნავთ: E). დაცულია ორ ხელნაწერში: A—689 და A—132.

2. ქუთაისის—61 ხელნაწერში დაცული რედაქცია (შემოკლებით აღვნიშნავთ: C).

3. A—63 ხელნაწერში დაცული რედაქცია, რომელიც პროკოპი მღვდლის თარგმანადაა მიჩნეული (შემოკლებით აღვნიშნავთ: P).

4. სინას—35 ხელნაწერში დაცული რედაქცია (თანახმად გრიბომონისა, ამ რედაქციას აღვნიშნავთ: (i)<sup>1</sup>).

## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

A—689 ხელნაწერი, თანახმად თ. ჟორდანიას მითითებისა, არის XI—XII საუკუნის ნუსხურით გადაწერილი. ქალაღის ზომა არის 32×22. ტექსტი დაწერილია ორ სვეტად, თითოეულ სვეტში დაახლოებით 40 ხაზია. ხელნაწერი შემოსულია გელათის მონასტრიდან. ხელნაწერს აკლია დასაწყისი. მასში ბასილის „ასკეტიკონი“ წარმოდგენილია დასაწყისიდან 185-ე ფურცლამდე. 185-ე ფურცლიდან იწყება ე. წ. „ფილოთეონ ისტორია“. დასაწყისში ტექსტი ძალზე დაზიანებულია. ხელნაწერს შიგნითაც აკლია ცალკეული ფურცლები. სათაურები გამოყოფილია წითლით. წითელი მელნითვეა ჩართული ტექსტში ზოგჯერ ბერძნული დედნისათვის დამახასიათებელი ცალ-

<sup>1</sup> გრიბომონი ასოთი G აღნიშნავდა საერთოდ ქართულ რედაქციებს; მაგრამ, რადგანაც მან სპეციალურად მხოლოდ და მხოლოდ სინას—35 ხელნაწერის „ასკეტიკონი“ შეისწავლა, მის ნაშრომში G რედაქციის მონაცემებში ყოველთვის სინას—35 ხელნაწერის „ასკეტიკონი“ იგულისხმება, ამიტომაც თვითონ გრიბომონი მიუთითებდა: „G: Version géorgienne du Sinai géorgien 35“ (J. Gribomont, Histoire..., XVII).



კეული მანაწერი. არშიაზე ხშირად ვხვდებით მინაწერებს, რომლებიც იმავე ხელითაა შესრულებული, რომლითაც საკუთრივ ტექსტი. ზოგიერთ ადგილას ტექსტში გამორჩენილი წინადადება თუ ცალკეული სიტყვა საგანგებო ნიშნით იმავე გადამწერის მიერ არშიებზეა დამატებული. ზოგჯერ, თუმცა ძალზე იშვიათად, ტექსტში ცალკეული ასოები ჩასწორებულია სხვა მელნითაც. გადამწერის მელანი მოყავისფროა, ზოგჯერ მოშავო. „ასკეტიკონის“ ტექსტში ცალკეული საკითხავები არშიაზე წითელი მელნით საგანგებოდაა დანიშნული. ეს შემდეგდროინდელი გამოყოფა უნდა იყოს. ხელნაწერი განაზღვრებულია, ყდაში ჩასმული და თავიდან ბოლომდე გადანომრილი: თუმცა დანომვრაში არ ჩანს, რომ ხელნაწერს, გარდა დასაწყისისა, ფურცლები შიგნითაც აკლია.

А—132 ხელნაწერი, ჟორდანია მითითების თანახმად, XIV საუკუნის ნუსხურითაა გადაწერილი. ხელნაწერს აკლია ბოლო. ქალაქის ზომაა 38X27. ტექსტი დაწერილია ორ სვეტად. თითოეულ სვეტში დაახლოებით 33 ხაზია. დასაწყისში წარმოდგენილია ბასილის „ასკეტიკონი“. 228r-დან იწყება „სწავლანი წისა და ნტრისა მმისა ჩნისა ბსლი კესარია კაპატუკიელ მთვრ ეპისკოპსისანი. სწვლჲ პლი მრჩვისათს“. ეს თხზულება გრძელდება 234v-ს ჩათვლით: შემდეგ ხელნაწერს აკლია. პირველ გვერდზე ხელნაწერს მხედრული ხელით აწერია: „მრავალ [ ] იოანე ნათლისმცემლის უდაბნოჲსა“. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ხელნაწერს რაღაც კავშირი ჰქონდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერთან. ხელნაწერში 2v-დან 4r-მდე ტექსტი მეჩხრადაა დაწერილი (თითო ხაზის გამოტოვებით). 4r-ზე წარმოდგენილია ახალი სათაური და მას მოსდევს ერთმანეთისაგან დაშორებული სამი პატარა ნაწყვეტი (სტრიქონებს შორის ნორმალური ინტერვალით). მესამე ნაწყვეტიდან ტექსტი გრძელდება მეორე გვერდზე და ამის შემდეგ ტექსტში დანაკლისი აღარ არის. აქედან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ დედანი А—132 ხელნაწერისა დასაწყისში ნაკლები იყო და მასში მხოლოდ ფრაგმენტები იკითხებოდა. არც ამ ხელნაწერში არის ფურცლები ყოველთვის სწორად აკინძული. მაგ. 25-ე ფურცელი თავის ადგილას არ არის. ტექსტი დაწერილია შავი მელნით. სათაურები—წითლით. არშიებზე გადამწერის ხელით ხშირად დართულია სქოლიოები. А—132 ხელნაწერის ტექსტი ზუსტად მისდევს А—689 ხელნაწერისას, გარდა რამდენიმე ორთოგრაფიული ხასიათის ცვლილებებისა, როგორცაა მაგალითად: А—132 ხელნაწერი ხშირად არღვევს „შ“-ს ხმარების წესებს. მასში А—689 ხელნაწერის „უკუე“ ყოველთვის წარმოდგენილია „უკუშ“-ს სახით; ასე-

თივე ცვლილებებია სხვა სიტყვებში: შეემთხუვის (A—689, 17v, 18r),—შეემთხუშვის (A—132, 26r, 26v), შიშუელსა (18r)—შიშუშლსა (27r), ძუელი (19v)—ძუშლი (28v) და სხვ.; A—689 ხელნაწერის „მისა“ („თანა მოქმედ მისა“—17r) A—132 ხელნაწერში არის „მისსა“ (25v); ასევე „ამისა“—„ამისსა“; A—132 ხელნაწერი ზოგჯერ არღვევს „ა“-ს ხმარების წესებს. ამგვარად, A—132 ხელნაწერში A—689-სთან შედარებით არის მხოლოდ ისეთი ორთოგრაფიული ხასიათის ცვლილებები, რომლებიც დამახასიათებელია სწორედ A—132 ხელნაწერის გადაწერის დროისათვის. A—132 ხელნაწერის არსებობზე არის შემდეგდროინდელი მინაწერებიც. ზოგიერთი ამ მინაწერთაგანი იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ მათში ჩანს ამ ხელნაწერის დაკვირვებული თვალთ წამკითხავი. მაგალითად: 72r-ს არშიაზე წერია: „ხანი წითელი არ იყო, რიცხვ გარყუნილია, გაფრთხილდი“. მართლაც, ეს მინაწერი ეკუთვნის ტექსტს, რომელშიაც წარმოდგენილია „მოკლე წესების ინდექსი“. ამ ინდექსის თითოეული მუხლი წითელი ასოთი იწყება, და მას კითხვის ნომერი ახლავს თან. ამ ადგილას ხელნაწერში წარმოდგენილი უნდა იყოს 134-ე კითხვა. მაგრამ ხელნაწერში მუხლი, რომლის პირველი ასოა „ხ“, წითელი ასოთი არ იწყება და არც შესაბამისი ნომერი მოსდევს მას. ასე რომ, ამ ადგილას კითხვების ნუმერაცია არეულია. ამ მინაწერის ავტორს ხელნაწერი შეუდარებია სხვა ნუსხისათვის, ანდა ინდექსი შეუდარებია საკუთრივ „მოკლე წესებისათვის“. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ შეცდომას ვერ მიხვდებოდა. ინდექსში კითხვებისა და მათი შესატყვისი ნომრების არევა გრძელდება 149 კითხვამდე. აქ გადამწერი სათვალავში ტოვებს 148-ე რიცხვს და ამით ნომერი სწორდება. ამ ადგილას იგივე შემდარებელი ისევ აკეთებს მინაწერს: „აქა გაემართა რიცხვ“ (73r). ასეთი არევა რიცხვისა ამ ხელნაწერში სხვა ადგილასაც გვხვდება. მაგალითად, 274-ე კითხვა ინდექსში გადამწერს ორად გაუყვია და ამით კითხვების რიცხვი აურევია. მაგრამ ზემოთ მოყვანილი მინაწერების ავტორს ეს გარემოება ვერ შეუნიშნავს.

A—689 და A—132 ხელნაწერების ერთმანეთთან შედარება ნათელ წარმოდგენას იძლევა E რედაქციის შედგენილობაზე. E რედაქციის სანდო ტექსტი წარმოდგენილია A—689 ხელნაწერში. რადგანაც ამ ხელნაწერის გადაწერის დრო საკმაოდ უახლოვდება ეფრემ მცირის ეპოქას, ამიტომ ჩვენ E რედაქციის შესასწავლად ძირითადად A—689 ხელნაწერს ვიყენებთ. მაგრამ, რადგანაც ამ ხელნაწერს აკლია, როგორც დასაწყისში, ასევე შიგნით, და ფურცლებიც ზოგიერთ შემთხვევაში არასწორადაა აკინძული, ჩვენ A—689

ხელნაწერი დაწვრილებით შევადარეთ A—132-ს და A—689-ს და-  
მახინჯებანი გავასწორეთ. E რედაქციის დასაწყისი ამჟამად დატუ-  
ლია მხოლოდ A—132 ხელნაწერში (1—20 ფურცლები). მაგრამ,  
როგორც ტექსტის ბერძნულ დედანთან შედარებამ დაგვიდასტურა,  
ხელნაწერში ფურცლები არ არის სწორად აკინძული. თავი რომ  
დავანებოთ პირველ ოთხ ფურცელს, რომლის არევა უნდა იქნეს  
გასწორებული E რედაქციის დასაწყისის სპეციალური შესწავლისას,  
უნდა გასწორდეს ხელნაწერის არასწორად აკინძული 6—11 ფურც-  
ლები. ტექსტის ნორმალური თანმიმდევრობის აღსადგენად ეს ფურც-  
ლები ამგვარად უნდა აიკინძოს: 6, 9, 10, 7, 8, 11. შემდგომი თან-  
მიმდევრობა ფურცლებისა სწორია. A—132 ხელნაწერის მე-20  
ფურცლის შემდეგ ჩვენ ბოლომდე ვსარგებლობთ A—689 ხელნაწე-  
რით 12r-დან 185r-მდე. მე-12 ფურცლამდე A-689 ხელნაწერში  
ფურცლები დაზიანებულია და ამავე დროს არასწორადაა აკინძული  
(მე-11 ფურცლამდე). A—689 ხელნაწერს 26 და 27 ფურცლებს  
შორის აკლია, ალბათ, ერთი ფურცელი. ამ ტექსტის შევსება შესა-  
ძლებელია A—132 ხელნაწერის 37v-დან<sup>1</sup> 39r-მდე. A—689 ხელ-  
ნაწერის 89-ე ფურცელი არ არის თავის ადგილას. ამ ადგილას  
უნდა იყოს ტექსტი, რომელიც A—132 ხელნაწერში მოთავსებულია  
106v—108r-შორის. A—689 ხელნაწერში დაუწერლად დატოვე-  
ბული 92r-მდე (ერთი სვეტი), მაგრამ, როგორც A—132 ხელნაწერი-  
დან ჩანს, აქ ტექსტი გამოტოვებული არ არის. A—689 ხელნაწერს  
104 და 105 ფურცლებს შორის აკლია. ეს დანაკლისი შეივსება  
A—132 ხელნაწერის 124r—125r-ზე მოთავსებული ტექსტით. ამის  
შემდეგ ტექსტი უნდა გაგრძელდეს A—689 ხელნაწერის 105v-თ და  
105v-ს შემდეგ კი მოდის ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია  
105r-ზე; აქედან ირკვევა, რომ 105-ე ფურცელი A—689 ხელნაწერ-  
ში უკუღმაა აკინძული, ხოლო წინ ერთი ფურცელი აკლია. A—  
689 ხელნაწერში 111-ე ფურცელსა და 112-ეს შორის აკლია, ალ-  
ბათ, ორი ფურცელი. ეს ტექსტი A—132 ხელნაწერში მოთავსებუ-  
ლია 133v—135v-ზე. A—689 ხელნაწერს 126 და 127-ე ფურცლებს  
შორის აკლია ერთი ფურცელი. იგი მოთავსებულია ამავე ხელნა-  
წერში 89-ე ნომრით. A—689 ხელნაწერის 151-ე ფურცელი თავის  
ადგილას არ არის. 150-ე ფურცლის შემდეგ უნდა იყოს 156-ე ფურ-  
ცელი, ხოლო 151-ე უნდა იყოს 156-ე ფურცლის ადგილას, 155-ის  
შემდეგ (ე. ი. ხელნაწერის აკინძვისას ერთმანეთში არეულია 151-ე  
და 156-ე ფურცლები).

<sup>1</sup> ა-თი აღწიშნაეთ ხელნაწერის პირველ სექსს, მ-თი — მეორეს (ყოველ  
გაერბზე).

A—132 ხელნაწერით საპიროა A—689 ხელნაწერის დაზიანებულ ფურცლებს შევსებაც. ასე მაგალითად: A—689 ხელნაწერში ტექსტი გარკვევით არ იკითხება 14vβ-ს ბოლოში, 15rα-ს დასაწყისში. 15vβ-ს დასაწყისში, 19vβ-ს დასაწყისში და სხვ.

A—689 და A—132 ხელნაწერებით ერთმანეთის შევსების და ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან შედარების შემდეგ შეგვიძლია გავითვალისწინოთ E რედაქციის შედგენილობა:

1. „ერტელად დაწყებაჲ სიტყვსაჲ“ (A—132, 1r—3v; 5r—5v). ამ სათაურის ქვეშ აღნიშნულ გვერდებზე წარმოდგენილია ერთი ნაწილი პროლოგისა 7 (PG, 31, 653—676).

2. „გამოსახვაჲ წიგნისაჲ“ (A—132, 4r—4v). ამ სათაურის ქვეშ აღნიშნულ ფურცლებზე მოთავსებულია ნაწყვეტი პროლოგიდან 6 (PG, 31, 1509—1513).

3. „სიტყუაჲ სარწმუნოებისათჳს“ (A—132, 5r—11v), პროლ. 8 (PG, 31, 676—692).

4. „პირველი სიტყუაჲ თავთა განსაზღვრებისაჲ“ (A—132, 11v—14v), პროლ. 5 (PG, 31, 881—888).

5. „თავნი განვრცელებითთა საზღვართანი“ (A—132, 14v—15v), „ერტელი წესების“ ინდექსი (PG, 31, 901—905).

6. „ასკიტიკონი ბასილი ეპისკოპოსისაჲ“ (A—132, 15v—19v), პროლ. 4 (PG, 31, 889—901).

7. „კითხვაჲ მოლუაწეთაჲ“ (A—132, 19v—69v), „ერტელი წესები“ (PG, 31, 905—1052).

8. „თავნი შემოკლებითთა განსაზღვრებათანი“ (A—689, 52r—59r). „მოკლე წესების“ ინდექსი (PG, 31, 1052—1077).

9. „განწესებაჲ შემოკლებითთა განსაზღვრებათაჲ“ (A—689, 59r—111v). „მოკლე წესები“ (PG, 31, 1080—1305).

10. „კანონი ბრალეულთანი“ (A—132, 133r—133v), ეპიტომები 24 (PG, 31, 1305—1313).

11. „მეკანონისა მიმართ“ (A—132, 133v—136v), ბასილის 173 და 22 ეპისტოლეების შეერთება, ანუ წერილი 17322 (PG, 32, 648—649, 288—293).

12. „თავად-თავადი განსაზღვრებაჲ წამებითა წმიდათა წერილთაჲთა“ (A—689, 112v—150r). „მორალური წესები“ (PG, 31, 700—869).

13. „სიტყუაჲ მოლუაწებითი განშორებისათჳს სოფლით და სრულყოფისათჳს“ (A—689, 150r—151v), სიტყვა 11 (PG, 31, 625—648).

14. „სიტყუანი მათდა მიმართ, რომელნი მონაზონებისა ცხორე-

ბისა მოლუაწე იყვენენ“ (A—689, 151v—184v), „სამონასტრო კონსტიტუციები“ (PG, 31, 1316—1428).

ეს უკანასკნელი თხზულება E რედაქციაში რამდენიმე ქვეთავისაგან შედგება:

„წინა შესავალი სიტყვასა“ (151v—157v)—PG, 31, 1321—1325.

თავი ა. „გულის სიტყუათა ზედა დგომისათეს; და ვითარმედ არა ბოროტ არს გუაში ჩუენი, ვითარ-იგი ვიეთმე ჰგონიეს“ (157v—159r)—PG, 31, 1337—1344.

თავი ბ. „თუ რაოდენითა სახითა შეიქმნებან სულსა შინა ბოროტნი გულის სიტყუანი“ (159r—160r)—PG, 31, 1377—1381.

თავი გ. „ვითარმედ არა ჯერ-არს უკრძალველ ყოფაჲ თანაზრახვისა დედათაჲსა“ (160r—161r)—PG, 31, 1344—1345.

თავი დ. „ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა ძალისაებრი იყოს მარხვაჲ თითოეულისაჲ, და ვითარმედ კეთილ და შჯულიერ არს მოქმედებაჲ ჯორცთაჲ“ (161r—165v)—PG, 31, 1345—1360.

თავი ე. „ვითარმედ შეჰგავს მონაზონსა, რაჲთა ჯეროვანსა საქმესა მოქმედებდეს“ (165r—165v)—PG, 31, 1360.

თავი ვ. „ვითარმედ უჯერო არს ზედაჲს-ზედა და გამოუცდელად ქმნაჲ მიმოსლვისაჲ“ (165v—166r)—PG, 31, 1365—1368.

თავი ზ. „სიმშვიდისათეს და თუ რომლითა სახითა შემოკრებების სიყუარული“ (166r—166v)—PG, 31, 1376—1377.

თავი ლ. „გონიერებისათეს, სარწმუნოებისათეს და სასიოებისა და სიმდაბლისა“ (166v—167r)—PG, 31, 1377.

თავი თ. „მეკანონისა მიმართ“ (167r—169r)—PG, 31, 1381—1388.

თავი ი. „მორჩილებისათეს უსრულესადრე“ (169r—171v)—PG, 31, 1401—1409.

თავი ია. „ვითარმედ უნდონიცა საქმენი ფრიადითა გულს-მოდგინებითა შეჰკუთნან აღრჩევად მონაზონსა“ (171v—172r)—PG, 31, 1409—1412.

თავი იბ. „ვითარმედ არა უკმს მოლუაწესა თვისგანისა მოცალეებისა ქონებაჲ“ (172r)—PG, 31, 1417.

თავი იგ. „ვითარმედ უკმს წინამძღუარსა მამობრივითა ერთგულებითა განგებაჲ მორჩილთა თვისთაჲ“ (172r—172v)—PG, 31, 1417.

თავი იდ. „ვითარმედ არა ჯერ-არს მოყუსობითა ორ-ორისა გინა სამ-სამისა ძმისათა ყოფად კრებულსა შორის მოლუაწეთასა“ (172v—173r)—PG, 31, 1417.

თავი იე. „უამიერებისათეს სიტყვასა, და ვითარმედ, არა ჯერ-

არს მოლუაწისა ხედვაჲ კადნიერებითა მიმართ განცხრომათა“ (173r)  
—PG, 31, 1373—1376.

თავი ივ. „ვითარმედ უქმს მოლუაწესა მტკიცითა ბჰობითა შე-  
სლვად მოლუაწებასა“ (173r—174r)—PG, 31, 1388—1389.

თავი იზ. „ვითარმედ არა უქმს მონაზონსა უკრძალველად თანა-  
ქცევაჲ ყოველთა კაცთაჲ“ (174r—176r)—PG, 31, 1360—1365.

თავი იძ. „ვითარმედ არცა-ლა დაუდგრომელთა მონაზონთა ჯერ-  
არს მიცემაჲ კადნიერებისაჲ, არამედ მათგანცა კრძალვაჲ“ (175v—  
176r)—PG, 31, 1368—1369.

თავი ით. „ვითარმედ არაოდეს უქმს მოლუაწესა გულის თქუმაჲ  
სამღღლოთა პატივთაჲ ანუ ზედამდგომელობისა ძმათაჲსაჲ“ (176r—  
176v)—PG, 31, 1369—1372.

თავი კ. „ვითარმედ არა ჯერ-არს ცუდად მზუაობრობისათვის  
მობაძვე ყოფაჲ კეთილთაჲ“ (176v—177v)—PG, 31, 1372—1373.

თავი კა. „ვითარმედ არა ჯერ-არს მიდევნებაჲ სოფლიოთა თვის-  
თა ჩუნთა თანა-ზრახვასა ანუ შექცევაჲ ზრუნვასა მათსა“ (177v—  
179r)—PG, 31, 1380—1393.

თავი კბ. „ვითარმედ არა ჯერ-არს განშორებაჲ სულიერთა ძმა-  
თაგან“ (179r—181r)—PG, 31, 1393—1401.

თავი კგ. „ვითარმედ არა უქმს მოლუაწესა ძიებაჲ პატივთა და  
უხუცესობათაჲ“ (181r—181v)—PG, 31, 1412—1413.

თავი კდ. „საკმელთა ზედა ლიტონობისათვის და უზუაობლობი-  
სა“ (181v—182r)—PG, 31, 1413—1416.

თავი კე. „ვითარმედ სრულებისა მიმართ მხედველსა არარას  
აენებს განსლვაჲ ვითარმე მსახურებად“ (182r—182v)—PG, 31,  
1416—1417.

თავი კვ. „ვითარმედ არა უქმს სამოსელთა გინა ფერჯთსასხმელ-  
თა გამორჩევისა მიდევნაჲ მოლუაწესა“ (182v)—PG, 31, 1420.

თავი კზ. „ვითარმედ უქმს წინამძღუარსა შემსგავსებულად ჯორც-  
თა ძალისა ბრძანებაჲ მსახურებათაჲ“ (182v—183r)—PG, 31, 1420.

თავი კწ. „ვითარმედ არა უქმს ძმათა შეწუხებაჲ, რაჟამს უძღურ-  
თა ვიეთმე რილობისა ღირს ჰყოფდეს წინამძღუარი“ (183r) PG,  
31, 1421.

თავი კთ. „ვითარმედ არა უღირს წინამძღუართა, რაჟთა კად-  
ნიერებასა მისცემდენ განდგომილთა ძმათა თვისისა შესაკრებელისა-  
გან, არცა შეწყნარებაჲ მათი საკრებულოსა თვისა“ (183r—183v)—  
PG, 31, 1421.

თავი ლ. „ვითარმედ არა უღირს კრებულსა შორის მყოფსა მო-

ნახონსა თვსაგან რასმე მოგებად ნივთიერთაგანისა“ (183v—184v)—  
P. (i. 31, 1424—1429.

ასეთია E რედაქციის შედგენილობა და მასში წარმოდგენილი თხზულებების მიმართება ბასილი კესარიელის ასკეტური ნაწერების გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტთან. კრებულის ბოლოში დართულია მთარგმნელის ანდერძი (185ra).

### თ ა ვ ი მ ე ო რ ა

რედაქცია C მოთავსებულია ერთ ხელნაწერში—ქუთაისის 61. ხელნაწერში არის 352 ფურცელი. ქალაქის ზომაა 21×17. ხელნაწერში წარმოდგენილია კრებული, რომელსაც „სათნობათა ყვაილი“ ეწოდება. იგი გადაწერილია იოანე გაბაშვილის მიერ 1788 წელს. ნუსხურით. მუხეუმში ხელნაწერი შემოსულია ჯრუჭის მონასტრიდან. ბასილის ასკეტური კრებული წარმოდგენილია ამ ხელნაწერის ფურცლებზე 214r—281r, სათაურით: „წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ვასილი კესარიელისა ასკიტიკონისაგან გამოკრებული კითხვაჲ მოღუაწეთაჲ“.

რედაქცია, როგორც სათაური მოწმობს, წარმოადგენს ბასილის „ასკიტიკონისაგან“ გამოკრებილ წიგნს. ქართულ ვერსიებთან ამ კრებულის შედარებამ დაგვანახა, რომ C რედაქციაში ეფრემ მცირის თარგმნილი ტექსტია შესული. ამდენად, C რედაქცია უშუალოდ E-დან გამოკრებილ კრებულს წარმოადგენს. მასში არსებული ტექსტი, გარდა მცირე ენობრივი სხვაობებისა ზუსტად მისდევს A—689 და A—132 ხელნაწერებში დაცულ ტექსტს.

C რედაქციის „ასკიტიკონი“ ხელნაწერში დაყოფილია 46 თავად: თავი 1 (214r—214v) აქ წარმოდგენილია E რედაქციის „ვრცელი წესების“ პირველი კითხვა.

თავი 2 (214v—220v)—„ვრცელი წესების“ კითხვა 2.

თავი 3 „მოყუსისა მიმართ სიყუარულისათჳს“ (220v—222r)—  
„ვრცელი წესების“ კითხვა 3.

თავი 4 „შიშისათჳს ღმრთისა“ (222r)—„ვრცელი წესების“  
კითხვა 4.

თავი 5 (222r—226r)—„ვრცელი წესების“ კითხვა 5.

თავი 6 (226r—227v)—„ვრცელი წესების“ კითხვა 16.

თავი 7 (227v—228v)—„ვრცელი წესების“ კითხვა 18.

თავი 8 (228v—233v)—„ვრცელი წესების“ კითხვა 37.

თავი 9 (233v—239v)—„ვრცელი წესების“ კითხვა 35.

თავი 10 (239v—240v)—„მოკლე წესების“ კითხვა 1.

თავი 11 (240v—241r)—„მოკლე წესების“ კითხვა 5.

თავი 12 (241r)—„მოკლე წესების“ კითხვა 8.

- თავი 13 (241რ—241ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 10.  
 თავი 14 (241ვ—242რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 11.  
 თავი 15 (242რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 12.  
 თავი 16 (242რ—243რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 13.  
 თავი 17 (243რ—243ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 15.  
 თავი 18 (243ვ—244ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 16.  
 თავი 19 (244ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 23.  
 თავი 20 (244ვ—245რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 22.  
 თავი 21 (245რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 26.  
 თავი 22 (245რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 27.  
 თავი 23 (245რ—245ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 30.  
 თავი 24 (245ვ—246რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 56.  
 თავი 25 (246რ—248ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 64.  
 თავი 26 (248ვ—249რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 157.  
 თავი 27 (249რ—250რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 172.  
 თავი 28 (250რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 191.  
 თავი 29 (250რ—250ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 192.  
 თავი 30 (250ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 193.  
 თავი 31 (250ვ—251რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 195.  
 თავი 32 (251რ)—„მოკლე წესების“ კითხვა 196.  
 თავი 33 (251რ—251ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 198.  
 თავი 34 (251ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 204.  
 თავი 35 (251ვ—252ვ)—„მოკლე წესების“ კითხვა 205.  
 თავი 36 „გულის სიტყუათა ზედა დგომისათჳს, და ვითარმედ არა ბოროტ არს გუჴამი ჩუენი, ვითარ-იგი ვიეთმე ჰგონიეს“ (252რ—255ვ)—„სამონასტრო კონსტიტუციების“ თავი 1 (E რედაქციის ნუ-შერაციით).  
 თავი 37 „თუ რაოდენითა სახითა შეიქნებიან სულსა შინა ბო-როტნი გულის სიტყუანი“ (255ვ—257ვ)—„სამონასტრო კონსტი-ტუციების“ თავი 2.  
 თავი 38 „ვითარმედ ჯერ-არს, რაჴთა ძალისაებრი იყოს მარხ-ვაჲ თითოეულისაჲ, და ვითარმედ კეთილ და შუჴულიერ არს მოქ-მედებაჲ ჯორცთაჲ“ (257ვ—266რ)—„სამონასტრო კონსტიტუციების“ თავი 4.  
 თავი 39 „ვითარმედ შეჴგავს მონაზონსა, რაჴთა ჯეროვანსა საქ-მესა მოქმედებდეს“ (266რ—267რ)—„სამონასტრო კონსტიტუციების“ თავი 5.  
 თავი 40 „ვითარმედ უჯერო არს ზედაჲს-ზედა და გამოუცდე-



ლად ქმნაჲ მიმოსლვისაჲ (267r—269r)—„სამონასტრო კონსტიტუციების“ თავი 6.

თავი 41 „სიმშედისათჳს, და თუ რომლითა სახითა შემოკრების სიყუარული“ (269r—270r)—„სამონასტრო კონსტიტუციების“ თავი 7.

თავი 42 „გონიერებისათჳს, სარწმუნოებისათჳს და სასოებისა და სიმდაბლისა“ (270r—270v)—„სამონასტრო კონსტიტუციების“ თავი 8.

თავი 43 „მორჩილებისათჳს უსრულესადრე“ (270v—276v)—„სამონასტრო კონსტიტუციების“ თავი 10.

თავი 44 „ვითარმედ უნდონიცა საქმენი ფრიადითა გულს-მოდგინებითა შეჭჳჳანან აღრჩევედ მონაზონსა“ (276v—277v)—„სამონასტრო კონსტიტუციების“ თავი 11.

თავი 45 „ვითარმედ არა ჯერ-არს ცუდად მზუაობრომისათჳს მობაძვე ყოფაჲ კეთილთაჲ“ (277v—279v)—„სამონასტრო კონსტიტუციების“ თავი 20.

თავი 46 „ვითარმედ არა უტჳს მოღუაწესა ძიებაჲ პატივთა და უხუცესობათაჲ“ (279v—281r)—„სამონასტრო კონსტიტუციების“ თავი 23.

ასეთთა შედგენილობა C რედაქციისა. უკანასკნელი თავის ბოლოში იკითხება მინაწერი: „დასასრული ვასილის ნამცნისა“.

### თ ა ვ ი მ მ ს ა მ მ

რედაქცია P წარმოდგენილია ერთი ხელნაწერით A—63. ხელნაწერი 219 ფურცლისაგან შედგება (ხელნაწერის დანომვრაში შეცდომაა: ფურცლების 40, 73, 84, 90 და 191-ის შემდეგ დანომვრის გარეშე გამორჩენილია თითო ფურცელი<sup>1</sup>. ხოლო 129-ე ფურცლის მომდევნოს აწერია 140; შემდეგ 141 და ასე შემდეგ. ამდენად, დანომვრის მიხედვით ფურცლების საერთო რაოდენობა 224 გამოდის). ქალაქის ზომაა 21×15 სმ. ხელნაწერის როგორც დასაწყისში, ისევე დასასრულში დატოვებულია დაუწერელი ფურცლები. ხელნაწერი დაწერილია საკმაოდ წვრილი ნუსხურით. თითოეულ გვერდზე საშუალოდ 24 სტრიქონია. როგორც გადამწერის მინაწერებისა და ანდერძებიდან ჩანს, ხელნაწერი გადაწერილია 1710 წელს დომენტი კათალიკოსის დავალებით მღვდელ ეგნატეს ძე იესეს მიერ (შესაძლებელია იყოს იესე ტლაშაძე), როგორც გადამწერი მიუთო-

<sup>1</sup> ამ გამორჩენილ ფურცლებს ჩვენ აღვნიშნავთ წინამდებარე ფურცლის ნომრით: 40<sup>ა</sup>, 73<sup>ა</sup>, 84<sup>ა</sup>, 90<sup>ა</sup>, 191<sup>ა</sup>.

თებს „დიალ აშლილი და ძველი“ დედნიდან. ამ ხელნაწერში წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ ბასილის „ასკეტიკონი“. ხელნაწერი ჩასმულია ტყავის ყდაში, რომელსაც თავზე აწერია მხედრულად: „წმიდა ვასილის კანონი ბერებისათვის, ასკეტიკონი“; ყდის მომდევნო ფურცელზე კი „წიგნი ასკეტიკონი“. ამის შემდეგ გამოტოვებულია 7 ფურცელი და შემდეგ სათაურის გარეშე იწყება „ასკეტიკონის“ ტექსტი. ხელნაწერი ეკუთვნოდა მცხეთის წიგნთსაცავს; ამას ადასტურებს წარწერა (მხედრული ხელით), რომელიც ხელნაწერის მთელ რიგ ფურცლებზე მეორდება: „ეკუთვნის დიდს მცხეთის სობოროს ჩყნე—სა წელსა“ (1r, 12r, 23r, 34r, 44r, 66r, 76r, 86r, 107r, 150r, 161r, 172r, 193r, 215r, 225r). კრებულის ბოლოს ცარიელ ფურცელზე მხედრული ხელით აწერია: „კათალიკონი დომენტი“.

გადამწერის მიერ ხელნაწერზე დართულია მინაწერები:

1. „აქა სტრიქონის ბოლოები წამხდარიყო დედასა აღარა ჩნდა. ორი ფურცელიც აკლდა ადგილი და ქალაღი გამიშვა, როდისაც სხუაჲ დედა(ჲ) იპო(ო)...“ 2v. ამის შემდეგ მართლაც დაუწერლადა გამოტოვებული ორი ფურცელი 3 და 4.

2. „აქ აკლია სამი სტრიქონი, მოგლეჯილი იყო“ 76r. ხელნაწერში გამოტოვებულია სამი სტრიქონის ადგილი.

3. „ეს აკლდა დედასა, მასუკან ვიპოვნე ნახევი“ 81r. მართლაც, ამ ადგილას ტექსტი არშიაზე ჩამატებულია.

4. „აქ საწერელი წამექცა და წამეშალა. უფალო, შეიწყალე გლახაკი იესე. ღმერთო ჩემო“ 90r. მართლაც აქ ორი სტრიქონი დასვრილია მელნით და გადაშლილია.

5. 169r-ზე და 176r-ზე სათაურების შემდეგ წითელი მელნით წერია: „ქრისტე, შეიწყალე გლახაკი იესე“.

6. „ეს ქუეშეთი ასო მთავრული აქ ბრძანეთ; და ეს ასო მთავრული ქუეშე ბრძანეთ“ (221r). ამ ორი მინაწერით აღნიშნულია, რომ ტექსტში საჭიროა ორი მუხლის შენაცვლება: ზედას, რომელიც ასომთავრულით იწყება, ქვევით გადატანა; ხოლო ქვედას, რომელიც, აგრეთვე, ასომთავრულით იწყება, ზევით ამოტანა.

კრებულის ბოლოში გადამწერის მიერ დართულია მოსახსენებელი და ანდერძი.

223v-ზე ტექსტის დასასრულს მოსდევს იესეს მინაწერი: „დიდება შენდა სრულყოფილო ყოველთაო ღმერთო, ქრისტე, დიდებაჲ შენდა. სრულ იქმნა წიგნი ესე ქორონიკონს ტჲჲ (398—ე. ს.)“.

224r-ზე იკითხება: „ყოველთა ზედა მხედველო და კელმწიფეო მუუფე ღმერთო, ყოვლისავე სიბრძნით განმგებელო, აღიდე ორსავე[სა]

შინა ცხორებასა პატრიაქი ჩუენი დიდი მღღელთმთავარი კათალიკოზი ბატონის შვილი უფალი ჩუენი დომენტი, რომლისა ბრძანებითა აღიწერა წიგნი ესე ასკიტიკონი. მრავალიმცა არიან წელნი და ეამნი ცხორებისა მისისანი. სუფევეთმცა ყოს ღმერთმან, ამინ“.

224r-ზე იკითხება: „მე გლახაკმან და ყოველთა ხუცესთა უნარ-ჩევსმან ყოვლად უღირსმან ეგნატის ძემან მღღელმან იესემ აღესწერე წიგნი ესე ბრძანებითა ბატონის კათალიკოზის დომეტისითა. უწყის ღმერთმან. რაც ოდენ შემეძლო, სიმართლეს ვეცადე. დიდი ჰირისა და მწუხარებია დღე მქონდა. ძნელი ზამთარი იყო. ერთს ბნელეს სახლში ვიჯექე სიკუდილისაგან შეღონებული, დღე და ღამე მტირალი. უწყის ღმერთმან, სულ ღამით უსკამოთ კალთაზედ და მუქლზედ ფიცარი მედვა და სანთლით დავსწერე. ოღონ სიმართლეს ვცდილობდი და ჯელის სიკეთეს არ ვეძებდი, იმგვარი დღე მქონდა. დედანი დიად აშლილი და ძველი იყო, ძველებრი ნაწერი იყო და ძნელი საკითხავი. ბევრი ასო ახლანდელს ასოს არა გუანდა, და დედნის სიძველემ ბევრიგად გამსარჯა. და დიდი ჰირი ვნახე ავის ზამთრისაგან. თუ რამ უცბად ნაჩხრეკი ნახოთ, ნუ დამწყევთ ღმრთისაჟს, მუქლზედ ნაწერი არის. და სხუარიგად, რომელიც იმ ძველს დედაწი ეწერა, ისე დავსწერე. გვეედრები ყოველთა წყევას ნურვინ შემამთხუევთ. უფალნო ჩემნო“.

ამ ხელნაწერის გადაწერა იესეს, ალბათ მისი დედნის უვარგისობის გამო, ნაწერში საკმაოდ ბევრი შეცდომა დაუშვია. რომ არაფერი ეთქვათ მთელ რიგ ორთოგრაფიულ შეცდომებზე, ის გარემოება მაინც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ იესე ზოგჯერ სავსებით გაუგებარ ფორმებს წერს, ხშირად იმეორებს სიტყვებს და ზოგჯერ საკმაოდ მოზრდილ წინადადებებსაც კი (მაგ. იხ.: 171r-v). იესესათვის დედანში ბევრი სიტყვა გაუგებარი ყოფილა და ისინი მას საკუთარ ნაწერშიც ამ გაუგებარი ფორმით გადმოუტანია. ვფიქრობთ, რომ იესე მისთვის გაუგებარ სიტყვებზე უნდა მიუთითებდეს, როდესაც ხელნაწერში ზოგიერთ სიტყვას თავზე განსაკუთრებულ ნიშნებს ასვამს (ორი ან სამი ხაზი).

რედაქციის შედგენილობა ასეთია:

1. 1r—9r-ზე წარმოდგენილია თხზულება, რომელსაც დასაწყისი არა აქვს. აქ წარმოდგენილი სტატია არის ერთი ნაწყვეტი პროლოგიდან 7 (PG, t, 31, 653—676).

2. „სიტყუაჲ სარწმუნოებისათჳს“ (9r—15r)—პროლ. 8 (PG, 31, 676—692).

3. „სიტყუაჲ ასკიტიკოს[თ]ათჳს“ (15r—20v)—პროლ. 4 (PG, 31, 889—901).

4. „პირველ-სიტყუაჲ ძეგლთაჲ, რომელ არს ორონ“ (20v—24v)—პროლ. 5 (PG, 31, 881—888).

5. „თავ-თავოანი ვრცელთა მათ ძეგლთა, რომელსა ორონ ეწოდების“ (24v—26r)—ინდექსი „ვრცელი წესების“ (PG, 31, 901—905).

6. „კითხვასა მას მოლუაწეთასა მიგებაჲ და განმარტებაჲ“ (26r—90v)—„ვრცელი წესები“ (PG, 31, 905—1052).

7. „ბასილის მიერ აღწერილი ძეგლი სულ მცირედ, რომელ არს ორონ ბერძულად“ (90v—169r)—„მოკლე წესები“ (PG, 31, 1080—1305).

ამის შემდეგ P-ში მოდის „სამონასტრო კონსტიტუციების“ ცალკეული თავები დანომვრისა და ერთი საერთო სათაურის გარეშე.

8. „ვითარმედ ჯერ-არს განგრძობაჲ ლოცვისაჲ ყოვლადვე ყოველთათჳს“ (169r—176r)—PG, 31, 1325—1337.

9. „სიტყუაჲ მათდა მიმართ, რომელნი მონაზონებისა ცხორებასა ილუწიან“ (176r—177v)—PG, 31, 1321—1325.

10. „დაცვისათჳს გულის სიტყუათასა, და რამეთუ არა ბოროტ არიან ჳორცნი, ვითარცა ვიეთმე აზმნეს“ (177v—180r)—PG, 31, 1337—1344.

11. „კითხვაჲ: რაოდენთა მიერ სახეთა ჰბრძან სულსა უკეთურნი გულის სიტყუანი“ (180r—182v)—PG, 31, 1377—1381.

12. „ვითარმედ არა ჯერ-არს დედათა უბნობისა განუკრძალველად ყოფაჲ“ (181v—183r)—PG, 31, 1344—1345.

13. „ვითარმედ ჯერ-არს ძალისაებრ ჳორცთასა შესწორებაჲ მარხვისაჲ, და ვითარმედ კეთილ არს და სჯულიერ შრომაჲცა ჳორციელთაჲ“ (183r—189v)—PG, 31, 1345—1360.

14. „რამეთუ ჯერ-არს მოლუაწისა, რაჲთა მათ საქმეთა იქმოდის, რომელნი შეჰკვანდეს მონაზონთა“ (189v—190r)—PG, 31, 1360.

15. „რამეთუ არა უჴმს მოლუაწეთა ყოველთა თანა კაცთა განუკრძალველად ქცევაჲ“ (190r—191v)—PG, 31, 1360—1365.

16. „რამეთუ არა უჴმს მოლუაწესა ზედაჲსა-ზედა და განუკითხველად ყოფად მიმოსლვათაჲ“ (191<sup>o</sup> v—192v)—PG, 31, 1365—1368.

17. „რამეთუ არა ჯერ-არს უწესოთა მონაზონთა დაუდგრომელთა მიცემად კადნიერებისა, არამედ მათგანცა ჯერ-არს კრძალვაჲ“ (192v—193v)—PG, 31, 1368—1369.

18. „რაჲთა მღღელობისათჳს გინა წინამძღურობისა ძმათასა არა უჴმს ყოვლადვე, რაჲთა სუროდის მოლუაწესა“ (193v—194v)—PG, 31, 1369—1372.

19. „რამეთუ არა უკმს მოლუაწესა საქმე, რომელი ამპარტავენებისა მიმართ ხედვიდეს, მისი მტირედცა მიბაძვაჲ“ (194v—196v)—PG, 31, 1372—1373.

20. „წესიერებისათჳს და ჟამიერებისა სიტყვსა“ (196r)—PG, 31, 1373—1376.

21. „რამეთუ არა უკმს მოლუაწეთა განცხრომისა მიმართ და ცუდად მეტყუელობისა ხედვად“ (196v)—PG, 31, 1376.

22. „სიმშვიდისათჳს და სიწრფოებისა, და თუ რომლითა სახითა შეიქმნების სიყუარული“ (196v—197v)—PG, 31, 1376—1377.

23. „ცნობისათჳს და გონიერებისა“ (197v—198r)—PG, 31, 1377.

24. „სარწმუნოებისათჳს და სასოებისა“ (198r)—PG, 31, 1377.

25. „სიმდაბლისათჳს“ (198r—198v)—PG, 31, 1377.

26. „მათჳს, რომელნი კრებულსა შინა ილუწოდენ“ (198v—201v)—PG, 31, 1381—1388.

27. „რად უკმს მოლუაწესა, რადთა მტკიცისა მიერ მსჯავრისა მოუტდეს ლუაწლსა მას მონაზონებისასა, და ამასვე თანა მორჩილებისათჳსცა“ (201v—203r)—PG, 31, 1388—1389.

28. „ვითარმედ არა უკმს მოლუაწესა მსოფლიოთა თჳსთა და ნათესაეთა მიდევნებად, გინა თუ ზრახვად მათდა, ანუ თუ მათჳს ზრახვად“ (203r—205r)—PG, 31, 1380—1393.

29. „რამეთუ არა უკმს მოლუაწესა, რადთა მოეკუეთოს სულიერისა მისგან ძმობისა“ (205v—209v)—PG, 31, 1393—1401.

30. „მორჩილებისათჳს უსრულესადრე“ (209v—214r)—PG 31, 1401—1409.

31. „ვითარმედ უკმს მოლუაწეთა უუნდოსესთაცა საქმეთა მრავალითა გულის-მოდგინებითა აღრჩევად“ (214r—215r)—PG, 31, 1409—1412.

32. „რამეთუ არა უკმს მოლუაწესა ძიებაჲ პატივთა და დიდებისაჲ“ (215r—216r)—PG, 31, 1412—1413.

33. „ჭამადთა სიმარტივისათჳს და სისადაგისა და არა ზუაობისა მათ ზედა“ (216r—216v)—PG, 31, 1413—1416.

34. „ვითარმედ რომელი სისრულედ მიმართ ხედვიდეს, მას არარას ავენებს გამოსლვაჲ სამსახურებელთათჳს მონასტრისათა“ (216v—218r)—PG, 31, 1416—1417.

35. „რამეთუ არა უკმს მოლუაწესა ქონებად თჳსისა რადსამე საქმისა და უცალოებისა“ (218r—218v)—PG, 31, 1417.

36. „რამეთუ უკმს წინამძღუარსა მამებრივითა მოცილებითა განგებაჲ მორჩილთა მისთაჲ“ (218v—219r)—PG, 31, 1417.

37. „რამეთუ არა უქმს ქონებად რაფიკობისა ორთა, გინა სამ-  
თა ძმათა შორის მოღუაწეთასა“ (219r—219v)—PG, 31, 1417.

38. „ვითარმედ არა უქმს წინამძღუართა გინა მათ, რომელნი  
განდგენ კრებულისაგან თვისისა, თვისისა მოღუაწებისა მიცემად კად-  
ნიერებისაჲ, ანუ თუ ზიარებად ცხორებისა მოყვანებაჲ მათი“ (219v  
—221r)—PG, 31, 1421.

39. „რამეთუ არა უქმს კრებულსა შორის მოქალაქესა მოღუა-  
წესა თვისაგან რაჲსამე მოგებად ნიეთიერსა თჳნიერ წინამძღურისა  
ნებისა და ცნობისა“ (221r—223r)—PG, 31, 1424—1429.

40. „რამეთუ არა უქმს მონაზონსა ტანისა სამოსლისა ანუ თუ  
ფერკთა შესასხელისა უმჯობესისა და უკეთესისა ძიებაჲ“ (223r)—PG,  
31, 1420.

ასეთია P რედაქციის შედგენილობა და მასში შესული თხზულე-  
ბების რაობა. ეს რედაქცია დღეისათვის არსებულ ხელნაწერში 8  
ნაწარმოების სახით არის წარმოდგენილი. ჩვენს მიერ მითითებული  
უკანასკნელი 33 თავი ერთი თხზულების ქვეთავებია.

#### თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

G რედაქცია წარმოდგენილია ერთი ხელნაწერით: სინას—35.  
ამ ხელნაწერის აღწერილობა ეკუთვნის ა. ცაგარელს<sup>1</sup>, ი. ჯავახი-  
შვილს<sup>2</sup> და გარიტს<sup>3</sup>. ა. ცაგარლის აღწერილობაში იგი შევიდა  
სინას—80 ნომრით, ხოლო ი. ჯავახიშვილის აღწერილობაში მისი  
ნომერია სინას—35; ამავე ნომერს ატარებს იგი გარიტის აღწერი-  
ლობაში.

როგორც აღმწერლები მიუთითებენ, ხელნაწერი შესრულებულია  
პერგამენტზე 34,5×27 სმ. მასში 320 ფურცელია. ტექსტი დაწერი-  
ლია ორ სვეტად ლამაზი ასომთავრული ხელით. თითოეულ სვეტზე  
25—27 სტრიქონია. ხელნაწერი წარმოადგენს ასკეტური საკითხა-  
ვების კრებულს. გარიტის მითითებით, ხელნაწერი X საუკუნისაა<sup>4</sup>.  
ამ კრებულის 215v—273r-ზე არის მოთავსებული ბასილის ასკეტუ-  
რი თხზულებები:

1. „თქუმული მონაზონთა მიმართ“ (215v—217r)—სიტყვა 15.

<sup>1</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, т. I.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.

<sup>3</sup> G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 97 (ასევე ფიქრობს ა. ცაგარელი, მისი აზრით, კრებული X—XI საუკუნეებისა—А. Цагарели, Сведения..., II, გვ. 90—91.

2. „კანონი განწესებული<sup>1</sup> მონაზონთათვის, რომელნი ქრისტეს-თვის ერთად შეკრებულ არიან“ (217r—273r)—„მოკლე წესები“ (PG, 31, 1080—1305).

ასეთია G რედაქციის შედგენილობა. მართალია, ამ რედაქციაში მხოლოდ ორი თხზულებაა შესული, მაგრამ მასში არის წარმოდგენილი კრებულ „ასკეტიკონის“ ძირითადი შემადგენელი ნაწილი—„კითხვები“. ამიტომაც G ვერსიას, ყოველგვარი ეპკის გარეშე, შეგვიძლია ვუწოდოთ „ასკეტიკონის“ დამოუკიდებელი რედაქცია.

ამგვარად, ქართულ მწერლობაში დღეისათვის ბასილის „ასკეტიკონის“ ოთხი რედაქცია არსებობს. სამი მათგანი (G, E, P) წარმოადგენს დამოუკიდებელ ვერსიებს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ თარგმანებს. მეოთხე რედაქცია—C კი E ვერსიას ემყარება. მაგრამ იგი იმდენად არის დამოუკიდებელი რედაქცია, რამდენადაც თავისი შედგენილობით მკვეთრად განსხვავდება E ვერსიისაგან.

ქუთაისის 61 ხელნაწერში მოთავსებული ასკეტური კრებული, C რედაქცია, ეფრემ მცირის თარგმნილი „ასკეტიკონისაგან“ ამოკრებილი სტატიებისგან შედგება. ამ კრებულის შედგენა უთუოდ გამოწვეულია პრაქტიკული დანიშნულებით. იგი შედგენილი უნდა იყოს ძველი ქართული მწერლობის უკანასკნელ პერიოდში ერთ-ერთ ქართულ მონასტერში და ნათელი დამადასტურებელია იმ ფაქტისა, რომ ამ სავანეში სამონასტრო ცხოვრება ბასილიანური განრიგების მიხედვით იყო მოწყობილი. უცნობ ქართველ რედაქტორს დაწვრილებით შეუსწავლია ეფრემ მცირის თარგმნილი „ასკეტიკონი“. რომ ქართულ მონასტრებში აწარმოებდნენ ეფრემის თარგმანიდან გარკვეული თავების გამოკრებას და გამორჩევას, ამას ადასტურებს თვითონ ხელნაწერი A—689: აქ ზოგიერთი კითხვა და ზოგიერთი თავი არშიაზე სხვებისაგან გამოყოფილია სპეციალური ნიშნებით (ამ გამოყოფას დასაწყისში მისდევს ქუთაისის—61 ხელნაწერის „ასკეტიკონი“). ეს ფაქტები მიუთითებს ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბასილის „ასკეტიკონის“ დიდ გავრცელებაზე ქართველ საზოგადოებაში.

რადგანაც C რედაქცია უშუალოდ E-ზეა დამოკიდებული, ბერძნულ დედანთან მისი მიმართების ძიება საჭირო აღარ არის;

<sup>1</sup> განწესებული—ხელნაწერი „უ“-ს ნაცვლად ხმარობს „ვ“-ს. იშვიათად „უ“-გადმოცემულია „ო“ ასოთი. მაგ.: განთავისოფლება—252r (განთავისუფლება). ეს გარემოება სინას მთაზე დატულ სხვა ხელნაწერებსაც ახასიათებს (იხ.: ა. შან იძე, სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, სინური მრავალთავი 864 წლისა, 1959, გვ. 304—306). სინას—35 ხელნაწერისათვის დამახასიათებელ ამგვარ ორთოგრაფიულ „შედომებს“ ვასწორებთ.

მხოლოდ უნდა მივუთითოთ, რომ ბასილის თხზულებებიდან ცალკეული კითხვებისა და ქვეთავების გამოკრებას ბერძნებიც მისდევდნენ. გამოკრებილი რჩეული კითხვები დაცულია ბერძნულ ხელნაწერებშიც (მაგალითად ბერძნულ ხელნაწერში: Venise, Marcienne, ანტიკური ფონდი—62), მაგრამ ღღისათვის შემონახულ ბასილის კითხვების გამოკრებილ ბერძნულ რედაქციებთან C რედაქციას არაერთარი საერთო არა აქვს. კრებულში მოთავსებული საკითხავების ამორჩევა ქართველი რედაქტორის შემოქმედება უნდა იყოს.

ბერძნულ ხელნაწერებში დაცულ ტექსტთან ქართული რედაქციების მიმართებაზე საუბრისას, ჩვენ შევეხებით სამივე ქართულ ვერსიას: G, E, P-ს. C რედაქციაში წარმოდგენილი ტექსტი ბერძნულ დედანთან დამოკიდებულებაში, რასაკვირველია, მთლიანად დაემთხვა E რედაქციის მონაცემებს; რადგანაც, როგორც მივუთითეთ, C რედაქციის ტექსტი უშუალოდ მომდინარეობს E-დან და გარდა მცირე ენობრივი განსხვავებებისა, ზუსტად მისდევს მას.

---



ბააილის „ასკეტიკონის“ ქართული ვერსიების უფრო დაწვრილებით შედარებას ერთმანეთთან, გამოქვეყნებულ ბერძნულ დედანთან (Migne. PG, t. 31), დღეისათვის ცნობილი ყველა ბერძნული ხელნაწერისა და ყველა სხვა ენაზე არსებული უძველესი ვერსიების აღწერილობებთან და გრიბომონის მიერ, ყველა ბერძნული ხელნაწერის ვარიანტების გათვალისწინებით გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაწყვეტთან ჩვენ „ასკეტიკონის“ შემადგენელი ცალკეული თხზულებების მიხედვით წარმოვადგენთ. ამჯერად ჩვენ ყურადღებას აღარ მივაქცევთ „ასკეტიკონის“ შემადგენელ ძირითად და მეორეხარისხოვან თხზულებებს და შედარებას კრებულის დასაწყისიდან დავიწყებთ. ნაწარმოებების მიმდევრობაში კი E რედაქციას (როგორც ყველაზე უფრო სრულ ქართულ ვერსიას) გავყვებით. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ტექსტებისა და ხელნაწერების აღწერილობების ურთიერთშედარებისას ჩვენ ძირითადად იმ წმინდა ფილოლოგიურ საკითხებზე შევჩერდებით, რომლებიც ქართული ვერსიების რაობას და ბერძნული რედაქციების რიგში მათ ადგილს გამოამჟღავნებს.

## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

### პ რ ო ლ ო გ ე ბ ი

§ 1. E რედაქციის „ასკეტიკონი“ A—132 ხელნაწერში იწყება სათაურით: „ასკეტიკონისაგან წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, ვრცელად დაწყებაჲ სიტყვსაჲ“. ეს ნაწარმოები, როგორც მივუთითეთ, არის პროლოგი 7. ამ პროლოგის შუაგულში არის ჩართული ხელნაწერის ერთი ფურცელი, რომელზედაც წარმოდგენილი ტექსტი არის პროლოგი 6. ამ ხელნაწერის გადამწერის მიერ პროლოგი 6 ამ ადგილას არ იყო ჩართული, რადგანაც 34-ზე პროლ. 7-ის ტექსტი ისე მთავრდება, რომ სიტყვაც კი არ არის დასრულებული: „წინააღ...“: მას კი მოსდევს IV ფურცელი პროლ. 6-ით. V ფურცელზე ისევ იწყება პროლ. 7-ის ტექსტი. ფურცელი აქაც შუა სიტყვიდან იწყება: „...თლებად დაფარულთა“. ასე რომ, პროლოგ

5-ისთვის A-132 ხელნაწერის გადამწერს პროლოგი 7-ის შუაგულში არ მიუჩენია ადგილი, მისი ამ ადგილას მოთავსება ამ ხელნაწერის გვიანდელი, არასწორი აკინძვის ბრალია. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ხელნაწერის გადამწერს პროლოგი 6 არც პროლ. 7-ის შემდეგ მოუთავსებია; რადგანაც პროლ. 7 მთავრდება 542-ზე და იმავე სვეტზე იწყება პროლოგი 8, მაშინ როცა პროლოგი 6 იწყება ცალკე ფურცლის დასაწყისში. არც პროლოგ 8-ის შემდეგ ჩანს მისი ადგილი. ამ პროლოგის შემდეგაც 114ა-ზე უნუ-ალოდ პროლ. 5 იწყება. პროლოგ 5-ს 144ა-ზე უშუალოდ მოსდევს „ერცელი წესების“ ინდექსი და ინდექსს 154ა-ზე—უშუალოდ პროლოგი 4, ხოლო პროლოგ 4-ს 194ა-ზე უშუალოდ—„ერცელი წესები“. არაა სავარაუდებელი, რომ პროლ. 6-ის ადგილი „ერცელი წესების“ შემდეგ იყოს სადმე. რადგანაც კრებულის შუაგულიდან ფურცელი იშვიათად თუ დაიკარგება ხოლმე და თანაც არც ამ კრებულის შუაში ჩანს სადმე ადგილი IV ფურცლისათვის. საინტერესოა ის გარემოება, რომ პროლ. 6-ის ტექსტი ამ ფურცელზე ნაკლულადაა წარმოდგენილი. გადამწერს ცალკეული სტრიქონები ვერ წაუციობავს და მათი შესავსები ადგილი ზუსტად გამოუტოვებია. A—132 ხელნაწერის დედანი ასეთი დაზიანებული, უფრო სავარაუდებელია, რომ თავში ყოფილიყო. პროლოგი 6 IV ფურცელზევე მოთავსდა. ასე რომ, მის შემდეგ არსებული თხზულება ახალ ფურცელზე თავიდან უნდა დაწყებულიყო. ახალ ფურცელზე თავიდან იწყება სწორედ პროლოგი 7. ამგვარად ხელნაწერ A—132-ში პროლოგ 6-ის ადგილი მხოლოდ დასაწყისში ჩანს. გამომდინარე აქედან, უნდა ვიფიქროთ, რომ E რედაქციაში პროლოგ 7-ს წინ უსწრებდა პროლოგი 6 (ხელნაწერ A—689-ს შესწავლა ამ თვალსაზრისით არავითარ სიახლეს არ იძლევა. რადგანაც ამ ხელნაწერს დასაწყისში აკლია და გარდა ამისა, იქ წარმოდგენილი პირველი 11 ფურცელი დაზიანებულია და აკინძვის დროს არასწორად დალაგებული, ასე რომ მათზე დაყრდნობით ამ რედაქციის დასაწყისში თხზულებათა თანამიმდევრობის გარკვევა შეუძლებელია).

ვფიქრობთ, რომ E რედაქციაში პროლ. 6 არა მარტო წინ უსწრებს პროლ. 7-ს, არამედ იგი არის დასაწყისი ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონისა“. ამ მოსაზრებას ადასტურებს შემდეგი გარემოებანი:

1. პროლ. 6-ის E რედაქციაში წარმოდგენილი სათაური მიუთითებს, რომ აქ იწყება კრებული, აქ არის იმ წიგნის „სახის დადება“, რომელიც ეკუთვნის ბასილს, კაპადოკიის კესარიის მთავარეპისკოპოსს: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილი კესარია კა-

პადოკიელ მთავარ ეპისკოპოსისა, გამოსახვაჲ წიგნისაჲ“ (A—132, 4r).

2. დღეისათვის შემონახულ ბასილის „ასკეტკონის“ როგორც ბერძნულ, ისე სხვა ენებზე თარგმნილ ყველა ხელნაწერში, რომლებშიაც წარმოდგენილია პროლოგები 6-იც და 7-იც, პროლ. 6 წინ უსწრებს პროლ. 7-ს.

3. ბასილის ასკეტური კრებულის პროლ. 6-ით დაწყება დააწესა ჯერ კიდევ V—VI საუკუნეების მოღვაწე ბიზანტიელმა სქოლიასტმა.

4. დღეისათვის შემონახული ბასილის „ასკეტკონის“ ყველა რედაქციის დასაწყისი ძირითადად ორ ნაირსახეობას იძლევა. ისინი იწყებიან ან პროლ. 6-ით და მას მოსდევს შემდეგ პროლოგი 7, ან წერილ 22-ით, რომელსაც მოსდევს პროლოგები 6 და 7. წერილ 22-ის არსებობის კვალი E რედაქციაში კი არსად არ ჩანს.

5. ბასილის „ასკეტკონის“ E ვერსიის ტიპის ყველა ბერძნული რედაქცია პროლ. 6-ით იწყება.

სხვა ქართულ ვერსიებში პროლ. 6 დღეისათვის წარმოდგენილი არ არის. G რედაქციას ხელნაწერში არაფერი არ აკლია და არცაა მოსალოდნელი, რომ მასში პროლ. 6 ყოფილიყო; ხოლო P რედაქციაში, სავარაუდებელია, რომ პროლოგი 6 იქნებოდა. აქაც იგი ამ რედაქციის დამწყები უნდა ყოფილიყო; რადგანაც P ვერსია E-სთან ერთად იმ ტიპის რედაქციაა, რომელსაც პროლ. 6 იწყებს. მართლაც იმ ერთადერთ ხელნაწერს, რომელშიაც P რედაქციაა წარმოდგენილი, დასაწყისი აკლია. დასაწყის ფურცლებზე დღეისათვის იკითხება პროლოგ 7-ის ბოლო, არ ჩანს არც პროლ. 7-ის დასაწყისი და არც პროლ. 6, რომელიც პროლ. 7-ის წინ უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

E რედაქციაში პროლ. 6-ის დასაწყისი ზუსტად ემთხვევა ამ თხზულების ბერძნული ტექსტის დასაწყისს:

„უფალი ზენი იესუ ქრისტე ბრძანებს: „Τὸν *xριστον η̅μῶν* 'Ιησοῦν *Χριστὸν* *πρωτοσέσσωτος*; ὃ *λέγω ὑμῶν* ἔσ *τῆ* *σασειν*, *εἰπατε* *ἔσ* *τῷ* *φωτι*. *καὶ* ὃ *πῶδες* *τὸ* *ὄν* *δ* *εἶπα* *ὑμῖν*, *κηρῦξατε* *ἐπὶ* *τῶν* *ὀυμάντων*. *καὶ*..“ (A—132, 4r).

ამის შემდეგ ქართულ ხელნაწერში გამოტოვებულია ოთხი. ხაზი სწორედ მასში ჩაეტეოდა ქართული თარგმანი აქ გამოტოვებული ბერძნული ტექსტისა: „*τὸν ἀπειτατόλιν τῆς σιωπῆς φοβερὸν τὸ κριμα δεικνύντις,*

<sup>1</sup> პროლ. 6-ის ყველა ბერძნული ხელნაწერის მიხედვით გამართული ტექსტი— J. Gribumont, *Histoire...*, გვ. 279.

ბ: ' ἄν φησι πρὸς τοὺς Ἐφεσίων πρεσβυτέρους“<sup>1</sup>. ამის მომდევნო ნაწყვეტი ქართულ ხელნაწერში შემორჩენილია:

„გიწამებ თქვენ დღეინდელსა ამას „*ὁ δαμασκόριος ἔμειν ἐν τῇ σήμαρει*  
დღესა, ვითარმედ: უბრალო ვარ მე სისხ- *ἡμέτερόν ἐστι καὶ ἀπὸ τοῦ ἀν-*  
ლისაგან თქვენ ყოველთასა, რამეთუ არა *ματός πάντων ὅς γὰρ ἠπεσσεύλαμην*  
დაეიცონე მითხრობად თქვენდა ყოველ- *τοῦ μὴ ἀναγγεῖλαι ἔμειν πᾶσαν τῆν*  
სავე კეშმარიტებასა და ნებასა ღმრთი- *βουλῆν τοῦ θεοῦ (Act. 20, 26—27)“*.  
სასა (საქ. მოც. 20, 26. 27)“ (A—  
132 4r).

ამის შემდეგ ქართულ ტექსტს საკმაოდ მონრდილი მონაკვეთი აქ-  
ლია და მის შესავსებად ხელნაწერში 34 სტრიქონია გამოტოვებუ-  
ლი. ხელნაწერში ტექსტი იწყება სიტყვებით:

„ხოლო პირველად ვთქეთ ჩვენ მიზე- „*πρῶτον μὲν τὴν αἰτίαν...*“  
ზი...“ (A—132, 4r).

ამის შემდეგ E რედაქცია ბოლომდე მისდევს ბერძნულ ტექსტს.  
ქართული რედაქცია გრიზომონის მიერ დადგენილ ბერძნულ ტექსტ-  
თან შედარებით არ ამკლავნებს რედაქციული ხასიათის მკვეთრ  
სხვაობას.

§ 2. პროლოგი 7 ნაწყვეტების სახითაა შემორჩენილი, როგორც  
E-ში, ისევე P-ში.

E-ში პროლოგი თავიდან იწყება და გრძელდება სიტყვებამდე:

„და ესოდენი წინაუქუმობაჲ მცნებათა „... *ὅτι τῆσθε ἔς ἐν τοῖς ἔσθαι τὸν κερῖον*  
ღმრთისაჲთა წინადალ...“ (A—132, 3r). *ἐναυτεῖσθε ἐν ἐπιστάμοις;*“ (GP, 31,  
657).

ამის შემდეგ ხელნაწერში აღარ არის თხზულების დიდი ნაწილი.  
შემორჩენილია მხოლოდ დასასრული, რომელიც იწყება სიტყ-  
ვებით:

„[განა]თლებად დაფარულთა ბნელისა- „*φωτισοὶ τὰ κερπὲν τοῦ σὸς τοῦ...*“  
თა“ (A—132, 5r). (PG. 31, 673).

და გრძელდება ბოლომდე.

P რედაქციის შემცველ ხელნაწერში მე-7 პროლოგის დასაწყისი  
დაკარგულია. იგი იწყება სიტყვებით:

„ვითარმედ რომელსაცა წარუდგინებოთ „*ὅτι ὁ παριστάμετε ἐναυτεῖς ὁσὶν ἔσθαι*  
თავნი თქვენნი მორჩილებაღ“ (A—63, *ἐς ὑπακοῆν...* (PG, 31, 660).  
1r).

<sup>1</sup> J. Gribomont, Histoire..., გვ. 279.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 280.

ამის შემდეგაც აკლია თხზულებას, რადგანაც. როგორც A—63 ხელნაწერის გადამწერი იესე მიუთითებს, მის დედანს აკლდა ორი ფურცელი. ქართულ ხელნაწერს აკლია ტექსტი სიტყვებიდან:

„...ერთსა ვს მორწმუნეთაგანსა“ (2რ). „...ὁὐβὲν ἔων πιστῶν...“ (PG, 31, 661).

სიტყვებამდე:

„უმცირესთაგან განვისწავლნეთ...“ (5რ). „...ὁὐκ ἔων ἡστῶτων παιδευσίμων...“ (PG, 31, 668).

ამის შემდეგ თხზულება ხელნაწერში ბოლომდე იკითხება.

ამ თხზულების სათაური ქართულში მხოლოდ E რედაქციის შემცველ ხელნაწერშია წარმოდგენილი. იგი რედაქციული ხასიათის განსხვავებას იძლევა Migne-სთან გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტთან:

„ვრცელად დაწყებაჲ სიტყვასა“ (A— „Προοίμιον. Περὶ κριματος· θειου“ 132, 1რ). (PG, 31, 653).

ამ სათაურებში მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ არის საერთო. ორივეში იწინას, რომ ეს თხზულება რალაციის პროლოგს წარმოადგენს. მართლაც, როგორც გარკვეულია, ეს თხზულება „მორალური წესების“ შესავალია და მხოლოდ შემდგომ საუკუნეებშია დაშორებული მას და ასკეტური კრებულის დასაწყის ნაწილში მოქცეული.

საერთოდ E რედაქცია ზუსტად მისდევს Migne-სთან გამოქვეყნებულ ამ თხზულების ბერძნულ ტექსტს, მაგრამ ზოგჯერ ამჟღავნებს ვარიანტული ხასიათის სხვაობებს. ამ მხრივ მაგალითისათვის საინტერესოა შემდეგი ნაწყვეტი:

E

P

... და იგი ასწავებს კაცთა მეცნიერებასა, რომლისა მიერ მეუწყა სახარული მიზეზი...“ (A—132, 5რ).

...და ასწავებს გულისკმის-ყოფასა, განმცდელ ვიქმენ ღმრთივ სულიერთა შინა წერილთა და ვცახ საშინელი იგი მიზეზი...“ (8რ).

...ὁὐδὲν ἀσχοῦντος δὲ ἀνυπόστατον γυναικῶν ἐπιταῖς θειοπνεύματος γρηγοῖται, καὶ γυναικῶν μὲν τῶν φιλοπόνησάντων αἰτεῖται.. (PG, 31, 673).

ამ ნაწყვეტში E რედაქცია ბერძნულთან და P-სთან შედარებით ამჟღავნებს ვარიანტული ხასიათის სხვაობას. ბერძნულის სიტყვები: „καταμαθῶν ἐν ταῖς θειοπνεύματος γρηγοῖται“, და მისი შესატყვისი გამოთქმა P რედაქციაში: „განმცდელ ვიქმენ ღმრთივ სულიერთა შინა წერილთა“ E რედაქციაში არ იკითხება.

P რედაქცია ზუსტად მისდევს ბერძნულ ტექსტს, მაგრამ მასშიაც არის ვარიანტული ხასიათის სხვაობები. ამის დამადასტურებლად მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს:

P

1. „... არამედ რაოდენი რაჲ ესნის  
ძისაგან, მას იტყვს“ (1 P).

„...dix' ὅσα ἂν ἀκούσῃ πικρὰ τοῦ  
κυρίου, ταῦτα λαλοῦντος“ (PG, 31,  
660).

P

2. „...და ღიდი უსჯულობაჲ გამოა-  
ჩინა მოციქულმან ყოველსა ზელა ურჩე-  
ბასა და თქუა, ვითარმედ...“ (5 P).

„...καὶ οὐκ ἔστιν ἡμεῖς ἄποστο-  
λος Παύλος... ἐκεῖνο εἶπών.“ (PG, 31,  
664).

ქართული ვერსიების ვარიანტული განსხვავებები არ შეიძლება მთარგმნელის ტექსტთან თავისუფალი დამოკიდებულების შედეგი იყოს. ჩვენ ვიცით, რომ E რედაქცია თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ, რომლის მთარგმნელობითი მეთოდი სათარგმნი ტექსტის ზუსტ გადმოღებაში მდგომარეობდა. P რედაქციის მთარგმნელიც ბერძნულ ტექსტს ზუსტად მისდევს; ამ თვალსაზრისით მისი მთარგმნელობითი მეთოდიც საკმაოდ ახლოს დგას ეფრემის მეთოდთან. ამდენად, წინადადების ის ნაწილი, რომელიც ბერძნულ ტექსტთან შედარებით ეფრემის რედაქციაში არ იკითხება და ის სახეცვლილება გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტისა, რომელსაც P-ში ვხვდებით: (1. P „ძისაგან“—*εἰς χυρῶσ*“ (უფლისაგან); 2. P „მოციქულმან“—*ἀπόστολος Παύλος*“ (მოციქულმა პავლემ), არ შეიძლება ქართველი მთარგმნელების მიერ სათარგმნელი ტექსტისადმი თავისუფალი დამოკიდებულებით იყოს გამოწვეული. აქ აშკარად ბერძნულ დედანში არსებულ ვარიანტულ განსხვავებებთან გვაქვს საქმე. ბერძნული ტექსტები, საიდანაც მოდის ქართული ვერსიები. Migne-სთან გამოქვეყნებული ტექსტის რედაქციისაა, მაგრამ მასთან შეფარდებით იძლევა ვარიანტული ხასიათის სხვაობებს.

რომ P რედაქციაში არსებული სხვაობები ქართული ვერსიის კუთვნილებას არ წარმოადგენს და იგი აშკარად ბერძნული დედნიდან მომდინარეობს, ამის უფრო ნათლად დასადასტურებლად მოვიყვანთ ერთ მაგალითს: პროლოგ 7-ის დასასრულში იკითხება:

E

„სამართლად საკირო ვკბონე ჯეროვნითა შემდგომებითა პირველად მართლისა სარწმუნოებისათვის და კეთილ მსახურებით აღსარებისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა თქუამად, და ეგრეთ-ღა შედგინებად სიტყუათა სწავლისათა“ (A—132, 5P).

P

„ხოლო შემდგომად ამისსა სათნოდ შევრაცხე შედგინებად სიციცხლისა მისისა რწმუნებისა და კეთილად მსახურებისა დიდებასა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა პირველდაწყებად და ესრეთ-ღა შედგენად ითიკასა და მერმე ასკიტიკასა“ (8P).

„ἀπόλουθον ὁμοῦ καὶ ἀνα-  
χαισον ἐλογισμένην, ἡὗν  
ἐνταύθισθαι πίστιν καὶ  
ἐνσεμῆ ὁδῶν περὶ τὴν πα-  
τρὸς καὶ υἱὸν καὶ ἁγίου  
πνεύματος παραθεσθῆναι  
πρότερον καὶ οὕτως ἐπι-  
συνάψαι τὰ ἡμικὰ“ (PG,  
31, 676).

აბგვარად. თხზულების დასასრულში ნათქვამია, რომ ამის შემდეგ ავტორი ილაპარაკებს. ზოგადად რომ ვთქვათ, კეშმარიტი სარწმუნოების და ქრისტიანული მოძღვრების შესახებ („უფრო ზუსტად: —*ἡμῶν περὶ τῆς πίστεως καὶ τῶν ἀγίων καὶ ἀγίου πνεύματος*“). და შემდეგ მას დაურთავს „მორალურ წესებს“ (τὰ ἠθικά). მართლაც, ბასილის „მორალურ წესებს“, რომლის შესავლადაცაა მიჩნეული ეს სტატია (პროლ. 7), აქვს ორი პროლოგი: პროლ. 7 და პროლ. 8. ეს ერთიანი ნაწარმოები თავისი უძველესი სახით ასეთი შედგენილობის იყო: პროლ. 7, პროლ. 8, „მორალური წესები“. მოყვანილ ნაწყვეტში ლაპარაკია სწორედ ამაზე. აქ ნათქვამია, რომ პროლოგ 7-ის (რომლის ბოლოშიც იკითხება ეს ნაწყვეტი) შემდეგ წარმოდგენილია კეშმარიტი სარწმუნოების გადმოცემა, ე. ი. პროლ. 8 (პროლ. 8-ის სათაურია „*περὶ πιστεως*“ — „სარწმუნოებისათვის“), ხოლო მას მოსდევს თვითონ „მორალური წესები“. P რედაქცია ამ მომენტს თავისებურად აზუსტებს. მასში ნათქვამია, რომ კეშმარიტი სარწმუნოებისა და ქრისტიანული მოძღვრების გადმოცემას მოსდევს ჯერ „ითიკა და მერმე ასკიტიკა“. ამ დანართში უკვე ლაპარაკია არა ცალკე თხზულების „მორალური წესების“ შედგენილობაზე, არამედ კრებულ „ასკეტიკონის“ აგებულებაზე. მართლაც, კრებულ „ასკეტიკონის“ ერთ-ერთ უძველეს ფორმაში — „*ჰიპოტაპოსში*“ თხზულებები ასე იყო დაჯგუფებული: პროლ. 6, პროლ. 7, პროლ. 8. „მორალური წესები“ და შემდეგ საკუთრივ ასკეტური თხზულებები: „*ერცელი და მოკლე წესები*“, თავიანთი პროლოგებით. ასეთი თანმიმდევრობა თხზულებებისა დღეისათვის დაცულია მთელ რიგ ბერძნულ ხელნაწერებში, მაგალითად: V 1 (ვატიკანი, ბერძნული ფონდი—413), V 2 (ათონი, ლავრის—442), V 3 (ვატიკანი, ბერძნული ფონდი—428), V 6 (პარიზი, ბერძნული ფონდი—964) და სხვ. მხოლოდ მას შეეძლო შეესწორებინა მოყვანილი ნაწყვეტი და დაემატებინა, რომ „ითიკას“ „ასკიტიკაც“ მოსდევსო. ვინც იმ კრებულში, რომელსაც თვითონ წერდა, თხზულებების სწორედ ასეთ თანმიმდევრობას ხედავდა. ამრიგად, ეს დანართი არავითარ შემთხვევაში არ ეკუთვნის ქართველ მთარგმნელს, რადგანაც მის მიერ თარგმნილ კრებულში. არა თუ თხზულებების ასეთი თანმიმდევრობა, არამედ თვით ის თხზულებაც კი არ არის წარმოდგენილი, რომელსაც ამ ნაწყვეტის თანახმად „ითიკა“ ეწოდება და რომელსაც უნდა მოსდევდეს „ასკიტიკა“. P რედაქციის მთარგმნელი თავის დედანს ყოველგვარი შესწორების გარეშე თარგმნის.

გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტთან შედარებით ქართულ რე-

დაქციებში არსებული ვარიანტული განსხვავებები თვითონ ბერძნული დედნის საკუთრებას წარმოადგენს.

§ 3. პროლ. 7-ს E და P-ში მოსდევს სტატია „სარწმუნოებისათვის“. რომელიც არის პროლოგი 8. პროლ. 8 ქართულ ვერსიებში Migne-სთან გამოქვეყნებულ ტექსტთან შედარებით აშკარად სხვა რედაქციისაა, ორივე ქართული რედაქცია მთავრდება უფრო ადრე. ვიდრე გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტი. ქართულ რედაქციებში წარმოდგენილია ამ თხზულების 1—5 პარაგრაფები (Migne-სთან გამოქვეყნებული ტექსტის დაყოფის მიხედვით); ისე რომ, მეხუთე პარაგრაფი ბოლომდე დასრულებული არ არის. E და P რედაქციების დასასრულის ერთმანეთთან დამთხვევა მოწმობს იმას, რომ ბერძნული „ასკეტიკონების“ ერთ ნაწილში პროლ. 8 ასეთი რედაქციით იყო წარმოდგენილი. მართლაც, ბერძნულ რედაქციაში V 8 (Venise, Marcienne. ანტიკური ფონდი—63) პროლ. 8 წარმოდგენილია ნაკლებლად, § 1—5-ის სახით. პროლოგი ქართულ რედაქციებში თავდება ახალი ალექსის სიტყვებით:

E

„...ქრისტე იესუ უფალი ჩუენი, რომლისა მიერ ყოველი აღშენებული შენაწერებული ორძის გამოად წმიდისა უფლისა მიერ (ეფ. 2, 21)“ (A—132, 11v).

P

„...ქრისტე იესუ უფალი ჩუენი, რომლისა მიერ ყოველი შენებული და შენაწერებული ორძის გამოად წმიდად უფლისა მიერ (ეფ. 2, 21)“ (15r).

„...τὸν κύριον Ἰησοῦ Χριστὸν, ἐν ᾧ πάντα οἰκοδομῆ συναρμοσίου ἐστὶν ἀντιπρὸς τὸν θεόν (Ephes. 2, 20)“ (PG. 31, 689).

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქართული რედაქცია გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტისაგან განსხვავებით ერთ რედაქციას იძლევა, ისინი მაინც არ მომდინარეობენ ერთი დედნიდან. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ E და P ერთმანეთთან შეფარდებით იძლევა ისეთი სახის ვარიანტულ განსხვავებებს, რომლებიც აშკარად სხვადასხვა დედნიდან უნდა მომდინარეობდეს. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1.

E

„...მამისა თვთებაჲ —მამობისა და ძისა თვთებაჲ—ძეობისა და სულიწმიდისა თვთებაჲ—სულად წოდებისა“ (A—132, 7r).

P

„რამეთუ მამისა თვთებაჲ არს მამობა და ძისა თვთებაჲ არს ძეობა და სულისა წმიდისა თვთებაჲ არს გამოსლვა“ (13v).

„...τὸν μὲν πατέρα ἐν τῷ ἰδιώματι τοῦ πατρὸς, τὸν δὲ υἱὸν ἐν τῷ ἰδιώματι τοῦ υἱοῦ, τὸν δὲ ἅγιον πνεῦματος ἐν τῷ οἰκείῳ ἰδιώματι“ (PG, 31, 688).

სული წმიდის თვისებად E რედაქციაში მიჩნეულია „სულად წოდება“, ხოლო P-ში „გამოსლვა“. ეს არ არის შემთხვევითი, ან თა-



ვისუფალი თარგმანით გამოწვეული განსხვავება; აქ არის სული წმიდის რაობის სხვადასხვა კუთხიდან განმარტება. ეს ვარიანტები უთუოდ სხვადასხვა დედნიდან მოდის. სულ სხვა ვარიანტს იძლევა ამ შემთხვევაში ბერძნული ტექსტი. ამ ვარიანტის თანახმად, სული წმიდა მოიაზრება „ἐν τῷ ὁμοῦ καὶ ἰσῶς καὶ ἰσοῦσθε (თავისთავადი თვისებით):

2.	E	P
„...დალათუ წინაწარმეტყულებანი განქარდენ, დალაცათუ ენანი დასცხრენ“ (A—132, 7v).	„...უკუეთუ ყოფაჲ, ანუ თუ მეცნიერებაჲ იყოს, განქარდინ“ (14r).	„Ἐντε δὲ προφητεῖαι καταργηθήσονται, εἴτε γλωσσαι παύσονται, εἴτε γῶναις καταργηθήσεται (1 Cor. 13, 8)“ (PG, 31, 688).

ბერძნულში არსებული ციტატი ახალი აღთქმიდან არასრულადაა მოყვანილი E რედაქციაში<sup>1</sup>, ხოლო P-ში იგი უაღრესად თავისებური სახითაა. E და P-ს მოყვანილი ვარიანტები სხვადასხვა დედნიდან უნდა მომდინარეობდეს.

P რედაქციაში ვხვდებით ზოგიერთ განსხვავებას E ვერსიისა და ბერძნული ტექსტისაგან, რომელთა ახსნა შესაძლებელია როგორც P-ს დედანში არსებული ვარიანტული განსხვავებებით, ისევე ქართული მთარგმნელის არაზუსტი თარგმანით. მაგალითად:

E	P
„ამასვე დაამტკიცებენ ნეტარისა პეტრეს და იოანესთანან იგი მოწაფენი უფლისანი“ (A—132, 9v).	„ხოლო დაამტკიცებენ ამას ნატარნიცა პეტრე და იოანე, მოწაფენი უფლისანი“ (11v).
	„Συνοῦσι δὲ τοῦτοι καὶ οἱ περὶ τὸν μακάριον Πέτρον καὶ Ἰωάννην μαθηταὶ τοῦ κυρίου...“ (PG, 31, 681).

დედანში საუბარია იმის შესახებ, რომ ამას და ამას, გარდა პეტრესა და იოანესი, უფლის სხვა მოწაფეებიც დაამტკიცებენ. ამავე აზრს გადმოსცემს E ვერსია; ხოლო P-ს აზრი კი სწავგვარადაც შეიძლება იქნეს გაგებელი.

§ 4. ბასილის „ასკეტიკონის“ მთელ რიგ ბერძნულ კრებულებში „მორალური წესების“ პროლოგებს 7 და 8-ს უშუალოდ მოსდევს საკუთრივ ასკეტური წესების პროლოგები 4 და 5. ასეა ეს ქართულ ვერსიებშიც, E და P-შიც. E-ში პროლოგ 8-ს მოსდევს პროლოგი

<sup>1</sup> A—132 ხელნაწერის გადამწერს ტექსტში ეს ნაწყვეტი ასეთი სახით დაუწერია: „დალათუ ენანი დასცხრენ“; შემდეგ კი ვილაყას სხვა მელნით ჩაუმატებია: „დალათუ წინაწარმეტყულებანი განქარდენ“. ალბათ ეს შესწორება ეფრემის თარგმანის სხვა ნუსხასთან შედარებითაა გამოწვეული.

5, ხოლო ამ უკანასკნელს პრ. 4; P-ში კი პროლ. 8-ს მოსდევს პროლ. 4, ხოლო მას პროლ. 5.

პროლ. 5-ის ქართულ ვერსიებში დაცული სათაური აშკარად მოწმობს, რომ აქ „კითხვა-მიგებაანის“ პროლოგთან გვაქვს საქმე. ქართულ ვერსიებში ამ სტატიის სათაური სრული სახით ასეა წარმოდგენილი:

E

„მისივე, პირველი სიტყუაჲ „თათა განსაზღვრებისაჲ“ (A—132, 11v).

P

„მისივე წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, პირველ-სიტყუაჲ ძეგლთაჲ, რომელ არს ორონ, ხოლო ორონ ითარგმანების ძეგლად წესად და საზღვარად სიტყუასა საღმრთოჲსა მის მოქალაქობისა“ (20v).

E რედაქციის თანახმად „თაენი განსაზღვრებისანი“ არის „კითხვა-მიგების“ თავები, ამგვარად E-ში სათაური მიუთითებს, რომ ეს თხზულება არის შესავალი „კითხვებისა“. P-ში ნათქვამია, რომ ეს არის შესავალი თხზულებისა, რომელსაც ბერძნულად ეწოდება „ორონ“. „ორონ“ ეს არის „კითხვა-მიგებათა“ ქართულად გადმოტანილი ბერძნული სათაური: „Ὁροι: ἡμετέροις“. Migne-სთან გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტში ეს სათაურები დაცული არ არის, და ამ თხზულებას ეწოდება „ასკეტიური სიტყუა“.

თავების მიმდევრობა სამივე რედაქციაში განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია P რედაქცია. ამ ვერსიაში „სამონასტრო კონსტიტუციების“ ერთი თავი შესავლის წინ და, ამდენად, თვითონ თხზულების გარეთაა გატანილი. V რეცენზიის გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტთან შედარებით ქართული რედაქციების შედგენილობის გასარკვევად ჩვენ შევადგინეთ სპეციალური ტაბულა<sup>1</sup>.

V	E	P	V	E	P	V	E	P
შეს.	შეს.	შეს.						
1	—	1	13	7	13	26	25	25
2	1	1	14	8	14	27	12	26
3	2	2	15		15	28	13	27
4	3	3	16		16	29	14	28
5	4	4	17	2	2	30	26	31
6	5	5	18	9	17	31	27	—
7	6	6	19	16	18	32	28	—
8	7	7	20	21	19	33	29	29
9	8	8	21	22	20	34	30	30
10	9	9	22	10	21			
11	10	10	23	11	22			
12	11	11	24	23	23			
	12	12	25	24	24			

<sup>1</sup> ტ-ბელაში რომელი ციფრით აღნიშნულია ის თავი, რომელიც შესავლის გარეთაა გატანილი. 1 კი მიუთითებს, რომ იგი ამ რედაქციაში ყველაზე წინ დგას.

ერთმანეთის შესაბამის თავებში წარმოდგენილი ტექსტი ძირითადად ერთგვარია, მაგრამ ერთმანეთთან შეფარდებით სამივე რედაქციულ განსხვავებებს ამჟღავნებს.

ქართული ვერსიებიდან ხან ერთი შორდება ბერძნულ ტექსტს, ხან მეორე.

ზოგჯერ E რედაქციაში განსხვავებული რედაქციით თუ ვარიანტითაა ცალკეული ნაწყვეტი წარმოდგენილი. მაგალითად:

1. V 18 თავის დასასრული (E 9, 1' 17) რედაქციებში ამგვარ სახეს ატარებს:

E	P
„ამის ცხორებისა კრძალვებით შემტკობელნი საგონებელ არიან ჩემდა უფრომს-ღ-კეშმარიტებისა და ერთარმელ ზენას. მას სათნობასა ებაძვე-ბიან და საუკუნესა ცხორებასა მიემთხუევიან“ (A—689, 169r).	„ამისთვისცა რომელნი ამას ესეუითარსა ცხორებასა მოუკლებიან, უწყნი ამანცა მათ შტკიცულ, ვითარმელ ზეცაჲთა მათ სათნობასა ებაძვებიან“ (201v).
	- <i>Τούτοι οι μειότεροι τον βίον μετά ἀκριβείας, ἐμοὶ δοκεῖν, τὴν ἀνωτάτω ἐξηλωκέναι ἀριετήν</i> “ (PG, 31, 1385—88).

მოყვანილ ნაწყვეტში E რედაქცია აშკარად უმატებს ბოლო სიტყვებს: „საუკუნესა ცხორებასა მიემთხუევიან“.

E	P
„რამეთუ არა ისინია მან წინაწარმეტყუელისაგან“ (A—689, 180v).	„ანუ არა ასმიეს ამას დავით წინაწარმეტყუელისაგან“ (209r).
	„ <i>Ὁν γὰρ ἤκουσεν οὐτως παρὰ τοῦ προφήτου Δαβὶδ</i> “ (PG, 31, 1401).

ამ შემთხვევაში E რედაქციაში გამოტოვებულია დავით წინასწარმეტყუელის სახელი.

P რედაქციაც საკმაოდ ხშირ შემთხვევაში ამჟღავნებს განსხვავებებს. მაგალითად:

E	P
„უძრვს ცოდვილთას მე ვარ, რამეთუ გარდაქვდები საღმრთოთა ბრძანებათა, რომელი ბრძანებს, რაჟთა შემერაცხოს თავი ჩემი უჭმარად ყოელადვე და კუალად სიმდაბლით კვდებოლით ურთიერთას უღარეს თავისა თვისისა (ფილ. 2,3) ილოცვედ უკუე ღმრთისა მიმართ შიშით და სიმდაბლით“ (171v).	„ <i>Ὑπέρο τοὺς ἀμαρτωλοὺς πάντας ἐγὼ εἰμι ὁ παραβαίνων τὸ θεῖον πρόσταγμα τὸ κελύθον. Ὅταν πάντα κατορθώσῃς. λέγετε, οὐτὶ Ἀχρεῖοι δοῦλοὶ ἐσμεῖν ἃ γὰρ ὀφείλομεν ποιῆσαι. πεποιήκαμεν (Luc. 17, 10). Οὕτω σε δεῖ λογιζεσθαι διαπαντός, οὐτὶ Ἀχρεῖός εἰμι· καὶ πάλιν Τῷ ταπεινοφροσύνῃ ἀλλήλους ἡγοῦμενοι ὑπερέχοντας ἑαυτῶν (Philipp. 2, 3). Προσεύχων σὺν τῷ θεῷ μετὰ φόβου καὶ ταπεινοφροσύνης</i> “ (PG, 31, 1329).

A—63 ხელნაწერის თანახმად ამ ადგილას P რედაქცია ტოვებს. ციტატას სახარებიდან: ლუკ. 17, 10.

2.	E	P	
-ეგრეთვე მოციქული იტყვს“ (A—689, 178v).		-ეგრეთვე უკუე და მოციქულიცა ჰაველ იტყვს“ (205 r).	“... <i>δοξῶς δὲ καὶ ὁ Ἀποστόλος...</i> (PG, 31, 1393).

P ვერსია სხვა რედაქციებთან შედარებით უმატებს მოციქულის სახელს.

3. P რედაქცია, განსხვავებით E რედაქციისა და გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტისაგან, მიმართვის დროს ხმარობს სიტყვას „საყვარელო“. მაგალითად:

ა)	E	P	
-რამეთუ რაჲ უმჯობეს არს, მითხარ მე, მიმსგავსებად ზესა ნაყოფ კეთილსა“ (A—689, 162v).		-ოქუ-ლა, ზ საყუარელო, რაჲ უმჯობეს არს მიბაძვად ხეთა ნაყოფიერთა“ (185r).	„ <i>Τὴ γὰρ βέλτιον, εἰπὲ μοι, μῦξιθαι τῶν δένδρων τὰ εὐκαριῶν</i> “ (PG, 31, 1352).

ბ)	E	P	
-იხილე, რასა იტყვს უფალა სახარებასა შინა“ (A—689, 169v).		-განიცადეთ, საყუარელო, თუ რასა იტყვს უფალი სახარებასა შინა“ (210v).	„ <i>Ἐκπῆσθον γὰρ, τὶ ὁ κύριος ἐν εὐαγγελίῳις ἔφη</i> “... (PG. 31. 1404).

ამგვარად, ქართული ვერსიების „სამონასტრო კონსტიტუციებში“ წარმოდგენილ ტექსტს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი გამოქვეყნებულ ბერძნულ რედაქციასთან შედარებით.

უფრო მნიშვნელოვანი მაინც ის თავისებურებებია, რომლებსაც ამჟღავნებს „სამონასტრო კონსტიტუციების“ ქართული ვერსიების შედგენილობა V რეცენზიასთან შედარებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენილობის მიხედვით, ბერძნულ ხელნაწერებში ყველა რეცენზიის „სამონასტრო კონსტიტუციები“ გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს. გრიბომონმა აღწუსხა და დაახასიათა ამ თხზულებისათვის დამახასიათებელი ყველა თავისებური რეცენზია. ქართული ვერსიების ადგილის გასარკვევად ამ ბერძნული რეცენზიების რიგში ჩვენთვის უალრესად საინტერესოა N და M რეცენზიების „სამონასტრო კონსტიტუციების“ შედგენილობა. გრიბომონის გამორკვევის თანახმად, N რეცენზიის „კონსტიტუციების“ შედგენილობა V რეცენზიასთან შედარებით ასეთია: N რეცენზიის „კონსტიტუციებში“ წარმოდგენილია შესავალი და 30 თავი. თავების მიმდევრობა V ნომრების მიხედვით ასეთია: 2, 17, 3, 4, 5, 7, 13, 14—16 გაერთიანებულია ერთ მე-8 თავად, 18, 22, 23, 27, 28, 29, 11—12 გაერთიანებულია ერთ მე-15 თავად, 19, 6, 8, 9, 10, 20,

21, 24, 25, 26, 30, 31, 32, 33, 34. ამ რეცენზიის „კონსტიტუციების“ საერთო სათაურია: „სიტყვანი ასკეტურად მცხოვრები მონაზვნებისადმი“<sup>1</sup>.

M რეცენზიის „სამონასტრო კონსტიტუციების“ შედგენილობა გრიბომონის აღწერის თანახმად, O რეცენზიას მისდევს. O რეცენზია ასეთია: შესავალი, თავები V ნუმერაციით: 2, 17, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 33, 34. M რეცენზია ამ თანამიმდევრობას უცვლელად ტოვებს; მხოლოდ წინ, შესავალზე ადრე ურთავს V ნუმერაციის I თავს, ხოლო ბოლოში 30-ე და ზოგჯერ 32-ე თავებს. სათაური ამ რეცენზიისა დაახლოებით იგივეა, რაც N რეცენზიაში<sup>2</sup>. „სამონასტრო კონსტიტუციების“ სხვა რეცენზიების გრიბომონის მიერ წარმოდგენილი აღწერილობა ქართულ რედაქციებთან არავითარ მსგავსებას არ ამჟღავნებს.

ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ E ვერსიის ქართული ასკეტური კრებულის „სამონასტრო კონსტიტუციები“ არის N რეცენზიის. E ვერსიის თავების რაოდენობა და მათი მიმდევრობა ზუსტად ეთანხმება N რეცენზიას. სათაურიც E რედაქციისა იგივეა, რაც N რეცენზიას ახასიათებს: „სიტყუანი მათლა მიმართ, რომელნი მონაზონებისა ცხოვრებისა მოლუაწე იყვნენ“.

P რედაქციის „სამონასტრო კონსტიტუციები“ კი უნდა იყოს M რეცენზიის. შედგენილობა ამ რედაქციისა თანხვდება M რეცენზიის შედგენილობას, მხოლოდ ქართული ვერსია თხზულების ბოლოში მარტო 30-ე თავს ათავსებს, 32-ეს კი არა. სათაურიც, როგორც M რეცენზიაში, N რეცენზიის მსგავსია. P რედაქციაში, როგორც მივუთითეთ, ამ თხზულების თავები ერთი სათაურის და ნუმერაციის ქვეშ გაერთიანებული არ არის; მაგრამ უეჭველია, რომ მთელი თხზულების სათაური დაცული უნდა ჰქონდეს შესავალ თავს. მართლაც P რედაქციაში „სამონასტრო კონსტიტუციების“ შესავალი თავის სათაურად იკითხება: „სიტყუაჲ მათლა მიმართ რომელნი მონაზონებისა ცხოვრებასა ილუწიან“.

ამგვარად, E ვერსიაში წარმოდგენილია N რეცენზიის „სამონასტრო კონსტიტუციები“; ხოლო P ვერსიაში—M რეცენზიისა.

### თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე .

„ასკეტიკონის“ ქართული ვერსიების შედარებამ Migne-ის მიერ გამოქვეყნებულ ბასილის ასკეტური ნაწერების ტექსტთან დაამტკი-

<sup>1</sup> J. Gribomont, Histoire..., გვ. 304.

<sup>2</sup> იქვე.

ცა, რომ G ვერსია გამოქვეყნებულ V (ვულგატას) ტექსტთან შედარებით სულ სხვა რეცენზიას წარმოადგენს. E და P ქართული ვერსიები კი აშკარად V რეცენზიისაა (გარდა „ასკეტიკონის“ უკანასკნელი თხზულების „სამონასტრო კონსტიტუციებისა“, რომელიც, როგორც მიუთითეთ, E-ში N რეცენზიისაა, ხოლო P-ში M რეცენზიის). ქართული ტექსტები საკმაოდ ახლოს დგას Migne-ის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტთან, მაგრამ სპეციფიკურ დეტალებში მაინც განსხვავდება მისგან, ზოგიერთი თხზულების ფარგლებში უფრო მეტად („მორალური წესები“), დანარჩენში კი შედარებით უფრო ნაკლებად. ყოველ შემთხვევაში ქართული „ასკეტიკონების“ არც ერთი თხზულების ბერძნული დედანი არ უნდა ყოფილიყო ზუსტად იმავე რედაქციისა, რომელიც Migne-ის მიერ, არის გამოქვეყნებული.

ბასილის „ასკეტიკონის“ ძველი ხელნაწერების მიხედვით გამართული ბერძნული ტექსტი ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის. ბასილის ასკეტური თხზულებების გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტები და მათ შორის Migne-ის გამოცემაც საკმაოდ შერყენილ და გვიანდელ რედაქციებს იცავს. ქართული ვერსიების პირდაპირი ბერძნული დედნის საპოვნელად უშუალოდ ბერძნული ხელნაწერების აღწერილობებით და ამ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტებით უნდა ვისარგებლოთ.

გრიბომონმა გამოაქვეყნა „ვრცელი წესების“ მე-16 კითხვის ყველა ბერძნული ხელნაწერის მიხედვით გამართული სრული ბერძნული ტექსტი იმ ვარიანტებითურთ, რომლებსაც ეს ხელნაწერები ამჟღავნებს<sup>1</sup>. ამ ტექსტებთან ქართული ვერსიების შედარება საინტერესო მონაცემებს იძლევა ქართულ ვერსიებში დაცული რედაქციების გამოსარკვევად.

გრიბომონი აქვეყნებს ტექსტს V1, V3, V4, V5, V6, V7, B, M1, M2, M3, O1, O2, O3, N1, N2, N3, N4, N5, N6, N9, S'1, S'2, S'3, S'4, S'5, S'6, S'7, S'8, S'9, S'10, S'12 რედაქციების ვარიანტებითურთ და ბოლოში ურთავს იმ განსხვავებებს, რომლებსაც V8, V9, V11, და S 11 რედაქციები ამჟღავნებს.

ძირითადად ქართული ვერსიები (E და P) მისდევს გრიბომონის მიერ გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტს. ქართული ვერსიების განსხვავებებიც იმ ადგილებში ჩნდება, სადაც თვითონ ბერძნული რედაქციები ამჟღავნებს განსხვავებებს ერთმანეთს შორის. გრიბომონთან გამოქვეყნებული ტექსტის 27—35 ხაზების ფარგლებში ბერძნულ-

<sup>1</sup> J. Gribomont, Histoire..., გვ. 210—214.

ლი ხელნაწერები ორ ნაირსახეობას იძლევა. V B M O რედაქციები (გამოკლებით V8, V9, V11), ერთ ტექსტს იცავს, ხოლო NS რედაქციები (გამოკლებით S11)—მეორე ტექსტს. წინადადების შემდეგ—*„Καί ἡ πρώτη παρακλή δι' ἀκρασίας ἐνέπεσε τῷ ἀνθρώπῳ (Migne PG., 31, 957)—წინადადებად—„Καὶ Ἰωάννου δὲ ἡ πᾶσα τοῦ βίου ἔνστασις ἀπὸ τῆς ἐγκρατείας ἄρμητο...“ (Migne, PG, 31, 960)—წარმოადგენილია ეს ორი სხვადასხვაგვარი ტექსტი:*

V B M O

*„Ἐν ἐγκρατεία δὲ οἱ ἄγιοι πάντες ἐμαρτυρήθησαν ὁ Μωσῆς διὰ τῆς μακροῦς ἐν νηστεία καὶ προσευχῆ προσεδόξιας τὸν νόμον ἔλαβε, καὶ θεοῦ λόγων ἤκουσεν, ὡς ἂν εἰ τις λαλήσαι, φησί, τῷ ἑαυτοῦ φίλῳ (Exod. 33, 11). Ὁ Ἥλιος τότε τῆς ὀπτασίας τοῦ θεοῦ κατηξιάσθη, ὅτε καὶ αὐτὸς ἐν τῷ ἴσῳ μέτρῳ τῆς ἐγκρατείας γέγονε, Τί δὲ ὁ Δανιήλ; πῶς ἐν τῇ ὀπτασίᾳ τῶν παραδόξων ἐγένετο; οὐ μετὰ τὴν εἰκοστὴν τῆς νηστείας ἡμέραν; πῶς δὲ οἱ τρεῖς παῖδες τὴν δύναμιν ἐσβέσσαν τοῦ πυρός; οὐ διὰ τῆς ἐγκρατείας“;*

Migne-ის მიერ გამოქვეყნებული ბერძნული ტექსტი ამ ადგილას იძლევა ამ ორი რედაქციის თავისებურ შერწყმას. იგი პირველ წინადადებას იღებს VBMO-დან. მეორე წინადადებად NS-ის პირველ წინადადებას წარმოადგენს და შემდეგ გადადის VBMO-ს მეორე წინადადებაზე და მისდევს ამ რედაქციას ბოლომდე: *„Ἐν ἐγκρατεία δὲ οἱ ἄγιοι πάντες ἐμαρτυρήθησαν. καὶ πᾶσα δὲ ἡ τῶν ἁγίων, καὶ μακαρίων ζωή, καὶ τὸ παρ' αὐτοῦ τοῦ κυρίου ἐν τῇ ἐπιδημίᾳ τῇ διὰ σαρκὸς ὑπόδειγμα πρὸς τοῦτο ἡμᾶς ὠφέλει. Ὁ μωσῆς, διὰ τῆς μακροῦς ἐν νηστεία καὶ προσευχῆ προσεδόξιας τὸν νόμον ἔλαβε, καὶ θεοῦ λόγων ἤκουσεν, Ὡς ἂν εἰ τις λαλήσαι, φησί, τῷ ἑαυτοῦ φίλῳ“ (Exod. 33, 11), (Migne, PG, 31, 957—960) და ა. შ. როგორც VBMO. ამგვარად, Migne-ის გამოქვეყნებული ტექსტი, რომელიც V რეცენზიისაა, VBMO რედაქციებისათვის დამახასიათებელ ტექსტში ურთავს ერთ წინადადებას NS რედაქციების ტექსტიდან ისე, რომ ამ წინადადების სანაცვლოდ არაფერს არ აკლებს პირველი (VBMO) რედაქციისათვის დამახასიათებელ ტექსტს. ტექსტის ამგვარი გადასმა არ ახასიათებს არც ერთ ძველ ბერძნულ ხელნაწერს და იგი ან უაღრესად გვიანდელი*

N S

*„Καὶ πᾶσα δὲ ἡ τῶν ἁγίων καὶ μακαρίων ζωή, καὶ τὸ παρ' αὐτοῦ τοῦ κυρίου ἐν τῇ ἐπιδημίᾳ τῇ διὰ σαρκὸς ὑπόδειγμα πρὸς τοῦτο ἡμᾶς ὠφέλει. τοῦτο μὲν Μωυσέως διὰ τῆς παρατεταμένης ἐκείνης νηστείας προσεδύεσαντος τῷ θεῷ καὶ τυχόντος τῆς διακονίας, τοῦτο δὲ Ἥλιος τότε τῆς ὀπτασίας τοῦ θεοῦ καταξιαθέντος, ὅτε καὶ αὐτὸς τῷ ἴσῳ μέτρῳ τῆς ἀποχῆς τῶν βρωμάτων ἐγένετο. τοῦ Δανιήλ δὲ καὶ ἡ τῶν τριῶν παιδῶν πρὸς θεὸν εὐαρεστήσις καὶ τὸ πάντων κατακρατήσθαι τῶν ἐχθρῶν δι' ἐγκρατείας κατορθώσθη.“*

ტრადიციების მატარებელია, ან გამოცემის დროს სხვადასხვა ხელნაწერის ერთმანეთთან შეჯერების შედეგადაა შექმნილი. V რეცენზიის ტექსტში ზოგიერთი წინადადების S რეცენზიის შესაბამისი ადგილით შეცვლა კი ახასიათებს ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერს, რომლებსაც გრიბომონი ერთ ჯგუფში აერთიანებს და უწოდებს შერეულ (შერყვნილ) ვულგატას („La vulgate contaminée“). ამ ტიპისაა ბერძნული რედაქციები V8, V9, და V11<sup>1</sup>. სწორედ ამგვარ შერეული ხასიათის ტექსტს წარმოადგენს ამ მონაკვეთში ქართული—E და P ვერსიები. ქართული ვერსიების ტექსტი ამ მონაკვეთში არ მიჰყვება არც VBMO, არც NS და არც Migne-ის გამოქვეყნებულ რედაქციას, ამგვარად, ქართული ვერსიები არ არის V1 V3, V4, V5, V6, V7, B, M1, M2, M3, O1, O2, O3, N1, N2, N3, N4, N5, N6, N9, S1, S2, S3, S4, S5, S6, S7, S8, S9, S10, S12 და Migne-ის გამოქვეყნებული რედაქციებიდან მომდინარე. ორივე ქართული ვერსია ამ მონაკვეთში იცავს ისეთ ტექსტს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დამახასიათებელია ე. წ. „შერეული ვულგატას“ ტიპის სამი ბერძნული რედაქციისათვის. ესენია: V8 (ხელნაწერი ინახება—Venise, Marcienne, ანტიკური ფონდი 63). V9 (პარიზი, ბერძნ. ფონდი 502 A) და V11 (ვატიკანი, ბერძნული ფონდი 1088) რედაქციები. მოყვანილი ნაწყვეტის შესატყვისი ტექსტი ქართულ ვერსიებში, ისევე, როგორც V8, V9 და V11 ბერძნულ ხელნაწერებში, არ იცნობს VBMO რედაქციის პირველ წინადადებას და მის ნაცვლად ათავსებს NS რედაქციის პირველ, დიდ წინადადებას. შემდეგ კი ტექსტი მთლიანად VBMO რედაქციას მისდევს. აი, ამ ადგილის ქართული თარგმანები და „შერეული ვულგატას“ ბერძნული ტექსტი, გრიბომონის მიერ დართული ვარიანტების მიხედვით<sup>2</sup>:

E	P	V8, V9, V11
...და პირველი ურჩე- ბაჲ უძღვებობსაგან შთა- მოფთესა კაცსა.	....და პირველიცა იგი ურჩებაჲ უძღვებობისა მიერ დაეცა კაცსა ზედა.	... <i>Kai ἡ πρώτη πα- ρακοή δι' ἀγαθίας ἐν- έπαισε τῷ ἀποστόλῳ</i>
ვინაჲცა ყოველთა წმი- დთა და ნეტართა კაცთა ცხორებაინი და უფლისა იგი ქუეყანად ჯორცითა მოსლვისა სახენი, ამისსა მომართ სარგებელ მუყო-	ხოლო ყოველივე წმი- დთა ნეტარი იგი ცხო- რებაჲ და თუთ თავადისა უფლისა მოსლვისა იგავი ჯორცითა ამას ზედა სარ- გებელ მუეოს ჩუენ: არა	<i>Kai p̄asa d̄e ἡ τῶν ἀγίων καὶ μακαρίων ζῶν, καὶ τὸ (τὸ οὐ. V9) παρ' αὐτοῦ τοῦ κυρίου ἐν τῇ ἐπιθῆκῃ τῆς σαρ- κὸς ὑπόδειγμα πρὸς</i>

<sup>1</sup> J. Gribomont, Histoire... 83- 21.

<sup>2</sup> იქვე, 83- 214.

ფიან ჩუენ; რამეთუ მოსე განგრძობით საგრობითა მარხვისა და ლოცვისათა მოილო შეჯულო, და ესმა სიტყუაჲ ღმრთისაჲ: ვითარ-იგი ეინ ჰზრახავენ თჳსსა მეგობარსა (გამ. 33, 11)- (A- 689, 26r).

მოსე გრძელისა მიერ მარხვისა და მიმდემისა მოილო შეჯულო, და ღმრთისა სიტყუაჲ ესმა: ვითარ-ცა ეინ ჰზრახავენ მეგობარსა თჳსსა (გამ. 33, 11)- (48v).

ταυτο ημας ἀφ᾽ἑληθεν· Ὁ Μωσῆς δια τῆς μακροῦς ἐν νηστείᾳ καὶ προσευχῇ προσεδόριε τὸν νόμον ἔλαθε, καὶ θεοῦ λόγῳ ἠκούσεν, ὡς ἂν εἴ τις λαλήσῃ, φησί, ἰψ᾽ ἑαυτοῦ φίλῳ (Exod. 33, 11)“.

ამგვარად, E და P ქართული ვერსიების ბერძნული დედნები აშკარად „შერეული ვულგატას“ ტიპის ტექსტის შემცველი ყოფილა. რასაკვირველია, მოყვანილ ნაწყევტში E და P რედაქციის ტექსტების ერთმანეთისადმი დამთხვევა არ ნიშნავს, რომ მათი დედანი ერთი და იგივე რედაქციის შემცველი იყო. პირიქით, როგორც წინა თავებში არა ერთხელ მიუუთითეთ, E და P რედაქციები, მართალია, ძირითადად ერთი ტიპის ტექსტს იცავს, მაგრამ ერთმანეთს შორის ისინი ხშირ შემთხვევაში ამჟღავნებენ რედაქციული ხასიათის სხვაობებს. V8, V9 და V11 რედაქციებზე დაკვირვება და მათი მონაცემების ქართულ ვერსიებთან შედარება უფრო ზუსტი დასკვნების გამოტანის საშუალებასაც იძლევა.

მე-16 კითხვის დასაწყის ნაწილში მოყვანილია ციტატი ახალი აღთქმიდან: მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი 11, მუხლი 27. ციტატი ყველა ბერძნულ ვერსიაში და მათ შორის V9 და V11-ში ამგვარად იკითხება: „ἐν ἁπάσῃ καὶ μάχῳ. ἐν ἀγρυσνῖαις πολλαίαις, ἐν λιμᾷ καὶ ὄψει·, ἐν νηστείαις πολλαίαις“. მხოლოდ და მხოლოდ V8 რედაქცია იძლევა ამ ციტატს სხვაგვარი სახით, მასში იგი ასე იკითხება: „ἐν ἁπάσῃ καὶ μάχῳ, ἐν ἀγρυσνῖαις πολλαίαις“. ქართული ვერსიების მიხედვით ეს ციტატი წარმოდგენილია ისე, როგორც ყველა სხვა რედაქციაში, გარდა V8-სა. ქართულ რედაქციებში ციტატი სრული სახითაა მოყვანილი და ისინი მხარს არ უჭერენ V8-ს შემოკლებას:

E

P

„წრომითა და კირითა, ღამის თეითა მრავალ გზის, შიშშილითა და წყურილითა, მარხუითა მრავალ გზის“ (A- 689, 25v).

„კირითა და იწროებითა მრავალ გზის, სიყმილითა და წყურილითა, მარხუითა მრავალ გზის“ (48r).

გამომდინარე აქედან, არც ერთი ქართული ვერსია არ მისდევს V8-ს, ე. ი. ქართული ვერსიების უშუალო ბერძნული დედნები შემცველი უნდა ყოფილიყო V9 და V11 რედაქციების ტექსტისა.

მე-16 კითხვის დასაწყისში ერთი ფრაზა V11 რედაქციაში, განს-



ხვავებით ყველა სხვა რედაქციისა და მათ შორის V9-საგან, თავისებურ წაკითხვას იძლევა.

V9 და სხვ.

„ἐπειτα δὲ ἐκ τοῦ τῶ ἀμαμον  
τῆς διακονίας καὶ ἐκ ταύτης ἐπέειν  
κατορθοῦσθαι, ἐν οἷς φησίν“.

V11

„ἐπειτα δὲ ἐκ τοῦ τῶ ἀμαμον τῆς  
διακονίας καὶ ἐκ ταύτης ὡς ἐπέειν  
κατορθοῦσθαι, ἐν οἷς“.

V11 განსხვავებით სხვა ტექსტებისაგან ἐπέειν-ის წინ უმატებს ὡς, ხოლო ბოლოში აკლებს სიტყვას φησίν. ამ ადგილას ქართული ვერსიებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან:

P

„და ნერმე უბრალოდ მსახურებაჲ ამი-  
საგან ითქმის წარმართებულად, რომ-  
ლისათჳს იტყჳს“ (48r).

E

„ამისა შემდგომად უბიწოების-გან მსა-  
ხურებისა, რომლისასა ამიერ იტყჳს  
წარმართებასა“ (A—689, 25v).

როგორც მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს, P აშკარად განსხვავდება V11-საგან ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ-დეტალებში, და ზუსტად მისდევს V9 (და სხვებს); ხოლო E აშკარად განსხვავდება V9 (და სხვ.) რედაქციისაგან და მისდევს სწორედ V11-ს.

V9 რედაქცია, განსხვავებით ყველა სხვა რედაქციისა და მათ შორის V11-საგან, ტექსტში ერთ ადგილას უმატებს სიტყვას ἄλλων.

V11 და სხვ.

„... ἢ τῶν ὄσων τὰς ἀπειθεύτους  
πυχὰς κατεδοῦσθαι πέφυκε“

V9

„...ἢ τῶν ἄλλων ὄσων τὰς ἀπει-  
θεύτους πυχὰς κατεδοῦσθαι πέ-  
φυκε“

E რედაქციაში წარმოდგენილი ქართული ტექსტი ამ მომენტშიც V11-ს მისდევს და განსხვავდება V9-საგან; ხოლო P ვერსიის ტექსტი იცავს იმ ცვლილებებს, რომლებიც V9-ს შეაქვეს სხვა რედაქციების ტექსტში:

E

„...ანუ რაოდენნი რაჲ დაიმონებენ  
სულსა უსწავლულთასა...“ (A-689,  
26v).

P

„...ანუ თუ რაოდენი რაჲ არს სხუაჲ  
უწურთელთა სულთა დამონებად იწვევა-  
რი...“ (49r).

ამ დეტალებიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ბასილის ასკეტური თხზულების „ერცელი წიგნების“ ტექსტი E და P ქართულ ვერსიებში წარმოდგენილია ე. წ. „შერეული ვულგატას“ ტიპის რედაქციით. ქართულ ვერსიებში წარმოდგენილი ტექსტი, განსხვავებით ყველა სხვა რედაქციისაგან, ამჟღავნებს მსგავსებას მხოლოდ და მხოლოდ V8, V9 და V11 რედაქციებთან. ზოგიერთ კონტექსტში ქართული რედაქციები განსხვავდება V8-საგანაც: სპე-

ციფიკურ დეტალებში E და P ვერსიები ერთმანეთისაგანაც განსხვავდება. E რედაქცია ამჟღავნებს სხვაობებს როგორც P, ასევე V9 რედაქციის ტექსტისგანაც და მისდევს V11-ს; ხოლო P ვერსია განსხვავდება E-საგან და V11 რედაქციისაგან და მისდევს V9-ს. გამომდინარე აქედან, E ვერსიის „ასკეტიკონის“ „ვრცელი წესების“ უშუალო ბერძნულ დედანში V11 რედაქციის ტექსტი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი; ხოლო P ვერსიის „ასკეტიკონის“ „ვრცელი წესების“ უშუალო ბერძნულ დედანში—V9 რედაქციის ტექსტი.

## თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ ბასილის ასკეტურ კრებულში რამდენიმე ადგილას გვხვდება უშუალოდ ტექსტში ჩართული მინაწერები—დანართები ტექსტისადმი, რომლებიც ამ თხზულებების Migne-ის მიერ გამოქვეყნებულ ბერძნულ დედანში არ გვხვდება. ეს მინაწერები ეფრემის შეთხზული რომ არ არის და ისინი ეფრემის უშუალო ბერძნულ დედანში რომ იკითხებოდა, ამაზე მიუთითებს რამდენიმე მომენტი: 1. ეფრემი მის საკუთარ კომენტარებს (სქოლიოებს, მინაწერებს) თითქმის ყოველთვის არშიაზე ათავსებს და არასდროს ისინი უშუალოდ ტექსტში არ შეაქვს. ამგვარადაც ეს წესი გატარებული ამ კრებულშიც. ეფრემი თავის ყველა სქოლიოს არშიაზე ურთავს, გარდა ანდერძისა, ანუ მოსახსენებელისა, რომელიც კრებულის ბოლოშია დართული და რომელშიაც ლაბარაკია ამ კრებულის ქართულ ენაზე ჩამოყალიბების შესახებ. 2. ეფრემი მის საკუთარ კომენტარებში ყოველთვის მიმართავს მკითხველს და მიუთითებს, რომ იგი განმარტებას აძლევს ტექსტის გარკვეულ ადგილს. ამ მიზნით ეფრემის თითქმის ყველა სქოლიოს თავზე აწერია: „შეისწავე“, ზოგჯერ „საცნაურ იყავნ“. 3. „ასკეტიკონის“ ქართულ ტექსტში ჩართული მინაწერება რომ ეფრემის სქოლიოებს არ წარმოადგენს, ამაზე გარკვევით მიუთითებს თვითონ ეფრემ მცირე. ერთ-ერთ ასეთ მინაწერს იგი არშიაზე ურთავს საკუთარ განმარტებას: „შეისწავე, რამეთუ ესე ზედა წარწერილი დედასა ესრეთ ლიტონად ვპოვე და არა მსგავსად სხუათა მათ წარწერილთა სხვა ვისგანმე, არამედ თუ ვმიდისა მის და ყოველთა წერილთა სამოთხისა პირისად ვჰგონე. ამისთჳს ესრეთვე დავწერე“ (A—132, 15v).

ამგვარად, E რედაქციის ტექსტში ჩართული მინაწერები უშუალოდ ბერძნული დედანიდან მომდინარეობს.

1. პროლოგი 5-ის შემდეგ და „ვრცელი წესების“ ინდექსის წინ

ეფრემის რედაქციაში იკითხება: „აქა დასრულდა შესავალი წიგნისაჲ ამის წმიდისა ბასილისი. რომელსა „ასკეტიკონ“ ეწოდების, რომელი გამოითარგმანების: სამოლუაწუოჲ“ (A—132, 14v). აქ მოყვანილ მინაწერში მეორე ნაწილი, რომელიც სიტყვა ასკეტიკონის ქართულად თარგმნას შეეხება, უთუოდ ეფრემს ეკუთვნის. ხოლო ამ მინაწერის პირველი ნაწილი ბერძნული ხელნაწერიდან უნდა მოდიოდეს. რადგანაც მთელ რიგ ბერძნულ ხელნაწერებში მართლაც პროლოგი 5-ით მთავრდება „ასკეტიკონის“ შესავალი და ამ პროლოგის შემდეგ წარმოდგენილია უშუალოდ ძირითადი ასკეტური თხზულებები.

2. შემდეგი დანართი E რედაქციის „ასკეტიკონში“ გვხვდება „ვრცელი წესების“ ინდექსის ბოლოს. სწორედ ამ სქოლიოს ურთავს ეფრემი საკუთარ განმარტებას იმის შესახებ, რომ იგი ბერძნულ დედანში მოიპოვებოდაო. სქოლიოში იკითხება: „ამით ზანდუკითა მოიძვედი რომლისაცა პირისათჳს გინდეს“ (A—132, 15v). ამ ადგილას V რეცენზიის ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში მოიპოვება V—VI საუკუნეების ბიზანტიელი სქოლიასტის სქოლიო 4. მასში საუბარია „ვრცელი წესების“ შედგენილობის შესახებ. მაგრამ აქ მოყვანილი მინაწერის არსებობის შესახებ ბერძნულ ხელნაწერებში გრიბომონი არაფერს ამბობს. რომ ეს მინაწერი ნამდვილად არსებობდა ბერძნულ ხელნაწერში, ამის შესახებ ეფრემი უტყუარ ცნობას იძლევა.

3. E რედაქციის „ასკეტიკონის“ შემდგომი ტექსტისეული მინაწერი იკითხება „მოკლე წესების“ ინდექსის ბოლოში. მინაწერში ნათქვამია: „დასრულდა ზანდუკი ტიგ (313—ე. ხ.)“ (A—689, 59r). გრიბომონი არაფერს ამბობს ბერძნულ ხელნაწერებში ამ ადგილას რაიმე სქოლიოს, ან სხვა ადგილას ასეთი შინაარსის მინაწერის არსებობის შესახებ. „მოკლე წესების“ ინდექსი, რომლის ბოლოსაც ეს მინაწერი იკითხება, მართლაც 313 კითხვის არსებობას მიუთითებს. ამ მინაწერში ხაზგასმულია სწორედ ეს გარემოება. შესაძლებელია ამ მინაწერის დაბეჯითებული განცხადება იმის შესახებ, რომ ინდექსში 313 კითხვა არის, გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზის გამო: ყველა ბერძნულ ხელნაწერში „მოკლე წესების“ კითხვების რაოდენობა 313-ით არ ამოიწურება. მთელ რიგ ბერძნულ ხელნაწერებში „მოკლე წესები“ შედგება 316 კითხვისაგან. ზოგიერთ ხელნაწერში მოიპოვება 317-ე და 318-ე კითხვებიც<sup>1</sup>. მაგრამ ვულ-

<sup>1</sup> J. Grignon, Histoire... გვ. 179—192.

გატას ყველაზე უფრო გავრცელებულ დაჯგუფებაში კითხვების რაოდენობა 313-ს წარმოადგენს. შესაძლებელია, ეს მინაწერი ხაზგასმა იყოს იმ გარემოებისა, რომ „მოკლე წესები“ უნდა შედგებოდეს 313 კითხვა-მიგებისაგან და არა 316, 317, თუ 318-ისაგან. მაგრამ, ამავე დროს შესაძლებელია, რომ ამ მინაწერში მხოლოდ და მხოლოდ ინდექსის დასრულებაზე იყოს ყურადღება გამახვილებული.

4. E რედაქციაში 286-ე მცირე წესის შემდეგ იკითხება: „ვიდრე აქამომდინი ოდენ წერილ იყო პონტოჲთ მოღებულსა წიგნსა, ხოლო ამიერითგანნი ოცდა შჯდნი თავნი და კანონნი კესარიჲთ მოღებულისა წიგნისაგან შეეძინეს“ (A—689, 106r). ეს დანართი როგორც მიუთითეთ, აშკარად წარმოადგენს ბიზანტიელი სქოლიასტის სქოლიო 8-ს. მასში საუბარია V რეცენზიის ჩამოყალიბების შესახებ, იმაზე, რომ ძველი პონტოური რედაქციიდან აქ შევიდა 286 კითხვა, ხოლო კესარიის ხელნაწერიდან—27 კითხვა და ეპიტიმეები. ამგვარი სახით მოიპოვება ეს სქოლიო ე. წ. შერეული ვულგატას ტიპის ხელნაწერებში. კერძოდ მას იცნობს V8 რედაქცია. აი ამ სქოლიოს ბერძნული ტექსტი: „Ἐως τούτου μόνον εἶχε τὸ ἀπὸ τῶν Πόντου χριστιανῶν ἀντιγράφων. τὰ δὲ ἐφεξῆς α ἢ ζ' ἀφ' ἑαυτοῦ καὶ τὰ ἐπιπλέον ἐκ τῆς βίβλου τῆς ἀπὸ Καισαρείας προσηρῆθη“<sup>1</sup>.

5. E რედაქციაში „მორალური წესების“ ბოლოში იკითხება, „დიდება და მაღლი ერთ ღმრთაებასა წმიდასა სამებასა, დაწყებასა და სრულებასა ყოვლისა კეთილისასა. ამინ“ (A—689, 150r). ბერძნულ ხელნაწერებში ამგვარი მინაწერის არსებობის შესახებ გრიბომონი არ მიუთითებს. ეს მინაწერი უნდა გაჩენილიყო ისეთ ბერძნულ ხელნაწერში, რომელშიაც „ასკეტიკონი“ „მორალური წესებით“ მთავრდებოდა; ანდა აქ საუბარი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ „მორალური წესების“ დასრულების შესახებ.

6. E რედაქციაში ასკეტიკური კრებულის ბოლოს ტექსტში ჩართულია შემდეგი მინაწერი: „დიდება და მაღლი ღმერთსა. აქა სრულ იქმნა ასკიტიკაჲ დიდისა ბასილისი“ (A—689, 184v). ეს მინაწერი გულისხმობს არა უკანასკნელი თხზულების „სამონასტრო კონსტიტუციების“ დასრულებას, არამედ მთლიანად „ასკეტიკონისა“. შესაძლებელია ეს მინაწერი უშუალოდ ეფრემ მცირეს ეკუთვნოდეს, რადგანაც იგი კრებულის ბოლოს გამოყოფილადაა მოთავსებული, რომელსაც მოსდევს ეფრემის ანდერძი კრებულის თარგმნის შესა-

<sup>1</sup> J. Gribomont, Histoire..., გვ. 156.

ხებ; მაგრამ, ამავე დროს შესაძლებელია, რომ ეს მინაწერი ყოფილიყო ეფრემის ბერძნულ დედანშიც, რასაკვირველია, თუ ეს დედანიც ამავე თხზულებით სრულდებოდა.

ორიოდე მინაწერი არის P რედაქციის კრებულშიც.

1. „ვრცელი წესების“ ბოლოში და „მოკლე წესების“ დასაწყისში იკითხება: „ესე პირველი ძეგლები „ასკეტიკონისაჲ“ განსრულდა“ (50v). ეს მინაწერიც უშუალოდ ბერძნული ხელნაწერის კუთვნილება უნდა იყოს. ამ მინაწერის მიხედვით „ასკეტიკონის“ პირველ ძეგლებად მიჩნეულია პროლოგები და „ვრცელი წესები“. გრიბომონი არ მიუთითებს ბერძნულ ხელნაწერებში ამგვარი შინაარსის სქოლიოს არსებობის შესახებ.

2. P რედაქციის ბოლოში იკითხება: „დიდებაჲ შენდა სრულყოფილო ღმერთო ქრისტე, დიდებაჲ შენდა“ (223v). ამ მინაწერის ავტორი შესაძლებელია იყოს ქართველი მთარგმნელი, ამ ხელნაწერის გადამწერი იესე. მაგრამ გამორიცხული არც ისაა, რომ ეს მინაწერი ბერძნულ დედანში ყოფილიყო.

ამგვარად, „ასკეტიკონის“ ქართულ ხელნაწერებში დაცული მინაწერებიდან ერთი მათგანი ბიზანტიელი სქოლიასტის ერთ-ერთი სქოლიოს თავისებური სახეა. დანარჩენები უცნობი ბიზანტიელი რედაქტორების მინაწერებს წარმოადგენს (ორიოდე მათგანი, შესაძლებელია, ქართველი მთარგმნელების ან გადამწერლების კუთვნილებაც იყოს), რომელთა არსებობა-არარსებობის შესახებ „ასკეტიკონის“ დღეისათვის არსებულ ბერძნულ ხელნაწერებში არაფერი ვიცით.

### თ ა ვ ი მ ე ც ხ რ მ

ბასილის „ასკეტიკონის“ ქართული რედაქციების ერთმანეთთან და ბერძნულ ტექსტთან შედარებას არ ექნება სრულყოფილი საიე. თუ რამდენიმე სიტყვით მაინც არ შევეხებით ქართული ვერსიების ენას. ამ თარგმანების ენისა და სტილის შესწავლა სპეციალური ენათმეცნიერული გამოკვლევის საგანია. ჩვენ გვინდა მხოლოდ მოკლედ შევჩერდეთ ამ ძეგლების ენობრივ-სტილისტური მხარისათვის დამახასიათებელ იმ თავისებურებებზე, რომლებმაც მიიპყრეს ჩვენი ყურადღება ქართული ვერსიების ერთმანეთთან და ბერძნულ ტექსტთან შედარებისას.

ც ვერსია თავისი სადა ქართული ენით, უეჭველად ბერძნულიდან თარგმნილ კრებულს წარმოადგენს<sup>1</sup>. ქართველი მთარგმნელი

<sup>1</sup> J. Grihomont, Histoire..., გვ. 76.

არ ცდილობს ტექსტის ზუსტად გადმოტანის მიზნით სიტყვასიტყვითი თარგმანი შეასრულოს. ამიტომაც რედაქციაში შედარებით ნაკლებად გვხვდება ბერძნული სიტყვები თუ ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციები. ქართული მთარგმნელი არც შემატება-გამოკლების მეთოდით თარგმნის ტექსტს. ამის თქმის უფლებას ის გარემოება გვაძლევს, რომ G რეცენზიაში წარმოდგენილი კითხვების დიდი უმრავლესობა იმავე შედგენილობას ამჟღავნებს, როგორცაც შესაბამისი კითხვები V რეცენზიაში. ამ აზრს თითქოს ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ G რეცენზიის როგორც „კითხვები“, ისევე სიტყვა 15, ამ თხზულებების ბერძნულ ტექსტებთან შედარებით უაღრესად თავისებურ რედაქციებს წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თავისებურებანი უნდა იყოს არა ქართველი მთარგმნელის შემოქმედება, არამედ ამ თხზულებების თავისებური ძველი რედაქციის კუთვნილება. ამას მხარს უჭერს ის, რომ G რეცენზიის მონაცემებს კითხვების თანმიმდევრობაში იზიარებს რამდენიმე რეცენზია.

E ვერსია ეფრემ მცირის მიერ უეჭველად ბერძნული ენიდან თარგმნილ კრებულს წარმოადგენს. რომ რედაქცია უთუოდ ბერძნული ენიდან მომდინარეობს, ამის შესახებ თხზულებაზე დართულ ანდერძში გარკვევით მიუთითებს თვითონ ეფრემი. გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ ეფრემის თარგმნილი კრებული იმგვარი შედგენილობისაა, როგორისაც მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულ ენაზე არსებული ასკეტური კრებულები. ეფრემ მცირე თავის დედანს ზუსტად თარგმნის, სიტყვასიტყვით. თუმცა მისი ენა არ ამჟღავნებს ხელოვნურობასა და ნაძალადეობას. ეფრემი გაურბის ბერძნული სიტყვების გამოყენებას, მაგრამ, როდესაც აუცილებლად მიაჩნია, ხმარობს მათ. თუმცა იგი, უმეტეს შემთხვევაში, ბერძნულ სიტყვებს ქართულ განმარტებებსაც ურთავს. ეფრემის თარგმნილი კრებული ჩვენამდე XI—XII საუკუნის ხელნაწერთაგანაა მოღწეული და ამდენად, E რედაქციის „ასკეტიკონში“ დაცულია ის გრამატიკულ-ორთოგრაფიული თავისებურებანი, რომელიც ქართულ ენას XI საუკუნისათვის ახასიათებდა.

P ვერსია კი ერთადერთი ხელნაწერთაა შემონახული, რომელიც „დიად აშლილი“ დედნიდანაა გადაწერილი 1710 წელს, ამიტომაც ტექსტის გრამატიკულ-ორთოგრაფიული თავისებურებების გარკვევა უაღრესად ძნელია და მათზე დაყრდნობა სპეციალური დასკვნების გასაკეთებლად—ძლიერ საეჭვო. მთარგმნელის სტილისათვის დამახასიათებელია დედნის სიტყვასიტყვითი თარგმნი. რედაქციაში ძალზე ხშირად გვხვდება უცხო სიტყვები. მთარგმნელი

ზოგჯერ მათ, ისევე როგორც ეფრემი, შესატყვისი ქართული სიტყვებით განმარტავს. ტექსტს, როგორც ლექსიკასა და სინტაქსურ წყობაში, ისევე ფონეტიკაშიც კი, ემჩნევა ბერძნული ენის დიდი გავლენა, რაც უდაოდ ადასტურებს, რომ ვერსია ბერძნული ენიდანაა თარგმნილი. ამ გარემოებას ისიც უჭერს მხარს, რომ P ვერსიაში წარმოდგენილი კრებული თავისი შედგენილობით მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულ ენაზე არსებულ „ასკეტიკონებთან“ ამეღავენებს მსგავსებას. საეხებით სწორია ამ ვერსიის აკად. კ. კეკელიძისეული დახასიათება: „ის (P რედაქცია—ე. ზ.) წარმოადგენს ბერძნული დედნის სიტყვასიტყვით თარგმანს, საკუთარ სახელთა ბერძნული ფორმების დაცვით და ბერძნული ფონეტიკის თვალსაჩინო ზეგავლენით“<sup>1</sup>.

ჩვენ მოვიყვანთ მაგალითებს ქართული ვერსიების ენის შესახებ ჩვენს მიერ გამოთქმული რამდენიმე მოსაზრების ნათელსაყოფად.

როგორც მივუთითეთ, ეფრემი იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ტოვებს ტექსტში ბერძნულ სიტყვებს. მაგალითად:

1. E

„ვითარ-იგი სხუა საქმე თჳს უყვის სამოსელსა სამჭედროსა და სხუა ს ჳ ნ კ ლ ი ტ ი კ ო ს თ ა ს ა“ (A—689, 21r).

„Ὡς οὖν ἐστὶ καὶ σφαιρωτὸς ἴδιον ἐν τῷ θῆσῦματι, καὶ δὲλλο τὸν σ σ γ-ჯ ლ ო ს თ...“ (PG. 31, 980).

2. E

„რომელსა ერწმუნოს ზრუნებასა აკელროსა და“ (A—689, 83r).

„...ὁ πιστευθεὶς τῆς φημισθία τὸν კ ე ლ ო ს ა...“ (PG. 31, 1180).

ზოგჯერ ეფრემი განმარტავს მის მიერ ნახმარ ბერძნულ გამოთქმებს. მაგალითად, ეფრემს ტექსტში მოყვანილი ნაწყვეტი ტიმოთეს მიმართ პირველი ეპისტოლეიდან (3, 10) თავის თარგმანში ასე შეუტანია:

E

„რამეთუ ესენი, თქუძულ არს, გამო-ლაიცადებოდედ პირველად და ეგრეთ-და დიაკონებედ, ესე იგი არს პმსახურებედ“ (A—689, 45r).

„Καὶ οὗτοι γὰρ, ποιῶσι, δοκιμαζέ-σθωσαν πρῶτον, εἶτα διακόνει-τῶσιν...“ PG. 31, 1029).

P რედაქცია კი ბერძნულ სიტყვებს ძალზე ხშირად ესესებდა:

1. P

E

„...ინ ანუ რომელმან სტრატილატმან...“ (19r).

„...ინ მველართმთავარ-მან“ (A—132, 18v).

„...εἰς σ τ ρ α τ η ῶ ὶ...“ (PG. 31, 897).

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 247.





3. P E  
 „...ა არს პერპე-...რაჲ არს მეტრობაჲ“ „Ti erri to perpe-  
 რევეს...ა. რომელ არს (A—689, 67r). რეშეშაჲ“ (PG, 31.  
 ფუდულობაჲ- (104r) 1.  
 1116).

როდესაც ბასილის „ასკეტიკონის“ ქართული ვერსიების ენას ვაკვირდებით, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება. „ასკეტიკონის“ ტექსტში ძალზე ხშირია ნაწყვეტები ბიბლიური წიგნებიდან, უმეტესად ახალი აღთქმიდან. მთარგმნელები ამ ციტატებს უმეტეს შემთხვევაში ნებსით თუ უნებლიეთ თარგმნიან მზამზარეული. ცნობილი ფრაზებით (არსებული თარგმანების მიხედვით). ამიტომაც ქართული ვერსიები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემსგავსება. „ასკეტიკონის“ ქართულ ვერსიებში ახალი აღთქმიდან არსებულ ციტატებზე დაკვირვება ერთ უაღრესად საინტერესო დასკვნას იძლევა. E და P ვერსიებში ციტატები უმეტეს შემთხვევაში ერთი რედაქციითაა, ხოლო G ვერსიაში სხვა რედაქციით. იშვიათად E და P ვერსიებიც შორდება ერთმანეთს. ეს განსხვავებები ზოგჯერ საინტერესო დეტალებს იძლევა. მაგალითად:

1.	P	E	G
	„ხოლო რაჲთა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთააგდე სამკედღური შენი, და რომელა პირველად აღმოჰქდეს თეუზი, აღილე იგა და აღულე პირი მისი და კპოო მის შორის ს[ტ]ატირა, მოილე იგი და მიეც შენტუხ და ჩემთუხ“ (109r).	„ხოლო რაჲთა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად, შთააგდე სამკედღური, და რომელი პირველად აღმოჰქდეს თეუზი, აღილე და აღულე პირი მისი და კპოო მის შინა სტატირა. მიილე იგი და მიეც მათ ჩემ წილ და შენ წილ“ (70r).	„ხოლო რაჲთა არა დავაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთააგდე სამკედღური, და რომელიცა მოგემთხოოს თეუზთაგანი პირველად, აღმოილე და აღულე პირი მისი და კპოო სასწორი ერთი იგი, მოილე და მიეც მათ ჩემ წილ და შენ წილ“ (205r).

აქ მოყვანილი ნაწყვეტი არის ციტატი ახალი აღთქმიდან: მათე 17, 27. აი როგორ სახეს ატარებს ეს ნაწყვეტი ძველ სახარებებში და გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში (D—ჯრუჟის ოთხთავი და პარხლის ოთხთავი, C' ადიშის ოთხთავი და M'—გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ ორ სიტყვას ერთმანეთს უკავშირებს სულხან-საბა ორბელიანიც, მხოლოდ სულხან-საბას აზრით „ფუდულობა“ არის ბერძნული: „ფუდულობა ბერძნულია. ესე არს საქმართ ნამეტნობა, რომელ არს ქართულად კერპერაჲ“ (სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949 წ., 694). სულხან-საბას აშკარად შეცდომა მოსდის.

<sup>2</sup> D და C' რედაქცია მოგვყავს ა. შანიძის გამოცემით „ქართული ოთხთავის ორ ძველი რედაქცია“, 1945; ხოლო M'—რედაქცია მოგვყავს 1879 წ. გამო-

M'

D

C'

„სოლო რამთა არა ღვაბარკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთა- აგდე სამქედური, და რო- მელი პირველად აღმო- აქდეს თვეზი, აღილე და აღულე პირი მისი და კპოო მის შორის ს[ტა]- ტირი, მოილე იგი და მიეც მათ შენთჳს და ჩემ- თჳს“.

„ხოლო რამთა არა ღვაბარკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთა- აგდე სამქედური, და რო- მელ პირველად აღმო- ქდეს თვეზი, მოილე და აღულე პირი მისი და კპოო მას შინა სასწო- რა, მოილე იგი და მიეც მათ ჩემთჳს და შენთჳს“.

„არამელ რამთა არა ღვაბარკოლნეთ იგინი, მივედ ზღუასა და შთააგდე სამქე- დური და რომელი პირვე- ლად აღმოქდეს თვეზი, მო- ილე და აღალე პირი მისი და კპოო მას შინა სასწო- რი, მოილე იგი და მიეც მათ ჩემ წილ და შენ წილ“.

„ასკეტიკონის“ ქართულ ვერსიებში მოყვანილი ციტატის შედარება ოთხთავის ქართულ თარგმანებთან შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

ა) P რედაქცია აშკარად მისდევს M'-ს. მათ შორის არსებული განსხვავებები უმნიშვნელო ხასიათისაა.

ბ) G რედაქცია ოთხთავის ამ სამი რედაქციიდან მსგავსებას ამყლანებს მხოლოდ და მხოლოდ ძველ თარგმანებთან D და C'-სთან. M'-თან მას არავითარი კავშირი არა აქვს.

G

C'

M'

1. „კპოო სასწორი“.

„კპოო მას შინა სას- წორი“.

„კპოო მის შორის სტა- ტირი“.

2. „მიეც მათ ჩემ წილ და შენ წილ“.

„მიეც მათ ჩემ წილ და შენ წილ“.

„მიეც შენთჳს და ჩემთჳს“.

გ) E რედაქცია განიცდის გავლენას. როგორც ძველი თარგმანების C' და D-ს. ასევე ახალი (გ. მთაწმიდლისეული) თარგმანის— M'-ის.

1. E

M'

C' და D

„კპოო მას შინა სტა- ტირი“.

„კპოო მის შორის სტა- ტირი“.

„კპოო მას შინა სასწორი“.

2. „კპოო მას შინა“.

„კპოო მის შორის“

„კპოო მას შინა“

3. E

M'

C'

D

„მიეც მათ ჩემ წილ და შენ წილ“.

„მიეც მათ შენ- თჳს და ჩემთჳს“.

„მიეც მათ ჩემ წილ და შენ წილ“.

„მიეც მათ ჩემთჳს და შენთჳს“.

აქ მოვიყვანეთ ჩვენ სამი მომენტი, რომლებშიაც ქართული სახარებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: ძველი სახარებები—C' და

ცემით (იხ. „ახალი აღთქმა იესო ქრისტესი“). ამ გამოცემის ზოგიერთ ორთოგრაფიულ დამახინჯებებს ვასწორებთ.

D განსხვავდება ახლისაგან—M'-საგან. ამ მომენტებში E ხან აშკარად M'-ს მისდევს და განსხვავდება D და C'-საგან (პირველი შემთხვევა), ან აშკარად D და C'-ს მისდევს და განსხვავდება M'-საგან (მეორე და მესამე შემთხვევა).

2.	P	E	G
„ნუ განიკითხავთ, და არა განიკითხნეთ; და ნუ დასჯით, და არა დაისაჯნეთ“ (146v).	„ნუ განიკითხავთ, და არა განიკითხნეთ; ნუ შჯით, და არა დაისაჯნეთ“ (A-689, 85r).	„ნუ განიკითხავთ, რაღათა არა განიკითხნეთ; და ნუ დასჯით, რაღათა არა დაისაჯნეთ“ (227r).	

აქ მოყვანილია ნაწყვეტი ახალი აღთქმიდან, ლუკა, 6,37. აი, როგორ იკითხება ეს ნაწყვეტი ქართულ ოთხთავებში:

M'	D	C'
„ნუ განიკითხავთ, და არა განიკითხნეთ; და ნუ დასჯით, და არა დაისაჯნეთ“.	„ნუ განიკითხავთ, რაღათა არა განიკითხნეთ; და ნუ შჯით, რაღათა არა დაისაჯნეთ“.	„ნუ განიკითხავთ, რაღათა არა განიკითხნეთ; და ნუ დასჯით, რაღათა არა დაისაჯნეთ“.

მოყვანილ მაგალითში უფრო მარტივი შემთხვევაა, P და E მისდევს M'-ს და განსხვავდება ძველი—D და C' სახარებებისგან; ხოლო G მისდევს აშკარად D და C'-ს და განსხვავდება ახალი—M' სახარებისაგან.

ამგვარად, G რეცენზიაში სახარებიდან მოყვანილი ციტატები აშკარად ძველ ქართულ სახარებებთან ამჟღავნებს მსგავსებას და მათ არავითარი კავშირი არა აქვს სახარების გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანთან. ასეთი კავშირი წარმოუდგენელიცაა: G რეცენზია გიორგი მთაწმიდლის მოღვაწეობასთან შედარებით გაცილებით ადრინდელი ქართული ვერსიაა. P ვერსია მოყვანილ მაგალითებში გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციას მისდევს. E ვერსიაც ძირითადად გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციასთან ამჟღავნებს მსგავსებებს, მაგრამ ზოგჯერ აკეთებს გადახვევებს ძველი თარგმანებისკენაც. „ასკეტისკონის“ ქართული ვერსიების ასეთ მიმართებას ოთხთავის ქართულ თარგმანებთან ამტკიცებს სხვა მაგალითებიც:

3.	P	E
„...ხოლო უკუეთუ მათცა არა უსმინოს, უთხარ ეკლესიასა, და უკუეთუ ეკლესიასცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზურმე და წარმართი“ (91r).	„...ხოლო უკუეთუ არა ისმინოს მათი, უთხარ კრებულსა, ხოლო უკუეთუ კრებულსადაცა ირა ისმინოს. იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზურმე და წარმართი“ (A-689. 59v).	

აქ მოყვანილი ნაწყვეტი არის ციტატი სახარებიდან. მათე 18,17. აი როგორ იკითხება იგი ქართულ ოთხთავებში:

M'

D

C'

„ხოლო უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უკუეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერმ და წარმართი“.

„უკუეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; უკუეთუ კრებულისაჲცა არავე ისმინოს იყავნ იგი შენდა. ვითარცა ხარკის მომჭლეო და მეზუერმ“.

„უკუეთუ არა ისმინოს მათიცა. უთხარ კრებულსა; უკუეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს, იყავნ შენდა. ვითარცა წარმართთაგანი და მეზუერმ“.

აქ ძირითადი განსხვავება ახალ სახარებასა და ძველს შორის არის სიტყვებში:

ახალი M'

D ძველი

C, ძველი

„ვითარცა მეზუერ და წარმართი“.

„ვითარცა ხარკის მომჭლეო და მეზუერმ“.

„ვითარცა წარმართთაგანი და მეზუერმ“.

P და E ქართული ვერსიები კი აშკარად ახალი სახარების ტექსტს იძლევა, მაშინ როცა C ვერსია ამ შემთხვევაშიც ძველ სახარებებს უჭერს მხარს: „უკუეთუ კრებულისაჲცა არავე ისმინოს, რომელსა იგი ემხილა, იყავნ შენდა, ვითარცა ხარკის მომჭლეო და მეზუერმ“ (252r).

4.

P

E

„იოტაჲ ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარწყმდეს სჯულისაგან“ (91r).

„იოტაჲ ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარჯღეს შჯულისაგან“ (A—689, 59v).

ქართულ ოთხთავებში ეს ნაწყვეტი ასე იკითხება (მათე 5, 18):

M'

D

C'

„იოტაჲ ერთი გინა რქაჲ ერთი არა წარჯღეს სჯულისაგან“.

„იოტა ოდენი ერთი რქაჲ არა წარჯღეს სჯულისაგანი“.

„იოტა ერთი ანუ სასწაული არა წარჯღეს...“

მოყვანილ მაგალითშიც P და E აშკარად M'-ს მისდევს.

5. ასევე შეიძლება შევნიშნოთ „დავითნი“-დან მოყვანილ მაგალითებში.

მაგალითად:

P

E

G

„...განკითხვანი კუმპარტიტებით არიან და განმართლებულ მის თანა. გულის სათქუმელ არიან უფროჲს ოქროსა და ანთრაქთა პატიოსანთა ფრიად და უტკბილეს უფროჲს თაფლისა და გოლეულისა“ (99r).

„...წამებანი უფლისანი კუმპარტიტებით განმართლებულ მის თანა. გულის სათქუმელ უფროჲს ოქროსა და ქეთა პატიოსანთა ფრიად და უტკბილეს უფროჲს თაფლისა და გოლეულისა“ (A—689, 64r).

„განკითხვანი უფლისანი კუმპარტიტ არიან და მართალ ერთბამად გულის სათქუმელ არიან იგინი უფროჲს ოქროსა და ანთრაქისა პატიოსნისა მრავლისა, და უტკბილეს არიან იგინი უფროჲს თაფლისა მის გოლეულისა“ (223r).

ამ შემთხვევაშიც P და E აშკარად „დავიტინის“ გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს მისდევს და არა ძველ ქართულ თარგმანებს, მაშინ, როდესაც G აშკარად ძველ თარგმანს ემთხვევა. იხილეთ ფსლ. 18,10—11<sup>1</sup>:

გიორგი მთაწ. თარგმანი

„განკითხვანი უფლისანი კეშმარიტებით არიან და განმართლებულ მის თანა.

გულის-სათქმელ არიან უფროსს ოქროსა და ანთრაქთა პატიოსანთა ფრთად და უტკბილეს უფროსს თაფლისა და გოლეულისა“.

ძველი თარგმანი<sup>2</sup>

„განკითხვანი უფლისანი კეშმარიტებით არიან და მართალ ერთბამად. გულის-სათქმელ არიან იგინი უფროსს ოქროსა და ანთრაქისა პატიოსნისა მრავლისა, უტკბილეს არიან იგინი უფროსს თაფლისა მის გოლეულისა“.

როდესაც „ასკეტიკონის“ ქართულ ვერსიებში საღვთო წიგნებიდან მოყვანილ ამონაწერებს ვაკვირდებით, ერთი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. ძირითადად ქართველი მთარგმნელები არ სარგებლობენ საღვთო წერილის მზამზარეული ქართული თარგმანების ტექსტით; მაგრამ ისინი ძალაუვნებურად ექცევიან იმ ქართული თარგმანების გავლენის ქვეშ, რომლებსაც თვითონ კითხულობენ და რომელზედაც თვითონ არიან აღზრდილნი (არც ისაა გამორიცხული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი, შეიძლება, კიდევ იხედებოდნენ ქართულ თარგმანებში). ამ თვალსაზრისით ბასილის „ასკეტიკონის“ ქართულ თარგმანებზე დაკვირვება შესაძლებელს ხდის დაახლოებით მაინც იქნეს განსაზღვრული ის პერიოდი ქართული მწერლობისა, რომელსაც „ასკეტიკონის“ ესა თუ ის თარგმანი განეკუთვნება. ამ თვალსაზრისით ჩვენი დაკვირვებებიდან გამომდინარე დასკვნები ასეთია:

1. „ასკეტიკონის“ G ვერსიის მთარგმნელი არ იცნობს სახარების გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს. ამ რედაქციის ჩამოყალიბება გიორგი მთაწმიდლის ეპოქაზე ადრეა მოსალოდნელი.

2. P რედაქციის მთარგმნელი იცნობს და იყენებს მხოლოდ და მხოლოდ გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს, გადახვევები ამ თარგმანიდან მთარგმნელის მიერ ციტატების ინდივიდუალური თარგმნის მეთოდით აიხსნება. P რედაქციის ჩამოყალიბება გიორგი მთაწმიდლის ეპოქის შემდეგაა მოსალოდნელი—იმ საუკუნეებში, როდესაც გიორგი მთაწმიდლისეულმა თარგმანმა საბოლოოდ განდევნა

<sup>1</sup> ტექსტები ფსალმუნიდან ყოველთვის მოგვყავს მზ. შანიძის გამოცემიდან: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, 1960.

<sup>2</sup> ძველი თარგმანით მოყვანილია გამოცემის C რედაქცია. ესაა „მცხეთის დავითნი“ (A—38).

ქველი ქართული თარგმანები და მკითხველ საზოგადოებას დაავიწყა ისინი.

3. E რედაქციის მთარგმნელი ეფრემ მცირე ძირითადად ეყონდობა გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს. მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში ეფრემ მცირე, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც შორდება გიორგი მთაწმიდლის თარგმანს და ძველ ქართულ თარგმანებს მისდევს.

მკითხველისათვის შესაძლებელი რომ გახდეს საკუთარი თვალით დაკვირვება ბასილის „ასკეტიკონის“ ქართული თარგმანების ენასა და სტილზე, ჩვენ, გარდა მოყვანილი ნაწყვეტებისა, სრული სახით და ყველა ქართული რედაქციით მოვიყვანთ ორიოდე ქვეთაქს ბასილი კესარიელის „ასკეტიკონიდან“.

„მოკლე წესები“ კითხვა V 98/ G 4

G  
„კითხვაჲ და რაბა-  
მი გულის სიტყუაჲ ულ-  
ორს, რაჲთა აქუნდეს<sup>1</sup> წი-  
ნამძღვარსა<sup>2</sup> მას, რომლი-  
სათჳს იგი ბრძანებდეს გი-  
ნა განაჩინებდეს?<sup>3</sup>  
მიგებაჲ. ღმრთისა  
მიმართ ვითარცა მსახურ-  
სა ქრისტესსა და მნესა საი-  
ღუმლოთა<sup>4</sup> ღმრთისათა  
(კორ. 4, 1) ემინოდენ  
ნუუკუე ვითარ-იგი ღმრთი-  
სა არა სათნო იყოს წიგნ-  
თა შინა ბრძანებული<sup>5</sup>.  
ეგრძით რაჲმე თქუას ანუ  
განაჩინოს და იპოვოს  
ცრუ<sup>6</sup> მოწამე ღმრთისა  
გინა სიწმიდეთა მძარცუ-  
ველ<sup>7</sup> ანუ ვითარცა შე-  
მოძლებელი უცხოჲსა რაჲ-  
სამე უფლისა მცნებათა  
მათ გინა თუ<sup>8</sup> და რაჲმე-  
აკლოს მათგანი, რომელ-  
ნი-იგი სათნო არიან  
ღმრთისა. ხოლო ძმათა

E  
„უწ. კითხვაჲ. ვი-  
თარისა ცნობისა ქონებაჲ  
თანა-აც წინამძღვარსა, რო-  
მელთათჳს ბრძანებდეს ანუ  
ბრძანებულ იქმნებოდის?<sup>9</sup>  
მიგებაჲ. ღმრთისა  
მიმართ უკუე<sup>1</sup> ვითარცა  
მსახურსა ქრისტესსა და  
ვითარცა განმგებელსა  
საიღუმლოთა მისთასა (1  
კორ. 4, 1) მოშიშები-  
თა ამისითა ნუუკუე<sup>2</sup> გა-  
რეგან წერილთა შინა  
აღსარებულისა ნებისა  
ღმრთისა, ანუ ქმნას რაჲ-  
მე გინა განაწესოს და იპო-  
ოს ანუ ცრუ მოწამე  
ღმრთისა ანუ ეკლესიათ  
მკრებელ<sup>3</sup>. შემოღებთა  
უცხოჲსა რაჲსმე უფლისა  
მოძღვრებისაგან ანუ და-  
კლებითა რაჲსმე ღმრთისა  
სათნოჲსაგან. ხოლო ძმა-  
თა მიმართ, რაჲთა ვი-

P  
„უწ. კითხვაჲ. ვითარ  
საგონებელსა თანა-აც ქონე-  
ბად<sup>1</sup> წინამძღვარსა<sup>2</sup> და  
ცნობასა რასაცა უის უბრძა-  
ნებდეს იგი, გინა თუ რას-  
ცა განაწესებდეს?<sup>3</sup>  
მიგებაჲ. ღმრთისა მი-  
მართ უკუე<sup>4</sup> ვითარცა მსა-  
ხურსა ქრისტესსა და მნეთა  
საიღუმლოთა<sup>5</sup> ღმრთისათა  
(1 კორ. 4, 1) რაჲთა ემი-  
ნოდის ნუუკუე<sup>6</sup> გარეშე  
რაჲმე ნებისა<sup>7</sup> ღმრთისა<sup>8</sup>  
წმიდათა შინა წერილთა აღ-  
სარებულ იქმნეს რაჲმე. ანუ  
თუ განაწესოს და იპოოს  
ცრუ მოწამეა<sup>9</sup> ღმრთისაჲ  
და მკრებელ<sup>10</sup> ეკლესიისა  
უცხოჲსაჲ<sup>11</sup>. რაჲსმე შემოღე-  
ბითა<sup>11</sup> მოძღვრებასა ზედა  
ღმრთისასა ანუ თუ დაკლე-  
ბითა მათთა რაი-იგი ჯერ-

<sup>1</sup> აქუნდეს. <sup>2</sup> წინა-  
მძღვარსა. <sup>3</sup> საიდუმლოთა.  
<sup>4</sup> ბრძანებული. <sup>5</sup> ცრუ.  
<sup>6</sup> მძარცველ. <sup>7</sup> თუ.

<sup>1</sup> უკუე. <sup>2</sup> ნუუკუე.  
<sup>3</sup> მკრებველ.

<sup>1</sup> ქონებდ. <sup>2</sup> წინამძღვ-  
რისაჲ. <sup>3</sup> უკუე. <sup>4</sup> საიდუმ-  
ლოთაჲ. <sup>5</sup> ნუუკუე. <sup>6</sup> ნები-  
საჲ. <sup>7</sup> ღმრთისა. <sup>8</sup> მოწამეა.  
<sup>9</sup> მკრებველ. <sup>10</sup> უცხოჲსა.  
<sup>11</sup> შემოღებითაჲ.

მიმართ. კითარცა მზრდელი რაჲ ზრდინ თჳსთა შეიღთა. ჯერმცა-უჩს მიცემად მათდა ღმრთისა მიმართ სათნოებისათჳს და თითოეულისა უმჯობესისათჳს<sup>1</sup> არა ხოლო სახარებაჲ იგი ღმრთისაჲ. არამედ სულიცა თჳსი მცნებისა მისებრ უფლისა ჩუენისა. რომელი იტყჳს: მცნებასა ახალსა მიგკემ თქუენ. რაჲთა იყუარებოდით<sup>2</sup> ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ (იოან. 13, 34). უფროჲსი სიყუარული ამისა არაჲვის აქუს<sup>3</sup> კითარცა ვინ სული თჳსი დაღვა მეგობართათჳს (იოან. 15, 13)<sup>4</sup> (218წ).

<sup>1</sup> უმჯობესისათჳს.  
<sup>2</sup> იყუარებდით. <sup>3</sup> აქუს.

თარცა მზრდელი ზრდინდეს შეიღთა თჳსთასა სათნო-ყოფითა თითოეულისა მიცემად რასმე სათნისა ღმრთისასა და ზოგად უმჯობესსა ყოველთასა არა ხოლო სახარებისა ღმრთისა მიცემითა, არამედ თჳსისაჲცა სულისა მათთჳს დადებითა მცნებისაებრ უფლისა და ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელმან თქუა: მცნებასა ახალსა მიგკემ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ (იოან. 13, 34). უფროჲსი ამისსა სიყუარული არაჲვის აქუს, რაჲთა სული თჳსი ვინმე დაღვას მეგობართა თჳსთათჳს (იოან. 15, 13)<sup>5</sup> A—689, 75წ—76წ).

უჩინდეს ღმერთსა. ხოლო მამათა მიმართ ვითარ სახელ მზარდელი ჭეფუფუნებს შეიღთა თჳსთა, რაჲთა ჯერ-უნდეს მიცემად კაცად-კაცადისა სათნო-ყოფისაებრ ღმრთისა და ზოგად ყოველთა. უმჯობესისათჳს<sup>1</sup> არა ოდენ სახარებასა მას ღმრთისასა, არამედ სულიცა თჳსსა დასდებდეს მცნებისაებრ უფლისა<sup>2</sup> და ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელმან თქუა<sup>3</sup>: მცნებასა ახალსა მიგკემ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით<sup>4</sup> ურთიერთას<sup>5</sup>, ვითარცა მე<sup>6</sup> შეგიყუარენ თქუენ (იოან. 13, 34); რამეთუ უფროჲსი<sup>7</sup> სიყუარული ამისა არაჲვის აქუს, რაჲთა ვინმე სული თჳსი დაღვას მეგობართა თჳსთათჳს (იოან. 15, 13)<sup>8</sup> (119წ—120წ).

<sup>1</sup> უმჯობესისაჲდოს. <sup>2</sup> ო.ჲ.  
<sup>3</sup> თქჳ. <sup>4</sup> იყუარებოდით.  
<sup>5</sup> ურთიერთრს. <sup>6</sup> მე<sup>7</sup> თქნ.  
<sup>7</sup> უფროსი.

„სამონასტრო კონსტიტუციები“ თავი V28 (E 13 P 27)

„თავი ივ. ვითარმედ უქმს წინამძღუარსა მამობრივითა ერთგულებითა განგებაჲ მორჩილთა თჳსთაჲ. და თუთ წინამძღუარიცა იგი, ვითარცა მამაჲ საკუთართა შეიღთაჲ<sup>1</sup>, ილუწილინ მორჩილთა მათ და განიხილუენდინ საკმარსა თითოეულისა მათისასა და შემსგავსებულსა თითოეულისასა ჩუენებდინ<sup>2</sup> მათთჳს მზრუნველობასა და მოლუაწებასა და კეშმართებით უძლურსა მას გუამსა. გინა თუ ჭორციელითა ანუ სულეფირითა სნეულებითა

„რამეთუ უქმს წინამძღუარსა მამობრივითა<sup>1</sup> მოცილებითა<sup>2</sup> განგებაჲ მორჩილთა მისთაჲ. და მასაცა წინამძღუარსა უქმს, რაჲთა ვითარცა მამაჲ<sup>3</sup> ბუნებით შეიღთა, ესრეთ სწყალობდეს. და ილუწიდეს და კაცად-კაცადსა მოითუალვიდეს<sup>4</sup> და მოიკითხვიდეს<sup>5</sup> და თუთოეულსა ჭუმევისაებრ მისცემდეს და რაოდენ ძალედვას კაცად-კაცადსა კურნებდეს და შემსგავსებულად ნუგეშინისა—ცემდეს. და

<sup>1</sup> მამობრივითაჲ. <sup>2</sup> მოცილებითაჲ. <sup>3</sup> მამა. <sup>4</sup> მოითუალვიდეს. <sup>5</sup> მოიკითხვდეს.

სიუჟარულით მამობრივითა მოწყალეობითა იტკრთუვდინ“ (A—689, 173r—174v).

რომელი ასო ქეშმარიტებით უძლურ იყოს, იტკრთოს იგი სიუჟარულით და მამებრივისა მიერ მოცილებითა<sup>1</sup> და მოწყალეობითა<sup>2</sup> (A—63, 218 v).

<sup>1</sup> მოცილებისაჲ. <sup>2</sup> მოწყალეობისაჲ.

### თ ა ვ ი მ ე ა თ ე

ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ ქართული ვერსიების ერთ-მანეთთან, გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტთან, ყველა ბერძნული ხელნაწერის მიხედვით გამოცემულ ტექსტის ერთ მონაკვეთთან და ბერძნულსა თუ სხვა ენებზე დღეისათვის არსებული ყველა რეცენზიის შედგენილობასა და აღწერილობასთან შედარება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ქართული ვერსიების ადგილი ბერძნული ხელნაწერების რიგში.

ც ქართული რედაქცია მკვეთრად განსხვავდება დღეისათვის ცნობილი ბასილი კესარიელის ყველა ასკეტური კრებულისაგან როგორც თავისი შედგენილობით, ისე მასში წარმოდგენილი ცალკეული თხზულებების რედაქციული თავისებურებებითაც. ამიტომაც ც ვერსია ცალკე რეცენზიად გამოიყოფა ყველა დანარჩენი რეცენზიების გვერდით. ც რეცენზიის ძირითადი შემადგენელი ნაწილი „მოკლე წესები“ მასში წარმოდგენილი კითხვების რაოდენობით და მათი თანამიმდევრობით უაღრესად საინტერესო რედაქციას იძლევა. ამ რედაქციის კითხვების განლაგებას ნაწილობრივ უჭერს მხარს რამდენიმე რეცენზია. ესენია: R1 (მოკლე ლათინური), მასში წარმოდგენილია IV საუკუნეში ბერძნულიდან ლათინურ ენაზე რუფინუსის მიერ თარგმნილი ტექსტი, რეცენზია შემონახულია VI, VII, VIII და მომდევნო საუკუნეების ხელნაწერებში; Rs (მოკლე სირიული), ეს რეცენზია დაცულია VI, VIII და IX საუკუნეების ხელნაწერებში; B (ბარბერინის ბერძნული), ეს რეცენზია დაცულია XII საუკუნის ერთ ბერძნულ ხელნაწერში (ვატიკანი, ბარბერინი, ბერძნული ფონდი, 476 (IV, 58), რომელშიაც უაღრესად ძველი ტრადიციების მატარებელი ტექსტია წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი რეცენზია „მოკლე წესების“ კითხვების რიგით სხვებთან შედარებით ყველაზე უფრო ახლოსაა ც-სთან. მაგრამ, თავისი შედგენილობით B რეცენზიის ასკეტური კრებული მკვეთრად განსხვავდება ც ვერსიის „ასკეტიკონისაგან“. პრინციპული ხასიათის განსხვავებებია თვით „მოკლე წესების“ კითხვების რიგში. გრიბომონის გამოთქმით, ქართული რეცენზია არ იმეორებს B რეცენზიის შეცდომებს კითხვების თანამიმდევრობაში. ამიტომაც გრი-



ბომონი G-ში ხედავს არა B-ს წინაპარს, არამედ პარალელურ რეცენზიას<sup>1</sup>.

ე ვერსია, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი კრებული, ქართულ „ასკეტიკონებში“ ყველაზე დიდია თავისი მოცულობით. ეფრემ მცირის თარგმნილი „ასკეტიკონი“ V (ვულგატას) რეცენზიისაა. ამას აშკარად მოწმობს მასში 313 მოკლე და 55 ვრცელი წესის არსებობა. გრიბომონმა სწორად ივარაუდა, რომ ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონი“ უნდა ეკუთვნოდეს ე. წ. „შერეული ვულგატას“ ტიპს<sup>2</sup>. ამ ტიპის ხელნაწერებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: 1. ჰიპოტიპოსი V შეერთებულია N (ნილის) რეცენზიის „სამონასტრო კონსტიტუციებთან“; 2. „მორალური წესები“ გადატანილია ჰიპოტიპოსის ბოლოს; 3. V რეცენზიის ტექსტი შერეულია S (სტუდიტეს) რეცენზიის ტექსტთან; და 4. V—VI საუკუნეების ბერძენი სქოლიასტის სქოლიო კესარიის ხელნაწერიდან 27 კითხვის სესხების შესახებ (სამეცნიერო ლიტერატურაში სქოლიო 7), წარმოდგენილია თავისებური სახით (სქოლიო 8).

როგორც სპეციალურმა შესწავლამ გვიჩვენა, ეფრემის რედაქციაში მოთავსებული „სამონასტრო კონსტიტუციები“ აშკარად N რეცენზიას მიეკუთვნება. E რედაქციაში წარმოდგენილი ჰიპოტიპოსი კი უთუოდ V რეცენზიის ჰიპოტიპოსის მიმდევრობას ამჟღავნებს. აქ, ისევე როგორც V ჰიპოტიპოსის შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში, პროლოგები წარმოდგენილია ასეთი მიმდევრობით: 6, 7, 8, 5, 4, პროლოგებს გარდა, ჰიპოტიპოსში შედის „ვრცელი წესები“, „მოკლე წესები“, ეპიტიმეები 24, წერილი 17322 და „მორალური წესები“. ამრიგად, E რედაქციაში, როგორც „ასკეტიკონის“ „შერეული ვულგატის“ ტიპის რედაქციებში, ჰიპოტიპოს V-სთან ერთად წარმოდგენილია „სამონასტრო კონსტიტუციები“ N რეცენზიისა.

ვულგატას რეცენზიის ასკეტურ კრებულებში „მორალური წესები“ წარმოდგენილია პროლოგების შემდეგ, „კითხვა-მიგებების“ წინ. „შერეული ვულგატას“ ტიპის კრებულებში და ეფრემის თარგმნილ ასკეტურ კრებულში „მორალური წესები“ გადატანილია „კითხვა-მიგებების“ შემდეგ, ჰიპოტიპოსის ბოლოს.

გრიბომონის მიერ ყველა რეცენზიის მიხედვით გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტთან (ვრცელი კითხვა 16) ეფრემის „ასკეტიკონის“ შესაბამისი ნაწილის შედარებამ დაგვანახა, რომ ეფრემის რედაქცია ძირითადად მისდევს V (ვულგატას) ხელნაწერების ტექსტს, მაგრამ

<sup>1</sup> J. Gribomont, *Histoire...*, გვ. 79.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 22.

ზოგჯერ აკეთებს გადახვევებს S რეცეპზიის ტექსტისაკენ; ზუსტად ისევე, როგორც „შერეული ვულგატას“ ტიპის სამივე ბერძნული რედაქცია V8, V9 და V11.

ეფრემის თარგმნილ ასკეტურ კრებულში, როგორც დავინახეთ, წარმოდგენილია სქოლიო 8, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ „შერეული ვულგატას“ ტიპის ხელნაწერებში გვხვდება.

ამგვარად, ეფრემის თარგმნილი ვერსია უღაოდ ე. წ. „შერეული ვულგატას“ ტიპის ბასილის ასკეტურ კრებულს წარმოადგენს.

ამ ტიპის ბერძნული ხელნაწერები, როგორც რამდენჯერმე აღვნიშნეთ, ძირითადად სამი ტიპისაა: V8, V9 და V11. გრიბომონმა ივარაუდა, რომ ეფრემის თარგმნილი ასკეტური კრებული უნდა წარმოადგენდეს V8-ს ტიპის კრებულს. ამის ძირითად საბუთად გრიბომონი ასახელებს იმ გარემოებას, რომ ეფრემის რედაქციის „ვრცელი წესები“ 57 კითხვისაგან შედგება. იგი წერს, რომ ეფრემის თარგმნილ „ასკეტიკონში“ შემავალი 57 ვრცელი წესი გვაფიქრებინებს V8-ს ოჯახზე; V8 ერთადერთია, რომელიც მე-5 და მე-4 პროლოგებს ითვლის იმავე სერიაში, რომელშიც 55 ვრცელ წესს<sup>1</sup>. გრიბომონის ეს ვარაუდი სწორი არ არის. ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონის“ გადაჭრით V8-ს ოჯახისადმი მიკუთვნება არ უნდა იყოს მართებული. ეფრემის რედაქციის „ვრცელ წესებში“ წარმოდგენილია არა 57 კითხვა, როგორც ეს გრიბომონს ჰგონია, არამედ 55. გრიბომონი შეცდომაში შეიყვანა თ. ყორდანის არაზუსტმა მითითებამ იმის შესახებ, რომ ეფრემის თარგმნილ „ასკეტიკონის“ პირველ ნაწილში 57 თავია. ამდენად, „ვრცელი წესების“ კითხვების რაოდენობით ეფრემის „ასკეტიკონი“ კი არ უახლოვდება V8-ს ოჯახს, არამედ პირიქით, მკვეთრად შორდება მას.

ეფრემის ვერსიაში „ვრცელი წესების“ ტექსტი ბერძნული ხელნაწერებიდან ყველაზე ახლოს V11 რედაქციასთან დგას (ვატიკანი, ბერძნული ფონდი 1088, XIII—XIV საუკუნეები). მე-16 კითხვის ფარგლებში E რედაქცია იძლევა გარკვეულ განსხვავებებს V8 და V9-საგან და მისდევს V11-ს ტექსტს. გამომდინარე აქედან, უნდა ვიფიქროთ, რომ „ვრცელი წესების“ თარგმნისას ეფრემს უთუოდ ხელში ჰქონდა ისეთი ბერძნული დედანი, რომელშიაც წარმოდგენილი ტექსტი შევიდა XIII—XIV საუკუნეებში გადაწერილ V11 რედაქციაში.

შედგენილობის მიხედვით E რედაქცია ყველაზე უფრო ახლოს დგას „შერეული ვულგატას“ ტიპის ორ ხელნაწერთან—V8 (Venise,

<sup>1</sup> J. Gribomont, Histoire..., გვ. 80.

marcienne, ანტიკური ფონდი 63, XI—XII საუკუნეები) და მოსკოვში დაცულ ერთ ბერძნულ ხელნაწერთან, რომელსაც გრიბომონი აღწერილობით უნდა იცნობდეს (სინოდის ძველი ბიბლიოთეკა 123, XI საუკუნე. იხ. ისტორიული მუზეუმი). მაგრამ თავისი შედგენილობით ეფრემის რედაქცია ამ ხელნაწერებიდან არც ერთს არ ემთხვევა. V8 ასეთი შედგენილობისაა: პროლოგები 6, 7, 8 (§1—5), პროლ. 5, 4, „ვრცელი წესები“, „მოკლე წესების“ ინდექსი, „მოკლე წესები“, ეპიტომიები 24, წერილი 17322, ეპიტომიები 25, „მორალური წესები“. V8 რედაქციაში E რედაქციასთან შედარებით მეტია ეპიტომიები 25. E რედაქციაში V8-სთან შედარებით მეტია „ვრცელი წესების“ ინდექსი, სიტყვა 11, „სამონასტრო კონსტიტუციები“. E და V8 რედაქციები რამდენიმე დეტალით მკვეთრად უახლოვდება ერთმანეთს. V8-ში, ისევე როგორც E რედაქციაში, წარმოდგენილია სქოლიო 8. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ როგორც V8-ში, ისევე E რედაქციაში პროლოგ 8-ს მხოლოდ 1—5 პარაგრაფებია წარმოდგენილი (თუმცა E რედაქციაში მე-5 პარაგრაფი ბოლომდე არ იკითხება და ეს აიხსნება არა ხელნაწერის დანაკლისით, არამედ ამ თხზულების აქ წარმოდგენილი თავისებური რედაქციით). რასაკვირველია, ეს მსგავსებები არ არის საკმარისი, რომ E და V8 ერთი ჯგუფის რედაქციებად მივიჩნიოთ. მათ შორის არის პრინციპული ხასიათის განსხვავებები: E-ში მეტია ორი თხზულება და ერთი ინდექსი, V8-ში მეტია ერთი თხზულება; V8-ში „ვრცელი წესები“ 57-ად იყოფა, E-ში კი 55-ად; მე-16 კითხვის ფარგლებში E ამჟღავნებს განსხვავებებს V8-ში წარმოდგენილი ტექსტისაგან.

მოსკოვში დაცული ასკეტური კრებული (ძვ. სინოდის 123) ასეთი შედგენილობისაა: პროლოგები 6, 7, 8, 4, „ვრცელი წესები“, „მოკლე წესები“, სიტყვა 11, კონსტიტუციები N, წერილი 17322, ეპიტომიები 24, 25, ერთი სხვა კოლექცია ეპიტომიებისა და ეპიტომიები 26. ამ კრებულში E რედაქციასთან შედარებით მეტია: ეპიტომიები 25 და 26 და ერთი სხვა კოლექცია ეპიტომიებისა. ხოლო ეფრემის თარგმნილ კრებულში მეტია: პროლოგი 5, „მორალური წესები“ და ვრცელი და მოკლე „წესების“ ინდექსები. დღეისათვის ცნობილი ყველა სხვა ბერძნული ასკეტური კრებული თავისი შედგენილობით E რედაქციასთან უფრო საფუძვლიან განსხვავებებს ამჟღავნებს.

ჩვენი აზრით, ეფრემის რედაქცია არ წარმოადგენს რომელიმე ბერძნული ხელნაწერის პირდაპირ თარგმანს, იგი არის რამდენიმე ბერძნული ხელნაწერის ერთმანეთთან შეჯერება და მათგან ახალი

რედაქციის შექმნა. ამას ადასტურებს არა მარტო ის, რომ ეფრემის რედაქციას ბერძნულ ხელნაწერებში დღეისათვის არ მოეპოვება ზუსტად შესატყვისი დედანი, არამედ თვითონ ეფრემ მცირის ანდერძიც, რომელიც გარკვევით მიუთითებს მის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე. ეფრემმა კარგად იცის, რომ მისი „ასკეტიკონი“ განსხვავებული იქნება სხვა თარგმანისაგან, „რამეთუ თვთ ბერძულნიცა წიგნნი, ვითარცა ვინ დედაჲ პოვოს, ეგრე გარდაიწერებიან, და თვთ ორთა წიგნისსაცავთა სჷმონწმინდისათა ასკიტიკონნი სხუთა და სხუთა ჰმატდეს ურთიერთას; ამისთჷს თუალისაჲცა მოვიღეთ და თვთ მათვე ბერძენთა უბრძენესთა და უსულიერესთა კითხვითა ძალი-საებრ სისრულე და სიმართლე ვიხარკე“<sup>1</sup>. ამრიგად, ეფრემ მცირეს ხელში ჰქონია სამი წიგნთსაცავის რამდენიმე ბერძნული „ასკეტიკონი“ და ჰქმნარიტი და სრული რედაქციის შესადგენად კვლევადიებითი ხასიათის მუშაობა ჩაუტარებია (სხვებისათვისაც უკითხავს). ეფრემის ერთ-ერთი ბერძნული დედანი შემცველი უნდა ყოფილიყო იმ ტექსტისა, რომლისაგანაც XIII—XIV საუკუნეებში V11-ის შემცველი ხელნაწერი გადაიწერა.

გრიბომონს არ ეყო მასალა, რომ რაიმე ვარაუდი გამოეთქვა A—63 ხელნაწერში მოთავსებული „ასკეტიკონის“ შესახებ. ეს ქართული ვერსიაც უდაოდ V (ვულგატას) რეცენზიას განეკუთვნება. ამას ადასტურებს რაოდენობა ვრცელი კითხვებისა—55 და მათი მიმდევრობის დამთხვევა V-ს მიმდევრობასთან, აგრეთვე რედაქციაში წარმოდგენილი 236 მოკლე წესი, რომლებიც თავიანთი მიმდევრობით შეესატყვისებიან 1—239 V-ს რეცენზიის კითხვებს (გამოტოვებულია 233-ე და ნაწილობრივ 59-ე კითხვები, ხოლო 213 და 214 კითხვები ერთ კითხვაშია არეული). V-ს დანარჩენი კითხვების არარსებობა ბერძნული დედნის ნაკლულობით უნდა აიხსნას.

ეს ქართული ვერსია „შერეული ვულგატას“ ტიპის კრებულიდან უდა მომდინარეობდეს. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებანი: 1. ამ რედაქციის უშუალო ბერძნული დედნის ჰიპოტიპოსს, სავარაუდებელია, ახასიათებდა „მორალური წესების“ გადატანა ჰიპოტიპოსის ბოლოს, როგორც ეს სწორედ „შერეულ ვულგატას“ ახასიათებს. რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მორალური წესები“ მოთავსებული უნდა იყოს პროლოგების შემდეგ, „კითხვა-მიგებების“ წინ. P ვერსიაში კი, როგორც „შერეული ვულგატას“ ტიპის რედაქციებში, პროლოგებს უშუალოდ „კითხვა-მიგებანი“ მოსდევს. მართალია, „მორალური წესები“ საერთოდ არ არის ამ რედაქციაში, მაგრამ ეს დანაკლისი რედაქციისა საგულგებელია

<sup>1</sup> A—689, 185r.

სწოლედ „მოკლე წესების“ შემდეგ. რადგანაც თვითონ ეს უკანას-  
კნელი თხზულებაც არ არის ამ რედაქციაში დასრულებული სახით  
წარმოდგენილი. 2. ამ რედაქციაში წარმოდგენილი თითოეული  
თხზულების ტექსტი რედაქციულად საკმაოდ ახლოს დგას E ვერ-  
სიასთან, რომელიც „შერეული ვულგატას“ ტიპისაა. მაგალითად.  
პროლოგი 8 აქაც იმგვარი (შემოკლებული) რედაქციითაა წარმო-  
დგენილი, როგორც E და V8-ში. 3. „ვრცელი წესების“ ტექსტი  
განსხვავდება ყველა ბერძნული ხელნაწერისაგან და მისდევს „შე-  
რეული ვულგატას“ ტიპის ხელნაწერებს. 4. ჰიპოტიპოს F-ს ამ ვერ-  
სიაში მოსდევს „სამონასტრო კონსტიტუციები“ არა V, არამედ სხვა  
რეცენზიისა.

მოსალოდნელი იყო, რომ, როგორც „შერეული ვულგატას“  
შემცველ ყველა ბერძნულ ხელნაწერში, აქაც (P ვერსიაშიც) ჰიპო-  
ტიპოს V-ს შეერთებოდა „სამონასტრო კონსტიტუციები“ N რე-  
ცენზიისა. მაგრამ, როგორც P ვერსიის „კონსტიტუციების“ სპე-  
ციალურმა შესწავლამ გვიჩვენა, ამ ვერსიაში „სამონასტრო კონს-  
ტიტუციები“ M (Misogyne) რეცენზიისაა. ასეთი შეერთება კი, დღე-  
მდე შემონახულ არც ერთ ბერძნულ ხელნაწერში არ გვხვდება. სა-  
ვარაუდებელია, ეს შერწყმა ქართველი მთარგმნელის შემოქმედება  
იყოს (მთარგმნელმა თავისი ნაკლები დედანი V რეცენზიისა M  
რეცენზიის ხელნაწერით გააგრძელა).

P რედაქციის „ვრცელი წესების“ ტექსტი სპეციფიკურ დეტა-  
ლებში განსხვავდება ყველა ბერძნული ხელნაწერისაგან და მისდევს  
V9 რედაქციას (პარიზი, ბერძნული ფონდი 502 A, IX საუკუნე).  
შედგენილობის მიხედვით კი ეს ვერსია მკვეთრად განსხვავდება V9  
კრებულისაგან. P რედაქციის შედგენილობა დასაწყისში ამჟღავნებს  
თხზულებათა იმ მიმდევრობას, რომელიც დამახასიათებელია „შე-  
რეული ვულგატას“ ტიპის კრებულებისათვის. მაგრამ შემდგომში  
(კრებულის დანაკლისის შემდეგ) ეს მსგავსება ქრება.

ამგვარად, A—63 ხელნაწერში მოთავსებული ასკეტური კრებული  
„შერეული ვულგატას“ ტიპს განეკუთვნება. მასში ჰიპოტიპოს V-  
სთან შეერთებულია M რეცენზიის „სამონასტრო კონსტიტუციები“.  
ამ ვერსიის „ვრცელ წესებში“ წარმოდგენილი ტექსტი ნათესაობას  
ამჟღავნებს V9 რედაქციიდან მომდინარე ტექსტთან.

ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართულ რედაქციებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, ასევე ბიზანტიური ფილოლოგიისთვისაც. ბასილ დიდის „ასკეტიკონის“ დღეისათვის შემონახული ოთხი რედაქციით ძველ ქართულ ლიტერატურას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო საქრისტიანო მწერლობაში.

ქუთაისში დაცული ბასილი კესარიელის ასკეტური კრებული (რედაქცია C), ნათელი დამადასტურებელია იმ ფაქტისა, რომ ქართველები უადრესად დაინტერესებული იყვნენ ბასილის ასკეტური მემკვიდრეობით. ქართულ მწერლობაში ჩამოყალიბებულა ორიგინალური რედაქცია ბასილის „ასკეტიკონისა“, რომელიც პირველ ყოვლისა პრაქტიკული დანიშნულების მატარებელი იყო. A—63 ხელნაწერის „ასკეტიკონი“ (რედაქცია P) ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ქართველებს არა ერთხელ უცდიათ ბასილის ასკეტური ნაწერების უშუალოდ ბერძნულ დედნებში შესწავლა და უშუალოდ ბერძნულიდან თარგმნა, და რომ თვით ეფრემ მცირის თარგმანსაც კი ვერ ამოუწურავს ქართველების მცნაფრება ბასილის ასკეტური ნაწერების ბერძნული რედაქციებისადმი. P რედაქცია ბიზანტიური ფილოლოგიისათვის იმ თვალსაზრისითაა საინტერესო, რომ იგი არის ერთადერთი შემთხვევა V რეცენზიის ასკეტურ კრებულში M რეცენზიის „სამონასტრო კონსტიტუციების“ შეტანისა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა როგორც ქართული ლიტერატურისათვის, ისევე ბიზანტიური ფილოლოგიისათვის, გააჩნია ეფრემის თარგმნილ (რედაქცია E) და სინას მთაზე დაცულ (რედაქცია G) ასკეტურ კრებულებს.

ეფრემ მცირეს დაწერილებით შეუსწავლია ბასილის ასკეტური მემკვიდრეობის საკითხი. მას ხელთ ჰქონია რამდენიმე ბერძნული დედანი და მათი ფილოლოგიური შესწავლის შემდეგ საკუთარი რედაქცია ჩამოუყალიბებია. ფაქტია, რომ ეფრემი მის მიერ რედაქტირებული ბასილის „ასკეტიკონით“ თავისი თანამედროვე მეც-

ნიერების სიმალლეზე დგას. ამას მოწმობს ისიც, რომ ეფრემის „ასკეტიკონში“ ჰიპოტიპოსს გარდა შესულა ე. წ. სეკვანსის ტიპის თხზულებებიც. ასეთი შერწყმა კი იმ დროისათვის უახლესი მოვლენა იყო, რადგანაც ამ ტიპის ბერძნული ხელნაწერები მხოლოდ XI საუკუნიდან გვხვდება. ეფრემ მცირეს დაწვრილებით შეუსწავლია ბასილის ასკეტურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები და „ასკეტიკონის“ საკუთარი რედაქციისათვის უაღრესად საინტერესო სქოლიოები დაურთავს.

სინას მთაზე დაცული ბასილის ასკეტური კრებული ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის უაღრესად საყურადღებო მოვლენაა. ამ კრებულის არსებობა ცხადად ადასტურებს იმას, რომ ქართველები ბასილის ლიტერატურული მემკვიდრეობით და კერძოდ მისი ასკეტური ნაწერებით ჩვენი მწერლობის პირველ პერიოდშიც ყოფილან დაინტერესებული და ბერძნულიდან ქართულ ენაზე ბასილის ასკეტური ნაწერების სათარგმნელად უაღრესად მნიშვნელოვანი ხასიათის მუშაობა ჩაუტარებიათ. „ასკეტიკონის“ ამ უძველეს ქართულ რედაქციას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ბიზანტიური ფილოლოგიისათვის ბასილი კაპადოკიელის ასკეტური ნაწერების პირვანდელი რედაქციის დასადგენად.

### თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

როგორც მივუთითეთ, ბიზანტიკაში დღეისათვის აღდგენილია ბასილის „ასკეტური კითხვების“ სამი უძველესი დაჯგუფება; გრიბომონი მათ პირობით უწოდებს X, Y და V. V-ს პირვანდელი მიმდევრობა არის მეხუთე საუკუნისათვის, ბიზანტიელი სქოლიასტის მოღვაწეობამდე არსებული ცდა ამ კითხვების სისტემატიზაციისა. ეს არის ის თანმიმდევრობა, რომლითაც პონტოს ასკეტები აჯგუფებდნენ მათ. V-ს პირვანდელ მიმდევრობაზე ადრინდელი გადამუშავება უნდა იყოს Y, ხოლო Y-ზე უფრო ძველია (ადრინდელია) და, ამდენად, დღეისათვის ყველაზე პირვანდელ რედაქციად მიჩნეულია X. რასაკვირველია, არ შეიძლება გადაჭრით თქმა იმისა, თუ რა კავშირი აქვს გადამუშავება X-ს ბასილის ხელიდან გამოსულ რედაქციასთან, რადგანაც არ არის ცნობილი არავითარი მინიშნება იმაზე, თუ რა სახე ჰქონდა ბასილის ხელიდან გამოსულ „ასკეტურ წესებს“. მაგრამ რედაქცია X უძველესია, რომლის აღდგენაც კი შეიძლება დღეისათვის ცნობილი რეცენზიების საფუძველზე. იგი აშკარად მეხუთე საუკუნის გადამუშავებაზე (V-ს ძველი მიმდევრობა) უფრო ადრინდელია.

რედაქცია X აღდგენილია დღეისათვის ცნობილი ოთხი რეცენზიის საფუძველზე. ესენია: G (სინას მთის ქართული), R1 (მოკლე ლათინური), Rs (მოკლე სირიული) და B (ბარბერინის—ბერძნული). ამ რედაქციის უძველესობაზე ისიც მეტყველებს, რომ მას ძმარს უკერს დღეისათვის ცნობილი ყველაზე ძველი, VI საუკუნის სირიული და ლათინური ხელნაწერები; ამ რედაქციას ძმარს უკერს ლათინური და სირიული თარგმანები, რომლებიც შესრულებული უნდა იყოს ჯერ კიდევ ბიზანტიელი სკოლიასტის მოღვაწეობამდე, კერძოდ, ლათინური IV—V საუკუნეებში, რუფინუსის მიერ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ რედაქციის ყველაზე უფრო ძველი მოწმეები ლათინური და სირიული ხელნაწერებია, რედაქცია ძირითადად ეყრდნობა არა R1 და Rs რეცენზიებს, არამედ უძველეს ქართულ თარგმანს—G რეცენზიას. ამ ვერსიაში უეჭველად შემონახულია თვით R1, Rs და B რეცენზიებზე უფრო ძველი და სანდო გადამუშავება (თავი რომ დავანებოთ ყველა სხვა რეცენზიას, რომლებიც X-თან შედარებით მხოლოდ და მხოლოდ მეორეული გადამუშავების კვალს ატარებენ). ბასილის „მოკლე წესების“ უძველესი გადამუშავების—X-ის ძირითადი მოწმე და შემომნახველი არის G რეცენზია. შეიძლება გადაჭრით ითქვას: რომ არ შემონახულიყო G ვერსია, შეუძლებელი იქნებოდა „ასკეტიკონის“ უძველესი გადამუშავების X-ის აღდგენა (ყოველ შემთხვევაში ისეთი სახით, როგორითაც იგი დღეს არის). ამის თქმის უფლებას გვაძლევს შესწავლა იმ ტაბულისა, რომელიც შედგენილი აქვს გრიბომონს G, R1, Rs და B-ს მონაცემების საფუძველზე X-ის აღსადგენად<sup>1</sup>. ამ ტაბულის გაცნობა საშუალებას მოგვცემს ნათელი წარმოდგენა ვიკონიოთ ბასილის „ასკეტური წესების“ უძველეს სავარაუდებელ რედაქცია X-ზე; გაეითვალისწინოთ ამ უძველესი გადამუშავების მიმართება დღეისათვის არსებულ ქართულ რეცენზიასთან და წარმოდგენა ვიკონიოთ G-ს მნიშვნელობაზე ბასილის „ასკეტიკონის“ უძველესი რედაქციის აღსადგენად<sup>2</sup>.

<sup>1</sup> J. Gribomont, Histoire..., გვ. 166—169.

<sup>2</sup> გრიბომონის ტაბულაში ჩვენ ერთი ტექნიკური ხასიათის დაზუსტება შეიკანეთ: ტაბულაში ნათლად არ ჩანდა, რომ ზოგჯერ G რეცენზიის რამდენიმე კითხვა დანარჩენ რეცენზიებში თითო კითხვას წარმოადგენს. ჩვენი დაზუსტების შემდეგ ტაბულაში ეს მომენტი, ვფიქრობთ, უფრო გარკვეულია მოცემული. გრიბომონის ტაბულაში იმ მიზნით, რომ X-ის თითოეული კითხვა გამოქვეყნებული ტექსტის ნუმერაციითაც იყოს მითითებული, მოყვანილია ვულგატას მიმდევრობაც. X რედაქციის მიმდევრობის დასადგენად ვულგატას მონაცემებს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ამიტომ ჩვენ ვულგატას მიმდევრობა ტაბულაში არ შევიკანეთ.



X	G	RI	Rs	B	X	G	RI	Rs	B
1	1	12	14	73	56	56	67	69	126
2	2	13	15	74	57	57	68	69	129
3	3	14	16	75	58	58	69	70	130
4	4	15	17	76	59	59	70	71	131
5	5	16	18	77	60	60	71	72	132
6	6	17	19	78	61	61	72	73	133
7	7	18	20	79	62	62	73	74	134
8	8	19	21	80	63	63	74	75	135
9	9	20	22	81	64	64	75	76	136
10	10	21	23	82	65	65	76	77	137
11	11	22	24	83	66	66	77	78	138
12	12	23	25	84		67			
13	13	24	26	85	67	67	78	79	139
14	14	25	27	86	68	68	79	80	140
15	15	26	28	87	69	70	80	81	141
16	16	27	30	88	70	71	81	82	142
17	17	28	29	89	71	72	82	83	143
18	18	29	31	90	72	73	83	84	144
19	19	30	32	91	73	74	84	85	145
20	20	31	33	92	74	75	85	86	146
21	21	32	34	93	75	76	86	87	147
22	22	33	35	94	76	77	87	88	148
23	23	34	36	95	77	78	88	89	149
24	24	35	37	96	78	79	89	90	150
25	25	36	39	97	79	80	90	91	151
26	26	37	39	98	80	81	91	92	152
27	27	38	40	99	81	82	92	93	153
28	28	39	41	100	82	83	93	94	154
29	29	40	42	101	83	84	94	95	155
30	30	41	43	102	84	85	95	96	156
31	31	42	44	103	85	86	96	97	157
32	32	43	—	104	86	87	97	98	158
33	33	44	—	105	87	88	98	99	159
34	34	45	45	106	88	89	99	100	160
35	35	46	47	107	89	90	100	101	161
36	36	47	48	108	90	91	101	102	162
37	37	48	49	109	91	92	102	103	163
38	38	49	50	110	92	93	103	—	164
39	39	50	51	111	93	94	104	104	165
40	40	51	52	112	94	95	105	104	—
41	41	52	53	113	95	96	106	—	166
42	42	53	54	114	96	97	107	—	167
43	43	54	55	115	97	98	108	—	168
44	44	55	56	116	98	99	109	—	169
45	45	56	57	117	99	100	110	—	170
46	46	57	58	118	100	101	111	—	171
47	47	58	59	119	101	102	112	—	172
48	48	59	60	120	102	103	113	—	173
49	49	60	61	121	103	104	114	—	174
50	50	61	62	122	104	105	115	—	175
51	51	62	63	123	105	106	116	—	176
52	52	63	64	124	106	107	117	—	177
53	53	64	65	125	107	108	118	—	178
54	54	65	66	126	108	109	119	105	179
55	55	66	67	127	109	110	120	106	180

X	G	Rl	Rs	B	X	G	Rl	Rs	B
110	111	121	107	181	162	166	171	155	232
111	112	122	108	182	163	167	172	156	233
112	113	123	109	183	164	168	173	157	234
113	114	124	111	184	165	169	174	158	—
114	115	125	112	185	166	170	175	—	235
115	116	126	113	186	167	171	176	164	236
116	117	127	114	187	168	172	177	165	237
117	118	128	115	188	169	173	178	166	238
118	119	129	116	189	170	174	179	167	239
119	120	130	117	190	171	175	180	168	240
120	121	131	118	191	172	176	181	169	241
121	122	132	159	—	173	177	182	170	242
122	123	133	119	192	174	178	183	171	243
123	124	134	120	193	175	179	184	172	244
124	125	135	121	194	176	180	185	173	245
125	126	136	122	195	177	181	186	174	246
126	127	137	123	196	178	182	187	—	247
127	128	138	124	197	?	183	—	—	—
128	129	139	125	198	?	184	—	—	—
?	130	—	—	—	179	185	—	—	248
?	131	—	—	—	180	186	—	—	249
?	132	—	—	—	181	187	—	—	250
129	133	140	126	199	182	188	—	—	251
130	134	141	127	200	183	189	—	—	252
131	135	142	—	201	184	190	188	—	253
132	136	143	128	202	185	191	—	—	254
133	137	144	129	203	186	192	—	—	255
134	138	145	130	204	187	193	—	—	256
135	139	146	131	205	188	194	—	—	257
136	140	147	132	206	189	195	—	—	258
137	141	148	133	209	190	196	—	—	259
138	142	149	134	207	191	197	—	—	260
139	143	150	135	208	192	198	—	—	261
140	144	151	136	210	193	199	—	—	262
141	145	152	137	211	194	200	—	—	263
142	146	153	133	212	—	201	—	—	—
143	147	154	139	213	195	202	—	—	264
144	148	155	140	214	196	203	—	—	265
145	149	156	141	215	—	204	—	—	—
146	150	—	—	216	—	205	—	—	—
147	151	—	—	217	—	206	—	—	—
148	152	157	142	218	197	207	—	—	266
149	153	158	143	219	198	208	—	—	267
150	154	159	144	220	199	209	—	—	268
151	155	160	145	221	—	210	—	—	—
152	156	161	146	223	200	211	—	—	269
153	157	162	148	222	201	212	—	—	270
154	158	163	147	224	202	213	—	—	271
155	159	164	149	225	203	214	—	—	272
156	160	165	—	226	204	215	—	—	273
157	161	166	150	227	205	216	—	—	274
158	162	167	151	228	206	217	—	—	275
159	163	168	152	229	207	218	—	—	276
160	164	169	153	230	208	219	—	—	277
161	165	170	154	231	209	220	—	—	—

X	G	Rl	Rs	B	X	G	Rl	Rs	B
210	221	—	—	—	250	261	197	160	?
211	222	—	—	278	251	262	198	161	?
212	223	—	—	279	252	263	199	162	?
213	224	—	—	280	253	264	200	180	?
214	225	—	—	281	254	265	201	—	?
215	226	—	—	282	255	266	—	—	?
216	227	—	—	283	256	267	—	—	?
217	228	—	—	284	257	268	—	—	?
218	229	—	—	285	258	269	—	—	?
219	230	—	—	286	259	271	203	183	?
220	231	—	—	287	260	272	—	—	?
221	232	189	—	288	261	273	—	—	?
222	233	190	175	289	262	274	—	—	?
223	234	—	—	290	263	275	202	182	?
224	235	—	—	291	264	276	—	—	?
225	236	—	—	292	265	277	—	—	?
226	237	—	—	293	266	278	—	—	?
227	238	—	—	294	267	279	—	—	?
228	239	—	—	295	268	280	—	—	?
229	240	—	—	296	269	281	—	—	?
230	241	—	—	297	270	282	—	—	?
231	242	—	—	298	271	283	—	—	?
232	243	—	—	—	272	284	—	—	?
233	244	—	—	299	273	285	—	—	?
234	245	—	—	—	274	286	—	—	?
235	246	—	—	300	275	287	—	—	?
236	247	—	—	301	276	288	—	—	?
237	248	191	163	302	277	289	—	—	?
238	249	—	—	303	278	290	—	—	?
239	250	—	—	304	279	291	—	—	?
240	251	—	—	305	280	292	—	—	?
241	252	192	—	306	281	293	—	—	?
242	253	—	—	—	282	294	—	—	?
243	254	193	176	307	283	295	—	—	?
244	255	194	177	308	284	296	—	—	?
245	256	—	—	309	285	297	—	—	?
246	257	—	—	310	286	298	—	—	?
247	258	195	178	311	287	299	—	—	?
248	259	—	—	312	288	300	—	—	?
249	260	196	179	?					

როგორც ტაბულიდან ჩანს, X რელაქციაში სავარაუდებელი ყველა კითხვა წარმოდგენილია G რეცენზიაში. ხოლო G რეცენზიის თითქმის ყველა კითხვა უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი X რელაქციისათვის. გამონაკლისია კითხვები: G-130, 131, 132 და 183, 184. ეს ხუთი კითხვა არ იკითხება არც Rl, არც Rs და არც B რეცენზიებში და არც არის რაიმე ნიშანი, რომ ისინი ამ რეცენზიებში იყო შესული. მაგრამ ეს კითხვები არის V-ში (ვეულგატაში). G 130 = V 233, G 131 = V 234, G 132 = V 190, G 183 = V 154 და G 184 = V 273. ამიტომაც, გრიბომონი ყოყმანობს, შევიტანოთ თუ არა ეს კითხვები X რელაქციაში; მათ ადგილს X რელაქციაში იგი

კითხვითი ნიშნით აღნიშნავს. სხვა შემთხვევებში კი, როდესაც კითხვები იკითხება მხოლოდ და მხოლოდ G და V რეცენზიებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არის დამახასიათებელი R1, R<sub>s</sub> და B რეცენზიებისათვის, გრიბომონს ყოყმანის გარეშე შეაქვს ისინი X რედაქციაში. ესენია: X 209 (G 220—V 290), X 210 (G 221—V 291), X 232 (G 243—V 104), X 234 (G 245—V 284) და X 242 (G 253—V 292).

X-ის ნუმერაცია თითქმის ზუსტად ემთხვევა G-ს ნუმერაციას. ცვლილებები შეაქვს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ X-ის 66-ე კითხვას შეესაბამება არა მხოლოდ G-ს 66-ე, არამედ 66 და 67. როგორც მიუთითეთ, G 66 და 67 კითხვა არის ყველა რეცენზიაში ერთი კითხვა, V-ს ნუმერაციით 165. მსგავსად ამისა, X-ის 194-ე კითხვას შეესაბამება G-ს არა მხოლოდ 200, არამედ 200 და 201; X-ის 196-ე კითხვას შეესაბამება G-ს არა მხოლოდ 203, არამედ 203, 204, 205 და 206—ერთად; და X-ის 199-ე კითხვას შეესაბამება G-ს არა მხოლოდ 209, არამედ 209 და 210.

X-ის კითხვები 255—25E, 260—262, 264—288 აღდგენილია მხოლოდ და მხოლოდ G-ს მონაცემების საფუძველზე (ამ კითხვებს თავთავიანთი შესატყვისი მოეპოვება V-შიც იხ. ჩვენს მიერ შედგენილი ტაბულა V-ს შესაბამისობისა ქართულ ვერსიებთან—გვ. 110—113). მაგრამ ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ეს კითხვები დამახასიათებელი ყოფილიყო B რეცენზიისათვის, რადგანაც B რეცენზიის შემკველი ერთადერთი ხელნაწერი დაზიანებულია, ბოლო აკლია.

ამგვარად, ტაბულიდან აშკარად ჩანს, რომ არც ერთი რეცენზია არ იძლევა იმდენ მონაცემებს X-ის აღსადგენად, როგორც G. G რეცენზიაში თითქმის უცვლელად უნდა იყოს შემონახული უძველესი რედაქცია X. გრიბომონი გარკვევით მიუთითებს, რომ X-ის დადგენაში ძირითადია სწორედ G<sup>1</sup>.

G რეცენზია სხვა თვალსაზრისითაც უაღრესად სარწმუნო მონაცემებს იძლევა. მაგალითად, G რეცენზიაში წარმოდგენილია კითხვა 222, რომელიც ვულგატას კანონიკურ გადამუშავებაში არ შესულა, მაგრამ ეს კითხვა მოიპოვება V-ს დამატებაში 314-ე ნომრით და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ბასილისეულადაა მიჩნეული<sup>2</sup>.

ბასილის „ასკეტიკონის“ დღეისათვის ცნობილი უძველესი ხელ-

<sup>1</sup> J. Gribomont. Histoire..., გვ. 170.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 189.

ნაწერები, რომლებიც შემცველია R1 რეცენზიისა—V საუკუნის დასაწყისში რუფინუსის თარგმნილი ტექსტისა, დამოკიდებულებას ამჟღავნებს G ქართულ რეცენზიაში დაცულ ტექსტზე. გრიბომონი მიუთითებს, რომ R1 დამოკიდებულია G და B-ზე<sup>1</sup>. G-სა და B-ს შორის კი დამოკიდებულება ასეთია: G აშკარად უფრო ძველია, ვიდრე B. მაგრამ G არ არის B-ს წინაპარი, რადგანაც B კითხვების მიმდევრობაში უშვებს შეცდომებს, რომლებიც არაა დამახასიათებელი G-სათვის. ამიტომაც B, გრიბომონის აზრით, შეიძლება იყოს G-ს პარალელური, მაგრამ არა იმდენად ძველი და ზუსტი ტრადიციების მატარებელი, როგორიც არის G.

იქიდან გამომდინარე, რომ G-ში დაცული ტექსტი უაღრესად სანდო და ძველი ტრადიციების მატარებელია, უნდა ვიფიქროთ, რომ ის განსხვავებები, რომლებსაც G ამჟღავნებს ყველა სხვა რეცენზიასთან შედარებით—თითოეული კითხვის რამდენიმედ გაყოფა — ბასილის „კითხვა-მიგებების“ უძველესი სახის აღდგენისას მხედველობაშია მისაღები.

საინტერესოა იმ დამოკიდებულების გარკვევა, რომელიც ახასიათებს G-ს უძველეს პონტოურ რედაქციასთან შედარებით. თანახმად სქოლიასტის მინაწერებისა, პონტოს ძველ რედაქციაში არ უნდა ყოფილიყო დღევანდელი ვულგატასათვის დამახასიათებელი 287—313 კითხვები. G-ში მართლაც არ არის V-ს უკანასკნელი კითხვები. V-ს 293—313 კითხვებს G არ იცნობს, მაგრამ G-ში არის V-ს 287—292 კითხვები, რომლებიც არ იყო პონტოს ძველ რედაქციაში და 314-ე კითხვა, რომელიც საერთოდ არ უნდა შესულიყო V-ს ბიზანტიელი სქოლიასტიკულ გადაამუშავებაში. ამრიგად, G-ს არ უნდა ჰქონდეს უშუალო კავშირი ძველ პონტოურ რედაქციასთან.

G ქართულ რედაქციაში დაცული ტექსტი ბიზანტიური ფილოლოგიის თვალსაზრისით დღემდე შემონახულ ბასილის „ასკეტიკონის“ რეცენზიებთან შედარებით თითქმის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია.

### თ ა ვ ი მ ე ო რ ი

ბასილი კაპადოკიელის ასკეტური კრებულის მეორე ქართული ვერსიის (E რედაქციის) მთარგმნელი ეფრემ მცირეა. რომ A—689 ხელნაწერში მოთავსებული ასკეტური კრებული ეფრემ მცირის

<sup>1</sup> J. Gribomont, Histoire..., გვ. 170.

თარგმანს წარმოადგენს, ეს ჯერ კიდევ ამ ხელნაწერის პიოველმა. მკვლევარმა თ. ჟორდანიამ აღნიშნა. მართლაც, კრებულს ყველა ნიშნით აშკარად ეტყობა, რომ იგი ეფრემ მცირის თარგმნილია. A—689 ხელნაწერში ბასილი კესარიელის „ასკეტიკონს“ ჰოსდევს „თეოდორიტე ეპისკოპოსისა კპროს ქალაქისაჲ მოღუაწეთა მოქალაქობაჲ“—ეს თხზულებაც ეფრემ მცირის თარგმნილია და ამის შესახებ გარკვევითაა მითითებული მის ანდერძში. ანდერძში ნათქვამია, რომ ეს თხზულება თარგმნა ეფრემ მცირემ ანტონ ტბელის ბრძანებით<sup>1</sup>. „ასკეტიკონსაც“ ანალოგიური ხასიათის ანდერძი აქვს. მასშიც მითითებულია, რომ თხზულება თარგმნილია ანტონ ტბელის ბრძანებითა და ხელმძღვანელობით. ეკვი არაა, რომ მთარგმნელი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. თავი რომ დავანებოთ E რედაქციის „ასკეტიკონის“ ენასა და სტილს, რომელიც აშკარად ეფრემისეულია, ამ კრებულს დართული აქვს მთარგმნელის სქოლიოები—„შეისწავენი“, რომლებიც უტყუარად მეტყველებენ, რომ მათი ავტორი ეფრემ მცირეა. შესაძლებელია, სწორედ ეფრემის სახელზე მიუთითებდეს ამ კრებულის ერთი მინაწერი, რომლის მხოლოდ ფრაგმენტიღა იკითხება. A—132 ხელნაწერის 127r-ს დასაწყისში სხვა მელნით მიწერილია სამი სტრიქონი, რომელთაგან მხოლოდ და მხოლოდ უკანასკნელი ასოები იკითხება: „...ვიშ

...ქენი იტყუს და

...[ფ]რმ თარგმნი.“

საფიქრებელია, რომ უკანასკნელი სტრიქონის უკანასკნელ სიტყვებში „ეფრემ თარგმანი (მთარგმნელი—ე. ხ.)“ იმალებოდეს.

როგორც მივუთითეთ, ეფრემ მცირემ მეცნიერულად შეისწავლა ბასილის ასკეტურ ნაწერებთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები და თავისი აზრი ქართველ მკითხველს უღარესად საინტერესო სქოლიოებში მიაწოდა. ეს სქოლიოები ეფრემ მცირემ ძირითადად „ასკეტიკონის“ საკუთარ თარგმანს დაუერთო. რამდენიმე სქოლიო, რომლებიც ბასილის ასკეტურ მემკვიდრეობას ეხება, დართული აქვს ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ „ბასილ დიდის ცხოვრებას“ („სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს“), რომელიც გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებაა.

ეფრემი ამ სქოლიოებში რამდენიმე საკითხს აქცევს ყურადღებას, კერძოდ: ბასილის „ასკეტიკონის“ ისტორიულ-ფილოლოგიურ, ტექსტუალურ, სარწმუნოებრივ-თეოლოგიურ და ლექსიკურ საკითხებს. ამ სქოლიოებში, რომლებიც ღვემდევ შესწავლილი არ ყოფილა,

<sup>1</sup> A—689, 273 r.

მოთავსებულია უმდიდრესი მასალა ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიისათვის<sup>1</sup>.

§ 1. როგორც ჩანს, ეფრემს დაწვრილებით შეუსწავლია ბასილი კესარიელის „ასკეტიკონთან“ დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხები. ეფრემი მუშაობს როგორც მეცნიერი ფილოლოგი და რამდენიმე პრობლემატური საკითხის გადაწყვეტაში წყაროთმცოდნეობის უაღრესად მაღალ დონეს ამჟღავნებს.

ეფრემმა უაღრესად ზუსტი მეცნიერული მეთოდით გადაწყვიტა „ასკეტიკონის“ ბასილი კესარიელისადმი კუთვნილების საკითხი. როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საბუთი ბასილი კესარიელის ავტორობის დასამტკიცებლად არის გრიგოლ ნაზიანზელის ცნობა იმის შესახებ, რომ ბასილმა მონაზვნებს განუწესა დაწერილი და დაუწერელი წესები. სწორედ ამ ცნობას მიაგნო ეფრემ მცირემ და გამოიყენა იგი „ასკეტიკონის“ ავტორობის საკითხის გადასაწყვეტად. მის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის „ბასილ დიდის ცხოვრების“ იმ ადგილს. სადაც ლაპარაკია, რომ ბასილმა მონაზვნებს დაწერილი და დაუწერელი წესები მისცა („სჯულის-დებანი მონაზონთანი, წერილნი და უწერელნი“<sup>2</sup>) ეფრემ მცირემ დაურთო ასეთი შინაარსის კომენტარი: „ამიერ პრცხუენოდენ მათ; რომელნი „ასკეტიკონსა“ დიდისა ბასილისა ევსტათის ვის<sup>3</sup> აჩემებენ სევასტიელსა; რამეთუ აჰა მას უწოდს დიდი ესე მოძღუარი წერითად სჯულის-დებად მონაზონთა, და არსცა ქეშმარიტად. არავის და სხვსა თუნიერ დიდისა ბასილის სიბრძნისა შემსგავსებულად ესოდენი წულილადად სჯულის-მდებლობაჲ წესთა სამონაზნოჲსა მოქალაქობისათა ესოდენ განკრძალულებით“<sup>4</sup>. ამ კომენტარში ორ მომენტს უნდა მივაქციოთ ყურად-

<sup>1</sup> ბასილის „ასკეტიკონზე“ დართული ეფრემის მრავალრიცხოვანი სქოლიოდან ორიოდე გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ. იხ. „ქრონიკები“, II, გვ. 39—41; და „Описаніе...“ II, გვ. 164—166.

<sup>2</sup> A—16,292 r.

<sup>3</sup> ეის—A-109.

<sup>4</sup> A—16,292 r, A—109,35 r.

„ბასილ დიდის ცხოვრების“ („სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს“) ეფრემისეულ თარგმანზე დართული ეს სქოლიო, ისევე როგორც სხვა სქოლიოებიც, რომლებიც ბასილი კესარიელის „ასკეტიკონს“ შეეხება, ჩვენ ეფრემ მცირის შემოქმედებად მიგვაჩნია. „ბასილ დიდის ცხოვრებას“ ბიზანტიურ მწერლობაში მრავალი კომენტატორი ჰყავდა და ამდენად, არაა გამორიცხული, რომ ეფრემი იყენებდეს ამ თხზულების შესახებ ბიზანტიურ მწერლობაში არსებულ კომენტარებს, მაგრამ ბიზანტიურ მწერლობაში მსგავსი ცნობების არსებობის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი.

ლება: 1. ეფრემმა იცის, რომ ზოგიერთები ბასილის „ასკეტიკონს“ ევსტათი სებასტიელს მიაწერენ. გამომდინარე აქედან, უდაოა, რომ ეფრემი იცნობს სოზომენეს „საეკლესიო ისტორიას“. როგორც ჩვენ უკვე მივუთითეთ, მხოლოდ სოზომენე იძლევა ცნობას იმის შესახებ, რომ ასკეტურ კრებულს, რომელიც ბასილი კესარიელის სახელს ატარებს, ზოგიერთები ევსტათი სებასტიელს მიაწერენ. არც ის შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეფრემს ამ კომენტარში პოლემიკა მის თანამედროვეებთან ჰქონდეს, რადგანაც არც ერთი ცნობა არ არის დაცული არც ბიზანტიურ და არც ქართულ მწერლობაში, რომელიც მიუთითებდეს, რომ X—XI საუკუნეებში ვინმე ბასილის „ასკეტიკონს“ ევსტათი სებასტიელს მიაწერდა. ეფრემის დროისათვის საეკლესიო ლიტერატურაში საყოველთაოდ იყო აღიარებული, რომ „ასკეტიკონი“ ბასილი კესარიელის ნაწარმოებია. 2. ეფრემს უდაოდ მიაჩნია, რომ „ასკეტიკონი“ ბასილი კესარიელის თხზულებაა. ამ საკითხის მეცნიერულად დასაბუთებისათვის მას მოჰყავს ყველაზე უფრო მყარი საბუთი — გრიგოლ ნაზიანზელის მოწმობა იმის შესახებ, რომ სწორედ ბასილმა განუწესა პონტოელ ასკეტებს სამოღვაწეო წესები. ეფრემმა ამ საბუთის მოყვანით გამოამჟღავნა მეცნიერული აზროვნების უმაღლესი დონე. როგორც ამ საკითხის სპეციალურმა შესწავლამ დაგვანახა, ბიზანტიტიკაში დღეისათვისაც გრიგოლ ნაზიანზელის აღნიშნული ცნობა ითვლება ამ საკითხის ყველაზე უტყუარ გადაწყვეტად. ამგვარად, ეფრემ მცირე აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში ფილოლოგიური მეცნიერების დღევანდელ დონეზე დგას.

ეფრემ მცირეს შეუსწავლია უშუალოდ კრებულ „ასკეტიკონთან“ დაკავშირებული საკითხები. მას სპეციალურად განუმარტავს ამ კრებულის რაობა. „ბასილ დიდის ცხოვრებაზე“ დართულ ერთ-ერთ კომენტარში მან მოკლედ ჩამოაყალიბა კრებულ „ასკეტიკონის“ ადგილი სასულიერო ლიტერატურაში და ორიოდ სიტყვით მიუთითა როგორც მის შინაარსობლივ მხარეზე, ასევე დანიშნულებაზე. გრიგოლ ღვთისმეტყველი ბასილ დიდის შესახებ წერს: „რამეს სწავლითა და საქმითა სიტყუათა მისთა ვიკითხვიდე, განვიწყმიდები სულით და ჭორციით“<sup>1</sup> („...ὁταν ἴθιαισιν λόγους καὶ παρατιχοῖς, καὶ ἀποποιμαί ψαχῆν καὶ σῆμα“ — PG, 36, 585). ამ სიტყვებს ეფრემი ურთავს საკუთარ კომენტარს: „ორივე ესე ერთ არს—სწავლითი და საქმითი, რამეთუ სწავლაჲ იგი საქმეთა კეთილთა მოქმედებასა ასწავებს კაცთა, ვინაჲცა ამათ არა ხოლო „ითიკად“ სახელ-

<sup>1</sup> A—16,304 რ.



დებულსა მას წიგნსა წმიდისასა მოასწავებს, აოამედ საქმითსა. მას „ასკეტიკონსა“ მისსა, ესე იგი არს—მოლუაწეთასა; რომელნი-ესე ზოგად წესთა და მოქალაქობათა შეამკობენ და სჯულიერად მოლუაწებად განსწავლიან მოლუაწეთა“<sup>1</sup>. ამ კომენტარში რამდენიმე მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება:

1. ეფრემი აღნიშნავს, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის მითითებული „სწავლითი და საქმითი სიტყვები“ ერთი და იგივეა (ერთი ნაწარმოებია, ერთი კრებულია) და განმარტავს: „სწავლაჲ იგი საქმეთა კეთილთა მოქმედებასა ასწავებს კაცთა“. ეფრემი განაგრძობს, რომ ეს ერთი („სწავლითი და საქმითი სიტყვები“) არის „არა ხოლო“ ბასილის „ითიკად“ წოდებული წიგნი, არამედ „ასკეტიკონი“. „ითიკაში“ შეიძლება იგულისხმებოდეს ან ბასილი კესარიელის „მორალური წესები“, რომელსაც ბერძნულად Ἠθικά (Moralia) ეწოდება, ანდა ექვთიმე ათონელის მიერ ქართულად თარგმნილი ბასილი კესარიელის „ითიკა“, რომელიც, როგორც მივუთითეთ, ძირითადად ჰომილიების კრებულია. რომ ეფრემ მცირე „ითიკაში“ გულისხმობდეს „მორალურ წესებს“, მაშინ ამ კრებულს დაუპირისპირებდა არა „ასკეტიკონს“, არამედ „ასკეტიკას“. ეფრემმა კარგად იცის, რომ Ἠθικά („მორალური წესები“) არის „ასკეტიკონის“ შემადგენელი ნაწილი. ამდენად Ἠθικά-ს არ შეიძლება დაუპირისპირდეს „ასკეტიკონი“. Ἠθικά-ს შეიძლება დაუპირისპირდეს „ასკეტიკა“, რომელიც ეწოდება საკუთრივ „ასკეტურ წესებს“. ასეთი დაპირისპირება ცნობილია კიდევ ძველ ქართულ მწერლობაში: „...და ესრეთღა შედგენად ითიკასა და მერმე ასკეტიკასა“<sup>2</sup>. გარდა ამისა, უნდა მივუთითოთ, რომ ეფრემ მცირე სახელით „ითიკა“ არ მოიხსენებდა იმ თხზულებას, რომელსაც ბერძნულში დღეისათვის ეწოდება Ἠθικά („მორალური წესები“), რადგანაც ეფრემს სხვა სათაურით აქვს შეტანილი ეს თხზულება მის მიერ თარგმნილ „ასკეტიკონში“: „თავად თავადი განსაზღვრებაჲ წამებითა წმიდათა წერილთაჲთა.“ ამგვარად, ეფრემი მოყვანილი სქოლიოს „ითიკად სახელდებულ წიგნში“ უთუოდ გულისხმობს ექვთიმე ათონელის მიერ ქართულად თარგმნილ კრებულს „ითიკა“. აქედან გამომდინარე, უნდა მივუთითოთ, რომ ეფრემმა სავსებით სწორად შენიშნა, რომ საჭირო იყო ქართველი მკითხველის გაფრთხილება, რათა მათ გრიგოლ ნაზიანზელის მითითებული „სწავლითი სიტყვა“ (ბერძნულად Ἠθικά) არ მიეჩნიათ ექვთიმე მთაწმიდლის თარგმნილ „ითი-

<sup>1</sup> A—16,304 v.

<sup>2</sup> A—63,8 v.

კად“. ეფრემი სავსებით ნათლად აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ „სწავლითი და საქმითი სიტყვები“ არის ერთი ნაწარმოები—„ასკეტიკონი“<sup>1</sup>. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გრიგოლ ნაზიანზელის მითითებულ ბასილის „სწავლით და საქმით სიტყვებში“ („*ἡμῶν ἐξ ἁλθίνου καὶ παρακκῆσεως*“) ეფრემი ბედავს ბასილის ორ თხზულებას: „მორალურ წესებს“ და „ასკეტურ წესებს“, რომლებიც გაერთიანებულია ერთ კრებულში—„ასკეტიკონში“. ამდენად, ეფრემი მიუთითებს, რომ „ასკეტიკონში“ შესული ითიკური სიტყვები („მორალური წესები“—*Ἡθικά*) არ უნდა იქნას არეული ექვთიმე მთაწმიდლის თარგმნილ ბასილის ჰომილიურ-ეგზეგეტური ნაწერების კრებულთან, რომელსაც ქართულ მწერლობაში „ითიკა“ ეწოდება. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს მითითება, ამას ისიც ადასტურებს, რომ დღემდე ექვთიმეს თარგმნილი „ითიკა“ შეცდომით სწორედ ბასილის „ასკეტიკონში“ შეტანილ „მორალურ წესებად“ იყო მიჩნეული.

2. ეფრემმა ქართველ მკითხველს მიაწოდა სიტყვა ასკეტიკონის ქართული თარგმანი. „...ასკეტიკონსა მისსა, ესე იგი არს—მოღვაწეთასა“.

3. ეფრემმა მიუთითა, რომ ბასილის „ასკეტიკონი“ მოღვაწეთა წიგნია. ეს წიგნი მოღვაწეებს ასწავლის ასკეტობის ზოგად წესებს, ქრისტიანული ნორმების მიხედვით მოღვაწეობას.

ამრიგად, ამ სქოლიოს ძველ ქართულ მწერლობაში უაღრესად საინტერესო განმარტებები შეაქვს<sup>2</sup>.

ზემოთ მოყვანილ მითითებას იმის შესახებ, რომ „ასკეტიკონი“ ანიშნავს „მოღვაწეთა წიგნს“, ეფრემი სხვა ადგილასაც აღნიშნავს. როგორც მივუთითეთ, ეფრემ მცირის თარგმნილ „ასკეტიკონში“ პროლოგ 5-ის შემდეგ უშუალოდ ტექსტში იკითხება ერთი მინაწერი: „აქა დასრულდა შესავალი წიგნისაჲ ამის წმიდისა ბასილისი, რომელსა ასკეტიკონ ეწოდების, რომელი გამოითარგმანების

<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით უფრადლება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ეფრემი ბასილის თხზულებებთან დაკავშირებით ბერძნულ გამოთქმას *ἡμῶν* ყოველთვის თარგმნის, როგორც „სწავლის სიტყვა“. მაგალითად: *-ἐπιστολάσαι ἐκ ἡμῶν* (PG, 31, 676)“ „...შეღვინებად სიტყუათა სწავლისთა“ (A—132,5v).

<sup>2</sup> საინტერესოა ის გარემოება, რომ გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებაზე დართულ კომენტარებში ეფრემი წარმოგვიდგება როგორც უაღრესად განსწავლული ბასილის „ასკეტიკონთან“ დაკავშირებით არსებულ ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებში. ამ გარემოებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია ეფრემს ბასილის „ასკეტიკონი“ უფრო ადრე ეთარგმნოს, ვიდრე გრიგოლ ნაზიანზელის „ბასილ დიდის ცხოვრება“.

სამოღუაწეოა<sup>1</sup>. ჩვენ. მართალია, ხელში არ გვაქვს ამ მინაწერის ბერძნული დედანი, რადგანაც ბასილი კესარიელის ასკეტური თხზულებების გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტში იგი არ იკითხება, მაგრამ უეჭველად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ამ მინაწერის მეორე ნაწილი, რომელიც სიტყვა ასკეტიკონის ქართულ მნიშვნელობას ეხება. ბერძნულ დედანში არ იქნებოდა. მინაწერის ეს ნაწილი უთუოდ ეფრემ მცირეს ეკუთვნის. ამგვარად, ეფრემმა თარგმნა ამ კრებულის ბერძნული სათაური და წიგნს უწოდა „სამოღუაწეო“.

ეფრემ მცირე დიდი სიფრთხილით სწავლობდა „ასკეტიკონში“ შემავალ თითოეულ თხზულებას და აუცილებელ შემთხვევაში დამატებითი ხასიათის ცნობებს აწვდიდა მკითხველს. „ასკეტიკონის“ ერთ-ერთ შემადგენელ თხზულებას, რომელსაც ეწოდება „მეკანონისა მიმართ“, ეფრემი ურთავს განმარტებას: „შეისწავე, ვითარმედ მეკანონე ეწოდების ბერძენთა მიერ მოწესესა—მამაკაცსა გინა დედაკაცსა. ხოლო აწინდელი დედაკაცისა მიმართ არს“<sup>2</sup>. ამ სქოლიოში რამდენიმე მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება: 1. ეფრემი ქართულად თარგმნის სიტყვას „მეკანონე“. იგი მიუთითებს, რომ „მეკანონე“ არის „მოწესე“. 2. ეფრემი მკითხველს აცნობებს, რომ მეკანონე შეიძლება იყოს მამაკაციც და დედაკაციც. ამ შემთხვევაში, მიუთითებს ეფრემი, მეკანონე დედაკაცი არისო. ეს მითითება ეხება სწორედ იმ თხზულებას, რომლის სათაურია „მეკანონისა მიმართ“. ე. ი. ეფრემი განმარტავს, რომ ეს სტატია არის მეკანონე დედაკაცის მიმართ. ამ თხზულებასთან დაკავშირებული ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხების შესწავლა ეფრემის აზრს ადასტურებს. თხზულება „მეკანონისა მიმართ“ არის ბასილის 1732 წერილი. ეს წერილი არის ბასილის ორი ეპისტოლეს 173-ეს და 22-ეს შეერთება. 173-ე ეპისტოლეს აღრესატია ქალი მონაზონი თეოდორა. მართლაც, ბერძნულად ამ წერილს აწერია: „*πρὸς Θεοδώρας μοναχίσσης*“. სწორედ ამ მომენტზე მიუთითებს ეფრემ მცირე მოყვანილ კომენტარში.

ზოგიერთ სქოლიოში ეფრემი უბრალო შინაარსობლივ განმარტებას უკეთებს „ასკეტიკონის“ ტექსტის ამა თუ იმ მომენტს. ერთ ადგილას ბასილის „მორალურ წესებში“ მოყვანილია ნაწყვეტი სახარებიდან (მარკ. 9,40) ამ სახით: „რამეთუ რომელი არა ჩუენ ზედა არს, იგი ჩუენთჳს არს“<sup>3</sup>. ამ სიტყვებს ეფრემი ურთავს კო-

<sup>1</sup> A—132, 14 წ. ეს მინაწერი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიასაც. იხ. „Описание...“, II, გვ. 164.

<sup>2</sup> A—132, 133 წ.

<sup>3</sup> A—689, 120 წ.

მენტარს: „შეისწავე, ვითარმედ, რომელი არა ჩუენ ზედა ბრძოლად აღდგომილ იყოს, იგი ჩუენტუს არსო, ესე იგი არს: თანა შემწე არს ჩუენი“.<sup>1</sup> ეფრემის აზრი ნათელია. იგი მიუთითებს, რომ „ჩუენტუს არს“ ნიშნავს „თანა შემწე არს ჩუენი“.

§ 2. ეფრემის „ასკეტიკონის“ ტექსტზე დართული ზოგიერთი კომენტარი სუფთა ტექსტოლოგიური ხასიათისაა.

„ასკეტიკონის“ ტექსტში არსებულ ერთ-ერთ მინაწერს არშიაზე ახლავს ეფრემის კომენტარი „შეისწავე. რამეთუ ესე ზედა წარწერილი დედასა ესრეთ ლიტონად ვპოვე. და არა მსგავსად სხუათა მათ წარწერილთა სხვსა ვისგანმე, არამედ თვთ წმიდისა მის და ყოველთა წერილთა სამოთხისა პირისად ვპგონე, ამისთჳს ესრეთვე ღავეწერე“<sup>2</sup>. ამგვარად, ეფრემს შეუნიშნავს მინაწერები „ასკეტიკონის“ ტექსტში, მაგრამ ისინი უცვლელად დაუტოვებია, რადგანაც ავტორისეულად მიუჩნევია.

„მორალურ წესებში“ ერთ ადგილას მოყვანილია ნაწყვეტი სახარებიდან (მათ. 25.1) ასეთი სახით: „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა. რომელთა აღიხუნეს ლამპარნი მათნი და განვიდეს მიგებებად სიძისა და სძლისა“<sup>3</sup>. ამ ადგილას ეფრემი არშიაზე წერს: „შეისწავე, რამეთუ ძველთა სახარებათა ბერძულთაცა ყოფილა სიძისა და სძლისა. ხოლო აწ არცა-ლა მათთა არს და არცა ჩუენსა ახალსა. რამეთუ უსრულესისა მიმართ წარებატა ეკლესიაჲ ღმრთისაჲ მადლითავე მისითა“<sup>4</sup>. ეს კომენტარი უაღრესად საინტერესოა. ეფრემი მიუთითებს, რომ ძველ სახარებაში „სიძისა და სძლისა“ ყოფილა და „ასკეტიკონის“ ტექსტშიც მოყვანილ ნაწყვეტს ამგვარად თარგმნის. ამ თხზულების ბერძნულ ტექსტში სახარების აღნიშნული ნაწყვეტი ამგვარად იკითხება: „Τότε ἄριστοι ἔειπεν ἡ βασίλεια τῶν οὐρανῶν ὅτι οὐκ ἔστιν ἔτι ἀποκρίσας, ἀλλὰ, λαβόντες τὰς λαμπάδας ἀνῆλθον, ἐξήλθον εἰς ἀπάντησιν αὐτῆς καὶ εὐχόμενοι“ (PG, 31,704). ზუსტად ამგვარადვე იკითხება ეს ნაწყვეტი ბერძნულ სახარებაშიც (მათ. 25.1)<sup>5</sup>. ამრიგად, არც ბერძნულ სახარებაში და არც „ასკეტიკონის“ გამოცემულ ბერძნულ ტექსტში არ იკითხება

<sup>1</sup> A—689, 120 r.

<sup>2</sup> A—132, 15 v.

<sup>3</sup> A—689, 113 r.

<sup>4</sup> იქვე, ეს მინაწერი, როგორც მიუთითეთ, თ. ეორდანიასაც აქვს გამოკვეთიებული. იხ. „ქრონიკები“, II, გვ. 40 და „Описание“, II, გვ. 165. იხ. აგრეთვე: ი. ჯაქაბიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 159.

<sup>5</sup> სახარების ბერძნულ ტექსტს ყველა შემოხვევაში უთითებთ გამოცემით: „Новый завет“..., 1861, პეტერბურგი.

„სიძისა და სძლისა“. არამედ იკითხება მხოლოდ „სიძისა“. ეფრემის ბერძნულ დედაწი კი უდაოდ ყოფილა „სიძისა და სძლისა“. თანაც უნდა ვიფიქროთ, რომ ასე იყო არა ერთ ბერძნულ ხელნაწერში, არამედ რამდენიმეში; რადგანაც ეფრემი, როგორც მიუთითებთ, „ასკეტიკონის“ რამდენიმე ბერძნული ხელნაწერით სარგებლობდა და დაინტერესდა რა ამ ადგილით, რასაკვირველია, იგი მას ყველა ხელნაწერში შეამოწმებდა. რომელშიც კი ეს თხზულება იყო. ეფრემი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ რომელიმე ბერძნულ ხელნაწერში ეს ადგილი ამგვარად არ იკითხება. ყოველგვარი ყოყმანის გარეშე იგი ამ წაკითხვას სწორად (ბასილისეულად) მიიჩნევს. ამგვარად, XI საუკუნის ბერძნულ ხელნაწერებში იკითხებოდა „სიძისა და სძლისა“; ხოლო Migue-ის გამოცემაში კი ეს ადგილი ჩასწორებულია ბერძნული სახარებების მიხედვით, ანდა ეს ჩასწორება ბერძნული ხელნაწერების გადამწერთა შემოქმედებას წარმოადგენს. ეფრემს ამოსავლად მიუჩნევია ის დებულება, რომ „ასკეტიკონის“ ტექსტი უშუალოდ ბასილის ხელიდან არის გამოსული, ამიტომაც წაკითხვა „სიძისა და სძლისა“ ძველი სახარებების—ბასილ ის დროინდელი სახარებებისათვის დამახასიათებლად მიუჩნევია. ეფრემი კარგად იცნობს სახარების XI საუკუნეში მიღებულ ბერძნულ ტექსტს. მან იცის, რომ ამ ტექსტში აღარ იკითხება „სძლისა“. სწორედ ამიტომ აინტერესებს მას ის ფაქტი, რომ ძველ ბერძნულ სახარებაში იკითხებოდა „სიძისა და სძლისა“. ეფრემი დაინტერესებულია არა მხოლოდ ბერძნული სახარების ტექსტუალური ცვლილებებით, არამედ უწინარეს ყოვლისა, ქართული სახარებით. იგი მიუთითებს, რომ ჩვენს ახალ სახარებაშიც აღარ იკითხება ამგვარადო, ე. ი. ჩვენს ახალ სახარებაშიც ისე იკითხება, როგორც ბერძნულ ახალ სახარებაში: „სიძისა“ („*ძმ* *ყჳჳჳ*“). უდაოა, რომ ახალ ქართულ სახარებაში ეფრემი გულისხმობს გიორგი მთაწმიდლისეულ ტექსტს. მართლაც, გიორგი მთაწმიდლისეულ სახარებაში მოყვანილი მუხლი იკითხება ისე, როგორც ახალ ბერძნულ სახარებაში: „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლაშპარნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა“. მაგრამ ეფრემი ამავე დროს იცნობს „ძველ ქართულ“ სახარებებს, რომლებშიაც ეს ადგილი იკითხება ისე, როგორც ეფრემის მიგნების თანახმად, ძველ ბერძნულში. ეფრემი პირდაპირ არ ლაპარაკობს ძველ ქართულ სახარებებზე, მაგრამ კონტექსტში აშკარად იგულისხმება, რომ მას ისინი აქვს მხედველობაში. დავუკვირდეთ: „ძუელთა სახარებათა ბერძულთაცა ყოფილა სიძისა და სძლისა“— აქედან აშკარად ჩანს, ძველი ბერძნულის მიგნებამდე ეფრემმა იცო-

და სხვა რომელიღაც ძველი, მაგრამ არაბერძნული სახარება, რომელშიც იკითხებოდა, ავრთვე, „სიძისა და სძლისა“. „ხოლო აწ არცა-ლა მათთა არს და არცა ჩუენსა ახალსა“—იგულისხმება, რომ არის კიდევ ჩვენი ახლის საპირისპირო სახარება, რომელშიც ეს ნაწყვეტი ამ ახლისგან განსხვავებულია. მართლაც, ძველ ქართულ სახარებებში—ადიშის, ჯრუჭის, პარხლის—მოყვანილი მუხლი ამგვარად იკითხება: „მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა მოიხუნეს სანთელნი მათნი და გამოვიდეს წინა-მიგებებად სიძისა და სძლისა“. ეფრემი მიუთითებს, რომ „უსრულესისა მიმართ წარებატა ეკლესიაჲ ღმრთისაჲ მადლითავე მისითა“, ე. ი. შემდგომში ეკლესია უფრო სრულ, უფრო სწორ რედაქციას გაყვაო. მართლაც, გიორგი მთაწმიდლის სახარებაში ახალი ბერძნული ტექსტის მიხედვით ეს ადგილი შესწორებულია. უსწორებიათ ეს ადგილი ძველ ქართულ სახარებებშიც. ჯრუჭის ოთხთავში სიტყვა „სძლისა“ თავდაპირველად ყოფილა, მაგრამ შემდგომში ამოუფხეკიათ<sup>1</sup>.

ეფრემი ყოველგვარი ეპის გარეშე ენდობა მის სათარგმნელ დედანს. და მასში არავითარი ცვლილება არ შეაქვს, რადგანაც მის მიერ სათარგმნელად დადგენილი ბერძნული ტექსტი ყველა თავისი დეტალით ბასილი კესარიელის ხელიდან გამოსულად მიაჩნია. თვით პრინციპი დედნისადმი ასეთი დამოკიდებულებისა არასწორია. იგი ყველა მთარგმნელსა და კომენტატორს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. არასწორ დამოკიდებულებას სათარგმნელი დედნისადმი, ეფრემ მცირე ერთ შემთხვევაში შეცდომამდე მიჰყავს.

ბასილის „მორალური წესების“ ქართულ თარგმანში სახარების ერთი ნაწყვეტი ამგვარად იკითხება: „და იყვნეთ ძე მადლისა, ესე თუთ თავადი არს ქრისტე, უმადლოთა მიმართ და ბოროტთა“<sup>2</sup>. აქ მოყვანილი ნაწყვეტი არის ლუკა 6,35. შესაბამისი ტექსტი ქართულ ოთხთავებში ასე იკითხება:

M'

D

C'

„... და იყვნეთ ძე მადლის, რამეთუ იგი თავადი ტკბილ არს უმადლოთაცა და უკეთურთა“.

„...და იყვნეთ ძე მადლის, რამეთუ იგი თავადი ტკბილ არს უმადლოთაცა და უკეთურთა“.

„... და იყვნეთ ძე მადლის, რამეთუ იგი თავადი ტკბილ არს უმადლოთაცა და უკეთურთა“.

ამგვარად იკითხება ეს ნაწყვეტი სახარების ბერძნულ ტექსტშიც: „...και ἐσεσθε υἱοὶ τοῦ ἁψίτου· ὁ δὲ ἀνεὲς χρηστὸς ἐστὶν εἰς τὸν ἀχρηστὸν και πονηρὸν“.

<sup>1</sup> ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 90.

<sup>2</sup> A—689, 114 წ.

„ასკეტიკონში“ მოყვანილ ნაწყვეტსა და სახარების ყველა ტექსტს შორის აშკარა შეუსაბამობაა. „ასკეტიკონის“ თანახმად, ნაწყვეტი ამგვარად უნდა გავიგოთ: „იყვნეთ ძე მალლის უმადლოთა მიმართ და ბოროტთა“; ხოლო სიტყვას მალლის დართული აქვს განსაზღვრება: „ესე თვთ თავადი არს ქრისტე.“ სახარება კი სხვას ამბობს: „იყვნით ძე მალლის“, რადგანაცო „იგი თავადი ტკბილ არს უმადლოთათვცა და უკეთურთა“. ეს შეუსაბამობა შეუნიშნავს. ეფრემ მცირეს და აღნიშნულ ნაწყვეტზე ასეთი კომენტარი დაურთავს: „შეისწავე, ვითარმედ „ესე თვთ თავადი არს ქრისტე“ წმიდა ბასილს დაურთავს ამით გულისკმის-ყოფითა, ვითარმედ რაჟამს ძე მალლის იქმნეთ, ქრისტეს პატივსა ღირს. იქმნებით, რამეთუ იგი თავადი არს ძე მალლისა მამისაჲ. ამისთვის შენ რაჟამს სახარებისაჲ ურთიერთას შეაწყო, იყვნით ძე მალლის უმადლოთა მიმართ და ბოროტთა, მაშინლა უგანცხადებულესად გულისკმა-ჰყო შუა გამოღებითა: ესე თვთ თავადი არს ქრისტე“<sup>1</sup>. ამგვარად, ეფრემ მცირეს შეუღარებია ეს ნაწყვეტი სახარებებისათვის და იმ დასკვნამდე მისულა, რომ სიტყვები „ესე თვთ თავადი არს ქრისტე“, არ არის. სახარების კუთვნილება. ეფრემი პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ ნაწყვეტის სახარებასთან შედარება აღნიშნული სიტყვების მეტობაზე მეტყველებს. მაგრამ ეფრემი მის სათარგმნელ ბერძნულ დედანში არსებულ სიტყვებს: „ესე თვთ თავადი არს ქრისტე“ მიიჩნევს ბასილის დანართად სახარების მოყვანილი სიტყვებისადმი და ამ დანართით გამოხატული აზრის განმარტებას ცდილობს. ეკვმიუტანელ დამოკიდებულებას სათარგმნელი დედნისადმი ეფრემი შეცდომამდე მიჰყავს. მოყვანილი ნაწყვეტი ამ თხზულების უძველეს რედაქციაშიც ისევე უნდა ყოფილიყო, როგორც სახარებაშია. ზუსტად სახარების სიტყვები (ყოველგვარი შესწორების გარეშე) იკითხება ამ თხზულების გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტში: „αὐτὸς ἔσθ' ὁ θεὸς ὁ πατήρ“ (PG, 31, 708). იგი სადაო არ უნდა იყოს. სახარების ყველა რედაქცია ციტირებულ ნაწყვეტს ამგვარად იცნობს.. სახარებაში რომ ეს ადგილი სხვაგვარად იკითხება, ეს გარემოება ეფრემმაც კარგად იცის. ხელნაწერის დანართი კი, მიუხედავად იმ განმარტებისა, რომელსაც ეფრემი იძლევა, მოყვანილ კონტექსტში სავსებით უადგილოა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ადგილას ბერძნულ სახარებაში არსებული სიტყვა „χρηστὸς“ (χρηστὸς—კარგი, კეთილი, ბედნიერი. პატიოსანი, სასარგებლო...) რომელიმე:

<sup>1</sup> A—639, 114 v.

გადაძვერს აერია სიტყვაში. „აქ:ძედ“. ამ არევის გამო ეფრემის ბერძნულ დედანში (ან დედნებში) მოყვანილი ნაწყვეტი, ალბათ, ასე იკითხებოდა: „ზე ანუდჷ Ⴑრუდჷ ჰთუ...“ ამან კი გამოიწვია ეფრემის თარგმანი: „ესე თვთ თავადი არს ქრისტე“.

§ 3. ეფრემს „ასკეტიკონის“ ტექსტისათვის დაურთავს რამდენიმე სარწმუნოებრივ-თეოლოგიური ხასიათის კომენტარი.

ბასილის თხზულებაში „სიტყვა სარწმუნოებისათვის“ არწიაზე ერთ ადგილას ვხვდებით ეფრემის ასეთ კომენტარს: „შეისწავე, დასაბამი ჩუენ ქრისტეანეთა სარწმუნოებისაჲ“<sup>1</sup>. თანახმად ამ კომენტარისა ეფრემი მიუთითებს, რომ ტექსტის გარკვეული ნაწილიდან იწყება ქრისტიანული სარწმუნოების არსის მოკლე გადმოცემა. მართლაც, სქოლიო ეკუთვნის ტექსტის მე-4 პარაგრაფის დასაწყისს, რომლითაც იწყება ქრისტიანული დოგმების მოკლე გადმოცემა: „გურწამს უკუე და აღვიარებთ ერთსა მხოლოსა, კეშმარიტსა სახიერსა ღმერთსა...“<sup>2</sup>.

ერთ ადგილას „ასკეტიკონის“ ტექსტში მოყვანილია ნაწყვეტი ფსალმუნიდან (50,14). იგი ეფრემისეულ თარგმანში ამგვარად იკითხება: „უკუმომეც სიხარული მაცხოვარებისა შენისაჲ და სულითა მთავრობისაჲთა დამამტკიცე მე“<sup>3</sup>. „დავითის“ ქართულ თარგმანებში ეს მუხლი ასეა წარმოდგენილი:

გიორგი მთაწმიდლის  
თარგმანი

ძველი თარგმანი

„მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაჲ და სულითა მთავრობისაჲთა დამამტკიცე მე“.

ეფრემის რედაქციაში შესული ნაწყვეტი მისდევს გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანს, მაგრამ განსხვავდება მისგან ერთ ადგილას: ეფრემი წერს „უკუმომეც“, როდესაც ფსალმუნის ქართულ რედაქციებშია „მომეც“. ზუსტად მისდევს გიორგი მთაწმიდლის თარგმანს „ასკეტიკონის“ სხვა ქართული რედაქციის ტექსტი (P რედაქცია): „მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაჲ და სულითა მთავრობისაჲთა დამამტკიცე მე“<sup>4</sup>. „ასკეტიკონის“ ბერძნულ ტექსტში ამ ადგილას იკითხება სიტყვა, რომელიც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მომეც“, ასევე „უკუმომეც“: „ἐπιθήσει μοι τὴν ψυχάν“.

<sup>1</sup> A—132, 10 v.  
<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> A—689, 41 r.  
<sup>4</sup> A—63, 73<sup>a</sup> r.



αὐτὸν ὡς ἰσχυροῦς σου, καὶ πνεύματι ἡγεμονικῶν σοφῶν με“ (PG, 31. 1013—ხაზი ჩემია—ე. ხ.). (ἀπὸ τοῦ ἁγίου imper. aor. 2 სიტყვის ἀποκρίσιμα:—გადაცემა, ჩაბარება, მიცემა, დაბრუნება. გადახდა და სხვ.). ეფრემმა იცის, რომ ამ ადგილას ქართულ სახარებებში იკითხება „მომეც“, მაგრამ მას ფსალმუნის ამ მუხლის თავისებური გაგების გამო შესწორება შეაქვს „დავითნის“ ქართულ თარგმანებში. თავის აზრს ამ ადგილის შესახებ ეფრემი გარკვევით გადმოსცემს ამ სიტყვებზე დართულ სქოლიოში: „შეისწავე, რამეთუ „მოცემა“ არს, რომელი ახლად მოგუეცემოდის და არაოდეს გუქონებოდის; ხოლო „უქუმოცემა“, რომელი ოდესმე ჩუენი ყოფილიყოს და წარგუეწყმიდოს და კუალად ვეძიებდეთ. ამისთჳს შეცოდებულნი კუალად უქუმოცემად ვითხოვთ სულსა წმიდასა, რომელი ნათლის-ღებისა მიერ მოგუეცა და ცოდვისა მიერ წავრწყმიდეთ“<sup>1</sup>.

„ასკეტიკონის“ ტექსტში ერთ ადგილას მოყვანილია მოციქულის სიტყვები (1 კორ. 11,1): „მობაძვე ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესსა“<sup>2</sup>. ამ ადგილს ეფრემი ურთავს სქოლიოს, რომელშიაც საუბრობს ღმერთის სახელის „ქრისტეს“ შესახებ, აქედან მომდინარე „ქრისტიანების“ შესახებ და იმის შესახებ, რომ საქიროა ქრისტიანების მიერ მოციქულის მოყვანილი სიტყვების დაცვა: „შეისწავე, რამეთუ შემდგომად ღმერთსა განკაცებისა სახელ-ედვა ქრისტე. და ამისგან კაცობლისა ღმრთისა მოსახელედ გუეწოდების ჩუენ ქრისტეანე; და ბაძვად მისა ბრძანებულ ვართ. წესთა მათ და სახეთა ქუეყანასა ზედა ქუევისა მისისათა; ვიდრემდის მივიწინეთ სიტყუასებრ მოციქულისა საზომსა ჰასაკისა მის საესებისა ქრისტესისა“<sup>3</sup>.

ერთ ადგილას ეფრემი აკეთებს წმინდა ლიტურგიული ხასიათის სქოლიოს. „მოკლე წესების“ 307-ე კითხვა-მიგების საკუთრივ შეკითხვაში წერია: „უქუეთუ სავმარ არსა დღითი-დღე დაწყებად ფსალმუნებასა გინა ლოცვასა?“<sup>4</sup> ეფრემს განუზრახავს ამოეცნო რომელ ფსალმუნზე, ან რომელ ლოცვაზეა აქ ლაპარაკი და თავისი ვარაუდი სქოლიოში გამოუთქვამს: „შეისწავე, ვითარ ვჰგონებ, წინა დაწყებისა მის იტყუს, ვითარ-იგი არს ადებად ფსალმუნისაჲ, გინა აწინდელი გალობათა, უფალო იტყვისა [?] ამღებელობაჲ“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> A—689, 11 r; A—132, 56 v.

<sup>2</sup> A—659, 44 v.

<sup>3</sup> A—689, 44 v; A—132, 61 r.

<sup>4</sup> A—689, 110 v.

<sup>5</sup> A—689, 110 v; A—132, 131 v.

ერთ ადგილას „ასკეტიკონის“ ტექსტში იკითხება: „ნუსადა უძლოს ძურის ხილვამან გორცთამან, რომელი-იგი უზავებობისაგან მეგუემთხუევენ, გრძობად მოსლვად თვისისა ვნებისა“<sup>1</sup>. ამ კონტექსტში მოყვანილ სიტყვა „უზავებობას“ ეფრემი ურთავს ასეთ კომენტარს: „შეისწავეთ, რამეთუ რაჟამს ერთი ოთხთა მათ კაცისა აგებულებისა ნივთთაგანი აღმატოს და სხუასა მოაკლდეს, ესე-ვითარსა მას უსწოროებასა ნივთთასა ბერძულად უზავებობა უწოდენ (უწოდიან—A—132)“<sup>2</sup>. ამ სქოლიოში უაღრესად საინტერესოა ეფრემის შეხედულება იმის შესახებ, რომ ადამიანის აგებულება ოთხი ნივთიერების ზაერთს წარმოადგენს. ეს უნდა იყოს ძველთაგანვე ცნობილი, ხოლო საშუალო საუკუნეების ფილოსოფიაში გავრცელებული თვალსაზრისი მატერიის ოთხი ელემენტისაგან შედგენილობის შესახებ<sup>3</sup>. ეფრემი, როგორც თავისი ეპოქის განათლებული მოღვაწე, იცნობს და იზიარებს ამ თეორიას; ეს გარემოება ეფრემ მცირის შემოქმედების მკვლევართათვის დღემდე ცნობილი არ იყო<sup>4</sup>.

§ 4. ეფრემის სქოლიოების ერთი ნაწილი წმინდა ლექსიკური ხასიათისაა და უაღრესად საინტერესო ცნობებს იძლევა ქართული ენის ისტორიისათვის.

ბასილის „ასკეტიკონის“ ეფრემისეულ თარგმანში იკითხება: „ხოლო ვჰრადებ სახელებსა და სიტყუებსა მას, რომელთა ლექსი არა იპოვების საღმრთოთა წერილთა შინა“<sup>5</sup>. ამ ადგილას ეფრემი ურთავს კომენტარს: „შეისწავე, რამეთუ წიგნურსაებრ მასა სიტყუასა ლექსი პრქჳან ბერძულად“<sup>6</sup>. იქვე სხვა მელნით მიწერილია: „ხოლო ძალი სიტყუსა მის ცხოველ არს ეგრეთვე დადებულად წერილთა შინა“. საინტერესოა ამ მინაწერის პირველი ნაწილი, რომელიც უეჭველად ეფრემს ეკუთვნის. აქ ლაპარაკია საღმრთო წერილის

<sup>1</sup> A—689, 82 r.

<sup>2</sup> A—689, 82 r; A—132.99 v.

<sup>3</sup> შუადარე: მ. გ. გ. ბ. ე. რ. ი. ძ. რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდები, გვ. 19—21.

<sup>4</sup> A—132 ხელნაწერში არშიაზე ვხვდებით კიდევ ერთ მინაწერს, რომელიც თავისი შინაარსით სარწმუნოებრივი ხასიათისაა: „[...] მონანი ქრისტესნი ივინი არიან, რომელთა ქრისტეს მეცნიერებანი დაემარხნნეს- (46 r). მაგრამ ჩვენ ეს მინაწერი ეფრემისეულად არ მიგვაჩნია, რადგან-ც იგი იკითხება მხოლოდ A—132 ხელნაწერში (არ იკითხება A—689-ში) და აქაც იგი შემდეგდროინდელი დანართი უნდა იყოს.

<sup>5</sup> A—132, 6 v.

<sup>6</sup> იქვე.

მუხლებზე, რომლებსაც ეფრემი, ბერძნულის მსგავსად, ლექსს უწოდებს<sup>1</sup>.

ერთ ადგილას ეფრემი ხმარობს სიტყვას „უკრძალველი“ („ხოლო უკრძალველსა“)<sup>2</sup> და არშიაზე ამ სიტყვას უკეთებს კომენტარს: „შეისწავე, რამეთუ რომელსა ჩუენ „უკრძალველ“ უწოდთ, ბერძენნი „განურჩეველ“ სახელს-დებენ და ესე სახელი ცხადჰყოფს მისსა, ვითარმედ არას განარჩევს ცოდვასა გინა სათნოებასა“<sup>3</sup>. გამომდინარე ამ კომენტარიდან სიტყვა უკრძალველი ეფრემის დროსაც ყოფილა დამკვიდრებული ქართულ ენაში, მაგრამ ეფრემს უფრო მოსწონს ამ ადგილის შესატყვისი ბერძნული სიტყვის ზუსტი თარგმანი „განურჩეველი“, რადგანაც, მისი აზრით, ეს სიტყვა უფრო კარგად გადმოსცემს მასში მოაზრებულ ცნებას. მიუხედავად ამისა, ეფრემი ტექსტში მაინც ტოვებს ქართულში დამკვიდრებულ სიტყვას „უკრძალველი“, ხოლო თავის აზრს სქოლიოში აღნიშნავს.

ეფრემი საკუთარ თარგმანში ხმარობს სიტყვას: „ყოვლადსათნოებაჲ“<sup>4</sup>, ხოლო არშიაზე ურთავს განმარტებას: „შეისწავე, ვითარმედ „ყოვლადსათნოებაჲ“ ერთი სიტყუაჲ არს, რამეთუ ყოვლადსათნოება უწოდს სიმდაბლესა, ვითარცა მის შორის შემომკრებელსა ყოველთა სათნოებათასა, ესევეითარივე არს ყოვლადსაქურველი ღმრთისაჲ, ვითარმცა ერთ და იგივე ყოველთა საქურველთა...“<sup>5</sup> ამგვარად ეფრემი მიუთითებს, რომ „ყოვლადსათნოება“ ერთი სიტყვა არის, რადგანაც იგი ამ სიტყვას მოიაზრებს, როგორც ერთ ცნებას და გადმოსცემს ამ ცნების შინაარსის საკუთარ გაგებას.

მოყვანილ სქოლიოებს გარდა ეფრემ მცირის თარგმნილ ბასილი კესარიელის „სამოღვაწეთო წიგნის“ არშიებზე იკითხება კიდევ ორი კომენტარი. ორივე სქოლიო აშკარად ეფრემ მცირეს ეკუთვნის და ისინი შეეხებიან ქართულ ენაში დამკვიდრებულ ერთ სიტყვას.

<sup>1</sup> ქართული სიტყვით „მუქლი“ ეფრემი საერთოდ გადმოსცემს ბერძნულ სიტყვას *πειγος*—იხ.: ს. ყ ა უ ხ ი შ ე ი ლ ი, ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსთწყობის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1946, XXVII b, გვ. 69.

<sup>2</sup> A—689, 73 r.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე; A—132, 70 v.

<sup>4</sup> A—689, 151 r

<sup>5</sup> A—689, 151 r A—1ჰ2, 191 v. ამ მანაწერის ბოლო ნაწილი ნათლად არ იკითხება: „...ყოველთა საქურველთა [მის] შორის შემოკრებს [ ] და საბრთლოთაჲ“.

ქართული სალიტერატურო ენის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მრავალ სიტყვას უცვლია თავისი ლექსიკური მნიშვნელობა და ზოგჯერ ძველის კონტრასტული გაგება შეუძენია. ასეთი სიტყვების ჯგუფს განეკუთვნება „მედგარი“. ბერძნული გამოთქმა: „Μετρητής ბინάε αλ βιχρητής“, ოთხთავის უძველეს ქართულ თარგმანში ასეა გადმოცემული: „უკეთურო მონაო და მედგარო“ (მათე, 25,26). აქ „მედგარი“ დღევანდელ „ზარმაცს“ ნიშნავს. სწორედ ესაა სიტყვა მედგარის პირველადი მნიშვნელობა, რადგანაც ეტიმოლოგიურად იგი „დგომა“ ზმნასთან უნდა იყოს დაკავშირებული და უნდა ნიშნავდეს „მდგომარეს“ ე. ი. „გაუნძრევებს“, ანუ „მცონარეს“, „ზარმაცს“ (მე-დგ-არ-ი; დგ-ომ-ა). მაგრამ ყველგან ძველ ქართულ ტექსტებში ეს სიტყვა არ არის გაგებული, როგორც „ზარმაცი“. ეს გარკვევით შენიშნა აკად. ა. შანიძემ, როდესაც გიორგი მთაწმიდლის ენას სწავლობდა. იგი „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრების“ ტექსტზე დართულ ლექსიკონში წერს: „ძველად „მედგარ“ საზოგადოდ ზარმაცს ნიშნავდა („მიგუჟაღე კინკვლისა და კბაძავდ, მედგარო“: სახისმ., 15), მაგრამ აქ ეს სიტყვა მონაზონზეა ნათქვამი, რომელმაც ეფრაემეს მოკვლა. განიზრახა და ორი მისი მოწაფე „დაჩხუება“: ხოლო მედგარმან მან აღიარა მტერისმიერი აღძრვაჲ თჳსი 105, 3 ბ. („მედგარი“ — საძაგელი?)“<sup>1</sup>. მართლაც, ამ კონტექსტში „მედგარი“ აშკარად „ბოროტს“ ნიშნავს. უფრო ზუსტი იქნებოდა. თუ მას განემარტავდით, როგორც „მზაკვარს“<sup>2</sup>. ასე ესმოდა ეს სიტყვა სულხან-საბა ორბელიანს: „მედგარი (25,26 მათე) მცონარი და მოუძღურებული. მედგარი ითქმის მარადის ძჳრისა დამმარხუშლი გულთა შინა აღუჴოცელად. მედგარი მსოფლიოთა ენითა მზაკვარად ითქმის, რომელმან ჴერკითა დააკუშთის მორკინალი თჳსი მიწასა ზედა ძლიერად“<sup>3</sup>. ზაკვა კი ძველდაც ისე ესმოდათ, როგორც დღეს. სულხან-საბა წერს: „ზაკუა“ (14,5 ფსალ.) არს პირით სიყვარულსა იჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს. მზაკუარი ეშმაკი არს“<sup>4</sup>. ხალხურ ენაში „მედგარი“ სწორედ „მზაკვარის“ მნიშვნელობით იხმარებოდა

<sup>1</sup> ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა, 1946, გვ. 113.

<sup>2</sup> ძველი ქართული ტექსტების გამოქვეყნებისას „მედგარს“ კონტექსტის მიხედვით „მზაკვარად“, და შესაბამისად, „მედგარობას“ — „მზაკვრობად“, „მოკუტებად“ ან „ვერაგობად“ განმარტავდნენ: ს. ყაუხჩიშვილი (იხ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 443; ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 574), ი. ლოლაშვილი (იხ. ჩვენი საუფუე, 2, გვ. 542).

<sup>3</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 370.

<sup>4</sup> იქვე, 217.

თუმცე XI საუკუნეშიც. ამაზე ნათლად მიუთითებს ეფრემ მცირის ერთი უაღრესად საყურადღებო მინაწერი, რომელიც შემოუნახავს სწორედ ბასილ დიდის „სამოღვაწეო წიგნის“ ეცრემისეულ თარგმანს. ბასილ დიდი ერთ ადგილას იმოწმებს სახარების სიტყვებს: „Ποιητέθεις δὲ ἄλλοι“<sup>1</sup>. ამ ადგილს ეფრემი ასე თარგმნის: „მონაო ბოროტო და მედგარო“, ხოლო არშიაზე ურთავს შემდეგ სქოლიოს: „შეისწავე, რამეთუ სახელსა ამას მედგარისასა ორი სახე აქუს: წიგნურად მცონარსა უკმობს მედგარად, ხოლო სოფლურად მზაკუევარსა კრქვან მედგარი. თვთ ქართულსა ენასა ზედა“ (ხაზი ჩემია—გ. ხ.)<sup>2</sup>. სხვა ადგილასაც, სადაც ბასილ დიდი ისევ იმოწმებს იმავე გამოთქმას<sup>3</sup>, ეფრემი სქოლიოში კვლავ განმარტავს: „შეისწავე, რამეთუ ამას ადგილსა სახარებისასა, ვითარმედ: მონაო ბოროტო და მედგარო, მცონარებისა წილ თქემულ არს მედგრობაჲ; დაღათუ რომელთამე ადგილთა მედგარი მზაკუევარად გულისკმა იყოფების; უფროჲს-ღალიტონსა საუბარსა შინა“ (ხაზი ჩემია—გ. ხ.)<sup>4</sup>. როგორც ჩანს, ეფრემს ქართულ მწერლობაში ეგულება ადგილები („რომელთამე ადგილთა“), სადაც „მედგარი“ „მზაკუარი“ ნიშნავს. შესაძლებელია, აქ ეფრემი გიორგი მთაწმიდლის ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტსაც გულისხმობდეს; მაგრამ ჩვენი სალიტერატურო ენის ისტორიისათვის უტყუარი და უაღრესად საინტერესო ეფრემის ამ მინაწერებში ის არის, რომ XI საუკუნეში ქართულ ხალხურ ენაში „მედგარი“ ესმოდათ, როგორც „მზაკუარი“. ამ სიტყვის გავებაში შეუსაბამობა ცოცხალ სალაპარაკო ენასა და სახარების ძველ ქართულს შორის იმდენად საგრძნობი უნდა ყოფილიყო, რომ, გარდა ეფრემისა, სხვა ქართველ მწერლებსაც ოთხთავის აღნიშნული ადგილის მოყვანისას უხდებოდათ მითითება ამ სიტყვის მნიშვნელობაზე. იმავე „სამოღვაწეო წიგნის“ მეორე ქართულ თარგმანში (P რედაქცია) ზემოთ მოყვანილი ადგილების თარგმნისას უცნობი ქართველი მთარგმნელი იძულებულია ქართული სახარების სიტყვა მედგარი დატოვოს, მაგრამ მისი მნიშვნელობა განმარტოს. ამიტომაც, „სამოღვაწეო წიგნის“ ამ რედაქციაში ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტებს ასეთი სახე მიუღიათ: „ბოროტო მონაო და მედგარო, ესე

<sup>1</sup> Migne, PG, t. 31, 1012.

<sup>2</sup> A—689, 40 r; A—132, 55v: ეს მინაწერი გამოკვეთებული აქვს აგრეთვე თ. გორდანიას A—687 ხელნაწერის აღწერისას იხ.: „Описание...“, II, გვ, 165.

<sup>3</sup> Migne, PG., t. 31, 1132.

<sup>4</sup> A—689, 71 r.

იგი არს მცონარეო<sup>1</sup>; „ბოროტო მონეო და მედგარო, რომელ-არს მცონარო“<sup>2</sup>.

ამრიგად, ეფრემის ამ უაღრესად საინტერესო სქოლიოებიდან და ჩვენს მიერ ჩატარებული მოკლე ექსკურსიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველ ქართულ ხალხურ მეტყველებაში XI საუკუნეში სიტყვა მედგარი ნიშნავდა „მზაკვარს“<sup>3</sup>.

ამგვარად, ჩვენ მოვიყვანეთ და შესაბამისად განვმარტეთ ყველა სქოლიო, რომლებიც დართულია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ ბასილი კესარიელის „სამოღვაწეო წიგნის“ არშიებზე (აგრეთვე ორიოდე სქოლიო დართული გრიგოლ ნაზიანზელის „ბასილ დიდის ცხოვრებაზე“). ეს სქოლიოები, რომლებიც დღემდე ქართველოლოგიაში შეუსწავლელი იყო, უაღრესად საინტერესო ცნობებს იძლევა როგორც ეფრემ მცირის მსოფლმხედველობის და მეცნიერულ-მთარგმნელობითი მუშაობის, ასევე ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესახებ. ამ სქოლიოების მნიშვნელობა ქართული ჰწერლობის ისტორიისათვის ძალზე დიდია.

---

<sup>1</sup> A—63, 72 v.

<sup>2</sup> იქვე, 111 v.

<sup>3</sup> დაწვრილებით ეფრემის ამ ცნობის მნიშვნელობის შესახებ იხ. ე. ხინთიბიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, კრებული 2, 1964, გვ. 291—301.

ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ სამი ქართული თარგმანიდან, სინას მთაზე დაცული ვერსია ახალდმოჩენილია. ამ რედაქციის მონაცემები ვათვალისწინებულ არ ყოფილა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამდენად, დღეისათვის აუცილებელია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი პრობლემური საკითხის ხელმეორედ დასმა.

ეფრემ მცირემ თავის თარგმნილ „ასკეტიკონს“ შემდეგი ანდერძი დაურთო: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ უმეტეს ათორმეტისა წლისა ეამთა მოველოდენით პატიოსნისა მღდელისა პროკოპის მიერ თარგმნილსა ასკეტიკასა ამას წმიდისა ბასილისა. და გინა თუ ეამთა სიპავეითა, ანუ კაცთაცა სიგრილითა არავენ მოგტანა, არცა ზემოჲთ, არცა სამეფოჲთ (გინა მთაწმიდით +A—132). ამისთჳს ვითარცა სასოწარკვეთილი მისგან ბრძანებითა წმიდისა მამისა ანტონი ტბელისაჲთა, პირველ ესოდენტა წელთა დაწყებულსა ვიძულე ბერძულისაგან თარგმნად; რამეთუ მაშინ მეწყო ოდენ, და რაჲ მესმა, დავაცადე დღითი-ღღე წყურთელად მოლოდებითა მისითა. ხოლო აწ შიშითა ეამთა და გზათაგან ვერ მოწვევისაჲთა ვთარგმნე ამით გულის სიტყუთა, რაჲთა: უკუეთუ ოდესმე მოიწიოს მისი თარგმნილი, მისი იპყართ (იპყრათ A—689), ვითარცა უხუცესისაჲ და ესე ვითარცა უმრწემისაჲ. და რომელი რაჲმე მუნ ჰმატდეს გინა აჲა ორთაგანვე უმჯობესი შეიძინეთ და სხუებრობაჲ ნუვე გიკვრს, რამეთუ თუთ ბერძულნიცა წიგნი, ვითარიცა ვინ დედაჲ პოვოს, ეგრე (ეგრეთ A—132) გარდაიწერებინან, და თუთ ორთა წიგნის საცავთა სუმეონწმიდისათა ასკეტიკონნი სხუთა და სხუთა ჰმატდეს ურთიერთას: ამისთჳს თუალისაჲცა მოვიღეთ და თუთ მათვე ბერძენთა უბრძენესთა და უსულიერესთა კითხვითა ძალისაებრ სისრულე და სიმართლე ვინარკე“<sup>1</sup>.

ამ ანდერძიდან აკად. კ. კეკელიძემ სავსებით სწორი დასკვნა გამოიტანა: ეფრემ მცირის მიერ ბასილის „ასკეტიკონის“ ქართულ-

<sup>1</sup> A—689, 185 F; A—132, 227 F. ეს ანდერძი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორჯანიასაც. იხ. „ქრონიკები“, II, გვ. 39.

ლად თარგმნამდე ვიდაც პროკოპი მღვდელს უთარგმნია ქართულად იგივე კრებული<sup>1</sup>. A ფონდის ქართულ ხელნაწერებში (A—63) მართლაც იყო ბასილის „ასკეტიკონი“ (P რედაქცია), რომლის შესწავლით კ. კეკელიძე დარწმუნდა, რომ იგი არ იყო ეფრემის თარგმანი. ამავე დროს არ იყო არავითარი სხვა ნიშანი ბასილის „ასკეტიკონის“ ქართულად კიდევ ერთი—მესამე რედაქციის არსებობისა. ამიტომაც წარმოიშვა აზრი: A—63 ხელნაწერში არსებული „ასკეტიკონის“ მთარგმნელი პროკოპი მღვდელია. ეს დებულება სავსებით ლოგიკური იყო და იგი ყოველგვარი ეჭვის გარეშე შევიდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ამ მოსაზრების ძირითადი საყრდენია ორი დებულება: 1. გარდა ეფრემ მცირისა ქართულად ბასილის „ასკეტიკონი“ უთარგმნია პროკოპი მღვდელს და 2. ქართულ ხელნაწერებში გარდა ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონისა“ არსებობს კიდევ მხოლოდ ერთი. (A—63 ხელნაწერში არსებული) ბასილის „ასკეტიკონი“.

მაგრამ ამ შეხედულებაში შეინიშნება შინაგანი წინააღმდეგობანიც:

1. ეფრემის მითითების თანახმად, პროკოპის „ასკეტიკონი“ უფრო ადრეა თარგმნილი. ეფრემს კი „ასკეტიკონი“ უთარგმნია დაახლოებით XI საუკუნის II ნახევარში, რადგანაც XI საუკუნის დასასრულისათვის იგი გარდაცვლილი უნდა იყოს; ხოლო კ. კეკელიძე დაუკვირდა რა A—63 ხელნაწერის (P რედაქციის) „ასკეტიკონის“ ენასა და სტილს, დარწმუნდა, რომ მისი გადატანა XI საუკუნის II ნახევარზე ადრე შეუძლებელია და მისი წარმოშობა საეკვლა თვით XI საუკუნის II ნახევარშიც.

ამიტომ კ. კეკელიძე წერს: „შესაძლებელია ვიფიქროთ, ის (პროკოპი—გ. ხ.) იყო მოღვაწე კონსტანტინოპოლის რომელიმე მონასტრისა... ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ, ის (A—63 ხელნაწერის „ასკეტიკონი“—გ. ხ.) წარმოადგენს ბერძნული დედნის სიტყვასიტყვით თარგმანს, საკუთარ სახელთა ბერძნული ფორმების დაცვით და ბერძნული ფონეტიკის თვალსაჩინო ზეგავლენით, რასაც ამ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონია ადგილი არამცთუ საქართველოში, არამედ ათონზედაც და რასაც საფუძველი სწორედ კონსტანტინოპოლის ქართველმა მოღვაწეებმა ჩაუყარეს XI საუკუნის მეორე ნახევარში“<sup>2</sup>. გამომდინარე აქედან კ. კეკელიძემ ეფრემის ცნობა იმის შესახებ, რომ მას პროკოპის თარგმანი არ მოუ-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, გვ. 247.

<sup>2</sup> იქვე.



ტანეს „არცა ზემოთ, არცა სამეფოთ“, ასე წაიკითხა: „ვერ მივიღე ის ვერც საქართველოდან, ვერც კონსტანტინოპოლიდან“<sup>1</sup> და მიუთითა, რომ პროკოპის მიჩნევა კონსტანტინოპოლის რომელიმე მონასტრის მოღვაწედ იმიტომაა სავარაუდებელი, რომ „მერე ამ წიგნს კონსტანტინოპოლიდანაც მოელოდა“<sup>2</sup>. ამრიგად, კ. კეკელიძემ დაასკვნა: ბასილ დიდის „ასკეტიკონი“ „მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში უთარგმნია ეფრემ მცირეს“. ხოლო „მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ყოფილა ვიღაც პროკოპი მღვდელი“, რომელსაც აგრეთვე უთარგმნია ეს თხზულება<sup>3</sup>. ივარაუდება, რომ პროკოპის შრომა რამდენიმე წლით უსწრებს წინ ეფრემის მუშაობას.

2. როგორც მივეუთითეთ, ზაქარია ჭიჭინაძე წერდა, რომ ბასილის „ასკეტიკონი“ ბერძნულიდან ქართულად უთარგმნია აგრეთვე მეჩვიდმეტე საუკუნის გასულის მოღვაწეს იოსებ კანდელაკს, რომელიც აღიზარდა გელათში და შემდეგ ათონზე ცხოვრობდა. ამ ცნობას თავიდანვე წინააღმდეგობა შეჰქონდა დებულებაში, რომელიც ეყრდნობოდა იმ ფაქტორებს, რომ ქართულ მწერლობაში ჩანს მხოლოდ ერთი უცნობი მთარგმნელი ბასილის „ასკეტიკონისა“ — პროკოპი მღვდელი და ერთი უცნობი თარგმანი იმავე ნაწარმოებისა — A—63 ხელნაწერში მოთავსებული. მაგრამ, რადგანაც არ ჩანს არავითარი კვალი იოსებ კანდელაკის მოღვაწეობისა და მის მიერ თარგმნილი „ასკეტიკონისა“, ზ. ჭიჭინაძის ეს ცნობა მის სხვა ბევრ საექვო მოსაზრებასთან ერთად, როგორც აღენიშნეთ, გაუგებრობადაა მიჩნეული<sup>4</sup>.

სინას მთის ქართულ ხელნაწერებში ბასილის „ასკეტიკონის“ ახალი ქართული რედაქციის აღმოჩენით მოიხსნა ამ მოსაზრების ძირითადი საფუძველი. ქართულ ხელნაწერებში გარდა ეფრემ მცირის თარგმანისა არსებობს არა ერთი, არამედ ორი „ასკეტიკონი“ ბასილისა, რომლებიც სხვადასხვა პირის მიერაა თარგმნილი. სინას მთის (G რედაქცია) და A—63 ხელნაწერის (P რედაქცია) „ასკეტიკონების“ დაწვრილებით შესწავლა არავითარ სხვა ცნობას არ იძლევა პროკოპის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ.

ეფრემ მცირე ძველი ქართული და ბიზანტიური მწერლობის შესანიშნავი მცოდნეა. მის მიერ შემონახულ ცნობებზე დაყრდნო-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 247. იხ. აგრეთვე: ივ. ჯივიახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 159.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 247.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 259.

ბით შესაძლებელი გახდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში და ბიზანტიტიკაში ბევრი პრინციპული საკითხის გადაჭრა. იგი მოღვაწეობს შავი მთის ძლიერ ქართველოლოგიურ სკოლაში. მის მოღვაწეობას თვალყურს ადევნებენ და სისტემატურ კონტროლს უწევენ ცნობილი მოღვაწეები: საბა თუხარელი. ანტონ ტბელი, იოანე ფარნაკელი და სხვები. იგი საპირობის შემთხვევაში ახსნა-განმარტებებს იღებს „თუ მათვე ბერძენთა უბრძენესთა და უსულღიერესთაგან“. შავი მთის ქართველ მოღვაწეებს აქვთ კავშირი ათონის, კონსტანტინოპოლის, პალესტინისა და სხვა ქართულ სავანეებთან და კოორდინაციას ახდენენ ლიტერატურულ მუშაობაში; თვალყურს ადევნებენ, რომ თავიდან არ შეასრულონ ისეთი საქუშაო, რაც ქართველებს უკვე ჩაუტარებიათ. ბასილის „ასკეტიკონის“ თარგმნისას ეფრემს დაწვრილებით შეუსწავლია ამ თხზულებასთან დაკავშირებული ტექსტოლოგიურ-ისტორიული საკითხები. იგი იყენებს სამი ბერძნული წიგნთსაცავის „ასკეტიკონებს“; კავშირს ამყარებს ბერძენ მოღვაწეებთან; მუწაობს ანტონ ტბელის ბრძანებით; ელოდება ხელნაწერებს ქართული მწერლობის სხვა ცენტრებიდან. ყოველივე ამის შემდეგ ეფრემის ცნობა პროკოპის მიერ ბასილის „ასკეტიკონის“ თარგმნის შესახებ ყველა დეტალში სანდო და დამაჯერებელია. თუ რამდენად ღრმა იყო ეფრემისა და მისი ხელმძღვანელების ცოდნა ამ საკითხში, იქიდანაც ჩანს, რომ მათ არ იციან ინახება თუ არა სადმე პროკოპის თარგმნილი „ასკეტიკონი“, მაგრამ დანამდვილებით იციან, რომ პროკოპიმ თარგმნა იგი და მას თორმეტ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ელოდებიან. ეფრემ მცირის და შავი მთის ქართველ მოღვაწეთა სკოლის მიერ XI საუკუნის მეორე ნახევარში ჩატარებულ კვლევა-ძიებიდან გამომდინარეობს არა მარტო ის დასკვნა, რომ ამ დროისათვის არსებობდა პროკოპის მიერ ქართულად თარგმნილი „ასკეტიკონი“, არამედ ისიც, რომ ამ დროისათვის ბასილი კესარიელის „ასკეტიკონი“ ქართულ ენაზე მხოლოდ პროკოპის თარგმანით არსებობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში არ შეიძლება ასეთი ზუსტი, ხანგრძლივი და მონდომებული კვლევა-ძიების შემდეგ შავი მთის ქართულ სკოლას მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში არაფერი სცოდნოდა სხვა თარგმანის არსებობის შესახებ.

ამგვარად, ვეყრდნობით რა ეფრემ მცირისა და შავი მთის ქართველ მოღვაწეთა სკოლის მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე მიღებულ დასკვნას, რომ მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის (ეფრემის თარგმანამდე) ბასილ დიდის „ასკეტიკონის“ მხოლოდ ერთი ქართული თარგმანი არსებობდა.

და, ჩვენ შეგვიძლია გადაკრით განვაცხადოთ, რომ პროკოპი მღვდელი არის მთარგმნელი სინას ხელნაწერში მოთავსებული ბასილის „ასკეტიკონისა“ (G რედაქცია); რადგანაც ეს თარგმანი XI საუკუნის მეორე ნახევარზე აშკარად აღრინდელია (თვითონ ხელნაწერი, რომელშიაც ეს თარგმანია მოთავსებული. როგორც მივუთითეთ, X საუკუნისაა), ხოლო XI საუკუნის მეორე ნახევარამდე, შავი მთის ქართველების კვლევა-ძიების თანახმად, ქართულად მხოლოდ პროკოპის თარგმნილი ბასილის „ასკეტიკონი“ არსებობდა. ჩვენს ხელთ არსებული მასალების გულდასმით შესწავლა ამ ვარაუდს ადასტურებს.

A—63 ხელნაწერში არსებული ბასილ დიდის „ასკეტიკონი“ (P რედაქცია) არ შეიძლება იყოს პროკოპის თარგმნილი შემდეგი მიზეზების გამო:

1. რომ პროკოპი იყოს მთარგმნელი P ვერსიისა, მაშინ ეფრემის ანდერძი უნდა იძლეოდეს ცნობას სინას ხელნაწერში მოთავსებული „ასკეტიკონისა“ და მისი მთარგმნელის შესახებ. არ შეიძლება შავი მთის ქართველებს არაფერი სცოდნოდათ თხზულების შესახებ, რომელიც თარგმნილი უნდა ყოფილიყო არც თუ ისე დაშორებით შავი მთიდან—„პალესტინაში, ანდა თვით სინაზე“<sup>1</sup>. იგი ხომ მეათე საუკუნეში გადაწერილ ხელნაწერში ინახებოდა (საფიქრებელია, მაშინაც სინაზე). ეს ხელნაწერი არ შეიძლება უცნობი ყოფილიყო ქართველი ასკეტებისათვის, რადგანაც მასში, გარდა ბასილ დიდის „ასკეტიკონისა“, გაერთიანებულია მრავალი ასკეტური თხზულება და საკითხავი. ამ გაუგებრობას მით უმეტეს არ ექნებოდა ადგილი, რადგანაც შავი მთის ქართველები დაჟინებით ეძებდნენ ბასილის „ასკეტიკონის“ ქართულ თარგმანს.

2. ეფრემის ანდერძიდან გამომდინარე, პროკოპის მოღვაწეობა, მიუხედავად იმისა, რომელი „ასკეტიკონის“ მთარგმნელია იგი G რედაქციისა, თუ P-სი, არაფრით არ შეიძლება გადმოვიტანოთ XI საუკუნის II ნახევარში; იგი უთუოდ გაცილებით ადრეა მოსალოდნელი:

ა) ეფრემის მიერ ბასილის „ასკეტიკონის“ თარგმნის დამთავრება და ანდერძის დაწერა უნდა ეკუთვნოდეს ეფრემის ლიტერატურული მოღვაწეობის შუა წლებს (დაახლოებით არაუგვიანეს XI საუკუნის 80-იანი წლებისა), ყოველ შემთხვევაში არა 90-იან წლებს (1091 წლის ახლო ხანებში ეფრემი კასტანის მონასტრის წინამძღვარი იყო); რადგანაც ამ ნაწარმოებს იგი მისი მასწავლებლის ანტონ

<sup>1</sup> J. Griboumont, Histoire..., გვ. 78.

ტბელის ბრძანებით თარგმნის და ამის შესახებ თვითონ მიუთითებს ანდერძში (ე. ი. ივულისხმება, რომ ეფრემის მიერ ბასილის „ასკეტიკონის“ თარგმნისას ეფრემის მასწავლებელი ანტონ ტბელი ცოცხალია და ეფრემი გარკვეულად ემორჩილება მის ბრძანებას თუ რჩევას და თავისი მოქმედების გასამართლებლად ანტონის ავტორიტეტსაც იყენებს). ანდერძიდან ჩანს, რომ ეფრემს კარგა ხნის წინათ („ასკეტიკონის“ თარგმნის დასაწყისში) გაუგია პროკოპის თარგმანის შესახებ და „უმეტეს ათორმეტისა წლისა“ ელოდებოდა მას. ე. ი. ეფრემს სცოდნია პროკოპის თარგმანის არსებობის შესახებ და ახლოებით არაუგვიანეს XI საუკუნის 60-იანი წლებისა. ამ დროისათვის კი (დაახლოებით XI საუკუნის 60-იანი წლებისათვის) პროკოპის თარგმანი ახალდასრულებული არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ეს მიღებული იყო ამ პერიოდის ქართველთა სამონასტრო ცენტრებში, შავ მთაზე ამ თარგმანის ნუსხას ადრევე გამოგზავნიდნენ, ანდა მის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები ექნებოდათ. კერძოდ, აუცილებლად ეცოდინებოდათ, თუ სად მოხდა ამ თხზულების თარგმნა და მხოლოდ იქიდან დაელოდებოდნენ; ამ თარგმანის გამოგზავნისათვის სხვა თუ არა, თვითონ პროკოპი იზრუნებდა, მით უმეტეს, როცა გაიგებდა, რომ შავ მთაზე დაინტერესებული იყვნენ მისი თარგმანით; არც ეფრემი დაკარგავდა ამ თარგმანის მიღების იმედს და ახლახან შესრულებულ ამ მძიმე სამუშაოს თავიდან არ იტვირთებდა (მით უმეტეს თუ პროკოპი ცოცხალი იყო).

ბ) შავ მთაზე კარგად იცოდნენ, რომ პროკოპის მიერ ბასილის „ასკეტიკონის“ თარგმნას ადგილი ჰქონდა სულ მცირე რამდენიმე ათეული წლის წინათ; ამიტომაც, ვარაუდობდნენ, რომ მისი თარგმნილი თხზულების გავრცელება უკვე მოსალოდნელი იყო ქართული კულტურის რამდენიმე ცენტრში და მის თარგმანს მოელოდნენ „ზემოდა“ და „სამეფოდა“ (A—689 ხელნაწერის მიხედვით, ხოლო A—132 ხელნაწერის მიხედვით: „ზემოდა“, „სამეფოდა. გინა მთაწმიდით“).

გ) ეფრემის ანდერძიდან გამომდინარე პროკოპის მოღვაწეობა მოსალოდნელია საკმაოდ დიდი ხნის წინათ. რადგანაც, ეფრემის აზრით, პროკოპის თარგმნილი „ასკეტიკონი“ შესაძლებელია ჟამთა სიავის გამო უკვე დაკარგული იყოს. აკი თვითონ ეფრემი მიუთითებს: „გინა თუ ჟამთა სიჰავითა, ანუ კაცთაცა სიგრილითა არაჲნ მოგუტანა“. ამ გამოთქმით ეფრემი შესაძლებელია იმაზე მიუთითებდეს, რომ ეს წიგნი იქნებ „ჟამთა სიავის“ გამო უკვე დაკარგულია და

ამიტომაც ვერაინ მოგვიტანა: მაგრამ შესაძლებელია ეფრემის ნათქვამი ასე გავიგოთ, რომ „ჟამთა სიავის“ გამო—ცული დროის გამო (ომიანობის და სხვ.)—ვერაინ მოგვიტანა (გამოთქმა „ჟამთა სიავე“ ეფრემის ერთ სხვა ანდერძში კონტექსტის მიხედვით ამგვარად ესმოდა თ. ჟორდანის<sup>1</sup>). მაგრამ ქვევით ეფრემი უფრო ნათლად მიუთითებს, რომ დროთა გამო შესაძლებელია ეს კრებულის დაკარგული იყოს. „ხოლო აწ შიშითა ჟამთა და გზათაგან ვერ მოწევნისა მათა“ ხელახლა ვთარგმნეო.

3. ბასილის „ასკეტიკონის“ P რედაქცია არაფრით არ შეიძლება იყოს XI საუკუნის II ნახევარზე და, კერძოდ, ეფრემ მცირის კრებულზე ადრე თარგმნილი:

ა) ბასილ დიდის „ასკეტიკონის“ იმ ტიპის კრებულები, რომლებსაც P რედაქცია განეკუთვნება. ბიზანტიურ მწერლობაში მეორეულია. აქ წარმოდგენილია ე. წ. სეკვანსის ტიპის თხზულებები, რომლებიც ბასილის „ასკეტიკონის“ ბერძნულ ხელნაწერებში მხოლოდ XI საუკუნიდან გვხვდება. ასეთი კრებულის გაჩენა ქართულ მწერლობაში ეფრემის თარგმნილ ბასილის „ასკეტიკონზე“ ადრე არაა მოსალოდნელი.

ბ) „ასკეტიკონის“ P რედაქციაში ვულგატას რეცენზიის ჰიპოტიპოსთან შეერთებულია M რეცენზიის „კონსტიტუციები“. ასეთი შეერთება ბერძნულ ხელნაწერებში, როგორც აღვნიშნეთ, არ გვხვდება. თვით M რეცენზიის ჰიპოტიპოსთან შეერთებული M „კონსტიტუციები“ ბერძნულ ხელნაწერებში მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნიდან გვხვდება (და საერთოდ ეს რეცენზია ნაკლებად გავრცელებულია). ამ რეცენზიიდან „კონსტიტუციების“ გადატანა და შეერთება V რეცენზიის ჰიპოტიპოსთან შემდეგდროინდელი მოვლენა უნდა იყოს.

გ) როგორც ბასილის „სამოდვაწეო წიგნის“ ქართული ვერსიების ენის შესწავლისას მივუთითეთ, „ასკეტიკონში“ მოყვანილი ციტატები სახარებიდან და „დავითნიდან“ მოწმობს, რომ P რედაქცია უფრო დაშორებული უნდა იყოს გიორგი მთაწმიდლის დროს, ვიდრე E (ეფრემის თარგმნილი „ასკეტიკონი“).

დ) კ. კეკელიძე გარკვევით ხედავს, რომ თავისი სტილითა და ენით ეს თარგმანი, რომელიც შემონახულია მხოლოდ 1710 წლის ხელნაწერში, არაფრით არ შეიძლება იყოს უადრესი XI საუკუნის II ნახევრისა. უფრო დასაშვებია, რომ იგი შემდგომი პერიოდისა იყოს.

<sup>1</sup> თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 1892. გვ. 224.

ოგი თარგმნილია ისეთი ენითა და სტილით, რომელსაც „ამ დროს ჯერ კიდევ არ ჰქონია აღვილი არამცთუ საქართველოში, არამედ ათონზედაც და რასაც საფუძველი... კონსტანტინოპოლის ქართველმა მოღვაწეებმა ჩაუყარეს XI საუკუნის II ნახევარში“ (კ. კეკელიძე). ჩვენი აზრით, შეუძლებელი უნდა იყოს, რომ თარგმნა ბასილის „ასკეტიკონია“ იმ სტილით, რომელსაც კონსტანტინოპოლის ქართველებმა ჩაუყარეს საფუძველი XI საუკუნის II ნახევარში, ვერემის მიერ „ასკეტიკონის“ თარგმნის დაწყებამდე დამთავრებულიყო.

სინას 35-ე ხელნაწერში მოთავსებული ბასილი კესარიელის „ასკეტიკონი“ (G რედაქცია) ნამდვილად პროკოპის თარგმნილი ვერსიაა. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოებანი:

1. შავი მთის ქართველების ცნობით, უწინარეს XI საუკუნის II ნახევრისა, ქართულად არსებობდა მხოლოდ ერთი „ასკეტიკონი“ ბასილისა, რომელიც თარგმნილი იყო პროკოპი მღვდლის მიერ. მართლაც, სინას მთის ხელნაწერებში არის აშკარად XI საუკუნის II ნახევრის უწინარეს თარგმნილი ბასილის ასკეტური კრებული და არ არსებობს მისი სხვა რედაქცია, რომელიც მეუფრთმეტე საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე იყოს თარგმნილი.

2. ეფრემმა კარგად იცის, რომ კრებულს, რომელსაც თვითონ თარგმნის, „ასკეტიკონი“ ეწოდება. იგი გარკვევით წერს ამის შესახებ როგორც ნაწარმოების შიგნით ჩართულ სქოლიოებში, ასევე ანდერძში („ასკეტიკონნი სხუთა და სხუთა ჰმატდეს ურთიერთას“), მაგრამ იგი მოელის პროკოპი მღვდლის არა „ასკეტიკონს“, არამედ „ასკეტიკას“: „მოველოდენით პატრონისა მღვდლისა პროკოპის მიერ თარგმნილსა ასკეტიკასა ამას წმიდისა ბასილისსა“. სწორედ G რედაქციაში წარმოდგენილ ბასილის ასკეტურ თხზულებას უწოდებდნენ XI საუკუნეში „ასკეტიკას“ და არა „ასკეტიკონს“. მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში „ასკეტიკონი“ (ამ ტერმინის ვიწრო გაგებით) ეწოდება იმ „კითხვა-მიგებებსაც“, რომელიც წარმოდგენილია სინას ქართულ ხელნაწერში; მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს „კითხვა-მიგებანია“ კრებულ „ასკეტიკონის“ ძირითადი და უმთავრესი ნაწარმოები. ბერძნული ხელნაწერების ტრადიციის მიხედვით კი „ასკეტიკონი“ ეწოდება იმ კრებულებს, რომლებიც აერთიანებენ ბასილის ასკეტურ ნაწარმოებებს; ხოლო ამ მთავარ ნაწარმოებს, როგორც აღენიშნეთ, ეწოდება: „კითხვა-მიგება“. „კანონი“, „წესები“, „კითხვები“ და სხვ. ბუნებრივია, რომ ეფრემი მას უწოდებს „ასკეტიკას“, ე. ი. ბასილის ძირითად ასკეტურ ნაწარმოებს, რომელშიაც ჩამოყალიბებულია ბასილის ასკეტიკა. ბასილის ასკეტიკას ბიზანტიელი მწერლებიც სწორედ ამ „კითხ-

ვა-მიგებებს<sup>1</sup> უწოდებენ. ასე მაგალითად. IX ს. ბიზანტიელი მწე-  
რალი ფოტი პატრიარქი ლაპარაკობს რა ბასილის ასკეტურ-ნაწარ-  
მოებებზე (Bibliotheca, cod. CXCI)<sup>2</sup> ტერმინ ასკეტის („Ἰσὴν  
μυγάλου Βασιλείου τὰ Ἀσκητικά“) ქვეშ გულისხმობს სწორედ ბასი-  
ლის კითხვა-მიგებებს: „კითხვა-მიგება ვრცლად“ და „კითხვა-მიგე-  
ბა მოკლედ“. ამგვარივე მნიშვნელობით იხმარება ტერმინი „ასკიტი-  
კა“ თვითონ კრებულ „ასკეტიკონშიც“. როგორც უკვე მივუთითეთ,  
„ასკეტიკონის“ ერთ-ერთ პროლოგში ნათქვამია, რომ ამის შემდეგ  
კრებულში წარმოდგენილი იქნება „ითიკა და მერმე ასკიტიკა“<sup>3</sup>.  
ეს გამოთქმა კი უეჭველად იმას გულისხმობს, რომ კრებულში ჯერ  
იქნება „მორალური წესები“ და შემდეგ „კითხვა-მიგებანი“. ე. ი.  
ბასილის ასკეტისკა ეწოდება ბასილის „კითხვა-მიგებებს“. ამრი-  
გად, ეფრემი მოელოდა არა პროკოპის თარგმნილ ბასილის „ასკე-  
ტიკონს“. არამედ პროკოპის თარგმნილ ბასილის ასკეტისკას.  
ე. ი. ეფრემი მოელის არა ბასილის თხზულებების ისეთ კრებულს,  
როგორსაც თვითონ თარგმნის და რომლის სხვა რედაქცია წარმოდ-  
გენილია A—63 ხელნაწერში (მაშინ ეფრემი „ასკეტიკონს“ დაე-  
ლოდებოდა), არამედ ბასილის ძირითად ასკეტურ თხზულებას—  
„კითხვა-მიგებას“, რომელშიაც ძირითადად, მთლიანად ჩამოყალი-  
ბებულია ბასილის ასკეტური დოქტრინა. სწორედ ეს „ასკეტიკა“  
არის მოთავსებული G ვერსიაში, და ეს რედაქცია არ წარმოადგენს  
კრებულ „ასკეტიკონს“ იმ აზრით, როგორც ეს ტერმინი ესმოდათ.  
XI საუკუნეში. ბასილ დიდის ასკეტური თხზულებების დღეისათვის  
ცნობილი ყველა ქართული რედაქციიდან იმ ტექსტს, რომელსაც  
ეფრემი პროკოპის თარგმანს უწოდებს, შეესაბამება მხოლოდ სინას.  
35-ე ქართულ ხელნაწერში წარმოდგენილი ბასილ დიდის ასკეტუ-  
რი თხზულებების თარგმანი.

სინას მთის „ასკეტიკონი“ აღრინდელი კრებულია, მასში არ  
არის შესული ე. წ. სეკვანსის ტიპის თხზულებები და, როგორც  
აღვნიშნეთ, ბიზანტიურ მწერლობაში არც უწოდებდნენ ასეთ კრებულს  
„ასკეტიკონს“. მასში არ არის ეფრემის „ასკეტიკონის“ დასაწყისში  
და დასასრულში მოთავსებული რამდენიმე თხზულება. შავი მთის  
ქართველი მოღვაწეები ეფრემს მიანდობდნენ ბასილის „ასკეტიკო-  
ნის“ თარგმანს, რადგანაც მათ დანამდვილებით შეიძლება სცოდ-  
ნოდათ, რომ ასეთი კრებული ქართულ მწერლობაში არ იყო.

<sup>1</sup> Migne. PG, t. 103, 633—637.

<sup>2</sup> A—63. 8 v.

(უცნობი იქნებოდა მათთვის ამ კრებულის სათაურიც: დასაწყისიც და დასასრულიც). მაგრამ დაიწყებდა თუ არა ეფრემი თარგმნას და მივიდოდა თუ არა კრებულის ძირითად ნაწარმოებზე. რომელიც კითხვა-მიგების ფორმითაა დაწერილი, აო შეიძლება შავი მთის ქართველ მოღვაწეებს არ მოგონებოდათ, რომ ბასილის „კითხვა-მიგებანი“ უკვე თარგმნილი იყო ქართულ ენაზე. ამის გამო ეფრემს უნდა შეეწყვიტა თარგმნა და დალოდებოდა პროკოპის თარგმანს. ამიტომაც ეფრემი მოელის სწორედ ამ „კითხვა-მიგებებს“ და არ იცის პროკოპის თარგმანში მათ კიდევ ახლავს თუ არა რაიმე. მიუხედავად იმისა, რომ ეფრემი პროკოპის თარგმანში არ მოელოდა სრული სახით კრებულ „ასკეტიკონს“, იგი მაინც შეწყვეტდა თავის თარგმანს, რადგანაც ეფრემმა კარგად იცის, რომ სწორედ ეს ნაწარმოები („ასკეტიკა—კითხვა-მიგებანი“) შეადგენს მის მიერ თარგმნილი კრებულის უმთავრეს და ძირითად ნაწილს. ეს იქიდან ჩანს, რომ ეფრემის თარგმანში იმ პროლოგის სათაურად, რომელიც ბერძნულ ხელნაწერთა ტრადიციით და სამეცნიერო ლიტერატურაშიც მიჩნეულია უშუალოდ „კითხვა-მიგების“ პროლოგად, იკითხება: „ასკეტიკონი ბასილი ეპისკოპოსისაჲ“<sup>1</sup>. ეფრემმა ისიც დანადგვილებით იცის, რომ მის კრებულსა და პროკოპის თარგმნილს შორის განსხვავება იქნება და ამიტომაც მკითხველს უხსნის: „სხუებრობაჲ ნუვე გიკვრს, რამეთუ თვთ ბერძულნიცა წიგნი ვითარცა ვინ დედაჲ პოვოს, ეგრე გარდაიწერებიან და თვთ ორთა წიგნისსაცავთა სუმეონწმიდისათა ასკეტიკონნი სხვთა და სხვთა კმატდეს ურთიერთას“.

ამგვარად, ქართულ მწერლობაში შენახულია ოთხი რედაქცია ბასილი კესარიელის „სამოღვაწეო წიგნისა“. პირველი მათგანი (G რედაქცია), რომელიც თავისი მნიშვნელობით ბიზანტიურ ფილოლოგიაში პირველხარისხოვანია. თარგმნილი უნდა იყოს ჩვენი მწერლობის პირველ პერიოდში პროკოპი მღვდლის მიერ პალესტინაში, ან სინას მთაზე. მეორე (E რედაქცია), რომელიც შემკულია ძვირფასი ფილოლოგიურ-ისტორიული ნენიშვნებით. თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ შავ მთაზე მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში და წარმოადგენს ე. წ. „შერეული ვულგატას“ ტიპის კრებულს. მესამე (P რედაქცია), რომელიც თავისი შედგენილობით საკმაოდ ახლოს დგას ეფრემ მცირის თარგმანთან, თარგმნილია უცნობი ქართველი მთარგმნელის მიერ ვულგატას რეცენზიის ბერძნული



დედნიდან ეფრემ მცირის თარგმანის შემდეგ<sup>1</sup>. მეოთხე (C რედაქცია) კი წარმოადგენს ეფრემის თარგმანიდან ძველი ქართული მწერლობის უკანასკნელ პერიოდში გამოკრებილ წიგნს, რომლის დანიშნულება პრაქტიკული ხასიათისა უნდა ყოფილიყო.

1

---

<sup>1</sup> ამგვარად, დღეისათვის ცნობილია ბასილის „ასკეტიკონის“ უცნობი მთარგმნელის მიერ თარგმნილი ერთი ქართული ვერსია (P—რედაქცია—A—63 ხელნაწერის „ასკეტიკონი“). ქართულ მწერლობაში დაცულია, აგრეთვე, ცნობა ბასილის „ასკეტიკონის“ ერთი უცნობი მთარგმნელის—იოსებ კანდელაკის შესახებ (ზ. ჭიჭინაძის გამოცემა). შესაძლებელია ამ ორი გარემოების ერთმანეთთან დაკავშირება; მაგრამ, რადგანაც ცნობა იოსებ კანდელაკის შესახებ გვიანდელი და არა უცილობლად სარწმუნო წყაროდან მომდინარეა და მისი დამადასტურებელი სხვა რაიმე ნიშანი ჯერჯერობით არ ჩანს, ჩვენ საკითხის ამგვარი დასმისაგან თავს ვიკავებთ.

## ГРУЗИНСКИЕ РЕДАКЦИИ «КНИГИ УПРАЖНЕНИЙ» ВАСИЛИЯ КАППАДОКИЙСКОГО

В Институте рукописей имени К. С. Кекелидзе Академии наук Грузинской ССР хранятся три объемистых сборника, озаглавленные: „Аскетиков“ Василия Кесарийского или в древнегрузинском переводе „სამოცუაწესო წიგნი“, т. е. „Книга упражнений“. Две из этих рукописей являются совершенно адекватными и в них, как видно из сделанной в конце приписки („завещания“), сохранен текст перевода с греческого, выполненного во второй половине XI века выдающимся деятелем грузинской культуры Ефремом Мцире. Третья же рукопись дает особую редакцию, сохранившую, как принято считать в настоящее время, перевод, выполненный грузинским переводчиком, известным под именем Прокопия.

Что представляет собой „Книга упражнений“ Василия Каппадокийского (или Василия Кесарийского, Василия Великого)? Единое ли это произведение или сборник отдельных статей, а если сборник, то какие сочинения в него входят? Имела ли эта книга такой же вид с самого начала или была составлена позже? Существует ли такой сборник в греческой литературе, или же он объединен грузинскими переводчиками? Каковы особенности грузинского перевода по сравнению с греческим оригиналом? Нет ли других редакций этой книги в грузинской литературе? Какое место занимают грузинские версии среди греческих рукописей? Когда и кем выполнены грузинские переводы этого памятника и в каком отношении находятся они друг с другом? Таковы вопросы, решению которых посвящена наша работа.

Наряду с изучением известных в специальной литературе грузинских рукописей, содержащих аскетические сочинения Василия Каппадокийского, мы разыскивали также неизвестные до настоящего времени грузинские рукописи этих сочинений. Внимательное изучение описаний грузинских рукописей позво-

лило нам обнаружить неизвестные для грузинских ученых и весьма важные рукописи „Книги упражнений“ Василия Каппадокийского. Это в свою очередь потребовало пересмотра некоторых специальных вопросов, считавшихся решенными в истории грузинской литературы.

Изучая современное состояние исследования „Книги упражнений“ Василия Кесарийского мы пришли к выводу, что проблематика, связанная с этим произведением, до сих пор не утратила своего значения.

Сличение грузинских редакций с греческим оригиналом и со всеми известными описаниями греческих рукописей и других версий показало нам, что грузинские рукописи имеют большое значение для византийской филологии как средство восстановления первоначального вида древнейшей редакции сочинения Василия Каппадокийского. С этой точки зрения среди 150 рукописей, в которых сохранились греческие тексты „Книги упражнений“ Василия, а также латинские, сирийские, арабские, славянские, армянские и грузинские переводы этого произведения, особенно важное значение имеет одна из грузинских рукописей.

В результате изучения грузинских редакций „Книги упражнений“ Василия Каппадокийского были по-новому поставлены и решены некоторые вопросы древнегрузинской литературы. Среди них следует отметить, например, вопрос о литературном наследии грузинского переводчика Прокопия, которому еще в первом издании „История древнегрузинской литературы“ К. Кекелидзе была посвящена специальная глава<sup>1</sup>. В нашей книге вопрос о литературной деятельности Прокопия поставлен совершенно по-новому.

### Часть первая

В этой части дан общий обзор историко-филологических вопросов, связанных с аскетическими сочинениями Василия Каппадокийского. Изучение этих вопросов необходимо и потому, что грузинские переводчики высказывали свое мнение как по филологическим, так и по историко-философским вопросам,

---

<sup>1</sup> К. Кекелидзе, История грузинской литературы, т. I. Т., 1923, стр. 256 (на груз. языке).

связанным с этим произведением, и в схолиях при переводе греческого текста делали важные замечания.

Аскетические сочинения выдающегося представителя византийской литературы Василия Кашпадокийского (330—379), видимо, еще при его жизни были объединены в сборник, который был назван „Аскетиконом“. Известный историк V века Созомен указывает, что аскетическую книгу, приписываемую Василию Кесарийскому, некоторые считают сочинением Евстафия Севастийского (Н. Е. III, 14). Сочинения сохранившихся до настоящего времени рукописей совершенно определенно призывают упомянутому Созомену аскетическую книгу принадлежащей Василию. Многие писатели и историки также считают Василия автором этой книги.

Грузинский переводчик и ученый XI века Ефрем Мцире хорошо знаком с этим вопросом. Доказывая, что автором „Книги утрачений“ был Василий Кашпадокийский, а не Евстафий Севастийский, Ефрем Мцире исходит непосредственно из первоисточников. В частности, он заостряет внимание на сообщении Григория Назианзина о том, что Василий учредил в монастырях правила подвижничества. В специальной научной литературе именно это сведение Григория Назианзина считается самым главным и несомненным основанием для решения данной проблемы.

В своих аскетических произведениях Василий Кашпадокийский учреждает чрезвычайно строгие подвижнические принципы. Эта строгость сближает Василия Кесарийского с неоплатонической философией христианства. То обстоятельство, что Василий как мыслитель до некоторой степени опирался на учение Платона, было отмечено грузинским философом XI—XII веков Иоанном Петрици, который и сам использует взгляды Василия Великого.

Сочинения Василия в полном виде неоднократно издавались на греческом языке. Наше использовано издание: J.—P. Migne, *Patrologia Graeca*, t. t. 29—32.

## Часть вторая

За последнее время филологическая наука все ближе подходит к решению задачи восстановления первоначального вида

сочинений Василия Кашпадокийского. Особый интерес в связи с этим вызывают вопросы о том, в каком отношении находятся между собой сборники, сохранившиеся на различных языках в рукописях разных веков и носящие название „Аскетикона“ Василия Кесарийского, а также кем и как составлены эти сборники, и что действительно принадлежит в них Василию.

Глава первая. Основное произведение Василия, в котором полностью представлена его аскетическая доктрина—это „Аскетические правила“. Они написаны в форме вопросов и ответов и состоят из двух частей, имеющих вид независимых произведений. Первая часть называется „Правила, пространно изложенные в вопросах и ответах“ (PG., 31, 905—1052), а вторая носит название „Правила, кратко изложенные в вопросах и ответах“ (PG., 31, 1080—1305). Сокращенно их называют: „Пространные правила“ и „Краткие правила“ или „Пространные вопросы“ и „Краткие вопросы“. Число правил или вопросов и ответов в каждом сочинении по разным редакциям различно. В „Пространных правилах“ наиболее распространенной редакции насчитывается 55 вопросов и ответов, а в „Кратких правилах“—313.

Как пространным, так и кратким „правилам“ предисловия введения. Оба эти введения в рукописях часто представлены в отрыве от „Правил“ и приобретают вид независимых произведений. По принятой в специальной литературе нумерации введение к „Кратким правилам“ называется „Прологом 3“ (PG., 31, 1080), а введение к „Пространным правилам“— „Прологом 4“ (PG., 31, 889—901).

Аскетическим произведением, принадлежащим Василию, считают также „Нравственные правила“ (Moralia) (PG., 31, 692—869).

Кроме указанных сочинений, в греческих рукописях и изданиях Василию приписываются следующие аскетические произведения:

Монастырские конституции (Constitutiones monasticae) (PG., 31, 1316—1428)

De Baptismo — „О крещении“, слово аскетического содержания (PG., 31, 1513—1628).

Пролог 1—Введение к латинскому и сирийскому переводам малого „Аскетикона“ или „Правил“ Василия (PL., 103, 483).

Пролог 34—слияние пролога 3 с прологом 4 (В PG. не опубликован в объединенном виде).

Пролог 5—Слово аскетического содержания, которое по рукописям считается введенным к „Аскетикону“ (PG., 31, 381—388).

Пролог 6—Введение в первой части „Аскетикона“, так наз. гипотипосу (ὑποτίπωση) (PG., 31, 1509—1513).

Пролог 7—Первый пролог „Нравственных правил“, озаглавленный *iudicio*, „О суде божьем“ („Περὶ κριματός θεοῦ“) (PG., 31, 653—676).

Пролог 8—Второй пролог „Нравственных правил“, озаглавленный *De fide*, „О вере“ („Περὶ πίστεως“) (PG., 31, 676—692).

Пролог 9—по некоторым греческим редакциям играет роль введения к „Кратким правилам“ (PG., 34, 668—673).

Слово 10—(PG., 31, 620—625).

Слово 11—(PG., 31, 625—648).

Слово 12—(PG., 31, 648—652).

Слово 13—(PG., 31, 869—881).

Слово 14—(не опубликовано в PG.).

Слово 15—(не опубликовано в PG.).

Слово 16—(не опубликовано в PG.).

Письмо 2—Письмо Василия Кесарийского к Григорию Назпавзвну (PG., 32, 224—233).

Письма 22, 23, 42, 43, 44, 45, 150, 173— см. соответствующие номера эпистол Василия (PG., т. 32).

Письмо 17322—объединение 173-го письма Василия с 22-м письмом.

Эпитимии 24 - Правила наказания провинившихся монахов. (PG., 31, 1305—1308, эпитимии № 1—11).

Эпитимии 25 - (PG., 31, 1313—1316).

Эпитимии 26 - (PG 31, 1308—1313, Эпитимии № 12—60).

В сохранившихся до настоящего времени рукописях вышеперечисленные аскетические сочинения Василия объединены в один сборник, называемый „Аскетиконом“. Основная составная часть „Аскетикона“—это „Вопросы и ответы“ Василия. Аскетические статьи Василия, по сообщению Созомена, были объединены в один сборник ещё в IV—V веках (Sozom., Н. Е., III, 14). Некоторые редакции этого сборника и в IV веке назывались „Аскетиконом“. Известный церковный деятель IV—V вв.

Перовым определенно указывается, что Василий создал „Аскетикон“ („De viris illustribus“, 116).

Исследованиям рукописей аскетических сочинений Василия начался новый этап в их изучении. За научное изучение рукописей еще в XVIII в. взялся Ж. Гарнье (J. Garnier). Им исследованы 4 греческие рукописи XII в. В XX веке исследование рукописей „Аскетикона“ продолжалось. С 1938 года Д. Ажанд (D. Amand) начинает составление коллекции этих рукописей. В дальнейшем непосредственное изучение „Аскетикона“ продолжает Фр. М. Гюте (Fr. M. Guetet). В 1953 году вышел в свет капитальный труд Грибомона—„Jean Gribomont, Histoire du texte des Ascétiques de s. Basile“, в котором резюмирована и обобщена вся работа, проведенная до того по вопросам аскетических произведений Василия. Поэтому и дальнейшие исследования шли в основном по пути дополнений и уточнений труда Грибомона.

Глава вторая. В настоящее время для изучения аскетического наследия Василия Кашадокийского в византиноведении используются до 150 рукописей. Большая часть этих рукописей написана на греческом языке. Остальная часть представляет переводы на латинский, сирийский, арабский, армянский, грузинский, славянский и коптский языки. Эти рукописи в соответствии с представляемым в них текстом, а также по составу „Аскетических вопросов“ и по объединенным с ними „Вопросами“ другим аскетическим произведениям, разделены на несколько основных редакций, называемых в специальной литературе „рецензиями“ (Recensions): V—вульгата (Vulgate), S—Студите (Studite), N—Нила (Nil), O—ориенталистская (Orient), M—(Misogone—женоненавистническая), B—Барберини (Barberini), H—армянская, G—грузинская, K—арабская, Rl—краткая латинская, Rs—краткая сирийская, A—средневековая латинская. Кроме того, существуют славянская и коптская версии. В работе дано краткое описание каждой из этих рецензий.

В различных рукописях рецензии V (вульгата) сохранились схолии, дающие известное представление об ее первоначальном виде. Имеются 7 основных схолий. VII схолия в рукописях дает еще две разновидности, называемые VIII и IX схолиями. Схолияст сопоставил друг с другом понтийскую, кесарийскую и восточную редакции „Аскетикона“ Василия и образовал одну

